ვახუშტი
კოტეტიშვილი

აღმოსავლურ-დასავლური დივანი

გამომცემლობა „დიოგენე" მადლობას უხდის პროექტის მხარდაჭერისათვის ევროპის საბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიუროს, ირანის ისლამური რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საელჩოებს საქართველოში

ვახუშტი კოტეტიშვილი
აღმოსავლურ-დასავლური დივანი

რედაქტორი
ანა ჭაბაშვილი

დიზაინი
გუგა კოტეტიშვილი
ბესიკ დანელია

საავტორო უფლება © 2002 გამომცემლობა „დიოგენე"
პირველი გამოცემა 2002
ყველა უფლება დაცულია

ISBN 99928-994-4-1 ყდა
ISBN 99928-994-5-X გარეკანი

გამომცემლობა „დიოგენე"
თბილისი, კეკელიძის ქ. 6
ტელ. 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
ელფოსტა diogene@ip.osgf.ge

სარჩევი

შესავალი **7**

სპარსული პოეზია **19**

რუდაქი 21

ფირდოუსი 29

აგუ საიდი 31

ანსარი 40

ომარ ხაიამი 42

სანაი 81

ნიზამი განჯელი 83

მასუდ სად სალმანი 84

ჯელალ ედ-დინ რუმი 85

საადი 92

ჰაფეზი 94

აგდ-ორ-რაჰმან ჯამი 134

ავსტრო-გერმანული პოეზია 169

რაინერ მარია რილკე 171

გვრინი კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე 171
რჩეული ლექსები წიგნიდან: ჟამნი 180
ორფევსი. ევრიდიკე. ჰერმესი. 200
ანტი-სტროფები 203
სიყვარულის სიმღერა 207
მჭვრეტელი 208
შადრევანთა გამო 209
ოქრომჭედელი 211
მუსიკას 212
ესპანური ტრილოგია 213
„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი“ 216
შემოდგომა 221
შემოდგომის დღე 222
სული სივრცეში 224
შემობრუნება 226
სამი ლექსი ციკლიდან: სარკის ანარეკლები 228
მფარველი ანგელოსი 230
ეროსი 231
დუინური ელეგიები 233
პირველი ელეგია 233
მეორე ელეგია 237
მესამე ელეგია 240
მეოთხე ელეგია 243
მეხუთე ელეგია 246
მეექვსე ელეგია 250
მეშვიდე ელეგია 252
მერვე ელეგია 256
მეცხრე ელეგია 259
მეათე ელეგია 262
სონეტები ორფევსისადმი 266
პირველი ნაწილი 266
მეორე ნაწილი 292

XX საუკუნის
რუსული პოეზია 323

ინოკენტი ანენსკი 325
სამყაროთ შორის 325


მაქსიმილიან ვოლოშინი 326
ჯოჯოხეთის ფსკერზე 326

ნიკოლაი გუმილიოვი 327
მე და თქვენ 327
ბუნება 328
მეექვსე გრძნობა 329
ოცნებები 330
ხოკუ 333
პატარა სპილო 334

იოსიპ მანდელშტამი 335
ლენინგრადი 336

მარინა ცვეტაევა 338
გაპარვა 339

იოსიფ ბროდსკი 341
ორი საათი რეზერვუარში 341
საშობაო ვარსკვლავი 347
ოდისევსი ტელემაქეს 348
პოლარული მკვლევარი 349
„ბარბიზონ ტერრასი“ 351
ციკლიდან „ოცი სონეტი
მარია სტიუარტს“ 352
გაჩერება უდაბნოში 353



ფოტო: იური როსტისა

მთარგმნელის აღსარება ანუ მხატვრული თარგმანის პარადოქსები

დავიწყოთ ამ წიგნის სახელწოდებით: მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება ასოციაცია გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანთან“, რამაც შესაძლოა, კრებულის შემდგენლის მიმართ გარკვეული პრეტენზიულობის ეჭვიც კი აღძრას. მკითხველის დამშვიდების მიზნით უნდა განვაცხადო, რომ ასეთი ეჭვი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ორიოდე მიზეზის გამო:

პირველი ის გახლავთ, რომ გოეთეს ეს წიგნი ორიგინალური ლექსების კრებულს წარმოადგენს და მისი ასეთი სათაური: „Vest-östlicher Divan“ მხატვრულ-კონცეპტუალური დატვირთვის მქონეა, ხოლო ჩვენს შემთხვევაში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა აღმოსავლური და დასავლური ლექსების კრებულს, ვინაიდან არაბულ-სპარსულ პოეტიკაში ლექსების ყოველგვარ კრებულს, ჩვეულებრივ, „დივანი“ ჰქვია.

ჩვენი წიგნის ამგვარი სახელწოდება, შესაძლოა რედიარდ კიპლინგის ცნობილი გამონათქვამის საპასუხოდ უფრო ჩაითვალოს, აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურას ერთმანეთისგან რადიკალურად რომ თიშავდა და მათი შეერთების შესაძლებლობას გამორიცხულად მიიჩნევდა. ვფიქრობ, მისთვის რუსთაველის ფენომენი რომ ყოფილიყო ცნობილი, რომელშიც საოცარი სისავსით არის მოცემული ეს სინთეზი, მის განცხადებას ასეთი კატეგორიული ტონი არ ექნებოდა.

ამგვარი კრებულების გამოცემა სწორედ რუსთაველის ქვეყანაშია მოსალოდნელი და ბუნებრივი, ვინაიდან საქართველოს კულტურა

ოდითგანვე უაღრესად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა პართენონის სუროზე შირაზის ვარდის დასამყნობად.

ზემოხსენებული პრეტენზიულობის შესაძლო ბრალდებას რაც შეეხება, მის განსაქარვებლად აჯობებს მამაჩემს, ვახტანგ კოტეტიშვილს დავესესხო, ვინაიდან ვგრძნობ, რომ მასზე უკეთ ძნელი იქნება ამ აზრის გამოხატვა. 1925 წელს „ქართული ლიტერატურის ისტორიის" შესავალში იგი წერდა:

„წინასიტყვაობის დაწერა, მეტწილად, ბოდიშის მოხდა არის ხოლმე მკითხველის წინაშე, რომლის უკანაც იმალება ავტორის ქედმაღლობა და ზოგჯერ განდიდების სენიც.

მინდა დავარწმუნო მკითხველი, რომ ამ შემთხვევაში არც ბოდიშს ვიხდი მის წინაშე, რადგან საბოდიშო არაფერი მაქვს, და არც ქედმაღლობის გამოჩენა მინდა, რადგან მორიგი მუშა ვარ ჩვენი განათლების მომცდარ ყანაში. მე გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, და თუ მკითხველი არ დაკმაყოფილდება, ეს იქნება ჩემთვის სასიხარულო. სჩანს, რომ ჩვენი სული მომწიფებულა და მომავალი გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ამ წიგნის ავტორმა ვერ შეძლო."

ახლა კი ორიოდ სიტყვით მინდა ამ წიგნის ახალგაზრდა მკითხველებსა თუ მომავალ მთარგმნელებს გავუზიარო ჩემი ზოგიერთი შეხედულება მხატვრული თარგმანის წყალქვეშა მეჩეჩებზე და იმ საბედისწერო მოულოდნელობებზე, რაც ამ ფათერაკიან გზაზეა მოსალოდნელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თარგმანის სხვადასხვა სახეობა არსებობს: ზეპირი, ანუ სინქრონული, დოკუმენტური (კანცელარიული, იურიდიული და სხვ...), მეცნიერული, პწკარედული და მხატვრული, რომელიც თავად ორ სახეობად იყოფა: პროზაულად და პოეტურად. მაშასადამე, გვაქვს ორი უმთავრესი სახეობა: მხატვრული და არამხატვრული თარგმანი. მათ შორის უმთავრეს სხვაობას სიზუსტის კრიტერიუმების განსხვავებულობა ბადებს: არამხატვრულ თარგმანში სიზუსტე სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას, იდენტურობას ნიშნავს, მხატვრულ თარგმანში კი მხატვრულ ადექვატობას, მსგავსებას, ემოციურ შესატყვისობას.

არამხატვრულ ტექსტში სიტყვა მონოსემანტიკურია, ერთმნიშვნელოვანი, მხატვრულ ტექსტში კი პოლისემანტიკური, ანუ მრავალმნიშვნელოვანი. ამას ის განაპირობებს, რომ პირველ შემთხვევაში ცნებებთან, ტერმინებთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი მხატვრულ სახეებთან, პოეტურ ხატებთან, მეტაფორულ აზროვნებასთან.

მეცნიერისათვის „სამკუთხედი" მხოლოდ და მხოლოდ ამ გეომეტრიულ ფიგურას უნდა აღნიშნავდეს და გამორიცხულია მისი „კვადრატისა" თუ „პირამიდის" გაგებით გამოყენება. ან კიდევ „ანევრიზმა" არ შეიძლება „პოლიართრიტის" ნაცვლად იხმაროს ექიმმა, ისევე, როგორც ფიზიკოსი „მასის" ცნების სანაცვლოდ „ინფრაქციას" ვერ გამოიყენებს. ამიტომაც არის, რომ მეცნიერების ყოველ დარგს თავისი ავტონომიური ლექსიკონი აქვს, სადაც მკაცრად არის შემოსაზღვრული ყოველი სიტყვის, ცნებისა თუ ტერმინის სემანტიკური ველი. და რაც უფრო ვიწროა ეს ველი, ანუ მნიშვნელობის არეალი, მით უფრო ზუსტი და მეტყველია ეს ტერმინი.

შესაძლოა ითქვას მეტიც: არამხატვრული ტექსტი სინონიმიზაციასაც გამორიცხავს: ვთქვათ, ამა თუ იმ იურიდიულ საბუთში წერია: „გარდაიცვალა", იგი არ შეიძლება ითარგმნოს ასე: „სული განუტევა", „აღესრულა", „სული ზეცას მიაბარა", „წერილი წაიღო", „გაღმა გავიდა" ან „ჭირი მოგჭამათ" და სხვა... აქ სტილიც მკაცრად უდა იყოს დაცული. მეცნიერულ მსჯელობას თავისი სტილი აქვს, იურიდიულ დოკუმენტს თავის საკუთარი, ხოლო საკანცელარიოს თავისი და მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია.

ახლა გადავხედოთ მხატვრულ ტექსტს და მისი თარგმნის პრობლემატიკას: აქ ზემოთგანხილული ტექსტებისათვის დამახასიათებელ სიტყვათა მონოსემანტიზმს მხატვრული სიტყვის პოლისემანტიზმი, ანუ მრავალმნიშვნელოვნება უპირისპირდება, რაც განპირობებულია მხატვრული ენის ტროპული ბუნებით, მეტაფორული აზროვნების თავისებურებით. მხატვრულ ტექსტში ყოველ სიტყვას თავისი პოლისემანტიკური ველის უგრძესი „შლეიფი" მოჰყვება. ნახსენებია, მაგალითად, „ლომი", მაგრამ იგი გარეულ ცხოველს კი არ ნიშნავს, არამედ „გმირს". „ვარდი" სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყვავილს აღნიშნავდეს, იგი ამჯერად თურმე მშვენიერი სატრფოს ღანძს უდრის. სამშობლოს მთების ფერი პოეტურ აღქმაში „დაბინდული ქლიავის" ასოციაციას იწვევს, ხოლო თოვლი ზოგჯერ თურმე შესაძლოა, „იისფერიც" იყოს.

მეტაფორის შესანიშნავ განმარტებას გვაძლევს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დონალდ დევიდსონი: **„მეტაფორა არის ენის სიზმარი“** (dreamwork of language). ეს დეფინიცია თავისთავად მეტაფორაა, თანაც გენიალური. და აი, მხატვრული ტექსტის მთარგმნელს ენის ამ სიზმართა საუფლოში უწევს ბოდიალი ყოველგვარი რუკისა და კომპასის გარეშე. მას ბეატრიჩე არ პყავს, იგი მხოლოდ საკუთარ ალღოსა და გუმანს არის მინდობილი. ყოველი ენა, თავისთავად, ოკეანეა, უძირო და უკიდეგანო, შიგ ჩაძირული „ატლანტიდებითა“ თუ „ბერმუდის სამკუთხედების“ იდუმალებით უხვად მოფენილი. ამიტომაც მთარგმნელს დიდი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება მართებს, რომ ამ ჯადოსნურ სამყაროთა შორის გზა გაიგნოს.

მან, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვადასხვა ენებში ერთი და იგივე საგნის აღმნიშვნელი სიტყვები არ უდრის ერთმანეთს. ავიღოთ, მაგალითად რუსული „**стол**“ და ქართული „მაგიდა“. ამ ორი სიტყვის პირველად, სალექსიკონო მნიშვნელობებს შორის შესაძლოა დაისვას იგივეობის ნიშანი, მაგრამ საკმარისია ისინი მოხვდნენ გარკვეულ კონტექსტში, რომ მათ ეს ჩვეული სემანტიკური ჩარჩო აღარ მოერგოთ.

„**Богатый стол**“, ჩვეულებრივ, „მდიდრულ მაგიდას“ ნიშნავს, თუკი ამ ნივთის თვისებებზეა საუბარი. ვთქვათ, ძვირფასი ხისგან არის დამზადებული, ინკრუსტირებულია და ანტიკვარულ ფასეულობას წარმოადგენს. მაგრამ თუ მასზე მორთმეული გასტრონომიული სიუხვე იგულისხმება, იგი ქართულად „მდიდრულ სუფრად“ უნდა ითარგმნოს. ხოლო ეს უკანასკნელი რუსულად რომ ვთარგმნოთ, როგორც „**богатая скатерть**“, რუსი მკითხველის მიერ იგი პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ ძვირფას ქსოვილად აღიქმება მხოლოდ.

ეს ყველაფერი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც მთარგმნელი იდიომებს მიადგება. მაგალითად, „**скатертью дорога**“, რა საკვირველია არ შეიძლება ითარგმნოს: „გზად სუფრა დაგეფინოსო“, ვინაიდან აქ არც ფიანდაზზეა საუბარი და არც არსენა ოძელაშვილის „ჰობი“ იგულისხმება, „გზებზე სუფრის გადაფენა“ რომ უყვარდა ცხონებულს. ერთი სიტყვით, არამხატვრული თარგმანი ხელობაა, მხატვრული კი ხელობაც არის და ხელოვნებაც. და იგი ბევრად უფრო სახიფათო სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება, სადაც ხელოვანი

თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვისგან და მას მართლაც შეუძლია გალაკტიონისებურად ბრძანოს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ (რასაკვირველია, ამ განცხადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ მას ღვთით ბოძებული ნიჭი უდევს საფუძვლად და არა მანიაკალური ამბიცია). და მაინც, ამ სირთულეების მიუხედავად, რა აიძულებს ხელოვან ადამიანს, თავისი პირადი, საკუთარი შემოქმედება გვერდზე გადადოს და სხვისი ნააზრევის ლაბირინთებში დაიწყოს უგზო-უკვლო ხეტიალი?
რით არის გამართლებული ეს ფათერაკებით აღსავსე „ოდისეა“?
რატომ „იტკიებს აუტკივარ თავს“ და ნებაყოფლობით რატომ იწვდის შიშველ კისერს ულმობელი კრიტიკის გილიოტინაზე?

ამ ახირებული კითხვების უპირველესი პასუხი ალბათ რაციონალური იქნება: მთარგმნელს ამოძრავებს კეთილშობილური მისია, იყოს დესპანი სხვადასხვა კულტურათა შორის, გაამდიდროს საკუთარი ერის ესთეტიკური სამყარო და სხვა მისთანანი... ეს ყოველივე, რასაკვირველია, სიმართლეა, თუმცა მას ამაღლებული, მაგრამ მაინც უტილიტარიზმის სუნი დაჰკრავს, რაც წმინდა, ჭეშმარიტი ხელოვნების არსში ჩასაწვდომად არ გამოდგება.

განა პოეტი ლექსის საწერად კალამს რომ მოიმარჯვებს, იმაზე ფიქრობს: მე ახლა დავწერ ისეთ ლექსს, რომელიც ჩემი ერის კულტურას აუცილებლად გაამდიდრებსო? რასაკვირველია, არა. შემოქმედება, უმთავრესად, ქვეცნობიერი აქტია, როგორც ჟინი და ვნება და მას ვინ მადლად აღიქვამს და ვინ ჯადოდ, ეს უკვე აღმქმელის ინტელექტუალურ სინდისზეა დამოკიდებული. მთარგმნელობაც ისეთივე სენია, როგორც ხელოვნების ნებისმიერი დარგი: მუსიკა თუ პოეზია, მხატვრობა თუ პლასტიკა... ქვეცნობიერების საწყისი მასშიც ისეთივე ძლიერია, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, მაგრამ ცნობიერების დოზა მასში მაინც ჭარბობს, ვინაიდან ეს ერთგვარი სიტყვიერი „იკებანაა“, რომელშიც გონება და გემოვნება, ცოდნა და გამოცდილება თუ არ ჩაერთო, მხოლოდ შიშველი ნიჭი ვერას გახდება. არ შეიძლება ანტიკურ ტექსტს თარგმნიდეს კაცი და ტოგას ტუნიკისგან ვერ ასხვავებდეს, ანდა ინდური ტექსტის თარგმნისას პრანა და ტანტრა ერთმანეთში აერიოს...

კლასიკური ლიტერატურის თარგმნისას, ვაი რომ, მხოლოდ ენის ცოდნა არ არის საკმარისი. თარგმანი თავისთავად, უპირველეს ყოვლისა,

ჰერმენევტიკული პროცესია, ანუ მხატვრული ტექსტის სწორად წაკითხვისა და ინტერპრეტაციის ხელოვნება.
სწორად წაკითხვა-მეთქი ვამბობ, მაგრამ არსებობს კი დედნის ტექსტის სწორად წაკითხვის რაიმე ობიექტური კრიტერიუმი?
აქ მე მხოლოდ მთარგმნელისეულ სუბიექტურ ინტერპრეტაციას არ ვგულისხმობ. ხომ არ არსებობს კიდევ სხვა, უფრო დიდი და გლობალური, ე.წ. ეპოქალური სუბიექტივიზმი? იქნებ ამის გამოა,
რომ დედანს ასაკი არა აქვს, არ „ბერდება", თარგმანს კი ხშირად ყავლი გასდის, ძველდება და ამიტომაც ახალი ეპოქა გენიალური ქმნილებების ახალ-ახალ თარგმანს მოითხოვს. ეს არ ეხება მხოლოდ კონგენიალურ თარგმანებს, რომლებიც მყარად იმკვიდრებენ ადგილს ორიგინალური ლიტერატურის წიაღში. მაგალითად ქართული „ვისრამიანი"
და მაჩაბლისეული შექსპირიც კმარა.

მაგრამ ორიგინალის ტექსტის ამგვარად თარგმნას, დიდი ნიჭის გარდა, უაღრესად ბევრი რამის ცოდნა სჭირდება, ბევრად მეტის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს თარგმნის ჟინით შეპყრობილ და მხოლოდ ენის ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდა მთარგმნელს. მე არაფერს ვამბობ ისეთ აუცილებელ სფეროებზე, როგორიც არის იმ კონკრეტული ქვეყნის ფილოსოფია თუ ფსიქოლოგია, მითოლოგია თუ რელიგია, ისტორია თუ გეოგრაფია, ფოლკლორი თუ ეთნოგრაფია, რომელთა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე თარგმნას აზრი არა აქვს. მთარგმნელმა ეს ყოველივე კი არა, იმ ქვეყნის მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფის დამახასიათებელი დეტალებიც კი უნდა იცოდეს.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ჩვეულებრივი მაგალითი: ირანელი, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან საქმეს მორჩება (სახლს აიშენებს, შვილს დააქორწინებს, დიდ ნაშრომს დაასრულებს თუ დისერტაციას დაიცავს), იტყვის: „მან გელიმე ხოდრა აზ აბ დარ ავარდამ" ანუ „მე ჩემი ხალიჩა წყლიდან ამოვიღე"-ო. ვინც ირანელთა ყოფა არ იცის, ის ამ ფორმულად ქცეულ ფრაზას ვერ გაიგებს, მიუხედავად იმისა, რომ მის მიღმა დიდი სირთულე არ იმალება. ირანი, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ხალიჩების ქვეყანაა. ოჯახი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ქსოვს უზარმაზარ ნოხს. ქსოვა რომ დასრულდება, ამ ნოხს ქუჩაში დააფენენ, რათა გამვლელ-გამომვლელთა ფეხქვეშ კარგად გაითელოს და ზედმეტი ხაო ჩამოშორდეს. ბუნებრივია, იგი დაისვრება და დაიმტვერება.

ამიტომ, როდესაც მისი მოთელვა სასურველ ზღვარს მიაღწევს, მას ააგორგოლავებენ ან აკეცავენ და მდინარეში ჩაფენენ, რომ გამდინარე წყალში კარგად გაირეცხოს. ახლა წარმოიდგინეთ, რაოდენ რთული საქმე იქნება გაჟღენთილი, დამძიმებული უზარმაზარი ნოხისა თუ ხალიჩის წყლიდან ამოღება და გასაშრობად გაფენა. აი საიდან იღებს დასაბამს ეს სპარსული ფრთიანი გამოთქმა, რომელიც იმ თანამედროვე ირანელებსაც კი აკერიათ პირზე, ვისაც ხალიჩა თავის ცხოვრებაში არასოდეს მოუქსოვია, და მხოლოდ ფეხმორთხმითა და ყელმოღერებით მჯდარა მასზე.

ანდა ავიღოთ სხვა მაგალითი: არაბულ პოეზიაში ქალი თუ ცხენს ან აქლემს იქნება შედარებული, არ გეგონოთ, თითქოს პოეტს მისი ლანძღვა და შეურაცხყოფა ჰქონდეს მიზნად. ეს დიდი სიყვარულის გამომჟღავნება და უზენაესი ხოტბაა, ვინაიდან ბედუინისთვის აქლემზე და ცხენზე ძვირფასი რამ ამქვეყნად არ არსებობს.

მაგრამ მთარგმნელმა ეს შედარება თუ მეტაფორა სიტყვა-სიტყვით რომ თარგმნოს, აბსურდი გამოუვა. მან შეძლებისდაგვარად ზუსტი ადექვატი უნდა მოუძებნოს დედნის პოეტურ ხატს თავისი ენის ხატოვანი რესურსებიდან. აქ უდახვეწილესი სიფრთხილეა საჭირო, რომ თარგმანის ენის ტრაფარეტებში არ გაითქვიფოს და, ამასთანავე, ეგზოტიკურობის ელფერიც შენარჩუნებულ იქნეს სასურველი, ზომიერი დოზით.

დიდი რუსი პოეტი მარინა ცვეტაევა, რომელიც, ამავე დროს დიდებული მთარგმნელიც გახლდათ, თავის მთარგმნელობით მეთოდს ასე წარმოგვიდგენს: მე ჯერ ვეძებ იმ ერთ თუ ორ სტრიქონს, რისთვისაც არის დაწერილი ეს ლექსი და ვცდილობ, მაქსიმალური სიზუსტით ვთარგმნო. დანარჩენი კი, როგორც მომიხერხდებაო.
ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, „სიზუსტე“ სიტყვა-სიტყვით თარგმანს კი არ ნიშნავს, არამედ მხატვრულ ადექვატობას, მხატვრულად ზუსტ შესატყვისს.

ამიტომაც გაჩნდა მთარგმნელობით თეორიაში ასეთი ფრთიანი და, ამავდროულად, პარადოქსული პოსტულატი: „თუ გინდა ზუსტად თარგმნო, ორიგინალს უნდა დაშორდე“.

გავკადნიერდები და ერთ უაღრესად თვალნათლივ მაგალითს დავიმოწმებ საკუთარი მთარგმნელობითი ლაბორატორიიდან:

წინამდებარე კრებულის პირველსავე ლექსს რომ ვთარგმნიდი, რუდაქის ბოლო ბეითში წავაწყდი სიტყვას „აფსუს“, რაც საერთოა სპარსული და ქართული ენებისთვის:

„ბად ო აბრ ასთ ინ ჯეჰან, აფსუს,
ბადე ფიშ არ, ჰარ ჩე ბადა, ბად“.

(ქარი და ღრუბელია ეს ქვეყანა, აფსუს,
მოიტა ღვინო, რაც მოხდება, მოხდეს).

მაშასადამე, ამ სიტყვას თავისუფლად შეეძლო გადმოსკუპება დედნის ტექსტიდან ქართულ თარგმანში, რაც მოხდა კიდეც:

აფსუს, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

დავსვი ბოლოში ძახილის ნიშანი და ჩავაგდე საწერი მაგიდის უჯრაში „დასაღვინებლად“. ეს აუცილებელი პროცესია შემოქმედების ყოველი დარგისთვის და თარგმანისთვის განსაკუთრებით.

გამოვაღებ დრო და დრო უჯრას, გადავიკითხავ ჩემს თარგმანს და ვატყობ, რომ რაღაც არ მომწონს, მეყოყმანება. მაგრამ რა?
— ვერ ვხვდები. ასე განმეორდა რამდენჯერმე. თითქოს ყველაფერი რიგზეა, სიზუსტე ლამის სიტყვა-სიტყვით არის დაცული, შენარჩუნებულია დედნის განწყობილება, სტილი, ინტონაცია და ა.შ.... მაგრამ რაღაც მაინც მიღრღნის გულს, და არ მაკმაყოფილებს. ბოლოს, როგორც იქნა, მიზეზს მივაკვლიე: სწორედ ეს „აფსუს“ არ მეპიტნავება. და იცით, რატომ? ამ სიტყვას ქართულში თითქოს ოდნავ კნინი მნიშვნელობა აქვს, პასიური სინანულის გამომხატველია, მასში ტრაგიზმის მუხტი ნაკლებია, რაც, ჩემი აზრით, რუდაქის ტექსტში დომინანტობს. უცებ გამინათდა გონება, გადავშალე ეს „აფსუს“ და მის ნაცვლად მსხვილი ასოებით ჩავსვი „ვაგლახ“. ჩავსვი და მოვისვენე:

ვაგლახ, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

ორიგინალს დავშორდი თუ მივუახლოვდი, ეს შენ განსაჯე, ჩემო ძვირფასო მკითხველო. ახლა კი, რახან ჩემი ლაბორატორიის კარი ოდნავ გაგიღე და ღრიჭოში შემოგაჭვრიტე, მოდი, ბარემ ერთ საიდუმლოსაც გაგანდობ, ბროდსკის თარგმნისას რაც ჩავიდინე. ლექსში, რომელსაც ჰქვია „ორი საათი რეზერვუარში", ავტორი გერმანულნარევი ჩიქორთული რუსულის ისეთ საოცარ, დიდოსტატურ ეკვილიბრისტიკას გვთავაზობს, რომ მთარგმნელს კი არა, მკითხველსაც კი თავბრუს დაახვევს. აქ ბევრია სიტყვათა თამაში, რომლის თარგმნა, მართლაც, უმაღლეს პილოტაჟს მოითხოვს. აქ გვხვდება ასეთი სტრიქონები:

Бог ограничен. Да. А человек?
А человек, должно быть ограничен.

ღმერთი ორგანულია. დიახ. მაგრამ ადამიანი?
ადამიანი ალბათ უფრო შეზღუდულია.

რუსულ ტექსტში სიტყვათა თამაში გვაქვს. მათი ქართული შესატყვისები კი „ორგანული" და „შეზღუდული" ერთმანეთთან თამაშისა და ლაღობის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებენ. ვერც მათი სინონიმების ძებნამ გამოიღო სასურველი შედეგი. იძულებული ვხდები გამოვიგონო ახალი, მანამდე ქართულ ენაში არარსებული სიტყვა და ჩემს სტვირზე ავათამაშო ეს სტრიქონები:

უფალი არის ბუნებრივი. ადამიანი?
ადამიანი ალბათ უფრო უნებრივია.

რით არის დასაწუნი ეს ახლადგამომცხვარი სიტყვა? „შეზღუდული", „უნებისყოფო", „უნებო", „უნებრივი". მე მგონი ქართულად ჟღერს და ბუნებრივად ჯდება ქართული სიტყვებისათვის ჩვეულ პარტიტურაში.

აი, ჩემო ახალგაზრდა მკითხველო და, ვინ იცის, მომავალო მთარგმნელო, რამდენ ხათაბალასთან არის დაკავშირებული ეს ყოვლად უმადური შრომა. უმადურს იმიტომ ვამბობ, რომ თუ თარგმანი კარგად გამოგივიდა, ამ სიკეთეს ავტორს მიაწერენ და არა მთარგმნელს, ხოლო თუ რაიმე შეგეშალა ან ოდნავ წაიბორძიკე, იმწამსვე აყაყანდებიან, მთარგმნელის ბრალიაო.

რილკეს „დუინური ელეგიების" პირველი თარგმანები რომ გამოვაქვეყნე, ერთი ფილოლოგ-ფილოსოფოსი შემხვდა და ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ის: — რილკეს შენეული თარგმანები წავიკითხე.
მომეწონა, მაგრამ ერთი შენიშვნა გამიჩნდა.

მე: — ბრძანე.

ის: — თარგმანი კარგია, მაგრამ შენ ვერ დაგინახე.

მე: — რილკე თუ დაინახე?

ის: — რილკე კი, მაგრამ შენ არსად ჩანხარ.

მე: — მე რად უნდა ვჩანდე, მთავარია, რილკე ჩანდეს.

გამეცინა და დავშორდი. თუმც არ გამკვირვებია. რა ექნა, ასე იყო მიჩვეული, რომ მთარგმნელები ხშირად ავტორზე წინ საკუთარ პერსონას გამოაგელვებენ ხოლმე ავანსცენაზე. ამიტომაც არის, რომ ბერძენი თუ ინდოელი, სპარსელი თუ ინგლისელი, ესპანელი თუ იაპონელი ავტორები გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსებიან ხოლმე ერთმანეთს.

მთარგმნელის ერთ-ერთი გამორჩეული ნიჭი გარდასახვის უნარი უნდა იყოს. როგორც მსახიობმა არ შეიძლება ერთი სტილითა და მანერით შეასრულოს ჰამლეტისა და ტარტიუფის, ოტელოსა თუ ლუარსაბ თათქარიძის როლები, ასევე მთარგმნელმა განსაკუთრებული ინტონაცია უნდა მოუძებნოს ბაირონსა თუ ომარ ხაიამს, პუშკინსა თუ ალიშერ ნავოის, ისიკავა ტაკუბოკუსა თუ შარლ ბოდლერსა და არტურ რემბოს. ამისთვის კი უტყუარი პოეტური სმენაა საჭირო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მუსიკალურ სმენას. მთარგმნელს თუ ეს სმენა ღალატობს, უმჯობესი იქნება, სხვა საქმე აირჩიოს საასპარეზოდ, უფრო ნაღდი და სარფიანი.

მთარგმნელს კიდევ ერთი რამ უნდა ჰქონდეს აუცილებლად: სინდის-ნამუსი. მე არ ვხუმრობ. მთარგმნელობა დიდ ზნეობრივ სიმაღლეს მოითხოვს. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავის ქვეყანაში სულიერ ფასეულობას და ეროვნულ განძს წარმოადგენს, შენ რა უფლება გაქვს გააუფასურო და ხელჰყო მისი ღირსება? მთარგმნელობა დიდი პასუხისმგებლობაა საკაცობრიო კულტურის წინაშე.

მე მგონი მეტისმეტად მენტორული წინასიტყვაობა გამომივიდა, მაგრამ ალბათ ესეც ასაკის ბრალია. „თარგმანის თეორიასა და

პრაქტიკას“ იმდენი წელია ვასწავლი თბილისის უნივერსიტეტებში, რომ ჩემდაუნებურად ზოგჯერ ყველაფერი ერთად ამომეთქმევინება ხოლმე.

ამ კრებულში ჩემი თარგმანების ნაწილი შევიდა მხოლოდ, რომლებიც სხვადასხვა დროს არის შესრულებული ორმოცდახუთი წლის მანძილზე, ე.ი. 1955-2000 წლებში. ერთი კრებული ყველა თარგმანს, ბუნებრივია, ვერ დაიტევდა და არც იყო საჭირო. ერთი მთარგმნელის რჩეული თარგმანების კრებულის გამოცემა იმითიც არის საინტერესო, რომ უფრო ნათლად წარმოჩნდება მისი სახე ანუ მრავალსახოვნება მთარგმნელისა.

ლორდი ბიკონსფილდი, იგივე ბენჯამენ დიზრაელი (1804-1881) ამბობდა: „როდესაც მინდა წიგნის წაკითხვა, მე მას ვწერ“. მის კვალდაკვალ მე ვიტყოდი: „როდესაც მინდა წიგნის წაკითხვა, მე მას ვთარგმნი“. ვინაიდან ავტორის შემდეგ მთარგმნელზე უკეთ არავინ იცის ამ წიგნის ჭეშმარიტი ფასი და ყადრი.

დასასრულს დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ნაირა გელაშვილი და გივი მარგველაშვილი, სერგო ოქროპირიძე და აწგარდაცვლილი დავით დავლიანიძე, რომელთა ღვაწლი უაღრესად დიდია რილკეს ჩემეულ თარგმანებში. ასევე ქედს ვიხრი გამომცემლობა „დიოგენეს“ მატრიარქის თამარ ლებანიძის წინაშე, რომლის დაუცხრომელი სურვილით და ძალისხმევით იხილა მზის სინათლე ამ კრებულმა. და შენც გიხდი მადლობას, ჩემო მკითხველო, რომ ლექსებისთვის მოიცალე ამ არაპოეტურ დროში. გზა მშვიდობისა!

ვახუშტი კოტეტიშვილი



სპარსული პოეზია

რუდაქი
X ს.

* * *

ილხენდე ლამაზ შავთვალასთან ხალვათად მჯდარი,
წუთისოფელი ზღაპარია და ნიავ-ქარი.

რაც უნდა მოხდეს, მას ყოველთვის შეხვდი ხალისით,
რაც უკვე მოხდა, დაივიწყე, უქციე მხარი.

მე და ის – ამბრის სურნელებით დალალაშლილი,
მე და ის – სახით მთვარისა და ფერიის დარი.

ბედნიერია, ვინც ირგო და უხვადაც გასცა,
უბედურია, ვინც სიამეს მიუხშო კარი.

ვაგლახ, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

* * *

ძლიერთა ამაქვეყნისათა დადრიკეს ქედი,
ყველას მოეჭდო განურჩევლად სიკვდილის ღვედი.

მიწად დაინთქა, ვინც იწევდა ზემოთ და ზემოთ,
სურდა, ზეცამდე აეწვდინა კოშკი თუ სვეტი.

ათას-ათასი წყალობიდან, რაც ჰქონდათ ქვეყნად,
ბოლოს და ბოლოს რა წაიღეს, სუდარის მეტი?!

შერჩათ, რაც ცვითეს, რაც გასცეს და თავად შეირგეს,
ვაგლახ, ეს არის კაცთა მოდგმის წერა და ბედი.

* * *

ჰეი, შენ, მითხარ, რატომა ხარ მოწყენით მჯდარი?
რატომ ჩამოგდის მაგ თვალთაგან ცრემლების ღვარი?

მე არც კი ვიცი, რა დავარქვა შენს ასეთ ყოფას?
მაშინებს დარდი, მაგ შენს გულში ბალღამად მდგარი.

წასასვლელს წასვლა უწერია, მოსასვლელს – მოსვლა,
მიკვირს, რად წუხხარ, რად გაღელვებს ფიქრები მცდარი.

ქვეყანა გინდა გაასწორო და გაამყარო?
ეს ქვეყანაა, არ გახდება სწორი და მყარი.

ნუ საყვედურობ, არ შეისმენს შენს საყვედურებს,
ნურც მოთქვამ, რადგან მას არ ესმის მოთქმა და ზარი.

მიდი, იტირე, რამდენიც გსურს, ვერ დაიბრუნებ,
რასაც წაიღებს უმოწყალო ჟამთასვლის ქარი.

თუკი ყველაფერს ასე ახლოს მიიტან გულთან,
ზეცისგან მეტად მოგეგება ნაღველი მწარი.

ყველაფერს, რასაც გულისყურით მიაპყრობ მზერას,
წამსვე ედება თითქოს განგებ ელფერი მჭკნარი.

არც ღრუბელი ჩანს, არც რაიმე ნისლის ნასახი,
ქვეყანას მაინც სძლევს უკუნი უძრავად მდგარი.

შეუსმენელი რჩება შენი ყველა ბრძანება,
ვერ შეაჩერებ, თუ დაიძრა ფიქრების ჯარი.

მის დასათრგუნად ერთადერთი ხერხი არსებობს,
დალიო ღვინო და სიამეს გაულო კარი.

გახსოვდეს, მხოლოდ შეჭირვების ჟამს წარმოჩნდება
კაცის ღირსება, კეთილშობილ რაინდთა დარი.

* * *

მოციქულთაგან წილად მერგო ჭეშმარიტება
და რაღად მინდა მე ელინთა დამშრალი წყარო?

სული ხორცისთვის რად ვაწამო? სულს ამაღლებულს
მე როგორ ვკადრო, რომ ძაღლების ფარეში ხარო?!

იოსებივით დამატყვევა მშვენიერებამ,
ლამაზი ლექსით ბულბულივით ვილხენ და ვხარობ.

ძლიერთა ამაქვეყნისათა მე კარგად ვიცნობ
და აღარ მინდა მათ წინაშე კვლავ ქედი ვხარო.

იმედის ნაცვლად დამრჩა მხოლოდ ამაოება,
ნუთუ ამისთვის ღირს, რომ მწარე ცრემლები ვღვარო?!

* * *

ქვეყნად სამართალს და სიკეთეს მიაგე მადლი,
თავისუფლების და სილაღის გაიგე ყადრი,
შენზე უბედურთ დააკვირდი და ინუგეშე,
მარტოდენ შენზე ბედნიერებს თავს რატომ ადრი?!

* * *

თუმც სიხარული განშორების სევდით მიქრება,
მაინც არ მიჭირს სიმძიმილში ლხენის მიგნება.
ყოველღამ ვამბობ: ღმერთო, თუკი მისგან სიშორეც
ასე ტკბილია, მასთან ყოფნა რაღა იქნება?!

* * *

იოსებივით გამოჩნდი და გამიფრთხა რული,
ეგვიპტელ ქალთა ხელებივით დამეჭრა გული,
ჯერ საალერსოდ განმაწყე და მომეც იმედი,
შემდეგ კი უცებ დამტოვე და აღმომხდა სული.

* * *

ჩამომცვივდა ყველა კბილი, ეს რა ბედის ალი იყო?!
კბილებს ვამბობ, თუმც ნამდვილად ლამპრის ნაპერწკალი იყო,

მარგალიტის წყება იყო, ასხმულ მარჯნის დარი იყო,
ცისკრის ვარსკვლავის ბადალი, წვიმის წვეთის ცალი იყო.

ახლა ერთიც აღარ შემრჩა, ყველა ერთად ჩამომცვივდა,
ეს რა იყო, ვერ გავიგე, რა ვარსკვლავის ბრალი იყო?!

თუმცა არა, ეს არც ვარსკვლავს და არც დრო-ჟამს დაბრალდება,
ეს ხომ უფლის განგება და ჩემი ბედ-იღბალი იყო!

ეს ქვეყანა ჩარხებრ ბრუნავს, ასეთია მისი წესი,
შექმნის დღიდან იგი მუდამ მბრუნავ ჩარხის თვალი იყო.

ის, რაც ახლა წამალია, სატკივარს რომ მოაშუშებს,
სატკივრადვე გადიქცევა კვლავაც, რაც წამალი იყო.

მას, რაც ახლა ახალია, დრო ულმობლად დააძველებს,
ძველს აახლებს, კვლავ აძველებს იმას, რაც ახალი იყო.

ბაღს უდაბნოდ გადააქცევს, უდაბნოს კი ააყვავებს,
უწყლოეთში წყალი ჩნდება, შრება, სადაც წყალი იყო.

ახლა მის წინ რომ კეკლუცობ და ატოკებ ზილფის ჩოგნებს,
არ გინახავს, როცა ზილფით ჩოგან-მობურთალი იყო.

ეჰ, სადღაა ის დრო, როცა სახე ჰქონდა ფარჩის დარი,
თმები, შავზე უშავესი, კუპრის ნაღვენთალი იყო.

წავიდა და აღარ მოვა, ვით სტუმარი სანატრელი,
მოსვლა იყო უეცარი, წასვლა უფრო მალი იყო.

მზეთუნახავთ რომ უნახავთ მაშინ ჩემი სილამაზე,
მათ თვალებში გაოცება მუდამ დაუმცხრალი იყო.

სად ნავიდა ის დრო, როცა სიჭაბუკის ლხინი მედგა,
სიამეთა სიუხვესთან ზრუნვა ნატამალი იყო.

ურიცხვ დირჰემს უდარდელად ისე მი-და-მოვფანტავდი,
ჩემი იყო, თუკი სადმე მკერდკოკობი ქალი იყო.

და ქალაქის ლამაზთაგან ვისაც ჩემთან მოსვლა სურდა,
ღამ-ღამობით მოდიოდა, რადგან დღისით მფრთხალი იყო.

ეშინოდათ, რომ ბატონებს დილეგში არ დაემწყვდიათ,
რაც დღისით არ ხერხდებოდა, ღამით დასამალი იყო.

ქალი ცელქი, ღვინო ძელგი, რაც სხვას ძვირად უჯდებოდა,
ჩემთვის იყო მისაწვდომი, თითქოს მუქთა წყალი იყო.

გული მქონდა სიხარულის ფართო მოედნად ქცეული,
არ ვიცოდი ჭირ-ვარამი, რა დროს საფიქრალი იყო!

გული მქონდა – საგანძური, ლექსის განძით – დაკვანძული,
ჩემი წიგნის თავფურცელზე ჩემივ ბეჭდის კვალი იყო.

ჩემი ლექსის სინატიფით ლბილ აბრეშუმს დავამსგავსე
ბევრის გული, მანამდე რომ ფოლადი და რვალი იყო.

თვალწინ მედგა მარტოოდენ მკვირცხლ ზილფების ნაზი რხევა,
ყურს მიტკბობდა, ჩემს ირგვლივ რომ მჭერმეტყველთა რკალი იყო.

არც ოჯახი მაწუხებდა, არც წვრილ-შვილი მიტიროდა,
გულს არ ჰქონდა საზრუნავი, თავისივ უფალი იყო.

პირმთვარეო, შენ რუდაქი მხოლოდ ახლა რომ იხილე,
არ გინახავს მაშინ, როცა ამ სიცოცხლით მთვრალი იყო.

არ გინახავს ამა ქვეყნად უდარდელად მონავარდე,
გალობაში თვით ბულბულის უბადლო ბადალი იყო.

ან წავიდა ის დრო, ირგვლივ ხალხი უხვად რომ ეხვია,
ან წავიდა ის დრო, როცა ამირათა თვალი იყო.

მისი ლექსი იყო მუდამ საზეო და სამეუფო,
მისი ლექსი ფასდებოდა, როგორც სამართალი იყო.

ან წავიდა ის დრო, როცა მათ იწერდა დიდ-პატარა,
როცა იგი მთელ ხორასანის ტკბილი მომღერალი იყო.

დიდებულთა ხაზინიდან მეძლეოდა ოქრო-ვერცხლი,
მათგან მქონდა ნაბოძები, განა ნაარმალი იყო!

ვის ვინ ჰყავდა მეპატრონედ, მე კი თავად სამანელნი!
მეუფეთა მოწყალება ძვირად საღირალი იყო.

ემირისგან ნაბოძები ორმოც ათასს აღემატა,
მეხუთედით მასზე მეტი სხვათა მონათვალი იყო.

ამის გარდა, სხვათაგანაც მეწყალობა რვა ათასი.
ეჰ, წავიდა დრო, რომელიც, მართლაც, სატურფალი იყო!

სხვა დრო დადგა და მეც სხვა ვარ. მომეც სამათხოვრო ჯოხი,
გუდა-ნაბდის აყრის დროა. ესეც ბედ-იღბალი იყო!

ფირდოუსი
X-XI ს.

შაჰ-ნამედან

შესავალი

სახელით ღვთისა, სულისა და გონის უფლისა,
აზრთუწვდენლისა, მეუფისა ორთავ სოფლისა.

ვინ არს უფალი სახელთა და ყოვლთა ადგილთა,
ვისგან გზანი და კაცთ არსობის პური დადგინდა.

რომელმან შეჰქმნა ცა, მიწა და ცათა სფეროზე
აღმოაბრწყინა მზე და მთვარე და ასპიროზი.

იცოდე, თვალით მისი ხილვა თუ მოგინდება,
ვერრას გახდები, თვალნი ფუჭად დაგებინდება.

ყოველ დგმათა და სახელთ მიღმა ჰგიეს რომელი,
იგი არს კაცთა აზრისათვის მიუწვდომელი.

ხელვერეწიფვის სიტყვას მისთა გზათა მიგნება,
აზრი და გონიც ამა გზაზე უძლურ იქმნება.

რამეთუ გონი იმას ურჩევს სიტყვას და სახელს,
რაიც მის მიერ იხილვების, ოდენ მას ამხელს.

მას, ვერსახილველს, ვით შეასხას კაცმა ქებანი,
ხამს მსახურებდეს, მას ჰმონებდეს, იგზნოს ვნებანი.

ამქვეყნად აზრი და გონება, სული და ენა
როგორ შეძლებენ, ღირსეულად ადიდონ ზენა.

ხამს აღიარო და იწამო არსება მისი,
ხამს განირიდო უქმი სიტყვა, შენი თუ სხვისი.

თაყვანი ეც და მართებული გზანი ეძიე,
შინაგან მზერით მის მცნებათა სიღრმეს ეწიე.

ვისაც ცოდნა აქვს, ის იქნება ძალგულოვანი,
ცოდნისგან კვალად ჭაბუკდება გული მხცოვანი.

სიტყვას არ ძალუძს გაარღვიოს გრძნეული გარსი
და აზრს, რომ ახსნას იდუმალი არსობის არსი.

* * *

გავაედემე ეს სამყარო ლექსების ძალით,
სიტყვის ძებნაში ამა ქვეყნად არა მყავს ცალი.

სრა-სასახლეებს მზე დაფიტავს სხივთა მზვარეში,
გაატიალებს ქარ-წვიმა და ავდრის თარეში,

მე კი ავიგე პოეზიის ძეგლი მაღალი,
ვერრას დააკლებს ქარიშხალი, ჯიქურ ნახალი.

და რადგან სიტყვის თესლები მაქვს მიმობნეული,
აღარ მოვკვდები და ვიცოცხლებ, მარად გრძნეული...

აბუ საიდი
XI ს.

რობაიები

* * *

მოვხუცდი, მაგრამ არ მიგრძვნია დაძაბუნება,
შენს სიყვარულში არ შემცვლია ზნე და ბუნება,
მე შენი ზილფის ქამანდს ვესვრი გაფრენილ დღეებს
გახელებული სიჭაბუკის დასაბრუნებლად.

* * *

იუდეველნიც, ქრისტეანნიც შენზე კვნესიან,
შენზე ღაღადებს სინაგოგა და ეკლესია,
საკერპეებში წარმართებიც შენ გიგალობენ,
შენა ხარ ერთი, ვისი ხილვაც უამესია.

* * *

შენსკენ ყველა გზა ვარგა, თუკი არ დაჰკარგვიათ
და შენს საწვდომად ყველას ყველა ხერხი არგია,
რომელ თვალითაც გიხილავენ – კარგია ყველა,
რომელ ენაზეც გახსენებენ – ყველა კარგია.

* * *

მშვენიერს ვუთხარ: დამანახე სახე ფარული,
ნუ მემალები, მაგრძნობინე მეც სიყვარული.
გაიღიმა და მიპასუხა: სხვებს მე არ ვგავარ,
მე ფარდის იქით ხილული ვარ, აქეთ – ფარული.

* * *

შენს მიჯნურს ქვეყნად მთა და ბარი ეელარ უცვნია,
რა არის თეთრი და რა შავი, ეელარ უცვნია,
ვინც შენს გზად დადგა, მას თავისი გზა დაჰკარგვია,
ვინც შენ შეგიცნო, იმას თავი ეელარ უცვნია.

* * *

ვკითხე: მითხარი განშორების მიზეზი კრული,
მითხრა: ისმინე ამ კითხვაზე პასუხი სრული.
თვალი ვარ შენი, თუ ვერ მხედავ, ნუ გაიოცებ,
სული ვარ შენი, ვის უნახავს კაცთაგან სული?!

* * *

– ვის ემშვენები სილამაზით განუცვეთელი?!
– ჩემს თავს, რამეთუ ერთარსი ვარ განუწყვეტელი.
სიყვარულიც ვარ, მოყვარულიც და საყვარელიც,
მშვენიერების სარკეც ვარ და მასში მჭვრეტელიც.

* * *

მთელი სხეული ცრემლად მექცა, თვალთგან დამექცა
და უსახელო სული სრულად შენსკენ გამექცა.
ჩემგან კვალიც კი აღარ დარჩა, ტრფობა სადღაა,
მე თუ შენა ვარ, ვინღა გეტრფოს დღეც და ღამეცა?!

* * *

ხელთ რომ აღიღე, მე ის ერთი მუჭა მიწა ვარ,
სახე რომ მომეც, მე ის ერთი მუჭა მიწა ვარ,
ჩემთა საქმეთა სადავენი შენს ხელს უპყრია,
რაც მთესე, იმკე. – მე ის ერთი მუჭა მიწა ვარ.

* * *

ცხოვრება ესე წამიერი, ჩქარი წყალია,
ნუ ეაჯები, შენს სასმენად მას არ სცალია,
ნურც გულზვიადობ, რადგან არსი ჩემი და შენი
მტვერი და ნამი, ნიავი და ნაპერწკალია.*

* * *

ჰე, თვალი შენი ყველა თვალის წყაროსთვალია,
უმაგშენთვალოდ ყველა თვალი სხივჩამქრალია,
ყოველი თვალი შენ გიმზერს და შენ გითვალთვალებს,
შენს თვალთა გამო ყველა თვალი წყაროსთვალია.

* * *

ქვეყანა ჩვენი სამსხვერპლოა, ტრფობა – წესია,
არ გვძინებია, არ დავმტკბარვართ, არ გვიკვნესია,
სამოთხე არ გვსურს, რადგან ჩვენი ჯოჯოხეთიც კი
თქვენს სამოთხეზე ათასწილად უმაღლესია.

* ანუ ოთხი სტიქია: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი.

* * *

ჰე, ქრისტიანო, გულწარმატაცო, ბაგეფაქიზო,
ნუ მიფრთხი, მინდა შენც ჩემდამი ტრფობით აღივსო,
ხან ჩემს სველ თვალებს ნაგუბარი ცრემლი შეაშრო,
ხან ჩემს მშრალ ბაგეს შენი სველი ბაგე აღირსო.

* * *

ტრფობა მეახლა, სულს ცთუნების ჯანღი დააჯდა,
ცნობა განმშორდა, ცოდნის კვალი გონს არ დააჩნდა.
ყველამ დამაგდო, მარტოოდენ თვალებმა მიძმეს
და ფეხქვეშ უხვად დამიფრქვიეს, რაც რამ გააჩნდათ.

* * *

შენში საეჭვო თუ უეჭვო არაფერია
და ხილვადი თუ უხილავი არაფერია,
არსებას შენსას უტყუარი არ აქვს ნიშანი,
სადაც შენა ხარ, იქ ნიშანი არაფერია.

* * *

ტრფობა მეახლა და გამიჯდა ძარღვებში სისხლად,
ჩემგან დამცალა და აღმავსო სატრფოთი ფიცხლად,
ახლა იგი ვარ, ჩემგან დარჩა მხოლოდ სახელი,
სხვა რამ ნიშანი ჩემეული არ დამრჩა მისხლად.

* * *

ქვეყნისეულნი მხვეჭელობის ჟინით თვრებიან,
ეს ფარაონის ამქრებია, მოსეს მტრებია.
უარუყვიათ მათ სიხარბით ყოველი აღთქმა,
დაუნგრევიათ, დაულეწავთ, დაუმტვრევიათ.

* * *

ქვეყნად ყოველი კვანძის, ხლართის მხსნელი შენა ხარ,
„რის“ და „რამდენის“ ცნების გარე მდგარი შენა ხარ.
ჩემი სიმდიდრე ის არის, რომ მონა ვარ შენი
და ნეტარება – რომ უფალი ჩემი შენა ხარ!

* * *

ცეცხლში ვიწვი და მეგობარი არ გამაჩნია,
შორეულ გზაზე თანამგზავრი არ გამაჩნია,
მაქვს გულის ფსკერზე უამრავი მარგალიტები,
მაგრამ ვის ვანდო, მეგობარი არ გამაჩნია.

* * *

შენს ღაწვთან მზის და მთვარის სხივი არაფერია.
სამოთხის წყარო შენს ბაგესთან არაფერია.
ყოვლისმხედველი ღრმადმხედველად ვიქეც და მივხვდი, –
შენ ხარ ყოველი, დანარჩენი არაფერია.

* * *

ცეცხლი ცეცხლია, კვამლი იღებს თავის წვის შედეგს,
ვის ვემართლები, თუ ამ გზაზე თვითონვე შევდექ,
ვინ მემტერება, ამა ქვეყნად ჩემს თავზე მეტად?
ჰე, ჩემო თავო, რა მოგელის ამ ტანჯვის შემდეგ?!

* * *

დღე ისე გადის, რომ არ ძალმიძს ვიღონო რამე,
ყოფნა-არყოფნის საფიქრალში ილევა ღამე,
გადის ცხოვრება, რომლის წამიც მთელ ქვეყნად ფასობს
და მე ფიქრებში ფუჭად ვკარგავ ამ ძვირფას წამებს.

* * *

აი, ის დარდი, სულისმხდელი, გულს რომ მედება,
ტრფობა, რომელსაც არაფერი ეიმედება,
თვალი, რომელსაც მიწყივ სისხლი ჩამოსდის ღვარად,
ღამე, რომელიც არასოდეს არ გათენდება.

* * *

აფსუს, ნანატრი ყრმობის ჟამი დაკარგულია,
არც სურვილია ლხინისა და აღარც გულია,
დამძინებია მდინარისპირს დაღლილს და მწყურვალს,
ამასობაში ჩემი ყოფნის წყალს ჩაუვლია.

* * *

ყოფიერების საიდუმლო არვისთვის არ ჩანს,
ამ მარგალიტის ასასხმელად ფუჭია გარჯა,
გონების ძალის დასადგენად ბევრი რამ ითქვა,
მაგრამ მთავარი მაინც ისევ უთქმელი დარჩა.

* * *

გულში სევდა გვაქვს, მკერდს დარდები მწვავედ ფხაჭნიან,
სიყვარული გვაქვს, ცრემლის კვალი თვალებს აჩნია,
გზნება, რა გზნება – ქვეყანას რომ მთლად გადაბუგავს,
დარდი, რა დარდი – წამალი რომ არ გააჩნია!

ანსარი
XI ს.

* * *

ჰე, ღმერთო, ერთო, შენს კარიბჭესთან
მე უპოვარი, მწირი ბერი ვარ.
შენი შენდობის მავედრებელი
გვამი ცოდვილი – არაფერი ვარ.

სვედაქცეული, ცოდო, ეული,
დაღუპული და სირცხვილეული,
აწ მარტოოდენ გმინვადქცეული
და წაქცეული – მიწის მტვერი ვარ.

* * *

მე გლახაკი ვარ და შენს სახელს ვახსენებ წმინდად,
ათასმა მეფემ ვერ მომიზღოს რაც მინდა მინდად.
ღმერთო, ყოველი სულიერი რაღაცას შეგთხოვს,
მეცა მაქვს თხოვნა: მთელი შენი არსება მინდა.

* * *

ღვთის გზაზე ორი ქააბაა, სასწაულია,
ერთი ქააბა სახეა და ერთიც გულია.
გულთა წინაშე დადექ ლოცვად, ათას ქააბას
ერთი გული სჯობს, ერთი გული უფრო სრულია.

* * *

მხოლოდ შენ ძალგიძს, რომ განმიხვნა სიამის ბჭენი,
გზა მომასწავლე, მხოლოდ შენ ხარ სწორ გზათა მჩენი,
ამ წარმავალი ქვეყნის სიტკბოს არ ვეტანები,
მარადიული სიტკბოება მწყურია შენი.

* * *

გუშინ მოვედი ამ ქვეყნად და ვერ-რა ვიღონე,
დღეს ქვეყნის ბაზარს ვუმზირე და გული ვიღონე,
ხვალ წასვლა მიწევს, საიდუმლოს ვერ-რა გავუგე
და ამა ქვეყნად რისთვის მოველ, ვერ მოვიგონე.

ომარ ხაიამი
XI ს.

რობაიები

1
რადგან რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა,
რადგან ყოველი დაქცეულა, არ ავსებულა,
არ არსებული არსებულად უნდა ჩათვალო,
არსებული კი მიიჩნიო არ არსებულად.

2
ღვინის მდინარე, ფერიები და ლხინის ტახტი,
მითხრეს, გელისო სამოთხეში, თუ ღირსი გახდი.
ამივსე თასი წმინდა ღვინით და მომაწოდე,
ათას ნისიას მირჩევნია ეს ერთი ნაღდი.



3
შეეშვი ლოცვას, დაეხსენი რწმენის მარწუხებს,
იყავ კეთილი და შენს მოძმეს ნუ შეაწუხებ.
მომეცი ღვინო და იმ ქვეყნად როცა წარვდგებით,
იქ, სამსჯავროზე, შენს მაგივრად მე ვუპასუხებ.

4

რომელმან შეჰქმნა ეს სამყარო და ცის თაღები,
თავის ქმნილებებს არსებობას უსპობს განგებით.
თუ ცუდად შექმნა, ვის მიუძღვის ამაში ბრალი?
და თუ კარგია, რაღად ამსხვრევს მათ ხელაღებით?

5

სულს გაეყრები, ვერ გაიგებ ვინა ხარ, რა ხარ,
ღვთის საიდუმლო ფარდის იქით ვერაფერს ნახავ,
დალიე ღვინო, ვინ რა იცის, საიდან მოხველ,
ლაღად იცხოვრე, ვინ რა იცის, საითკენ წახვალ.



6

ამბობენ, რომ ჯოჯოხეთში იქნებაო კრული
ყველა ლოთი და მიჯნური, ვინც შელახა რჯული,
ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშ სამოთხე ხვალვე
ისე დაცარიელდება, როგორც ხელისგული.

7

ვარდობისთვე, რუისპირს ატეხილი ჭალაკი,
ორიოდე სატრფო და ჩუმი, მყუდრო ალაგი,
ღვინო მომეც, მოყვასო, ნასმურევზე გამოსულთ
არც მეჩეთი ახსოვთ და არც სამოთხის არაკი.

8

ნუ ნანობ ცოდვებს, არას გარგებს უიმედობა,
ტყუილუბრალოდ ცრემლების ღვრას ნურვინ ენდობა,
ვინც არრა სცოდა, რაღად უნდა შენდობა იმას,
იცოდე, მხოლოდ ცოდვილთათვის არის შენდობა.

9

იმხიარულე და ცხოვრება გაილამაზე,
დრო რომ იცვლება, ნუ ინაღვლი, ძმაო, ამაზე,
ქვეყნად ყოველი მარადისი რომ ყოფილიყო,
არ გაჩნდებოდი არასოდეს ამ ქვეყანაზე.

10
ზოგი ლოცვაში დღე და ღამე იყო ტყვედქმნილი,
ზოგმა ლოთობა აირჩია და ღვინო ტკბილი,
ახლა იმათგან ქვეყანაზე არ დარჩა არვინ,
ყველას უჩუმრად მოერია მარადი ძილი...

11
შენ მოწყალე ხარ. მოწყალება არის სიკეთე,
სამოთხის კარი ცოდვილთ რაღად გამოგვიკეტე,
მორჩილს თუ მინდობ, ვერაფერი მოწყალებაა,
ცოდვილს შემინდო, ამაშია, ღმერთო, სიკეთე.

12
შენი დროც წავა, ვერ გიშველის ვეღარც ალაჰი,
სული მოსწყდება სხეულს, როგორც სუსტი ბალახი,
და ამ ჩვენს თავებს ცოტა ხანში წიხლებს ჩასცემენ,
სადოქე თიხად რომ აზილონ ჩვენი ტალახი.

13

აუსრულებლად თუ დაგვრჩება ყველა სურვილი,
არლა რას გვარგებს ჩვენი ცდა და ცოდნის წყურვილი,
გვიან მოვდივართ ამქვეყნად და მივდივართ უმალ,
ავბედითობით აღსავსეა გზა მიწურვილი...

14

იცოდე, ქალთან ალერსი და ლოთობა თუნდაც,
სჯობს, ვიდრე ბერის თვალთმაქცობა დაიდო ხუნდად,
თუ ღვინის მსმელებს ჯოჯოხეთში მოუწევთ ყოფნა,
მაშინ ცარიელ სამოთხეში ვის რაღა უნდა.

15

რადგან ჩვენს დროში არვინ ფასობს ჭკუა-გონებით,
მხოლოდ უგნურნი ნებივრობენ ქვეყნის ქონებით,
მომეცი ღვინო, ისეთი, რომ ჭკუა წამართვას,
ბედი მომხედავს და უთუოდ მოვეწონები.

16
ბაგით დავწვდი დოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე,
დღეგრძელობას ვეძიებდი, ჟამთა სრბოლით დავიდაგე,
დოქმა მითხრა საიდუმლოდ: მომაგებე ბაგეს ბაგე,
ქვეყნად განა კიდევ მოხვალ, დალიეო, რას ქადაგებ.

17
ვიდრე ინაღვლო, მართალ გზაზე შედექ თუ არა,
შენი ცხოვრება გამოიღებს შედეგს თუ არა,
ღვინით აღავსე ეგ ფიალა, რადგან არც იცი,
ამოისუნთქავ ამ ჩასუნთქვის შემდეგ თუ არა.

18
სანამ სული აღმოგვხვდება ბედის ძალდაძალობით,
მანამ ღვინის ფიალები გამოვცალოთ ცალობით,
ჩქარა, თორემ ჩვენი წასვლის დრო-ჟამი რომ დადგება,
მგონი წყალიც ვერ დავლიოთ მუხთალ ბედის წყალობით.

19

ნეტარ არს იგი, ვინც მოვიდა წალკოტის კართან
და მწვანე სუფრას დააბერტყა სიუხვის კალთა,
ვინც ღვინო სვა და ბედის ტრიალს არ შეუშინდა,
ვინც მხიარულად გაატარა დრო ლამაზ ქალთან...

20

აზრთა მარგალიტს ვინც კი ხვრეტდა ბასრი გონებით,
ღვთის არსებაზე ვინც დახარჯა სიტყვის კონები,
იდუმალ ქსელში გზა აებნა, მოჰქანცა ენა
და ძილს მიეცა, დაღლილი და შენაღონები.

21

ჰე, მეჭურჭლენო, რომ გართულხართ ამ მიწის ზელით,
დაგჩლუნგებიათ აზროვნების მახვილი მჭრელი,
ეგ მიწა, ასე გამწარებით რომ წიხლავთ ახლა,
ოდესღაც იყო მშვენიერი ქალწულის წელი.

22
ერთ დროს ეს ჩემი ხელადა ალბათ ჩემსავით ღელავდა,
მზეთუნახავის ნაწნავი ბორკავდა ქცეულს ხელადა,
ხელი რომ უდევს დოინჯად, ასე არ ჰქონდა ძველადა,
მიჯნურის ყელზე ეხვია, ლაღად და უდარდელადა.

23
როს გაზაფხული იას ახალ კაბებს მიაყრის
და განთიადზე ვარდებს დაჰბერს სიო სიახლის,
ბრძენია იგი, ვინც ილაღებს თეთრგულა ქალთან,
ღვინოს დალევს და ფიალას კი ქვაზე მიახლის.



24
ამქვეყნად გმართებს, არ გადასცდე სიფრთხილის კიდეს,
მოსავალს შენსას ქვეყნად უნდა უჩუმრად მკიდე,
სანამ გაქვს ენა, ყურები და თვალებიც გიჭრის,
უნდა დამუნჯდე, დაყრუვდე და დაბრმავდე კიდეც.

25

ამ ქვეყანაზე განმკითხველი თვალი სად არის,
ჩვენი მოსვლის და ჩვენი წასვლის კვალი სად არის,
საწუთროს ცეცხლზე რაოდენი უბიწო თვალი
იწვის, ნაცრდება, ქრება, მაგრამ კვამლი სად არის.

26

განთიადია, ნებიერო, წამოდექ ზეზე,
ღვინო სვი ნაზად და საამოდ ჩანგი აკვნესე,
ის ვინც აქ არის, არ მოუწევს დიდი ხნით ყოფნა,
და ვინც წავიდა, ველარ ნახოს საწუთრო ესე.

27

აფსუს, განმიქრა განძი იგი, ხელთ მქონდა რაიც,
სიკვდილმა მოსრა მრავალთ ყოფნის ვუიც და ვაიც,
კაცი ვერ ვნახე იმქვეყნიდან დაბრუნებული,
მოგზაურობის ამბავი რომ მოეთხრო მაინც.

28

ამაღამ ჯამი მსურს ავნიო უზარმაზარი,
ღვინით მდიდარმა ბედისწერას დავცე თაეზარი,
მსურს სამუდამოდ გავეყარო რჯულსა და რწმენას,
ვაზის ასული გვერდით მყავდეს, ვით პატარძალი.

29

მოდი, ლამაზო, დაივიწყე მცნება ალაჰის,
შენი სიტურფით ამ ჩვენ დარდთა ბჭე გადალახე,
მოდი, მოგვართვი ღვინის ერთი ხელადა ხელად,
ვიდრე ხელადა შეუქმნიათ ჩვენივ ტალახით.

30

ბაგე, ბადახშნის ლალის მარცვლად სხმული, სად არის,
ღვინო, საამო და სავანე სულის, სად არის,
ისლამის რჯულმა, თუმც ეს ღვინო მკაცრად აკრძალა,
სვი და ნუ დარდობ, თვით ისლამის რჯული სად არის.

31

ვისაც ეწადა ვარდის კონა, თუნდაც პაწია,
მან ჯერ ეკლები იგემა და ჯაფა გასწია,
ამ სავარცხელიც, სანამ ასე არ დაისერა,
მანამ საწადელ ზილფებამდე ვერ მიაღწია.

32

ნუ უფრთხი, ძმაო, ამ საწუთროს სრბოლას ჯინიანს,
თვით ხვედრი შენი წარმავალი დროის ჟინია,
ეს ერთი წამი, სიცოცხლისა, ლაღად იცხოვრე,
ნუ ნაღვლობ წარსულს და მომავლის ნუ გეშინია.



33

არ ძალმიძს, მზე რომ დავაბნელო ვარდთა ჯარებით,
არსების ჩვენის იდუმალი შევხსნა კარები,
ფიქრების ზღვაში მარგალიტებს პოულობს გონი,
მაგრამ შიშისგან უძლურქმნილი ვერ ვეკარები.

34

თვალო, სამარე დაინახე, თუ ხარ მისანი,
ცთუნება არის შფოთით სავსე ქვეყნის მიზანი,
უჩინარ იქმნენ ამ მიწის ქვეშ მეფე-ვეზირნი,
ჭიაღუათა პირში მათი სახე იცანი.

35

მიმინო ვიყავ, მსურდა ფრენა სამყაროს გარეთ,
ცის კამარაზე ვოცნებობდი, დევნილი ქარით,
ვეღარსად ვპოვე კაცი – გულის მესაიდუმლე,
და გაველ გარეთ, რომ შემოველ, იმავე კარით.

36

გუშინ ბაზარში ჩავიარე და მეცა ელდა,
მექოთნე ვინმე მიწას ფეხით უხეშად ზელდა,
გმინავდა მიწა: მეც შენსავით კაცი ვიყავი,
ფრთხილად, შენც მიწად გარდაგაქცევს სიმრავლე წელთა.

37

მითხრეს, როდესაც გაიხსნება სამოთხის ბჭენი,
დაგვხვდება ღვინო, ფერიები, ლაღი და მშვენი,
ბოლოს თუ მაინც იმავ საქმეს უნდა ვეწიოთ,
ვეღარ გავიგე, რაღა არის ცოდვები ჩვენი.

38

წასვლა-მოსვლისთვის განკუთვნილა ქვეყნის გზასრული.
მას არც საწყისი გააჩნია, არც დასასრული,
და არც ვის ძალუძს ქვეყანაზე, რომ მითხრას მაინც,
საიდან მოველ, ან საით მაქვს გზა განსაზღვრული.



39

მთვრალმა ბულბულმა გზა გაიგნო ბაღისკენ ღამით,
ჰპოვა ვარდი და ლალის ღვინით მღიმარი ჯამი,
ჩემად მოიქცა და მითხრა, რომ წარსულ დღეთაგან
კვლავ უკან აღარ დაბრუნდება არც ერთი წამი.

40
მარადისობას ვერ შევიცნობთ მძიმე წიგნებით,
ვერ გავიხარებთ ამოუხსნელ გზათა მიგნებით,
ჩვენ მარტოოდენ ფარდის მიღმა ვმსჯელობთ და ვდავობთ
და ოდეს ფარდა აიხსნება, აღარ ვიქნებით.

41
რა საოცრად მიქარავნობს ჩვენი ყოფნის ჟამი,
და რაოდენ საამოა ლხინის ერთი წამი,
მერიქიფევ, ნუ გაღონებს ხვალინდელი წარღვნა,
ღამე გადის, აბა, ჩქარა, მომაწოდე ჯამი.

42
მათ, ვინც კი იყო განსწავლული, ბრძენი და ზრდილი,
ცოდნის ძებნაში შეიძინეს სანთელი ცვილის;
მაგრამ წყვდიადში ამ სანთლებით გზა ვერ გაიგნეს,
ზღაპარი თქვეს და მოერიათ უეცრად ძილი.

43

ტუსის ციხეზე შემჯდარიყო ფრინველი ერთი,
ქეიქაუსის თავის ქალა დაედო ფერხთით,
ეუბნებოდა სინანულით: – აფსუს, რა იქნა,
შენი ბუკის და ნაღარის ხმა, სად არის ღმერთი.

44

ფუჭად ირჯება ის, ვინც იღვწის ჭკუა-გონებით,
ძროხის მაგივრად ხარსა სწველის თავმომწონებით,
სჯობს, რომ უგნურად შეიმოსოს, რადგან ჩვენს დროში
ქვეყნად სიბრძნეზე მეტად ფასობს პრასის კონები.

45

მას შემდეგ, რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია,
მადლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდია,
ისინი, ღვინოს გასაყიდად ვინც იმეტებენ,
ვერ გამიგია, ღვინოზე კარგს რას იყიდიან.

46

ჰე, მერიქიფევ, ეს ვარდები და ეს ბალახი
ის აღარ არის, ორი დღის წინ რომ გაქვს ნანახი,
სვი და ვარდები კრიფე, თორემ თვალს რომ მოავლებ,
აღარც ვარდები დაგხვდება და აღარც ბალახი.

47

ჭირში გამოვლილ მაშვრალს შვებას არგუნებს ბედი,
იმარგალიტებს ნიჟარაში ტყვედმყოფი წვეთი,
კვლავ დაბრუნდება დახარჯული ავლა-დიდება
და დაცლილ სასმისს კვლავ აღავსებს სასმელი მეტი.

48

ამაქვეყნიურ ჩვენებათა არსება ბნელი,
რომ განგიმარტო, გამომივა ზღაპარი გრძელი,
ეს ჩვენებანი ზღვის სიღრმიდან ამოტივტივდნენ
და ცოტა ხანში კვლავ ზღვის ფსკერზე ჩაძირვა ელით.

49

მზე, მუდმივ რომ ცაზე ბრწყინავს, სიყვარული ის არის,
ნაკურთხ ველზე ჩიტი ფრინავს, სიყვარული ის არის,
ბულბულების მოთქმა-გმინვა განა სიყვარულია,
რომ კვდები და არა გმინავ, სიყვარული ის არის.

50

მითხარ, რას გარგებს ეგ მუხლმოყრა სალოცავ ნოხთან,
ბედმა მრავალი მოინელა, ჩვენსავით კოხტა,
ჩქარა დამიდგი ხელისგულზე ეგ სავსე ჯამი,
რა დროს დარდია, მოსახდენი უჩვენოდ მოხდა...

51

ღვინო ანელებს ქედმაღლობას, ამაყთა ზედა,
მას ძალუძს ახსნა და დამსხვრევა ბორკილთა მძლეთა,
ეშმაკს ამ ღვინის ერთი წვეთიც რომ დაელია,
მორჩილი მონა იქნებოდა ადამის ძეთა.

52

ქვეყნის ფუჭი დარდებით არ იგვემო სხეული,
ნუ იქნები წარსულზე სევდით გულამღვრეული,
და ცხოვრება ისე, ვით სატრფოს ზილფის ხვეული,
ქარს არ მისცე, ლაღობდე, დოქზე ხელმოხვეული.

53

როცა ყვავილზე გაზაფხულის ნამი ბრწყინდება,
აივსე ჯამი, სანამ თვალი არ იბინდება,
რადგან ბალახი, მისი მზერით ახლა რომ ტკბები,
შენს სამარეზე ხვალ ასევე აბიბინდება.



54

როცა ფესვები სიცოცხლისა დამიდუნდება,
და ზედ სიკვდილი დამედება მძიმე ხუნდებად,
ღვინის ჭურჭელი გააკეთეთ ჩემი მიწისგან,
აავსეთ ღვინით და სიცოცხლე დამიბრუნდება...

55
ნაზარხოშევმა ჩავიარე სარდაფის გვერდით,
მთვრალ მოხუცს მხარზე შემოეგდო ხელადა ერთი,
ვკითხე, რომ ლოთობ, ნუთუ ღმერთის არა გრცხვენია?
მითხრა, დალიე, შეგვინდობსო მაღალი ღმერთი...

56
ნუ გინდა სამოც წელზე მეტი სიცოცხლის ჟამი,
ფხიზელი ბიჯსაც ნუ გადადგამ ნურც ერთი წამით,
და სანამ შენი თავის ქალა დოქად ქცეულა,
არ მოიშორო მხრიდან დოქი, ხელიდან ჯამი.

57
არარაიდან წმინდა ვიშვით, ბილწად ვიქეცით,
ლაღნი მოვედით, ვინ დავმწუხრდით, ვინ წავიქეცით,
აღგვევსო გულნი ცეცხლითა და თვალნი ცრემლით,
ქარს გავატანეთ ცხოვრება და მიწად ვიქეცით.

58

შეღავათია ორიოდ დღის სიცოცხლის არსი,
ისიც რად გინდა, თუ ითმინე და ღვინო არ სვი,
და თუკი ბოლოს ეს ქვეყანა უნდა დაიქცეს,
შენც ნაიქეცი, წმინდა ღვინით აღსავსე თასით...

59

ღვინოს ვსვამ, მაგრამ არასოდეს არა ვარ მთვრალი,
ძალადობისკენ არ გამირბის სიხარბით თვალი,
ღვინოს ვცემ თაყვანს მარტოოდენ, რათა შენსაებრ
საკუთარ თავის თაყვანცემის არ მაჩნდეს კვალი.

60

წელთა ცვალებადობა თავის დროთა ამალით,
ისე ჩაიფურცლება, როგორც წიგნი ფრთამალი,
ნუ იდარდებ, ღვინო სვი, ბრძენნი ასე ბრძანებენ:
ქვეყნის დარდი შხამია, ღვინო მისი წამალი.

61
წარსულ დღეზე ნუ მოჰყვები მოთქმასა და ზარს,
ხვალინდელ დღეს ნუ მოუხმობ, დარდს ნუ იხვევ გარს,
არ დაენდო წარსულსა და ჯერ მოუსვლელ დღეს,
ლაღად იყავ და ცხოვრებას ნუ გაატან ქარს.

62
ცხოვრების წიგნში ვმკითხაობდი ჩემთვის ამ დილით,
რომელიღაც ბრძენს უთქვამს თურმე გულის წადილით,
ნეტარ არს იგი, ვისაც სატრფო ეხვევა ღამით
და როცა ღამე გრძელიაო წელიწადივით.

63
ხაიამ, სვი და მუდამ ლალის ღვინით იხარე,
მშვენიერ ქალთან ლაღობით და ლხინით იხარე,
თუ ეს ქვეყანა არის მხოლოდ არარაობა,
მაინც რაობად ჩათვალე და იმით იხარე.

64

რამეთუ ქვეყნად ჟამთა სრბოლა თავის გზით მიდის,
რადღა ინაღვლი ცათა რიცხვი რვაა თუ შვიდი,
გინდ მგელმა დაგლრლნას, გინდ სამარის პატარა ჭიამ,
ერთია, რადგან აღსასრული მოგელის მშვიდი.

65

იმათი ხვედრი, ვინც მკვდარია, ჰე, მერიქიფევ,
შავი სამარის სიზმარია, ჰე, მერიქიფევ,
მოიტა ღვინო, მე მისმინე, სხვათა ნათქვამი
მხოლოდ ღრუბელი და ქარია, ჰე, მერიქიფევ.

66

ხვალიდან მინდა განვიშორო სიყალბის სული,
და თმაჭაღარამ ღვინით ვიგრძნო სიამე სრული,
სამოცდაათ წელს მივაღწიე და მსურს ვილხინო,
თუ ახლა არა, მაშ როდისღა ვიჯერო გული.

67

ქვეყანა ნახე და რაც ნახე – არაფერია,
რაც თქვი, რაც გულში ჩაიმარხე – არაფერია,
გინდ დამწყვდეულმა ივაგლახე – არაფერია.
თუ გინდ ქვეყანა გადალახე – არაფერია.

68

იმხიარულე, წამი არის ჩვენი მყოფადი,
მიწამ გამოხრა ჯემშიდი და ქეიყობადი,
აუხდენელი ოცნებაა, ძილია მხოლოდ,
სიზმარია და სიცრუეა ჩვენი მყოფადი.

69

სადაც კი ვარდებს დაუფარავთ მიწა ტიტველი,
შეუწოვიათ ფადიშაჰთა სისხლი წითელი,
სადაც კი ია ამოსულა – ლამაზ ქალწულის,
ხალი ყოფილა იშვიათი და მიმზიდველი.

70

მდინარის პირას მობიბინე ბალახს რომ ხედავ,
რა ანგელოსის ხელქმნილია ამგვარად ნეტავ,
ასე უგულოდ ნუ გათელავ შენი ნაბიჯით,
იგი იზრდება მზეთუნახავ ასულთა ზედა.

71

მერიქიფევ, ჩემმა დარდმა აღიმაღლა ხმა,
დავთვერი და ალბათ მეტი მომივიდა სმა,
დავრდომილი გული ღვინით განმიახლე შენ,
აღარ ვდარდობ, თუ ჭაღარამ შემითეთრა თმა...



72

მერიქიფევ, შენი ფეხი ჩვენთვის ბედნიერია,
ღვინო მოგვეც და გვიმღერე, დღეს ხომ არ გიმღერია,
ბევრი ხოსრო და ჯემშიდი ახლა მიწის მტვერია,
ჩვენი მოსვლა ივნისია, წასვლა დეკემბერია.

73
მერიქივევ, ეგ ღვინოა ჩემი რწმენა სრული,
მომაწოდე სავსე ჯამით, როგორც ტკბილი სული,
შენი წესი თუ არ არის ლოთობა და ვნება,
ქალი ჩემი რწმენაა და ღვინო ჩემი რჯული.

74
მზემ განთიადის ქამანდად ბანზე შეტყორცნა სხივი,
დღის მანათობელ მეფემან ჯამს ჩააბნია მძივი,
სიყვარულს დღეთა წიაღში უსვრია მოწოდება:
სვითო, და მოდი დავლიოთ ღვინო ძელგი და ცივი.

75
ამქვეყნად ზეცას ვერვინ სძლია, ვერ მიჰყო ხელი,
და ვერაკაცმა ვერ აღივსო სტომაქის ყელი,
ნუ გულზვიადობ იმის გამო, ჯერ რომ მთელი ხარ,
ნუ ჩქარობ, არც შენ გადარჩები ამქვეყნად მთელი.

76

ბედო, შავბედო, რა ნაღველი შემომანთხიე,
ტანზე პერანგი, სიკეთისა, შემომახიე,
სასმელი წყალი გამიშრე და მიქციე ქვიშად,
სიომ დამბერა, შენ კი ცეცხლის ალში გამხვიე.

77

განუდექ ყოველს, ღვინის გარდა, უმჯობესია,
მთვრალი ქალი და კარვის ფარდა უმჯობესია,
უგზო-უკვლობა, ურწმუნობა და ღვინის წვეთი –
ციდან მიწამდე რაც მიყვარდა, უმჯობესია.

78

დოქი წყაროა, ღვინის ლალი დულს და მეტია,
ღვინო სულია, ჯამის ტანში ვერ დაეტია,
ღვინით მღიმარი ბროლის თასი განა რა არის,
ნაწამებ გულის სისხლნარევი ცრემლის წვეთია.

79

ვისკენ გავფრინდე, სად ვეძებო სხვა, შენი ცალი,
ახალ სიყვარულს რომ შევუდგე, არ შემწევს ძალი,
გამუდმებული ცრემლთა დენა არ მაძლევს საშველს,
მიმოვიხედო და სხვა ვინმეს შევავლო თვალი.

80

კარგია, გარეთ საამური ამინდი როა,
თავს დასრიალებს ბაღნარს თეთრი ღრუბლების გროვა,
ბულბული ყვითელ ვარდისაკენ გადაიხარა
და გადასძახა, მეგობარო, ღვინის სმის დროა...

81

ჰე, მეგობარო, დამენახვე ერთი წამითა,
პირველი კაცის ცხოვრებაზე გეტყვი თავიდან,
წამების შვილი აიზილა დარდის თიხისგან
ამქვეყნად დაჰყო მცირე ხანს და უხმოდ წავიდა.

82
ჩემსა და ღვინის შუა ძმობის ძაფი გაება,
ულვინოდ ლხინი ჩემთვის არის ტანჯვა-ვაება,
მითხრეს, ღვინის სმა მორწმუნე კაცს არ შეჰფერისო,
მე მსმელი ვარ და ღვინო არის ჩემი ღვთაება...

83
ჩვენა ვართ ლხინის საფუძველი და დარდის ბუდე,
სამართლის არსი, ჩაგვრის ჟინი, გონების ზღუდე,
მდაბალ-მაღალნი, სრულყოფილნი და უზნეონი,
ჯემშიდის ჯამი, ჟანგიანი სარკენი მრუდე.

84
ჩვენ მუდამ ღვინის მუშტრები ვართ, ახლის თუ ძველის,
ქერის ორ მარცვლად ძალგვიძს მივცეთ ქვეყანა მთელი,
შენ შემეკითხე, სად წახვალო სიკვდილის შემდეგ,
სადაც გსურს წადი, მე კი სავსე ფიალას ველი.

85

ჩამოთავდა ყრმობის წიგნი ისე, როგორც წყალი,
აფსუს, ნორჩი გაზაფხული, სიჭაბუკით მთვრალი,
ან ის მტრედი რაღა იქნა, ბალღობა რომ ერქვა,
ჰაუ, ისე გამიფრინდა, ვერც მოვკარი თვალი...

86

ყვავილის ღანვზე გაზაფხულის ნამი სჯობია,
ბაღნარში ქალთან სალაღობო ჟამი სჯობია,
გუშინდელ დღეზე ნუ მოჰყვები სევდას და ნაღველს,
მთელ გუშინდელ დღეს დღევანდელი წამი სჯობია.

87

გზა გამიმრუდდა და ცხოვრება ჩემი ბნელია,
სიმშვიდე გაჰქრა, კაეშანში ყოფნა ძნელია,
დიდება უფალს, რადგან ქვეყნად ნაღველი მაინც
სახვეწი არ მაქვს და ადვილად საშოვნელია.

88

ღვინო სვი, თორემ გარდიქცევი მიწად, ტიალად,
შემდეგ აგზელენ ან ხელადად, ანდა ფიალად,
ნუ დაენდობი იმქვეყნიურ ცხოვრების ზღაპარს,
არ მოტყუვდება გონიერი ასე იოლად.

89

ვიდრე უეცრად აღსასრულის ჟამი გეახლა,
ვარდისფერ ღვინით, მოდი, ცნობად მოეგე ახლა,
მიხვდი, უბირო, ოქრო არ ხარ, რომ მიწად დაგფლან
და კვლავ, ოდესმე, ამოგთხარონ ისევ ხელახლა.

90

ერთი მოვიდა, სხვა წავიდა, ერი და ბერი,
არავინ იცის საიდუმლო, ბინდით ნაფერი,
ჩვენი ბედისა არრა ვიცით ამ მცირეს გარდა,
ღვინის სარწყავი ჯამები ვართ, სხვა არაფერი.

91

სანთელი, ღვინო, მთვარე მთვრალი, ჰე, მერიქიფევ,
სასმისი ღვივის, როგორც ლალი, ჰე, მერიქიფევ,
ქარისგან იხსენ ჩვენთა გულთა მწველი ხანძარი,
ღვინით ჩააქრე მისი ალი, ჰე, მერიქიფევ.

92

ჩვენ ამა ქვეყნად, დროებით რომ გვერგუნა ბედად,
მწუხარება და უბედობა კვალდაკვალ გვდევდა,
აფსუს, რომ დარჩა აუხსნელი ეს გამოცანა,
მივალთ და მიგვაქვს ათასგვარი დარდი და სევდა.

93

მე ამ ქვეყანას რამდენჯერაც მოვავლე თვალი, –
ყველგან ედემი და სამოთხის ანკარა წყალი,
ეს ველ-მინდორი სამოთხეა, სხვა რაღა გინდა,
მოილხინე და მოალხინე ლამაზი ქალი...

94

საიდუმლოს ვის გაუმხელს ეს მუხთალი ხანა,
ყელში მრავალ ჩვენისთანას გაუყარა დანა,
ხანგრძლივ ყოფნას ვის არგუნებს, წავალთ თანდათანა.
ვინც წავიდა, ის ამქვეყნად დაბრუნდება განა?!

95

რად გსურს ქონება, თუ საწუთრო წარმავალია,
ვინ არის იგი, ქვეყნად სული ვინც არ დალია?
სული, სხეულში შეხიზნული, მხოლოდ ვალია,
როგორ შეირჩენ, თუ გადახდა გარდუვალია.

96

ანკარა ღვინის მდომი ასე ვიქნები მუდამ,
შეყვარებული ლერწმის ხმაზე ვიქნები მუდამ,
ჩემი მიწისგან თუკი ვინმე დოქს გააკეთებს,
დოქად ქცეული ღვინით სავსე ვიქნები მუდამ.

97

მოეგე ცნობად და განსაჯე თვით ბრძენთა დარად,
ქვეყნად რით მოხველ, რას წაიღებ, რომ შეგრჩეს მარად.
ღვინის სმაზე რომ უარს ამბობ, სიკვდილის შიშით,
მაინც მოკვდები, დალოცვილო, გინდ სვი, გინდ არა.

98

ქვეყნის სიამე მებინდება, ღვინო თუ არ ვსვი,
როცა დავთვრები, ნაკლულდება გონების თასი,
მაგრამ წუთია სიფხიზლეს და სიმთვრალეს შორის
მისი მონა ვარ, რადგან მას აქვს სიცოცხლის ფასი.

99

სიზმარში უცებ შემომესმა ბრძენის ხმა ფრთხილი:
განა ძილისგან ვინ იგემა სიამე ტკბილი,
ამქვეყად საქმეს, სიკვდილის მსგავსს, ნუ დაენდობი,
წამოდექ, რადგან მიწის ქვეშაც გელისო ძილი.

100

ადექ, ჭაბუკო, განთიადის მოვიდა ჟამი,
ლალისფერ ღვინით შენც აღავსე ეგ ბროლის ჯამი,
ერთი წამია საგანძური ამა ცხოვრების,
ბევრიც რომ სძებნო, ვერ იპოვო მეორე წამი.

101

მე იმ ლამაზს მივტირი, დავალ როგორც ეული,
მას კი სხვისი დარდი აქვს გულზე შემოსეული,
ჩემი გულის განკურნვა როგორ უნდა მოვთხოვო,
როცა ჩემი მკურნალი თვითონ არის სნეული.



102

ეს ქვეყანა სხვაგვარია მისთვის, ვინც კი მთვრალია,
თავი დარდით ამევსო და ლხინი ჩემი ვალია,
ჯამი მომეც, სანამ გული მოთმინებამ დალია,
ჩქარა, თორემ ეს ცხოვრება, ხედავ, წარმავალია.

103
ნეტარ არს იგი, ვინც ამქვეყნად ლაღად იცხოვრებს,
რაც აქვს, შეირგებს, კმაყოფილი საღად იცხოვრებს,
ვინც წუთისოფელს სალაღობო შემთხვევად ჩათვლის,
და ვინც პურ-ღვინით უნაღვლოდ და სადად იცხოვრებს.

104
მხიარულების წამის მეტი რა დაგვრჩენია,
სხვა რამ ქონება, ჯამის მეტი რა დაგვრჩენია,
მხიარულების ხელით მისწვდი სასმისს ღვინისას,
სიყრმის მეგობრად ამის მეტი რა დაგვრჩენია.

105
რამეთუ ქვეყნად ჭეშმარიტის ვერ ვპოვე კვალი,
არ ღირს, საეჭვო იმედებს რომ მივაპყრო თვალი,
ჯამს არ გავუშვებ, რადგან ასეთ უგზოობაში
თუგინდ ფხიზელი ყოფილხარ და თუ გინდა მთვრალი.

106
ზღვაში შთაინთქა მოცახცახე წყლის ერთი წვეთი,
და შეინივთა მიწამ თავის ნამცეცი ერთი,
გამოჩნდა ბუზი და იმწამსვე გაუჩინარდა,
თვით შენი ყოფნა ამა ქვეყნად რით არის მეტი.

107
ფუჭი დარდები არას გარგებს, სჯობს თუ განდევნი,
ბედმა ჩვენებრი დათესა და მომკა რამდენი?!
ჩქარა დამიდგი ხელისგულზე ეგ სავსე კათხა,
რადგან რაც მოხდა, ალბათ იყო ის მოსახდენი.

108
ბედო, არ მომწონს შენი ჩარხის ბრუნვა ცბიერი,
გამააზატე, საბორკილე არ მაქვს იერი,
შენ თუ მარტოდენ უგნურსა და უვიცს ულიმი,
მოდი, არც მე ვარ დიდად ბრძენი და გონიერი.

109

ვჭვრეტ მტვრის საფარქვეშ მიძინებულთ იდუმალებას,
ჩავცქერ მინას და ვხედავ შიგნით რაც იმალება,
არარაობის უძირო ჯამს ჩაშტერებული,
გარდასულთა და მოუსვლელთა ვხედავ წვალებას.

110

მან, ვინც სიყვარულს ვერ გაუგო გემო და ფასი,
დე, მკიცხოს, არც მსურს განვუმარტო ამ სიტყვის არსი.
ეშხის შარბათი წამალია მხოლოდ ვაჟკაცთა,
უღირსთ სარგებელს არ მოუტანს ეს ჩემი თასი.

111

მერიქიფევ, უკვე დადგა განთიადის ჟამი,
გამოვცალოთ, სასმისებში რაც შემოგვრჩა ღამით,
ხელსაყრელი შემთხვევაა ეს ცხოვრება, მიხვდი,
ორიოდე დღით მოვსულვართ, მომაწოდე ჯამი.

112
თუ გაქვს პური, შენს სიმდიდრეს ველარ მოსთვლის ენა,
ცხვრის სამწვადე, ცივი დოქით ღვინო, აღმაფრენა,
სადმე, მყუდრო სამყოფელში, სატრფოც თუ გყავს გვერდით,
რომელ სულთანს ღირსებია ამისთანა ლხენა.

113
მე ამქვეყნიურ ხუნდებს თავი ვერ დავაღწიე,
მომძულდა ყოფნა, ვგრძნობ, ჭაპანი ფუჭად გაევწიე.
თუმც ამ სანუთროს შეგირდად ვარ დიდი ხანია,
მის ხელობაში ოსტატობას ვერ მივაღწიე.



114
მე და ღმერთს მსგავსი სურვილები არა გვქონია
და რაც ვისურვე, რომ აღსრულდეს არა მგონია,
თუ ჭეშმარიტი სიმართლეა, რაც მან ინება,
მაშ, მე ყოველი მის საგმობად მომიგონია.

115
ძველი ძონძებით გადავხურეთ საღვინე ჩვენი,
სარდაფის მიწით განვიბანეთ ცოდვათა სენი,
იქნებ ამ ქვევრთა მიწის მტვერში მაინც ვიპოვოთ
ამ სარდაფებში დაკარგული სიცოცხლის დღენი.

116
მთვარემ ქვეყანას შუქის კალთა უხვად მოჰფინა,
ლაღობისათვის უკეთესი დრო არც ყოფილა,
ღვინო სვი, თანაც გახსოვდეს, რომ სამარის მიწამ
გულში ლამაზთა ჩახუტება არ იმყოფინა.

117
სარდაფში გვიხმეს, განთიადმა როცა იალა,
მოქეიფენი, ვინც სასმელმა გაგვატიალა,
ადექ, აავსე ეს ფიალა მჩქეფარე ღვინით
მანამდის, სანამ ჩვენ ვქცეულვართ სავსე ფიალად.

118
შენ კარგად იყავ, ეს ქვეყანა ასე იქნება,
ამ ვარსკვლავთაგან ყველა ისევ ცაზე იქნება,
შენი ნეშტისგან აზელილი აგურებით კი
სხვათა და სხვათა სასახლენი სავსე იქნება.

სანაი
XI ს.

* * *

მე შენთან შეყრის შორი იმედით
ძალმიძს, ვიცოცხლო ათასი წელი.

და თუ მოვაღწევ, გამიკვირდება,
რა უცებ ვპოვე, ოცნება ძველი.

თუ ვერ მოვაღწევ, მაინც ტკბილია
ეს გზა – იმედის ცრემლებით სველი.

რა ვუყოთ, განა ყველა ეწია
მიზანს, ვინც განვლო ქვეყანა ვრცელი?

ან ვინც დათესა, მოიმკო კიდეც?
მთიბველს ყოველთვის გაუჭრის ცელი?

მე შენმა ტრფობამ უცებ დამძლია,
აღავსო ჩემი არსება მთელი.

ეს ცეცხლი ტანჯვით არა ნელდება,
რაღაც საოცრად დამრია ხელი.

არ მინახიხარ ჯერაც არასდროს,
მაგრამ ყოველთვის შენს ხილვას ველი.

შევცქერ ვარსკვლავთა შორეულ ციმციმს
და თვალებს მინვავს ალმური მწველი.

მე გავხდი შენი ნანადირევი,
დაღად მაჩნია იარა ძველი.

შენმა ხატებამ გამაპარტახა
და მომანიჭა სამყარო მთელი.

* * *

სად არის ქვეყნად უნაღვლო გული,
მხნე და სვიანი?
ან გულის მიღმა სხვა რამ სამყარო
ბნელი, მზიანი?

ოხვრა და სუნთქვა ქვეყნად არიან
ტყუბნი, მარჩბივნი,
ვოხრავ და არ ჩანს თანამსუნთქველი –
სატრფო გვიანი.

გთხოვთ განმიცხადოთ, ოდესმე მაინც.
რა დააყუჩებს
მიჯნურთ იარას, თუ არ სალბუნი
სიკვდილიანი.

მე ეშმისა და ადამიანის
ბევრი მსმენია,
ეშმად ქცეულა ყველა,
სადღაა ადამიანი?!

ნიზამი განჯელი
XII ს.

* * *

ამა ქვეყნად ორი გზაა, მაგრამ ჩემი რომელია?
ერთი გზაა მეჩეთისა, სადაც აღარ მომელიან,

მეორე კი – გზაა ლხინის, სადაც სარდაფია ღვინის,
მაგრამ იქაც ჩემი გული მარად დაუდგრომელია.

მეჩეთსა და სარდაფს შუა იდუმალი სხვა გზა თუა,
ჯერ არ ვიცი ცხადლივ, მაგრამ გუმანით ვგრძნობ, რომელია.

იქ მეგულვის და იქ მივის ჩუმი გაელვება სხივის,
სადაც სიყვარული ღვივის, სული დაუცხრომელია:

შენ კი განა იზამ იმდენს, რომ მიხვიდე ნიზამიმდე
და შესძახო: ჭეშმარიტი გზა მითხარით, რომელია?!

მასუდ საად სალმანი
XI-XII სს.

* * *

ვარდის სურნელის მსურველი ვარ და ვითენთები,
დარდად ქცეული სატრფოს ხატთან სანთლად ვენთები,
სანთლისგან სამი რამ ვისწავლე განშორების ჟამს:
უჩუმრად ვიწვი, ცრემლად ვდნები და ვიღვენთები.

ჯელალ ედ-დინ რუმი
XIII ს.

* * *

მე მხატვარი ვარ და თითო მოსმით
ძალმიძს, რომ შევქმნა სახეთა ჯარი,
მაგრამ როდესაც შენ გამოჩნდები,
მათ ყველას ერთად წარიღებს ქარი.

ათასი სახე შევქმენი სრული,
ვნებით აღვანთე, შთავბერე სული,
მაგრამ გამოჩნდი და ყველა ერთად
მწვავე ცეცხლს მივეც და ხელი ვკარი.

მერიქიფე ხარ მთვრალი და ლაღი,
თუ ჩემი მტრობის გულს გიწვავს დაღი,
ან იქნებ ის ხარ, ვინც დამინგრია
ქვითკირნაგები სასახლე მყარი.

თვით სული ჩემი, ვით ვთქვა ენითა,
დაიღვარა და შენ შეგენივთა,
ჩემს სულს შენ მიეც შენებრი ფშვენა
ალერსით ასე მიტომ ვარ მკვდარი.

შენს ფერხთ ვარდნილი ამ სისხლის წვეთი
ღაღადებს: ქვეყნად რაღა მსურს მეტი,
მე შენი ტრფობის ფერი დამედო
და შენი ვნების მიბერავს ქარი.

ვარ წყლის და თიხის უშნო შენობა,
გულს მინგრევს სევდა და უშენობა,
ან შინ მეწვიე, ან მომიხდება
დავთმო ეს ჩემი სახლი და კარი.

* * *

მე დავიბენი, აღარ ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ?
სული ვარ, გონი თუ სხეული, ვინა ვარ, რა ვარ?

მე კაცი მქვია, თუმც არ ვიცი კაცობის არსი,
აზრი ვარ, ფორმა თუ სახელი, ვინა ვარ, რა ვარ?

როგორ აღვწერო საკუთარი თავი, ცეცხლი ვარ,
წყალი ვარ, მიწა თუ ჰაერი, ვინა ვარ, რა ვარ?

უგონო ვარ თუ გონიერი, განშორებული,
თუ მასთან მყოფი, აღარ ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ?

ამ სამყაროში მაქვს თუ არა ადგილი ჩემი,
არარაობა თუ რაობა, ვინა ვარ, რა ვარ?

განდეგილი თუ მოქეიფე, მთვრალი, ფხიზელი,
მწდე ვარ, ღვინო თუ სასმისი ვარ, ვინა ვარ, რა ვარ?

სიყვარული ვარ, მოყვარული თუ საყვარელი,
მოძღვარი ვარ თუ შეგირდი ვარ, ვინა ვარ, რა ვარ?

მე ქრისტეანი ბერი ვარ თუ სუფი დერვიში,
ან იქნებ თავად მესია ვარ, ვინა ვარ, რა ვარ?

მე უსხეულო სული ვარ თუ უსულო გვამი,
ცოცხალი ვარ თუ გარდაცვლილი, ვინა ვარ, რა ვარ?

სინათლე ვარ თუ უკუნეთი, შხამი, ბადაგი,
მახინჯი ვარ თუ მშვენიერი, ვინა ვარ, რა ვარ?

მე ზღვის გმინვა ვარ თუ გოდება გაოგნებისა,
ოკეანე ვარ თუ ხომალდი, ვინა ვარ, რა ვარ?

უნიშნოდ იქცა ნიშანი და უენოდ ენა,
უნიშნობათა შემნიშნავი, ვინა ვარ, რა ვარ?

ვინმემ რომ მკითხოს ვინაობა, რა ვუპასუხო
შტერად შთენილმა და უბირმა, ვინა ვარ, რა ვარ?

შამსე თაბრიზის სევდისასაც ამას იტყვიან
და მეც მას ვწუხვარ, რომ არ ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ?

* * *

ჯერაც არ ვიცი, მე მე ვარ თუ მე მე არა ვარ,
რაღაც საოცარ ყოფაში ვარ, მე მე არა ვარ.

სიყვარული ვარ, მოყვარული თუ საყვარელი?
ვარ გაოგნების ჯამით მთვრალი, მე მე არა ვარ.

ვინა ვარ, რა ვარ, უსახელო რაღაც ქიმერა,
მე სულ სხვა არსის ნიღაბი ვარ, მე მე არა ვარ.

მარადისობას შენივთული, სული მოკვდავი,
რაღაც დიდების მწვერვალი ვარ, მე მე არა ვარ.

* * *

ჰეი, რომელნიც ეძიებთ უფალს
სადღაც თქვენს მიღმა, სადღაც თქვენს იქით,
ვერსად იპოვით სხვაგან, რამეთუ
თქვენშია იგი, თქვენშია იგი.

თუ არაფერი არ დაგიკარგავთ,
ფუჭი ძიება რისთვის გარგიათ.
რატომღა უხმობთ, რატომღა ეძებთ
მას, რაც აროდეს არ დაგკარგვიათ.

თქვენ ხართ სახელი, თქვენა ხართ ასო,
თქვენა ხართ სიტყვა, თქვენა ხართ წიგნი
და ზეციერი მოციქულებიც
თქვენა ხართ მხოლოდ, თქვენსავე შიგნით.

თქვენა ხართ მოსე და მკლავი მისი,
თვით სასწაული და საოცრება,
თქვენ ხართ იესო, ცათა სიმაღლე
და ქრისტეანი ბერის ოცნება.

თქვენ ხართ მგზავრი და თქვენვე მეგზური
და ყოველივე თქვენში ცხადდება,
თქვენ ხართ ღვთაების არსების ახსნა,
გარდმოვლენა და გამოცხადება.

ხან ხართ ღვთაებრივ სახეთა ხილვა,
ხან მოამბენი ხართ მიწიერი.
ხან ფერი გაძევთ მღვრიე ნალექის,
ხან გაცისკროვნებთ შუქი ძლიერი.

იყუჩეთ, თქვენსავ სენაკს დასჯერდით
და გარე-გარე ნუ იარებით,
რამეთუ თქვენ ხართ სადგომი ღვთისა,
მის დიდ სიყვარულს ნაზიარები.

თქვენ ხართ არსიც და მისი ნიშანიც,
ზეცა და მიწა, მყიფე და მყარი.
მარადისობის არსი თქვენია ხართ
თვითონ სიკვდილის გარეშე მდგარი.

თუ გსურთ, რომ იგრძნოთ მიჯნურის ღაწვი
და ღვთაებრივი ისმინოთ ჰანგი,
გააპრიალეთ სარკე სულისა,
ჩამოაშორეთ ჭუჭყი და ჟანგი.

რაც გეუბნით, იგი ყოველი
თქვენგნითვე ვცან და ვიჭეშმარიტე,
ამ არსებობით მოარსებენო,
სიუხვეს თქვენსას სიტყვა არ იტევს.

მიწის წიაღით ზეცათა მიღმა
განფენილია საუფლო თქვენი,
ხართ სიმაღლეთა გარდამეტება
გამოუთქმელი გონით და ენით.

ჭეშმარიტებით შთანაგონები
ის, რაიც რუმის ბაგეთგან ითქვა,
თქვენ ძალგიძთ ახსნათ და შეიმეცნოთ
ყოველი აზრი, ყოველი სიტყვა.

შამსე თაბრიზი თუ კი მეუფებს
სულის მეოხად, ბნელის ყადაღად,
დიდსულოვნების მაძიებელნო,
მოდით, სადა ხართ! მოდით, სადა ხართ!

* * *

ჩვენ აივანზე ჟამი გვედგა მწველი, მე და შენ.
ორი სხეული, სულით ერთი მთელი, მე და შენ.

ბაღმა გვაპკურა უკვდავების წყაროს ცვარ-ნამი,
როცა ბაღნარში მოვიღერეთ ყელი მე და შენ.

ჩვენს სათვალთვალოდ აციმციმდნენ ცაზე ვარსკვლავნი,
ჩვენ, როგორც მთვარე თეთრ ღრუბლებში მვლელი, მე და შენ.

ორნი აღარ ვართ, შეგვანივთა სიამის ჟამმა
და დავუტევეთ მჭმუნვარება ძველი მე და შენ.

ტრფობის წყურვილით დაიშრიტნენ ფრინველნი ცათა,
როს წამოვანთეთ ვნებით ღამე, ბნელი, მე და შენ.

ჰე, საოცრებავ, იმ წამს, როცა ერთად ვიყავით
და როცა გვწვავდა სიახლოვე, მწველი, მე და შენ.

შენ ხორასანის ცა გფარავდა, მე კი ერაყის
და გვაშორებდა ჩვენ მანძილი ვრცელი, მე და შენ.

საადი
XIII ს.

* * *

იოსებივით გამოჩნდი და განმიფრთხა რული,
ეგვიპტელ ქალთა ხელებივით დამეჭრა გული.
ჯერ საალერსოდ განმაწყე და მომეც იმედი,
შემდეგ კი უცებ დამტოვე და აღმომხდა სული.

* * *

სიცოცხლეს მიჯობს, სიყვარულის დამეცეს მეხი,
მეფობას მიჯობს, შენს წინაშე მოვდრიკო კეხი.
ძნელი არ არის შენს ფეხთა ქვეშ მტვრად გადაქცევა,
მაგრამ ვაითუ ამარიდო ლამაზი ფეხი.



* * *

განა ყოველი, ვის გულშიაც ბუდობს ტკივილი,
გუმბათს, ზეცისას, აზანზარებს მოთქმა-კივილით.
რამდენის გულში ყრუდ ინთქმება მეხი და გრგვინვა
ხოლო ბაგეზე ელვასავით უკრთით ღიმილი.

* * *

შენით დავთვერ და ფხიზლად ვიცან ეს მყუდროება,
ბედნიერია ის, ვინც შენს ეტლს ბორბლად მოება.
უშენოდ ქვეყნად ყველაფერი არის ამაო,
შენ ხარ და შენით ითრგუნება ამაოება.

* * *

გული მიმდის და თვალს არ ძალუძს ცრემლების ცვენა,
განდეგილობამ გააჩინა პირმოთნე ყველა.
ფარვანა სანთელს არ დაუწვავს, იგი მან დასწვა,
ვინც ეს სანთელი აანთო და არ მისცა შველა.

* * *

ყოველწამს სისხლი მიჩქამდება და ვხდები ხელი,
ხალხმა არ უწყის, რატომა მაქვს თვალები სველი.
ვისაც თუნდ ერთხელ დაუნახავს ლეილის სახე,
მან იცის მხოლოდ, რა დარდია მაჯნუნის მკვლელი.

* * *

მისი მონა ვარ, ვისაც ძალუძს გულთა მონება,
ან ვისაც სატრფომ დაუბნია ჭკუა-გონება.
თუ არც შენ გიყვარს არავინ და არც ვის უყვარხარ,
მაშინ ამქვეყნად უკვე აღარც დაგედგომება.

* * *

ლომის ბრჭალებში როგორ გასძლებს საწყალი კრავი,
მან რა ქნას, ვისაც დასდგომია დღეები შავი,
მარილმა წყალში როგორ გაძლოს, ანდა ყინულმა,
როდემდე უნდა შეინახოს მზის გულზე თავი?!

ჰაფეზი
XIV ს.

ღაზალები

შენ ცისკარი ხარ, მე – მიმქრალი სანთლის მუდარა,
მაგრამ განთიადს სანთლისაგან არა უნდა-რა.

სული მხდება და მებინდება სიცოცხლის დღენი,
შენმა ღიმილმა ჩემს სულს ვეღარ გამოუდარა.

სამარეს ია ამიყვავებს, რადგან ამ გულმა
ზედ დაჭდეული ზილფის დაღი იას უდარა.

ჰაფეზ, შენს საფლავს სატრფომ სიოდ რომ ჩაუქროლოს,
შემოგეხევა ვნებისაგან ტანზე სუდარა.

* * *

მახარებელო დილის ნიავო,
შენი სავანე, მითხარ, სად არის?
მიჯნურთა გზიდან მაცთუნებელი
მთვარის სადგომი, მითხარ, სად არის?

ღამეა ბნელი, წინა გვაქვს ვრცელი
გზა გასავლელი, განიხვნა ბჭენი,
მაგრამ სად არის სინას მთა ჩვენი,
დრო მასთან ხლების, მითხარ, სად არის?

ვინც ამ დასაქცევ ქვეყნად მოვიდა,
წამსვე დაქცევის დაესვა დაღი,
ამ ნანგრევთ შორის ვით ვიყო ლაღი,
სხვა იალაღი, მითხარ, სად არის?

ილხენს, ვისთვისაც ენთო და ჩანდა
იდუმალება შენთა ნიშანთა,
მაგრამ ეს გული ვით დაიშანთა,
ვის ვანდო, სანდო გული სად არის?

ჩემი არსების ყოველი ასო
შენით ავსების ლხენამ აავსო,
მქირდავი მგესლავს: უფრთხილდი თავსო,
მაგრამ სიფრთხილე, მითხარ, სად არის?

შენ ის ხარ, რაიც მარადის მწამდა,
მიმთვლელი წელთა, ვითარცა წამთა,
მოჰკითხე შენთა შავთა ნაწნავთა,
ჩემი ნატანჯი გული სად არის?

გონება ჩემი გარდიქცა ხელად,
გაკიდეგანდა, გაიჭრა ველად,
ვინ დაიურვოს, ვის ვუხმო შველად,
მუშკის ბორკილი შენი სად არის?

მწდეს უკვე დოქი უპყრია ხელში,
მუტრიბს სიმღერა ასკდება ყელში,
მოცეკვავენი წყდებიან წელში,
მაგრამ ვის გამოც ვილხენთ, სად არის?

საწუთროს წალკოტს ეფარვის ქარვა,
შემდგომისამ დაჰბერა ქარმა,
ჰაფეზ, გაგტანჯა წელთა ავდარმა,
მაგრამ უეკლო ვარდი სად არის?

* * *

იხსენებოდეს ის ბედნიერი წამი,
ოდეს მიჯნურებს ედგათ სიამის ჟამი.

იხსენებოდეს გალაღებულთა ლხენა,
მე კი თუნდ მწვავდეს მწვავე დარდების შხამი.

თუნდ სამუდამოდ გამწირონ ჩემთა სწორთა,
და დავშთე ასე დარდით გვემილი გვამი.

ჩემთა თვალთაგან ასი მდინარე მოდის,
იხსენებოდეს სხვათა ცრემლების ნამი.

იხსენებოდეს, ვისაც **ჰაფეზის** მსგავსად
აღრჩობს უთქმელი სევდა-ნაღველის შხამი.

* * *

ჰე, მერიქიფევ, აგვინთე ჯამი
ღვინით, რომელიც ცეცხლის ფერია,
ჰეი, მუტრიბო, გვითხარ სიმღერა,
რომელიც ჯერაც არ გიმღერია.

ღვთიური ვნების დაგვიდგა ხვატი,
და ჯამის ფსკერზე ვიხილეთ ხატი,
ეს ჩვენი ხილვა, სულისთვის ცხადი,
უმეცართათვის არაფერია.

მარადისობის განგველო ბჭენი,
ჰაფეზ, დარჩება სახელი ჩვენი,
რადგან, ვინც გზნებით გალია დღენი,
იმას სიკვდილი არ უწერია.

* * *

თენდება, ჩქარა, მერიქიფევ, აღავსე ჯამი,
არ დაყოვნდება ჟამთა სრბოლა არც ერთი წამი.

სანამ დამდგარა დრო საწუთროს ყოფნა-არყოფნის,
შენ მაგ სასმისით დაგვიყენე არყოფნის ჟამი.

ეს ღვინო მზეა, აღმომხდარი თასის მაშრიყით,
თუ ლხინს ეძიებ, ძილს ერიდე დღისით თუ ღამით.

სანამ სადოქედ აზელილა ჩვენი ტალახი,
ღვინით ამივსე თავის ქალა ისე, ვით ჯამი.

ჩვენთვის უცხოა მწირობა და განდეგილობა,
კამკამა ღვინით დაგვლოცე და გვაამე ამით.

ჰაფეზ, სწორია ვინც ამ ქვეყნად ღვინო იწამა,
ამ გზას დაადექ, არ დაფიქრდე არც ერთი წამით.

* * *

ჩემი ძონძები ღვინის ფასად რომ
დავაგირავო, უმჯობესია,
და ეს უაზრო, დიდი დავთარი
ქვევრში ჩავახრჩო, უმჯობესია.

მე წუთისოფელს ავუღე ალღო,
სანამ გამრიყავს ცხოვრების ტალღა,
სადმე, მივარდნილ ნანგრევთა შორის
რომ ჩავიკარგო, უმჯობესია.

რადგან ასეთი სნება ვისენე,
ვერც განვიკურნე, ვერც განვისვენე,
გულში ცეცხლი და თვალში სისველე
ასეთ ყოფაში, უმჯობესია.

ან მსხემობისას როგორ ვიწილე
ოდენ სიმწარე, ოდენ სიმწირე,
რარიგ ალვწერო, ვით გავიწირე,
ჩანგს დავაკვნესო, უმჯობესია.

თუ დაუძლურდი სიბერის გამო,
პაფეზ, იკმარე, მარნიდან გამო!
ვნებიანობა და ლხინი ამო
ჯეელობისას უმჯობესია.

* * *

საუნჯე ჩემთა საიდუმლოთა
კვლავ იგივეა, რაც იყო ადრე,
გულის საკანი მაქვს დაბეჭდილი
და თავს ამ საკნის პატიმარს ვადრი.

დაღამებიდან განთიადამდე,
მნავლავს ის ცეცხლი, შენ რომ გადამდე,
ასეთ ყოფაში ვივლი სადამდე?
საით მინათებს ეგ მთვარე ბადრი?

შერისხული და გზააბნეული
კვლავაც დავდივარ, როგორც ეული,
მდის მარგალიტი, ლალშერეული,
მაგრამ ვინ იცის იმისი ყადრი.

შენა ხარ ჩემი სიზმრის ფერია,
ეგ ბაგე ჩემი სისხლის ფერია,
ასე რომ მტანჯავ, არაფერია,
ოღონდ დროდადრო მოიხსენ ჩადრი.

შენ ჯერ თვალთაგან განმიფრთხე რული,
მერე წარმტაცე სიმშვიდე სრული,
და წამწამებით განმიპე გული
მხოლოდ იმიტომ, რომ მზერა გკადრე.

პაფუზ, განგებამ ასე ინება
და ამას იქით გეცოდინება,
ქვეყნად წელთა და ცრემლთა დინება
კვლავ იგივეა, რაც იყო ადრე.

* * *

დილა სუნთქავს, აიკრიფა ბინდი ნაცარა,
ძმებო, სმა გვსურს ნასმურევზე და სხვა არცა-რა.

ჩქარა ღვინო! მეგობრებო, დილის ნიავმა
ყვავილთ ძილიც არ აცალა, ნამით დაცვარა.

ბაღნარიდან ჰქრის საამო სიო სამოთხის,
წმინდა ღვინო სვი, ცხოვრებამ სანამ გაცალა.

ნეტავ იმას, ვინც ბაღნარში ვარდის ხელიდან
ლალის ღვინით ანთებული ჯამი დაცალა.

მარნის ბჭენი დაუხშვიათ, ჰე, მასპინძელო,
გახსენ კარი, ლხინის ჟინმა დიდხანს გვაწვალა.

რა დროს მარნის დაკეტვაა, საოცარია,
ვინც დაკეტა, ჩვენი ჟინი რას ანაცვალა?!

ქება იმას, ვინც ჰაფეზის მსგავსად ილხინა
და სასმისი ლამაზ სატრფოს ღაწვთან დაცალა.

* * *

შენს სიყვარულში თმობით და თმენით
ცნობილი გავხდი, როგორც სანთელი,
რინდებს და თავზეხელაღებულებს
ღამეს ვუნათებ, როგორც სანთელი.

არ ეკარება არც ერთი წამით
ჩემს თვალებს ძილი, დღისით თუ ღამით,
და განშორების სნებით და შხამით
ვიწვი და ვდნები, როგორც სანთელი.

მე მაკრატელმა, შენზე სევდისამ
გადმიჭრა ძაფი მოთმინებისა,
მედება ალი შენი ვნებისა
და ჩუმად ვიწვი, როგორც სანთელი.

ალზე დამეწვა ყველა სურვილი,
დამდინდა ცრემლი ოქროცურვილი,
ვერ დავიურვე გული ურვილი,
ოდნავღა ვკრთივარ, როგორც სანთელი.

ცრემლში ჩაძირულს ცეცხლი მედება,
უკვე არღა-რა მეიმედება,
ცრემლის კიდეზე ალი მენთება
და ვიღვენთები, როგორც სანთელი.

მკლავს განშორების მანძილი ვრცელი,
მსურს განვანათო ეს ღამე ბნელი,
შენგან მოფრენილ ფარვანას ველი,
ვთრთი და ვკანკალებ, როგორც სანთელი.

უშენოდ ჩემთვის სუფევს წყვდიადი,
შენ ხარ იმედის სხივი დიადი,
ალმობრწყინდები, ვით განთიადი
და მე მივქრები, როგორც სანთელი.

ჩემი თმენის მთა გადმოქცეულა
და დარდის ხელში ცვილად ქცეულა,
ეს ცვილი ცრემლად გადმომცვრეულა
და მიტომ ვდნები, როგორც სანთელი.

ვგრძნობ, რომ ფუჭია ეს ჩემი გარჯა,
ვიწვი და ჩემი საშველი არ ჩანს,
უკანასკნელი წამიღა დამრჩა
და ჩავიწვები, როგორც სანთელი.

ო, ნეტავ წამით მაინც მაღირსა
აღმობრწყინება შენი სახისა,
ოღონდ გამხადე ღირსი ნახვისა
და მერე დამწვი, როგორც სანთელი.

პაფეზ, ცრემლებით აგევსო თვალი,
ლამის მაგ ცრემლმა ჩაგიქროს ალი,
ჩამოღვენთილი და ნამტირალი
უკვე ჩამწვარხარ, როგორც სანთელი.

* * *

ხმამ იდუმალმა მამცნო, რომ სევდა
და მწუხარება წარმავალია,
არრა დარჩება სამარადისოდ,
რადგან ყოველი წარმავალია.

რადგან ყოველი, ქვეყნად რაც არი,
იწვის და რჩება მხოლოდ ნაცარი.
და სხვა ნუგეში ქვეყნად არც არი,
რადგან ყოველი წარმავალია.

საწუთროს ბჭესთან დგას კარის მცველი,
ხელთ უმოწყალო უპყრია ცელი,
ყოველ ჩვენთაგანს ის ცელი ელის,
რადგან ყოველი წარმავალია.

ცრემლთა მდინარის სველი ნაპირი
და სიხარული, სევდით ნაფერი,
აღარ დარჩება აღარაფერი,
რადგან ყოველი წარმავალია.

ოქროს სახვეჭად გმინვა და ოხვრა
არ ღირს წვალებად და წელში მოხრად,
ავლა-დიდება დარჩება ოხრად,
რადგან ყოველი წარმავალია.

ჭეშმარიტებას ახადე ფარდა,
ნახე წარწერა იდუმალ კართა:
კეთილშობილურ საქმეთა გარდა,
ქვეყნად ყოველი წარმავალია.

ჰაფეზ, ავდარი კვალდაკვალ გდევდა,
ოცნების აფრებს გრიგალი ხევდა,
მაგრამ გაივლის ეგ შენი სევდა,
რადგან ყოველი წარმავალია.

* * *

იმ ლამაზმა შირაზელმა
თუ განკურნა ჩემი დარდი,
მზად ვარ იმის ხალში მივცე
ბუხარა და სამარყანდი.

მომეც თასი, ღვინო მასვი,
ჩქარა, თორემ, მერიქიფევ,
სამოთხეში არ იქნება
მუსალა და რუქნაბადი.*

ჩქარა, თორემ მოთმინებას,
როგორც თურქი მეკობრენი,
იტაცებენ კეკლუცები,
რომ აიკლეს ქუჩაბანდი.

მის უზადო სილამაზეს
არ სჭირდება ჩვენი ხოტბა,
მითხარ, განა ფერ-უმარილს
საჭიროებს ნორჩი ვარდი?

იოსების საოცარი
მშვენებისგან შემიტყვია,
რომ ზელიხას აეხდება
უბინობის ფარდის ბანდი.

სულო ჩემო, მოხუცთაგან
შეისმინე შეგონება.
ახალგაზრდებს, ხამს, ესმოდეთ
ამ ცხოვრების ყველა ფანდი.

მოდი, თასი გამოცალე,
მონყდი ქვეყნის გამოცანებს,
თვით ბრძენმაც კი ვერ გაჰკაფოს
ეს ხლართი და ეკალ-ბარდი.

შემრისხე და არას გყვედრი,
დე, შეგინდოს ზეციერმა,
ლალის ბაგით თქმული რისხვაც
საამოა, როგორც ყანდი.

ᲐᲤᲔᲖ, შენდა სადიდებლად
ზეალმოვლენ ვარსკვლავები,
ძვირფას ლექსთა მარგალიტი
აჰკინძე და აღაღანდი.

* მუსალა – შირაზის სახელგანთქმული ბაღნარი, რომელსაც მდ. რუქნაბადი ჩაუდის გვერდით.

* * *

დაუბრუნდება კვლავ იოსები
თავის ქანაანს, ნუ დარდიანობ,
და კვლავ წალკოტად გარდაიქცევა
სევდის საკანი, ნუ დარდიანობ.

გულო, დაგულო და ნამწუხარო,
დაგიბრუნდება ჟამი ქებული
და ეს გონება ამბოხებული
კვლავ დამშვიდდება, ნუ დარდიანობ.

ჰეი, ბულბულო, გაზაფხულს შენსას
ტახტს კვლავ დაუთმობს ჟამთა სიავე
და თავს შეგიმკობს ნელი ნიავი
ვარდთა გვირგვინით, ნუ დარდიანობ.

საწუთროს ჩარხი თუ ორიოდ დღეს
არ ბრუნავს, ჩვენთა სურვილთა დარად,
გჯეროდეს, იგი ამგვარად მარად
არ იტრიალებს, ნუ დარდიანობ.

სანამ არ უწყი განგება ღვთისა,
არ ჩაიქნიო იმედის ხელი,
იქნებ ფარული სიამე გელის
ამ ფარდის მიღმა, ნუ დარდიანობ.

თუ წარმავლობის წარღვნის მორევი
შენი არსობის ფესვს მოერევა,
ნოეს მიანდე კიდობნის საჭე
და წარღვნის დღეზე ნუ დარდიანობ.

ქააბისაკენ უდაბნოდ მავალს
მიგიზიდავდეს დიდი მიზანი
და სიძნელენი შორი გზისანი
არად ჩააგდე, ნუ დარდიანობ.

სახიფათოა სავანე ჩვენი
და ჯერ არცა ჩანს მიზანთა ბჭენი,
მაგრამ იცოდე, რომ არ არსებობს
გზა უსასრულო, ნუ დარდიანობ.

ჩვენთა რაყიფთა გამოხდომანი
თუ განშორებით ჩვენი წვალება,
ღვთის თვალს არარა დაემალება,
უწყის უფალმა, ნუ დარდიანობ.

ჯაფეზ, ღამეულ სიმარტოვეში
დე, დერვიშული გქონდეს ქონება,
და სანამ ყურანს სწვდება გონება,
უფალს ჰვედრე და ნუ დარდიანობ.

* * *

მას შევწირე ჩემი მწველი ჩანგი,
გულით ქვაა, ნაზი სახით – მანგი.

მოთმინება, სიმტკიცე და გონი
წარმტაცა და გულს დამადო თანგი.

სულში მიდუღს სიყვარულის სევდა
და ამომდის ცეცხლოვანი ჰანგი.

არ გაქრება სიყვარული ჩემი,
გინდ მიხრავდეს ძვლებს ჟამთასვლის ჟანგი.

თვალი მომჭრა მისი მკერდის შუქმა,
გულს მომედო უხილავი ჭანგი.

თუ გიშველის, ეგ გიშველის, **ჰაფეზ**,
მაგის ბაგის, მაგის ბაგის ბანგი.

* * *

თმაგაშლილი, მღიმარი, ანთებული, ცხელი,
გულმკერდგადაღეღილი, გაოფლილი, სველი,

ტკბილ ღაზალთა ღიღინით, ჯამით ხელში, ღამით,
სასთუმალთან მეახლა, ყელს მომხვია ხელი.

მწველ თვალებში უკრთოდა ჟინიანი ელვა,
ბაგეებზე უთრთოდა სევდის ჩრდილი ნელი.

მომეახლა მძინარს და ნაღვლიანად მითხრა,
ნუთუ თვლემსო, მიჯნურო, სიყვარული ძველი?

ღვინის მადიდებელი ვინც არ არის ქვეყნად,
მან არც იცის ნამდვილი სიყვარული მწველი.

განდეგილო, დაგვეხსენ, ნუ აგვირევ სუფრას,
რადგან მხოლოდ ეს არის ჩვენთვის ლხენა მთელი.

ღვინოა თუ სამოთხის უკვდავების წყარო?
გამოვცალეთ ჯამები, ჩავისველეთ ყელი.

მრავალს გაატეხინებს აღთქმას, როგორც **ჰაფეზს**,
ქალის ნაწნავები და ღვინის ღიმი მწველი.

* * *

ეს რა ჯანღია, რომელსაც ახლა
მე ამა ქვეყნად შევყურებ, ღმერთო,
მთელი ქვეყანა ბოროტებითა
და მაცდურობით აღვსილა ერთობ.

ქალიშვილები ლანძღავენ დედებს,
ვაჟები მამებს ეურჩებიან,
ავს უქადიან შობილნი მშობელთ,
ასეთ ყოფაში ვის უნდა ენდო?!

ბრიყვებს და რეგვენთ უდგათ ზეიმი,
შეექცევიან დაშაქრულ შარბათს,
ბრძენთა კერძი კი გულის სისხლია
და თავს ექცევათ ქოხმახთა ერდო.

არაბულ მერნებს და ბედაურებს
ზურგზე ვირების კურტანი ადგათ,
ვირებს კი თურმე თვალ-მარგალიტის
მოსართავები უმშვენებთ მკერდთო.

ჰაფეზის რჩევას მისდე, ძმაო,
და როგორც ძალგიძს, ჰქმენი სიკეთე,
სხვისა არ ვიცი, მე კი საგანძურთ
ეს ბრძნული რჩევა ვარჩიე, ღმერთო!

* * *

დადგინდა ჟამი, საძლისად ძნელი,
კანონად იქცა სიმდაბლე ბნელი.

აწ არღარავის შერჩა სიქველის
და ერთგულების ნიშანი ძველი.

ბრძენთ, აღზევებულ ბრიყვთა წინაშე
აქვთ სამათხოვროდ გაწვდილი ხელი.

განსწავლულთა და უნარით სავსეთ
მოჰღერებიათ საწუთროს ცელი.

სამაგიეროდ ბრიყვნი ილხენენ,
აქვთ ასპარეზი ფართე და ვრცელი.

დღეს მათ საქონელს მოუცავს ქვეყნის
აჭრელებული ბაზარი მთელი.

მგოსანს კი ზედაც არვინ უყურებს,
თუნდ განანათლოს სიტყვებით ბნელი.

თუნდაც სანაის* ბადალი იყოს,
თუნდაც სალამურს უგავდეს ყელი.

ქერის ერთ მარცვლად არ დაფასდება
მისი სიმღერა, უხვი და ქველი.

წუხელ გონებამ ყურთ ჩამჩურჩულა:
ვიცი, რომ გიდგას დღეები ძნელი.

უნდა გაუძლო ამ ბედშაობას,
უმწეობაში არ მოგწყდეს წელი.

მცირედს დასჯერდი და ლერწამივით
ამოაფრქვიე ქვითინი მწველი.

ჰაფეზ, გვემილი აღზევდი კვლავაც,
გფარვიდეს მარად შემწე და მხსნელი.

*დიდი ირანელი მისტიკოსი პოეტი.

* * *

ჩუმად ღვინის სმას არა აქვს ფასი,
უსაფუძვლოა ფარული ლხენა.
აშკარად ჩავსხდეთ მომლხენთა შორის,
დე, დაგვაბრალონ სწრაფვანი ქვენა.

გაიხსენ გულის ყოველი ხლართი,
და ბედისწერას ნუ გაიხსენებ,
ამ წუთისოფლის დაწყევლილ კვანძებს
ვერ ახსნის ბრძენთა გონი და ენა.

ასე გრძელდება გაჩენის დღიდან
ეს უსასრულო, ძველი ზღაპარი,
ნუ გაგაოცებს საწუთროს ბრუნვა
და დროის მდორე ტალღათა დენა.

რიდით აიღე ჯამი თიხისა,
თავის ქალების მტვერით ნაზელი,
მას ზედ ატყვია ქეიყობადის,
ჯემშიდისა თუ ბაჰმანის ფენა.

ვინ უწყის ახლა, საით წავიდნენ
ქეიყობადი თუ ქექაუსი?
ვით დააქცია ჯემშიდის ტახტი
წყეული დროის გრიგალთა სტვენამ.

შემიმჩნევია, ყოველწლიურად
ახლაც წითელი ტიტა იზრდება
იქ, სადაც ფარჰადს შირინზე სევდით
მოუხდა სისხლის ცრემლებად დენა.

ო, იქნებ ტიტამ ალღო აუღო
წუთისოფელს და მის უპირობას,
და ამიტომაც უპყრია ჯამი
ვიდრე განძარცვავს ფოთოლთა ცვენა.

მოდი და შევსვათ იმდენი ღვინო,
რომ თავს დაგვექცეს მთელი სამყარო,
იქნებ უეცრად ამ ნანგრევთ შორის
იდუმალ განძსაც წავაწყდეთ ჩვენა.

მე შევრჩი შირაზს, რადგან აქედან
სამოგზაუროდ არსად მიშვებენ
აყვავებული მუსალის ბაღი
და რუქნაბადის ტალღათა დენა.

შენც მოიქეცი ~~ჯაფეზის~~ მსგავსად,
ჩანგის გარეშე ნუ შესვამ ღვინოს,
დე, შენი გული სიამოვნების
დიბა-ატლასში გახვიოს ლხენამ.

* * *

აღივსო მკერდი მწუხარების და სევდის შხამით,
ვინ მესალბუნოს, მარტოდ შთენილს, თუნდ ერთი წამით.

მშვიდი თვალებით სხვა ვინღა ჭვრეტს საწუთროს ბრუნვას?
თუნდაც წამით რომ ვპოვო შვება, მომეცით ჯამი.

მე ეს ამბავი ბრძენს ვანიშნე, მითხრა ღიმილით:
– შფოთავს ქვეყანა, საოცარი დაგვიდგა ჟამი.

სიყვარულის გზად დავანება ვაებას ნიშნავს,
ტრფობის იარას ვინც იყუჩებს, არ ასცდეს ვამი.

ჭმუნვაგანუცდელ ნებიერთა გზა აგვიქციონ,
ჩვენ დაგვემგზავროს, ვისაც აღრჩობს ნაღველის შხამი.

ხამს, გარდაიქმნას ქვეყანა და ადამიანი,
რადგან ვერ ჰგუობს ამა ქვეყნად ტყვეობას გვამი.

გონება მივცეთ სამარყანდელ ლამაზის სუნთქვას,
რომელსაც მოაქვს მულიანის სურნელი ღამით.

ჰაფეზის ცრემლი არარაა ზღვა სიყვარულთან,
რომლისთვის შვიდი ზღვაც მცირეა, ისე ვით ნამი.

* * *

მერიქიფევ, ადექი და მომაწოდე ჯამი,
დაჰგმე მუხთალ წუთისოფლის მწუხარების შხამი.

ხელისგულზე გადმომიდგი თასი, ღვინით სავსე,
რომ ამ რუხი სამოსისგან განვიძარცვო ტანი.

იძრახვიან გონიერნი ლაღობისა გამო,
ჩვენ რას ვაქნევთ, რას დავუდევთ, რას იტყვიან სხვანი.

ღვინო მოგვეც, იმ უსუსურ გულზვიადთა ხროვას
აგრემც თავში ქვა უხლია და დასწვია ჯანი.

მე გულიდან მონახეთქმა ოხვრის ოხშივარმა
დამიჭკნო და დამიბუგა მკრთალი სახის კანი.

მე ამ ქვეყნის აზნაურთ და უაზნოთა შორის
კაცს ვერ ვხედავ, რომ ვასმინო ჩემი გულის ხმანი.

გულწარმტაცმა მოთმინება წარიტაცა ჩემი,
მაგრამ თავი ბედნიერად მხოლოდ მასთან ვცანი.

არ ისურვებს საროს ნახვას აყვავებულ ბაღში,
ვინც იხილა ერთხელ მაინც მისი საროს ტანი.

დღე-ღამეთა ბედითობას გაუძელი, **ჰაფეზ,**
მაგ სურვილთა აღსრულების დაგიდგება ხანი.

* * *

ბაზრისთავს უცებ ჯამბაზთა ყიჟინამ დაიგრგვინაო:
ისმინეთ, რინდთა ქუჩაზე რომელთაც გიდევთ ბინაო!

ვაზის ასული˚ გაგვექცა ამ ორიოდ დღის წინაო,
უფრთხილდით, თორემ გადაგრევთ, თუ შემოგიხტათ შინაო.

ტანთ ლალის კაბა ჩაიცვა, ლამაზად აიბზინაო,
თავზე გვირგვინად მოირგო ბუშტები პაწაწინაო.

ჭკუა-გონებას მოსტაცებს მას, ვინც დახვდება წინაო.
რარიგად დავასაჩუქრებ, თუ ვინმემ მაპოვნინაო.

ვინც დამიმალავს, ჰაი, რომ ჯოჯოხეთს მივცე ბინაო.
გოგონა ვარდისფერია, მთვრალი და ყოყლოჩინაო.

თუ ვინმე სადმე წააწყდეთ, **ჰაფეზს** მოჰგვარეთ შინაო.

˚ღვინო.

* * *

ამ ქვეყნად ვარდის ფერი და ღვინო ეძიე მარტო!
ასე თქვა დილით ბულბულმა, შენ რაღას იტყვი, ვარდო?

ტახტი ბაღნარში დაიდგი, სატრფო მოისვი გვერდით,
ხამს, დაუკოცნო ბაგენი, ვარდით და ღვინით ართო.

გამოდი, საროსტანობა საროს ესწავლოს შენგან,
გამოდი, გამოგოგმანდი, საროდ ქცეულო, ვარდო!

ნეტავ ვის მიეწოდები, ვარდის სათუთო რტოო,
შენი ღიმილის კვირტები, ნეტავ, ვის უნდა ანდო?

გახსენ მშვენების საუნჯე, გაეც სიტურფის ლარი,
ასეთი განძის პატრონმა წყალობა უნდა ჰფანტო.

რომ არ დაჰბეროს ნიავმა შენი მშვენების სანთელს,
მას უნდა შემოაფარო სიქველის ფარდა სანდო.

თუმც შენი თმების სურნელთან ჰქრება სურნელი ამბრის,
ხამს, სათნოებაც აკმიო, მადლის სანთელი ანთო.

ყველა მგალობელს თავისის თქმა სურს ამ მეფურ ბაღში,
აჰა, ჰაფეზიც მოსულა და გზა მიეცით ფართო.

* * *

მე ღვინო მინდა, მწარე და ძელგი,
რომ ოხშივრითაც მათრობდეს ჭური,
ფიქრთ შარი-შურით შევერთო შორეთს
და განვიშორო შარი და შური.

შხამით სავსეა საწუთროს ტაბლა,
სიმშვიდის ბადაგს ვერ ჰპოვებ დაბლა,
ო, გულო ჩემო, არ გაიკარო
მხეჭელობა და სიხარბე მგლური.

მომეცი ღვინო, ამ წუთისოფლად
ვერ ჰპოვებ სადგომს, მავალი ობლად,
სულ ასპიროზის საზით რომ ტკბები,
მრისხავ მარეხსაც მიაპყარ ყური.

ბაჰრამის ქამანდს შეეშვი წამით,
ხელში აიღე ჯემშიდის ჯამი,
მე არც ბაჰრამის სამარე ვიცი
და არც მინახავს თვით ბაჰრამ-გური.

მოდი, გაჩვენო იდუმალება,
ღვინიან ჯამში რომ იმალება,
არ გაუმხილო ოღონდ არავის,
რომ უღირსებმა არ მოჰკრან ყური.

არ მოაკლდება ღირსება იმათ,
ვინც მოწყალეა გლახაკთა მიმართ,
თვით სოლომონ ბრძენს ჰქონია თურმე
ჭიანჭველებთან კავშირი ძმური.

ჰაფეზ, ამ ქვეყნად ვერ დამშვიდდები,
სანამ იზიდვის წარბთა მშვილდები,
მაგრამ ლამაზებს გაეღიმებათ,
თუ შეგამჩნიეს მკლავი უძლური.

* * *

გული მიფრთხება, გულისხმიერნო,
ღვთის გულისათვის, მომეცით ხელი!
ვაი, რომ უცებ უნდა განცხადდეს
ეს ხვაშიადი, გულსშიგან მხვრელი.

ქიმმორღვეული მე ვარ ხომალდი,
ჰე, ზურგის ქარო, ძალი მომანდე!
იქნება ახდეს და კვლავ ვიხილო
ის, ვის ხილვასაც აქამდე ველი.

ჩვენი ცხოვრების მქრქალი ლამპარი,
ჯადოქრობაა და ცრუ ზღაპარი,
სანამ მიმქრალა, უნდა შეიძლო
მოყვასთა მიმართ საქმენი ქველი.

წუხელ, როდესაც ბინდი მინელდა,
მესმა გრძნეული ხმები ფრინველთა;
აღსდექ და ღვინით აღავსე ჯამი –
ზეიდუმალი ზმანების მგვრელი.

ჰე, სიკეთეო, ცხოველმყოფელო,
შემწყალებელო და მწყალობელო,
ოდესმე მაინც მომხედე გლახაკს
და მესალბუნე სალმობის მხსნელი.

ორთავე ქვეყნად მშვიდობას ფუძედ
ამ ორი სიტყვის თარგმანი უძევს:
დიდსულოვნება – მოყვასთა მიმართ,
თავდაოკება – მტრისადმი, – ქველი.

არა ვყოფილვარ მოთნე და ფლიდი,
არც მღირსებია სახელი დიდი,
ეს არის ბედი, უკეთუ ძალგიძს,
შეცვალე იგი, დარიე ხელი.

ხელმოკლეობის თუ გიდგას ჟამი,
ლხინს მიეძალე, აღავსე ჯამი,
აღსდგნენ ქვენანი, დავრდნენ ზენანი,
ეს არს საწუთრო, ყოვლისა მქმნელი!

ნუ გულზვიადობ და ნუ ენთები,
იცოდე სანთლად დაიღვენთები
მისგან, რომელსაც კლდენი პიტალო
ძალუძს, რომ ცვილად აქციოს ხელით.

საღვინე ჯამი, ჟღალი ფერისა,
თავად სარკეა ისქანდერისა,
ჩახედე შიგ და რაც გსურს, იხილე,
თუნდ დარიუსის სამეფო მთელი.

სპარსელი ნაზი ლამაზმანები
ახალ სიცოცხლეს მოგაზმანებენ.
ჰე, მერიქიფევ, ლოთებს მოხედე,
და ქვევრს მოხადე სარქველი სველი.

აღარც ჩაიცმის ეს ჩემი ფლასი,
ზედ ღვინიანი წამექცა თასი,
წმინდა შეიხო, შეივრდომე და
შეუნდე ჰაფეზს ცოდვები ძველი.

* * *

გაზაფხულია, ვარდების ცეცხლმა
შემოაწითლა შემოგარენი,
ჰე, მეგობრებო, ლხინს მივეძალოთ,
ნუ ვსხედვართ, როგორც მგლოვიარენი.

გარეთ ამინდი დგას საოცარი,
მოლხენისა და თრობის დროც არის,
თანამესუფრედ გვაღირსე, ღმერთო,
მზეთუნახავნი სახემთვარენი.

ცთომილთა ბრუნვის უწყვეტი ჰანგი
გვაბრუებს, როგორც ღვინო და ბანგი
და მიკვირს, უქმად რად გვიდევს ჩანგი,
რატომ არ მოვთქვამთ გულმდუღარენი.

ჰაფეზ, ის დროა, ჯამები ვანთოთ,
სალხენად ველი ვირჩიოთ ფართო,
ვის დავარწმუნებთ, ბულბულნი ვართო,
თუ ვარდობისას ვართ მდუმარენი.

* * *

ქვეყნად მეგობარს ვერავის ვხედავ,
ნამდვილ მეგობრებს რა მოუვიდათ?
სიყვარულს როდის მოეღო ბოლო?
ჭეშმარიტ მიჯნურთ რა მოუვიდათ?

აიმღვრა წმინდა სიცოცხლის წყარო,
ფეხბედნიერი ხიზრი* სად არის?
ვარდის შტოთაგან მოჟონავს სისხლი,
მაისის სიოს რა მოუვიდა?

ან ვილას შესწევს ძალი ქადილის,
რომ ჭეშმარიტი ტრფობა ჰგზნებია,
ჭეშმარიტების ჯიუტ მძებნელთ და
უჯიათ მიჯნურთ რა მოუვიდათ?

დიდსულოვნების საბადო დაშრა,
აღარ ჩანს თვალი-პატიოსანი,
მზე აღარ მზეობს, ქარი არ ქარობს,
წვიმა აღარ წვიმს. რა მოუვიდა?

აქ სადღაც იყო მიჯნურთ ქალაქი
და სანეტარო სატრფოთა მხარე.
ლმობიერება სად აღესრულა,
მიჯნურთა ქალაქს რა მოუვიდა?

ჰა, მოედანზე დაგორავს უქმად
სიქველისა და სიკეთის ბურთი,
მაგრამ სარბიელს ყველა გაურბის,
მოასპარეზეთ რა მოუვიდათ?

* მუსლიმთა მითიური წინასწარმეტყველი, რომელმაც მიაკვლია სიცოცხლის წყაროს და უკვდავება პპოვა.

ბაღში ათასმა ვარდმა იფეთქა,
მაგრამ არ ისმის ფრინველთ გალობა,
რამ დაადუმა იადონები,
ან ბულბულს მაინც რა მოუვიდა?

ასპიროზს საზი აღარ უპყრია,
ნუთუ დაეწვა საკრავი თვისი?
ღვინის და ლხინის ლაზათიც გაქრა,
ნამდვილ ღვინისმსმელთ რა მოუვიდათ?

ჰაფეზ, იყუჩე, რამეთუ ქვეყნად
არავინ უწყის განგება ღვთისა,
ვის უნდა ჰკითხო, ვინ განგიმარტოს,
საწუთროს ბრუნვას რა მოუვიდა?

რობაიები

* * *

ცხოვრებისაგან გავიწირე მწირი, პარტახი,
თავს ჩამომექცა დანისლული ზეცის ჩარდახი,
ვისაც შევფიცე მეგობრობა, მტრად გადამექცა
და ბედმა გულზე მომიჭირა დარდის არტახი.

* * *

სწორად მოიქცა, ვინც ბაღნარში, წყაროს ნაპირთან,
მოილხინა და მწუხარებას გაუნაპირდა,
ჩვენი სიცოცხლე, ვარდის მსგავსად, ათდღიანია,
ნურას ინაღვლი, ეს საწუთრო ვის რას დაჰპირდა?!



* * *

მოლხენისათვის სიყრმის ჟამი უმჯობესია,
ლამაზის ღაწვთან ღვინის ჯამი უმჯობესია,
თუ ეს ქვეყანა ბოლოს მაინც უნდა დაიქცეს,
მოდი და მოგვეც ჩვენ ეგ შხამი, უმჯობესია.

* * *

ტირიფის მსგავსად გათრთოლებდეს ბედი და ხვედრი,
თან დღენიადაგ იმედოვნე ცვლილება მკვეთრი.
მე საბოლოო ფერად შავი ფერი მსმენია,
მაშ, ეს შავი თმა, მითხარ, რაღამ გახადა თეთრი?

* * *

ისე მწყუროდი, ისე მსურდა ალერსი შენი,
და ეგ ბაგენი, იაგუნდის ნათელის მჩენი...
მეტი რა გითხრა, დამიბრუნდი, ო, დამიბრუნდი,
თორემ ლოდინმა მომისწრაფა სიცოცხლის დღენი.

* * *

ოდეს კოკორთა აფეთქებით ენთება ბაღი
და ღვინისათვის თასს ამზადებს ნარგიზი ლაღი,
იგი იქნება გონიერი, ვინც საღამოჟამს
ღვინის სარდაფში თავს ჩაჰკიდებს, ისე, ვით ჭაღი.

მესნევი

* * *

ჰეი, დამფრთხალო ქურციკო, საით რას დაიარები?!
მეც გული შენებრ მიფრთხება დაკოდილ-ნაიარევი.

დავდივართ გზააბნეულნი, არც ერთს არა გვყავს პატრონი,
კლდე-ღრეში დავეხეტებით ცალ-ცალკე, მარტოდმარტონი.

საით წავიდეთ, ორთავეს ყოველგნით მახე გვიგია,
რას გვემართლება საწუთრო არ ვიცით, ვერ გაგვიგია.

მოდი, ერთმანეთს გავანდოთ გულმა რაც სევდა შენივთა,
შენ ჩემი დარდი იდარდე, მე დავმწუხრდები შენითა.

უერთმანეთოდ ორთავეს არღა-რა გვესაძლისება,
ხომ ხედავ, ჩვენი ცხოვრება შხამით და გესლით ივსება.

რამ შეაშფოთა ქვეყანა, თავკერძი, გულჩაკეტილი?!
რად ყელყელაობს ბოროტი? რად ითრგუნება კეთილი?

ვის ძალუძს, რომ უთვისტომოს გაუხსნას გულის კარები,
ვინ უმეგობროს დაჩაგრულს, ვინ შეივრდომოს ყარიბი?

ნუთუ ოდესმე მოგვხედავს თვით ხიზრი ფეხბედნიერი
და ამ დაქცეულ ქვეყანას კვლავ შეეცვლება იერი?!

ნუთუ დადგება სიკეთის და ერთგულების დროება,
ნუთუ ამ ქვეყნის ქარვასლა ოდესმე გვემყუროვება?!

ნუთუ კვლავ ჰპოვებს სიმშვიდეს სული, ნანგრევთა ხიზანი,
და მიზანს მიგვაღწევინებს ხილი, სიამის ხისანი.

* * *

მაქვს ჩაბეჭდილი ხსოვნაში ბრძენი მოხუცის სიტყვები,
მაგონდება და გონებით იმის ნაამბობს მივყვები:

შინიდან გარეთ გასულა მგზავრი, შორ გზაზე მავალი,
გადაულახავს მთა-ველი, ჭირი უნახავს მრავალი;

გზად ვინმე რინდი შეჰყრია, გზის პირას გარინდებული,
განმარტოებით განმდგარი, ქვეყანას გარიდებული.

რინდს შეუხედავს მგზავრისთვის შიგან მხედველი თვალებით
და ასე უთქვამს: სად მიხვალ შორი გზით განაწვალები?

სჯობს წამობერტყო ერთიან მაგ შენს გუდაში რაც არი
და კაკანათი დააგო, თუ გეპოვება მარცვალი.

მგზავრს უთქვამს: მზად ვარ მიზნისთვის მრავალი ღამე ვათიო,
მაგრამ ჩიტების საჭერად არ მინდა კაკანათიო.

გულდაგულ შემომინახავს ერთი მარცვალი წმინდაო,
მე იმით თვითონ სიმორლის მონადირება მინდაო.

ამ სიტყვის გაგონებაზე რინდს ესლა უთქვამს მარტოდენ
სიმორლის მონადირებას შენს გარდაც ბევრნი ნატრობდნენ.

მაგრამ ვაი, რომ იმათგან დარჩა მხოლოდღა ქვიშანი,
არვინ იცოდა სიმორლის საბუდარი და ნიშანი.

* * *

მოდი, დაჯექ და ილხინე, დრომ სანამ გაგატიალა,
ცალ ხელში ვარდის რტო გქონდეს, მეორე ხელში – ფიალა.

მოასწარ, მთვრალი საწუთრო თვალთმაქცია და ვერაგი,
სანამდე შემოუძარცვავს ჩვენთვის სიცოცხლის პერანგი.

ვზივარ მდინარის ნაპირას ცხოვრების მორევს ჩავცქერი,
ჩავშტერებივარ ჩაბინდულს, ჩამდის ცრემლების ჩანჩქერი.

ვფიქრობ, სიამის დარბაზი რა უცებ გამომეკეტა
და განშორების მახვილი როგორი რისხვით მეკვეთა.

იმ წარსულ დღეებს მივტირი, გულს სევდა გადამეღობა,
აპრილის ღრუბლად ვიქეცი, ცრემლი საწვიმრად მეყოფა.

მდინარის მდორე დინებას მოაქვს გმინვა და გოდება,
მეც ცრემლს ვუმატებ, როგორც კი ჩემი მზე მომაგონდება.

ვაგლახ, რარიგად მიმწუხრა, რარიგ უეცრად მიღამა,
ვიღას ვასმინო ვედრება, ან ნუგეში მცეს ვიღამა.

ვის ძალუძს, რომ უთვისტომოს გაუხსნას გულის კარები,
ვინ უმეგობროს დაჩაგრულს, ვინ შეივრდომოს ყარიბი?!

ნუთუ ოდესმე მოგვხედავს თვით ხიზრი, ფეხბედნიერი,
და ამ დაქცეულ ქვეყანას კვლავ შეეცვლება იერი.

რამ დაადუმოს ეს სევდა, მარადის განუკურნელი,
მარტოსულს რამ მაგრძნობინოს იმედის კეთილსურნელი.

ჰეი, მოყვასნო, ისმინეთ ეს ერთი სიტყვა მართალი:
ერთურთს უწილეთ სიკეთე, გულიდან ჩამონათალი.

ჰეი, საწუთროს ავდარო, მე ჩემი დარი მეგონე,
მოვმართე ჩანგი, ღვთიური, სული და აზრი შევკონე.

სინათლეს გადავეწოდე, დავთრგუნე ჯანღი წყეული,
ჩემში მთრთოლვარე სულს მივეც ლამაზი ლექსის სხეული.

სანამდე მაცლის სიკვდილი ჩემს შიგნი-შიგან მკვნესარი,
მანამდე ჩემი მოთქმაც და ჩემი სიმღერაც ეს არი.

საყი-ნამე
(მერიქიფის წიგნი)

ჰე, მერიქიფევ, მომხედე, შენს მოწყალებას მოველი,
ისეთი ღვინო მომეცი, გარდამავიწყოს ყოველი,

მწედ მექმნას, ამა ქვეყნისგან დამდაბლებულს და გათელილს,
შარავანდედად დამადგას სრულყოფილების ნათელი.

მომეც ეგ ღვინო, ფერწმინდა, ეგ კურთხეული სასმელი,
მუტრიბის ჰანგი მასმინე, სხვა არღა დამრჩა სასმენი.

იჩქარე, დარდს ნუ მიმატებ, ჩემთვის ეს სევდაც მეტია,
ორთავე ქვეყნის იმედი ერთთავად გადმიწყვეტია.

მწდევ, კვლავ მაღირსე ჯამებში მაგ ღვინის ათინათება,
რომ მაგ ჯამთაგან თვით ჯემშიდს გადასწვდეს მათი ნათება.

შევსვამ და გულნაკვნესარი სალამურს დავემგვანები,
დროის ქარავანს გაუყვნენ მეფეთა ტახტრევანები.

განა ეს წუთისოფელი გულს ლხენით ვინმეს აუვსებს?
რა ემართებათ ჯემშიდებს, რა მოსდით ქეიქაუსებს?!

მომეც სასწაულთმოქმედი ეგ ღვინო უსათნოესი,
მას ძალუძს, მოგვცეს განცხრომა და უკვდავება ნოესი.

ჰე, მერიქიფევ, სვიანო, აგრემც გეხაროს მარადის,
განგეხვნეს ბჭენი სურვილთა, მისულს სამოთხის კარამდის,

ის ღვინო მომეც, ჯემშიდის ჯამს შიგან ნალიცლიცარი,
ვერსახილველთა მხილველი, რაიც გუმანით ვიცანი.

ამივსე, გადმომაწოდე, მაგ მადლიანი მტევნითა,
კმარა, საწუთროს გრიგალი რაც დაუდევრად მდევნიდა.

მომეც და მეც მაზიარე ჯემშიდის ნათელხილვათა,
სამყაროს იდუმალებამ იქნებ ჩემთვისაც ინათა.

გარდამავიწყე ქვეყანა, ეს დაქცეული ტაძარი,
ძველთა მეფეთა ამბების სათხრობად სიტყვა დასძარი.

ახსოვს ამ ბებერ ქვეყანას საუკუნეთა უკუნი,
აფრასიობის სასახლის ჟრიამული და გუგუნი.

რამ დაადუმა სარდალთა ხმა, ამაყი და მყივანი,
რამ დააბნელა ფარ-ხმალთა უამარ მზეთა ბრწყინვანი.

გაუდაბურდნენ არენი ბუკ-ნაღარით და დაფითა,
ტახტნი და სრა-სასახლენი დროთა ქარ-წვიმამ დაფიტა.

ამ უდაბნოში შთაინთქა სელმის და თურის ლაშქარი,
მათ ჩონჩხთა ჩინჩხვარს აყრია ქვიშა, მშრალი და ნაქარი.

მწდევ, კვლავ მაღირსე ჯამებში მაგ ღვინის ათინათება,
რომ მაგ ჯამთაგან თვით ჯემშიდს გადასწვდეს მათი ნათება.

ასე ამბობდა ჯემშიდი, ოქროს გვირგვინის მფლობელი:
ქერის ერთ მარცვლად ფასობსო ეს ჩვენი წუთისოფელი.

ჰე, მერიქიფევ, მაღირსე, რად მალოდინე ამდენი,
ზარდოშთის ცეცხლი მომეცი, ჯამიდან გადმონადენი.

მოდი, მაგ შმაგი ფიალით აზრი და გონი წამართვი,
ისე, რომ ვერც განვასხვავო მართლმორწმუნე და წარმართი.

მომგვარე ვაზის ქალწული,* გულს გადამყაროს ნაღველი,
მინდა აწყვეტით ვილხინო და შევირცხვინო სახელი.

მინდა ნანგრევთა გროვაში, ამ ზარ-ზეიმის ამტეხი,
დავთვრე და აქვე მიეგდო, ვით ძველი დოქის ნატეხი.

ჰე, მერიქიფევ, იჩქარე, ნუ გამომილევ ფიალებს,
აზრი და გონი დამიწვი, ცეცხლივით ამაბრიალე.

* ღვინის მეტაფორა

დაელახო ზოდიაქონი, ხელთ ვიპყრა ლომის ფაფარი,
სიკვდილმა – მგელმა ბებერმა ვეღარსად ჰპოვოს საფარი.

მწდევ, მაგ მადლიან მარჯვენით განმიღე ზეცის სარკმელი,
თურმე ეს ღვინო ყოფილა თვით ანგელოსთა საკმელი.

მომეც, მეც მინდა ვაკმიო, ცას მისწვდეს მისი სურნელი,
გონს განმეშოროს სალმობა აქამდის განუკურნელი.

მომეც ეგ ღვინო, სიამის მეინახე და მხლებელი,
სამეფო ტახტზე ამყვანი და მეფედ მაკურთხეველი.

ღვინით განმბანე ეს გული, მრავალგზის ნაწვავ-ნადაგი,
მხოლოდ შხამს ვიყავ ჩვეული, დამაძლევინე ბადაგი.

ჰე, მერიქიფევ, მიხსენი, მომბეზრდა საკნის წყვდიადი,
თვალნი განმიხვენ, მაჩვენე დღე, ნათელი და დიადი.

თუ მერგო სასუფეველი, მაშინ ეს რაღა მაწუხებს,
რატომღა შეუბოჭიათ სული სხეულის მარწუხებს?!

მოდი, მაგ ღვინის ნიაღვრით დამანგრევინე სხეული,
ჰპოვე საუნჯე სიბრძნისა, გულიდან გადმომსხვრეული.

სასწაულებრივ შევხარი გრძნეული ჯამის ავსებას,
შიგ ჩავხედავ და ვიხილავ უხილავ არსთა არსებას.

განმინათლდება გონება ამ ზმანებათა მიმქცევი,
უპოვარი და გლახაკი ქვეყნის მეუფედ ვიქცევი.

საიდუმლოთა მარგალიტს დავხვრეტ და ავაციმციმებ,
გულიდან ჩამოვიშორებ უთქმელი სიტყვის სიმძიმეს.

და ოდეს ახმიანდება ჰაფეზის ჰანგი გრძნეული,
ბანს მისცემს თვით ასპიროზი, მისი სიმღერით ძლეული.

ჰეი, მუტრიბო, სადა ხარ, საით ვის ებულბულები,
მოდი და შენი ტკბილი ხმით კვლავ აგვითრთოლე გულები.

შენი სიმღერის ალამი ჩვენს სულთა შიგან აღმართე,
აღგზნებულთ აღგვავლევინე აღფრთოვანების აღმართი.

ვაქოთ, ვადიდოთ ხელმწიფე, გვირგვინოსანი, ძლიერი,
რომელსაც ძალუძს ქვეყანას შეაცვლევინოს იერი.

რომელიც არის სამეფო ხის უმშვენესი ნაყოფი,
რომელსაც მოსდგამს უნარი მრავალი მეფის სამყოფი,

რომელსაც ხელეწიფების დათრგუნვა დროის გრიგალთა,
ვის ხელშიც სივრცის საზღვარი მოდრკა და გამოიკვალთა.

რომელსაც ჰმონებს ქვეყანა, მისთა სიტყვათა გამგონი,
რომლის ბრძანების ნიშანზე იცვლება ზოდიაქონი.

ვინც მეფობს თევზთა სიღრმიდან ფრთოსანთ კამარის თაღამდე,
ვინც ბრძანებს, როდის გათენდეს, ან როდის უნდა დაღამდეს.

ვისგანაც მზე ვიწყალობე, ვისგანაც შვება ვიმადლე,
და ვინც ჩვენს თვალთა უპეში ჩამდგარა, როგორც სინათლე.

ვის თავზეც ბუდობს ჰომაი – ბედნიერების ფრინველი,
ვინც არის დედამიწაზე წყალობის მიმომფინველი,

და რომლის ბადალ მარგალიტს არა ჰფლობს ზეცის ნიჟარა,
ვინც სხვა ქვეყნების მეფენი მხევლებად შემოიჯარა;

ვინც ჯემშიდსა და ფერიდუნს დარჩათ მემკვიდრედ, უბადლოდ,
ვისაც ამ ქვეყნის სვე-ბედი მარადის უნდა ვუმადლოთ,

ვინც* ისქანდერის ადგილი შეავსო, მეფურ ღირსებით,
ვინც გვწყალობს თავის სიუხვით, ვისი მადლითაც ვივსებით.

ჰეი, მუტრიბო, მაღირსე კვლავ შენი ჰანგის მშვენება,
სანამ ამ მუხთალ სოფელში ჩემი მზეც ჩაესვენება.

მოდი, სიმთვრალით დაბინდულს, შენი ხმა მესალბუნება,
მომისწარ, სანამ დამნაცრავს სატრფოს ნაზ თვალთა ცთუნება.

ამ ქვეყნის ოღროჩოღროებს ვერავინ ვერ განერიდა,
გზას ზოგი ფარ-ხმლით მიიკვლევს, ზოგი კი – ყალმის წვერითა.

* ალექსანდრე მაკედონელი

მოდი, მუტრიბო, მასმინე ჰანგები ახალ-ახალი,
სიმღერით შეატორტმანე ზეცის გუმბათი მაღალი.

ქვეყანას მოსდე ამბავი, რომ ვერვინ დამედარება,
რადგან ზეგარდმომეველინა უფლის შეწევნის ხარება.

მოდი, მუტრიბო, მალხინე და განმიქარვე ნაღველი,
მასმინე ტკბილი ღაზალი სევდათა გადამლახველი.

მოთხარე დარდის ფესვები, ჩემს გულში გადახლართული,
რომ ველარ ვგრძნობდე ვერაფერს შენი სიმღერით გართული.

მოდი, მუტრიბო, მაამე მაგ შენი რუდის თაფლითა,
დარდის სიშმაგემ ეს გული სანამ მთლიანად დაფლითა.

ვარ მონატრული შენი ხმის, არ მსურს მოსმენა არვისი,
დავტკბები, როგორც ბარბადის ჰანგით ტკბებოდა ფარვიზი.

მოდი, მუტრიბო, სიმღერით გააპე ბაგის მარჯანი,
იდუმალების სავანეს ჩამოხსენ ფარდა-ფარჩანი.

ერთბაშად ამოაფრქვიე ის, რაც აქამდის ინახე,
გულში ნაგუბარ ხმას მიეც საიალაღე სილაღე.

ზეცად შეყრილთა ვარსკვლავთა დავლური დაავლევინე,
ასპიროზს საზის სიმები დააწყვეტ-დაალევინე.

აღაგზნე სუფი – დერვიში საუფლო გზაზე მავალი,
შენ იყავ მისი მეგზური შემწე და შუამავალი.

სიმღერის რაშზე შემოსვი, მიაშვებინე სადავე,
მიაკვლევინე სრულყოფის დასაბამი და სათავე.

ჰეი, მუტრიბო, გახელდი, არ დაიშურო საკრავი,
სიმღერა იყოს სალხინო, ცაში კამარანაკრავი.

რა თვალთმაქცობას გვიქადის ეს ჩვენი წუთისოფელი?
ყოველი ღამე შავბნელი არის შავი დღის მშობელი.

თანდათან უფრო მაოცებს საწუთროს ჩარხის ტრიალი,
ხვალ ნეტავ ვის ჩაიხუტებს ეს შავი მიწა ტიალი.

რისთვის ანთებენ ჩირაღდნებს, ვისთვის ილევა სანთლები?
ვისთვის ან რისთვის ვინაღვლი, ანდა ვის რას ვემართლები?!

მოდი, მუტრიბო, მიხსენი უბადრუკი და ძაბუნი,
მხოლოდ შენ იცი ამ გულის დარდის და სევდის სალბუნი.

მეორედ მოსვლა დამდგარა, მოწვიმს ავდარი ისართა,
წვეთ-წვეთი სისხლი თანდათან წარღვნაში გადაიზარდა.

ჰეი, მუტრიბო, ნუ უსმენ საომარ ბუკს და ნაღარებს,
ამ სისხლისღვრაში შენ მხოლოდ ხელადის სისხლი დაღვარე.

ალხინე მსმელი, რომელიც მხოლოდ შენს ნუგეშს ენდობა
და ჩვენგან წასულ მეგობრებს აწვდინე ჩვენი შენდობა.

აბდ-ორ-რაჰმან ჯამი
XV ს.

* * *

ჰე, მერიქიფევ, მომაწოდე ის დიდი ჯამი,
ჩემს არსებას რომ განმაშორებს, თუნდ ერთი წამით,

ჩემში რომ დაშლის თიხისა და წყლის შენაერთებს,
აღმამაღლებს და უზენაეს სულთ შემაერთებს.

მოდი, მუტრიბო, ააკვნესე შენი ლერწამი,
ის ხმა მასმინე, რომლისთვისაც მიწყივ ვეწამე,

რომ ამ მდაბალი ბუნაგიდან გამოვმზეურდე,
და დავრდომილი მას შეუვრდე და ავზეურდე!

* * *

ჰე, მერიქიფევ, ანთებული ღვინის ფიალით
გარდამავიწყე ამა ქვეყნის ორომტრიალი.

შენ ამ ზვირთებში სიმტკიცე და ძალი მომანდე,
რომ სამშვიდობოს გავიყვანო ჩემი ხომალდი.

მოდი, მუტრიბო, ჩანგს ჩამოჰკარ ბროლის თითები
და ის გლახაკი მოიხსენე ქება-დიდებით.

ვინც ღამეები ცხოვრებისა ცის ქვეშ ათენა,
მაგრამ სამეფო გვირგვინი კი ფეხით გათელა.

* * *

ჰე, მერიქიფევ, ნუ მოგვაკლებ შენს გრძნეულ ჯამებს,
რომელნიც ნათელ დღედ გვიქცევენ ამ წყეულ ღამეს

და ამქვეყნიურ სიმრუდეში თვალს აგვიხელენ,
მაცდუნებელთა ხრიკებსა და გზას გაგვიმხელენ.

მოდი, მუტრიბო, ვით მკურნალი, ხედავ, ვინთებით?
და თითქოს მაჯას გვისინჯავდე ფრთხილი თითებით,

ისე შეახე ჩანგის სიმებს მთრთოლვარე ხელი,
რომ გულს, დასერილს, დაუამო ჭრილობა მწველი.

* * *

ჰე, მერიქიფევ, ჩვენს გათანგულ გულებს მოხედე,
ლალისფერ ღვინით გაგვინათე ეს ჯოჯოხეთი.

როგორც ბროლის თასს გამოსჭვივის ღვინის ელფერი,
ჩვენც გამჭვირვალედ, ხამს, გვაქციო, ვით ბროლს შეჰფერის.

მოდი, მუტრიბო, სალაღობოდ მომართე ჩანგი,
ბრძოლის ყიჟინა შეგვიცვალე მშვიდობის ჰანგით.



* * *

ჰე, მერიქიფევ, ღვინის ცეცხლი აღაგზნე ისე,
რაც ჩვენში არის უვარგისი, დაიწვას მყისვე.

რაც რამ ოქრო გვაქვს, დაიფეროს და გახალასდეს,
სხვას, დანარჩენს კი – დაბუგვა და დაწვა არ ასცდეს.

მოდი, მუტრიბო, მაგ სალამურს ქარის სიავით
ჩაუბერე და ყოფნის ხვავი გაგვინიავე.

ქარს გაატანე, ნალეწი და ჩელხი რაც არის,
რომ სულის ფრინველს ასაკენკად დარჩეს მარცვალი.

* * *

ჰე, მერიქიფევ, მომიტანე დამდნარი ლალი
და ბროლის ჯამში ჩასვი, როგორც ძვირფასი თვალი.

მოდი, მუტრიბო, ჩანგს ჩამოჰკარ თითები ისე,
სიმღერის ეშხით რომ დააწყდეს სიმები მყისვე.

* * *

მე ყოველ დილით მივდივარ ბაღში
და თან მიმყვება ამალა დარდის,

კვირტივით ვიგლეჯ თმენის საყელოს,
მოუთმენლობის ცრემლები დამდის.

ვუხმობ და ვიკრებ სათუო ფიქრებს,
რამე ამბავი მაცნობოს იქნებ

მიწიდან ახლად ამოსულ ვარდმა –
მიწაში ახლად ჩასული ვარდის.

* * *

გარდიქეც სანთლად და დაიწვი, როგორც სანთელი,
რათა მოჰფინო სხვათა ლხინს და ნადიმს ნათელი.

ავსა და კეთილს შენ მიაგე მხოლოდ კეთილი,
უმეგობრე და ნუ იქნები გულჩაკეტილი.

გარდიქეც ღრუბლად, რომ იწვიმო და წვიმის დარად
სარეველას და ვარდს თანაბრად ეპკურო ცვარად.

* * *

გული – წყაროა, ლექსი – გულის წყაროს წყალია,
ლექსის ამღვრევა – ამღვრეული გულის ბრალია.

ხამს, დაყოვნებით იყოს სიტყვა შენს მიერ თქმული,
გმართებს, ყოველი მწიკვლისაგან განწმინდო გული,

ამა ქვეყნიურ ფორიაქში რომ შეძლო მშვიდად,
წმინდა გულიდან მარგალიტი მიიღო წმინდა.

ღაზალები

* * *

თუმც უჩინარ ქმნილს ვეღარა გჭვრეტ, ვითარცა წინათ,
არ ვსტირ, რამეთუ სულსა შინა მოგაგე ბინა.

უშენოდ შთენილს მომეძულვის ქვეყნად სიცოცხლე,
უშენოდ ყოფნა არყოფნაა, მაცოცხლოს ვინა?!

ვნატრობ შენს გზაზე მტვრად და მიწად გარდამაქცია,
რათა ფეხთ ქვეშე გაგეგო და დაგიხვდე წინა.

დღეს შენს წინაშე თავგანწირვის ჟინი მეახლა,
დამეც მახვილი, ორლესული, მზეზე რომ ბრწყინავს.

ყოველი გული შენს ტრფობაში თავის ხვედრს ჰპოვებს,
მახვილი შენი ამა ქვეყნად ვინ აიცდინა?!

მე წილად მერგო სიმძიმილი, ჭმუნვა და დარდი,
მაგრამ ეს მძიმე განსაცდელი შევიტკბე ლხინად.

ამ დარდმა **ჯამი** დალეწა და გაანადგურა,
მე ეს გითხარ და დანარჩენი შენ იცი, ფრთხილად!

* * *

ჰე, მერიქიფევ, სადა ხარ, გელი, მომეცი ღვინო, გამიშრა ყელი,
მუტრიბო, მწველი ხმა გამაგონე, სანამ მომისწრებს სიკვდილის ცელი.

სატრფოს მშვენებით გავითანგები და აღვივსები ჩანგის ჰანგებით,
ნულარ მაშინებთ მკაცრი განგებით, უკვე მომბეზრდა ზღაპრები ძველი.

ჩემს სულს დაეხშო სიმშვიდის კარი, მიჯნურს ვინ მისცა დღეები წყნარი,
მაფორიაქებს ვნებათა ქარი და დარდმა ერთობ დამრია ხელი.

გული სატრფოსკენ გადავისროლე და მის სავანის კართან მისული
ვიქმენ დაჭრილი და დაისრული და ავისრულე წადილი მწველი.

ის, ვინც სურვილთა კიდეებს გასცდა, ვისაც არ ძალუძს კმარების განცდა,
იგი ვერ მივა სიკეთის განძთან, ვერ მიუწვდება იქამდე ხელი.

ჯამი, ნუ ეძებ სატრფოს სანახებს, შენ იმის სახეს ვინ დაგანახებს,
გახსოვდეს, ნანატრ ბჭეებს განაღებს ოდენ მოწყალე საქმენი ქველი.

* * *

წუხელ უეცრად გამახსენდი და სისხლად დამდინდა ცრემლების ღვარი,
სანთელმა ჩემი წვა რომ იხილა, მე დამტიროდა მოთქმით და ზარით.

განა რად სტირის საღვინე სურა, სისხლივით ცრემლი რად მოიწურა?!
ის ბაგეები თუ მოისურვა – ფერით ვარდების და ღვინის დარი.

ოდეს ცის კიდე მტრედის ფრთებს ისხამს, ვარსკვლავთა წვიმა
შევნიშნე სისხამს
და მივხვდი ზეცის საწუხარს, ის ხომ ჩემს დარდს სტიროდა
ვარსკვლავთა ცვარით.

განა ცა წვიმდა ლეილის ბაღთან, გულქვა საწუთრო გულჩვილი გახდა,
მუდამ მაჯნუნის დარდი რომ ახლდა, მიტომ სდიოდა ცრემლები მწარი.

შირინს კართან რომ ჩაუდიოდა, იმ ღარში განა რძე მოდიოდა,
იქ მარტოდენ ცრემლი დიოდა – ფარჰადს სტიროდა მთაცა და ბარიც.

წუხელის ჯამი, ნაღველით სავსე, განშორებისგან ნატანჯი ასე,
ისე მოსთქვამდა, რომ თვითონ მასვე მიაქანებდა ცრემლების ღვარი.

* * *

მახედ ქცეულნი, მაკავებენ შენი კავები,
ნანადირევად რომ გავები, შენი კავები.

შენი კავების კაკანათში ებმიან გულნი
და მათი ჟინით კანკალებენ შენი კავები.

მელირსა, გავხდი იმათ მიერ შენაკავები,
შენს მონას მკლავენ მაგ მკლავებით შენი კავები.

შენი ღაწვების განთიადი სულ სხვაა, ოდეს
მუშკის ნიღაბით აღამებენ შენი კავები.

მშფოთვარე გულებს გასაოცრად იმორჩილებენ
მართლაც კავ-ანკესს ნამგვანები შენი კავები.

მთვარეზე მაღლა უკავიათ ადგილი მშვენი,
მიკვირს, თავს როგორ იკავებენ შენი კავები.

მე ბედნიერად მითენდება, თუმც გამუდმებით
მაგ უკუნეთში მაკავებენ შენი კავები.

* * *

აი, წალკოტი, რომელსაც ვეძებ... აქვე ანკარა წყაროს წყალია,
ჰე, მერიქიფევ, წამოდექ ზეზე, ახლა მარხვისთვის ვისა სცალია.

თუ შეიხს მოსწონს ტაძარი წმინდა, ლოცვისგან თვალნი თუ დაებინდა,
მე ღვინის სარდაფს ვეწვიო მინდა, რადგან ტკბილია, რაც ნაკრძალია...

ჯამის ბაგეს რომ ახლე ბაგენი, ამემღვრნენ თვალნი, დასადაგენი,
და შენს ბაგეებს ვერ მივაგენი – ღვინოც და ბაგეც ორივ ლალია.

მაგ შენი შავი ზილფის კავები, ასე უწყალოდ შიგ რომ გავები,
მახეა – გულთა გასაკავები, შიგ რომ გვიტყუებს – შავი ხალია.

ჩემს განსაგმირად რად გინდა ხმალი, კეკლუცად ერთხელ შემავლე თვალი
და გაიპობა ეს გული მთვრალი – დარდის ბუდე და სევდის გალია.

მათ, ვინც ბრძანებენ, რომ ბრძენნი ვართო, ამ გრძნობის არსი არც განუმარტო,
რადგან ამ ლხინში ის არის მარტო, ვინც სიყვარულში სული დალია.

თავდავიწყების მეახლა ჟამი, რად მინდა ღვინით აღსავსე ჯამი,
როდესაც შენი ეშხისგან **ჯამი** ღვინის გარეშეც მუდამ მთვრალია.

* * *

რაღას გეტყვი განშორებით მკვდარი,
ვით მტანჯავდა დარდის ნიაღვარი.

თავი ჩემი შენ გაქელე ფეხით
და განმიღე ცის მეშვიდე კარი.

მგზავრთა შორის ზღაპარივით მავალს
შუა გზიდან მაქცევინე მხარი.

შენი ბაგის ბადაგისგან დამთვრალს
რაღად მინდა ღვინო ქვევრში მდგარი.

სიყვარულში თუკი გაღარიბდი,
რას გიშველის განძი ათასგვარი.

მე დავმდაბლდი შენს ძაღლებზე მეტად,
მათზე მეტად ერთგული და მყარი.

ნუ მიიჩნევ ჯამის უცხო ძაღლად,
ნუ გამაგდებ გარეთ შენი კარით.

* * *

მოველ ყარიბი, დავრდომილი, შენგნით დამდნარი,
ლამაზთა ქალაქს ნთქავდა მიჯნურთ სისხლის ავდარი.

შენს სიყვარულში დავსნეულდი, მოკრბნენ მკურნალნი,
ეცადნენ, მაგრამ ვერ ჩამიქრეს გული ღადარი.

შენ ამა ქვეყნად მრავალს ჰპოვებ ჩემნაირ მიჯნურს,
მაგრამ მე რა ვქნა, სხვა ვინ ვპოვო შენი სადარი.

ვერ შეველევი შენს სამყოფელს, თუნდაც ვიცოდე,
ჩემს განსაგმირად რომ რაყიფთა ჯარი მზად არი.

ვინ უგალობოს შენი სახის ახალ გაზაფხულს.
ჯამის სადარი იადონი ქვეყნად სად არი.

* * *

გამოდი გარეთ, ფეთქავს ბალახი, მწვანედ ბიბინებს ხასხასა ველი.
ბაღში მიჯნურთა ფეხით სათელად გამოუწვდიათ ყვავილებს ყელი.

ცხოვრება ნიავს არ გაატანო, ულვინოდ დღეც კი არ გაატარო,
ახლა, როდესაც ასე ჰქრის სიო და ვარდად ღვივის ეს ღვინო ძველი.

იქმარე ბაღში ბულბულის ჰანგი, სმის დროს ნუ გინდა საზი და ჩანგი,
თორემ მუჰთასიბს ვერსად წაუხვალ და ჩაგშხამდება ეგ ლხინი მთელი.

ყვავილებს ხელში უპყრიათ თასი ლალისფერ ღვინით პირამდე სავსე,
შენც გალაღდი და გაიალაღდი და დაიმშვენე ფიალით ხელი.

ვინც სიყვარულის მონები გავხდით, ისე აღვზევდით, ისე ავმაღლდით,
რომ ჯემშიდის და ფარვიზის ტახტი გვიჩნს, ვით უბრალო
გათლილი ძელი.

მუტრიბს არ მისცე დუმილის ნება, მიეალერსე, აღუნთე ვნება,
რომ ზოჰრესავით გადახსნას შუბლი და შეგაწიოს სიმღერა მწველი.

შენ ჩვენი თავი ნუ გებრალება, რადგან მიჯნურთა ტანჯვა-წვალება
ამასთანავე არის დიადი და სანეტარო სიამის მგვრელი.

ოდეს სიწმინდის ზეიმზე ლხინობ, ამპარტავნობის არ შესვა ღვინო,
თორემ ჩაგითრევს ჩუმი მორევი და სიამაყის ნაგლეკავს ჩქერი.

ჯამის სიმღერას არ ეყო არე, უკვე დაიპყრო ხორასნის მხარე,
აჰა, საცაა დადგება კიდეც ერაყისა და თავრიზის ჯერი.

* **

ორი კვირაა, რაც არ მინახავს მე ჩემი მთვარე ორკვირეული,
საით წავიდე, ან ვის შევჩივლო დარდი, მალულად გულს ჩახვეული.

თითქოს თვალებში ჩამესხა რვალი, ძილისთვის მაინც არ შემწევს ძალი,
რომ იქნებ სიზმრად გეღირსოს თვალი – ძილსა და სიზმარს
გადაჩვეული.

ჰეი, მებაღევ, იწამე ღმერთი, ჩემს მტილოვანში შემიშვი ერთი,
რათა ვიხილო ზეიმი ფერთა და დავიამო გული სნეული.

ო, თვალნო ჩემნო, გახსნილნო ფართოდ, ნუ ფანტავთ ცრემლებს
უმისამართოდ,
ეს მარგალიტი, მე მინდა, მარტო, მის ფეხთ ქვეშ ვფანტო, ვით
განძეული.

მიფრთხება გული, როგორც ირემი, უფრო ვხელდები, უფრო ვირევი,
მსურს გავხდე შენი ნანადირევი, მახედ დამიგე ზილფის ხვეული.

ჯამი, შენ ასე დიდხანს ვერ ივლი, დაოსებული, გულდასერილი,
სისხლით მისწერე სევდის წერილი დარდიან გულში ვერდატეული.

* * *

მე სიყვარულმა გადამქელა, გრძნობის მთხოვნელი,
მეტი რაღა ვთქვა, მე იმისგან მეტსაც მოველი.

არა რა იცის გულმა, გარდა სიყვარულისა
და ბუდობს გულში გრძნობა იგი, სისხლის მწოველი.

მასთან ყოფნის და ლხენის დილა მე მეადვილა,
აწ, განშორების ღამეს, მიმძიმს ქვეყნად ყოველი.

სიზმრად გიხილე, შენთან ვიყავ ჩახუტებული,
გამომაფხიზლა ბედმა შენთან ყოფნის მდომელი.

შენგან სნეულებს ერთხელ მაინც ხომ ინახულებ?
ის მასნეულებს, რომ ყოველ წამს ამას მოველი.

და **ჯამი** – შენგან აწ მათხოვრად გარდაქცეული,
დაეხეტები, მხოლოდ შენი ხილვის მთხოვნელი.

* * *

მიჯნური ვარ, უძლური ვარ, უღვთოდ განწირული ვარ,
უმეგობროდ დარჩენილი დარდში ჩაძირული ვარ.

მზის შუქსა და ღამის სიზმარს სიყვარულთან რა უნდა,
უმზეო და უღამური სადღაც გარიყული ვარ.

ხან ყურს ვუგდებ კარის ჭრიალს, ხან გზას გავცქერ შორეულს,
შენს უეცარ გამოჩენას ველი, განაბული ვარ.

ვით დაცლილი ღვინის ჯამი, ისე გამომეცალე,
სისხლით სავსე სასმისი ვარ, ნაპირს გადასული ვარ.

ტანო, ალვად აშოლტილო, შენი ჟინით ვნებული
ბაღში ალვებს ვეტმასნები, რტოებგადაბმული ვარ.

სული მეტყვის: ჯამი, ჩემგან ღვთის სამსახურს ნუ ელი,
რადგან კერპთა სილამაზით მოჯადოებული ვარ.

რობაიები

* * *

ამ სავსე თასებს, აღურიცხველს გონით და ენით,
მისთვის კი არ ვცლი, რომ აღვივსო ნეტარი ლხენით.
დღე გამიშავა შენთა თვალთა ულვთო სიშავემ,
ვსვამ, რომ ღამემდე მივათრიო ეს შავი დღენი.

* * *

ძალმიძს, ვაქციო ქვა მეწამულ ბაგეთა ფერად
და მივცე ვარდის სურნელება ბალახებს ველად,
ძალმიძს, რომ ურჩხულს გამოვტაცო გულის წადილი,
მაგრამ შენ ვერსად მოგიხელთე ქცეულმა ხელად.

სალამან და აბსალი

აქა სალამანისა და აბსალის ამბის დასაწყისი

იყო საბერძნეთს ერთი მეფე ქველი, ქებული,
ისქანდერივით დიდებული, განდიდებული.

აღზევებულთა შორის ჰყავდა მას ერთი ბრძენი,
ფრიად სწავლული, ყოვლის შემძლე, გონით და ენით,

რომელსაც სიბრძნის სრა-სასახლე აეგო, მყარი,
და გარს ეხვია შეგირდებად სხვა ბრძენთა ჯარი.

მეფემ იცოდა მისი ფასი და დღით თუ ღამით
არ იშორებდა მას გვერდიდან არც ერთი წამით.

მისით დაიპყრო მან ქვეყანა ყაფით-ყაფამდე,
მტერთა რაზმები ძლეულ იქმნენ და სულს ღაფავდნენ.

ასეა, მეფეს თუ არ ახლავს მრჩეველი ბრძენი,
სამეფოს მისას შეერყევა ფუძე და ბჭენი.

არ აღსრულდება ბრძანებანი მეფისეული,
უსამართლობა იქ იქნება წესად ქცეული.

სამართალსა და ბოროტებას არ გაჰყოფს ზღვარი,
მართლმსაჯულებას უგზო-უკვლოდ ექცევა მხარი.

ასე თანდათან დაინგრევა სამეფო სრული,
უცხო ზმანებად გარდიქცევა რწმენა და რჯული.

რა კარგად უთქვამს რომელიღაც გრძნეულის ენას:
„სამართალია ქვეყნის ფუძე და არა რწმენა.

სჯობს მეფე, თუნდაც უღვთო, ოღონდ მართლად მსაჯველი,
ვიდრე მორწმუნე, მაგრამ თავის ხალხის მტანჯველი“.

აქა სვებედნიერი მეფისაგან შვილის შეძენის სურვილის გამომჟღავნება და ბრძენის აზრები ამ საკითხზე

ოდეს იმ ბრძენმა განუმტკიცა ქვეყანა ტახტად
და მეფე იგი, მართლაც, ქვეყნის მპყრობელი გახდა,

კვერთხი, გვირგვინი, ტახტი ბედის ხონჩით მიერთვა,
ისქანდერივით განდიდდა და გაბედნიერდა.

მის ქებად ფუჭად დაშვრებოდა ყველა მგოსანი,
მის ჩრდილს ჰმონებდა ყველა მეფე – გვირგვინოსანი.

ესდენ უნაღველოდ გაელია ცხოვრება იქნებ,
მაგრამ უეცრად, ერთ საღამოს, მიეცა ფიქრებს:

თუმც უმაღლესი ნეტარების ბჭესთან მისულა,
თუმც აისრულა ამა ქვეყნად რაც რამ ისურვა,

რაც რამ ინატრა, ყოველივე, იმ ერთის გარდა,
რომ ძე არ ესვა და ეს ჰქონდა ერთადერთ დარდად.

არ ჰყავდა ვაჟი, რომ ელხინა, ცოცხლობდა ვიდრე,
არ ჰყავდა ვაჟი – ამ დიდებულ ტახტის მემკვიდრე.

ამ საფიქრალმა დაუბინდა მას სიხარული
და ბრძენს გაანდო მან ნაღველი, გულში ფარული.

ბრძენმა მიუგო: ჰე, მეფეო, წადილი შენი
არის ნამდვილად კეთილშობილ ზრახვათა მჩენი.

ჭეშმარიტია შენი თხოვნა, შენი ვედრება
რადგან შვილს ქვეყნად ვერაფერი ვერ შეედრება.

ის არის კაცის სიხარული, კაცის ნაღველი,
მას ძალუძს, ქვეყნად რომ განაგრძოს კაცის სახელი.

მან განგიქარვოს დანისლული გული ურვილი,
მან აღასრულოს შენი ზრახვა, შენი სურვილი.

სანამ ცოცხალ ხარ, გაგინათოს სიცოცხლის დღენი,
აღარ იქნები – ააყვავოს სამარე შენი.

სიბერის წლები თუ დაედო მკლავებს ხუნდებად,
მას შეხედავ და სიჭაბუკე დაგიბრუნდება.

ვერრას დაგაკლებს მისი შიშით მოსისხლე მტერი,–
მისგან დარჩება მარტოოდენ მიწა და მტვერი.

აქა ბრძენისაგან კილვა ავხორცობისა, ურომლისოდაც შვილის გაჩენა შეუძლებელია

ხელმწიფე, რჩევის მოლოდინში, გარდიქცა სმენად,
ბრძენი დაფიქრდა მცირე ხნით და ეს მოახსენა:

ჰოი, მეფეო, ვისაც ქვეყნად მემკვიდრე ნებავს,
იძულებულ არს, რომ ემონოს ავხორცულ ვნებას.

ავხორცობისგან იბინდება გონი და აზრი,
მისით ჩლუნგდება აზროვნების მახვილი ბასრი.

თვალს ეკარგება მხედველობის უნარი სრული
და ანგელოსად ეჩვენება ბოროტი სული.

თვალებს სინათლე წაერთმევა, გულს კი – გონება,
მთელი არსება ვნების ეშმას დაემონება.

ბედნიერების სრა-სასახლეს და წალკოტს გაშლილს
ვნებათაღელვის ნიაღვარი წალეკს და დაშლის.

გზა ვნებისა და ავხორცობის – შლამია მხოლოდ,
თუ შიგ ჩაეფალ, იქ დარჩები ბოლოს და ბოლოს.

კაცმა რომ მოსვას ვნების ღვინის თუნდ ერთი წვეთი,
ეამება და მოუნდება იმწამსვე მეტი.

ცოტ-ცოტაობით შეჰყვება და აღარ ეყოფა
და პატივსმყოფი დაეცემა და დაემხობა.

ვნების შარბათი ტკბილია და იცის ჩათრევა,
გახსოვდეს მუდამ, რომ სიფრთხილე გმართებს ადრევე,

თორემ, როდესაც შეგაპარებს სავსე ფიალებს,
უცებ დაგძლევს და აქეთ-იქით გაწოწიალებს.

და სანამ შენთვის არ დადგება არყოფნის ჟამი,
მანამდე მისი ყმა იქნები დღისით და ღამით.

აქა ბრძენისაგან დიაცთა კიცხვა, რომელნიც ავხორცობის
ბუდენი არიან, მაგრამ რომელთაგან იშვიან ყრმანი

ჟინი, ვნება და ავხორცობა მიგიყვანს ქალთან,
დაგაბრმავებს და დაგიყენებს ორთავე თვალთა.

ქალისთვის ას წელს ღამეებს რომ თეთრად ტეხავდე,
ოქრო-ვერცხლითაც რომ შეკაზმო თავით-ფეხამდე,

ოქროს შანდლები რომც აუნთო ასი ათასი,
მისცე რჩეული ფარჩეული, დიბა-ატლასი,

რომც არრა ჰკადრო მის ყურს, ლალის საყურის გარდა,
რომც დაუკიდო სასთუმალთან ძვირფასი ფარდა,

რომც მსახურებდე, თაყვანს სცემდე მორჩილად, მდაბლად,
ნუგბარ-ნუგბარი კერძებით რომ აღუვსო ტაბლა,

ნასადილევზე რომ გიბრძანოს, მწყურვალი ვარო,
ძვირფასი თასით რომც მოართვა ქავსარის წყარო,

მეფური ხილი რომ მოგთხოვოს, რომც არ დაზარდე
და მოუტანო ხილი ზღაპრულ ბაღში ნაზარდი,

ეს ყოველივე მისთვის მაინც არაფერია,
მადლიერება მის დავთარში არა სწერია.

შემოგწყრება და მთელ შენს ამაგს წარიღებს ქარი,
დიდსულოვანი, ვის უნახავს ამქვეყნად ქალი?

გინდ მისი სახე წმიდა დაფის იყოს ბადალი,
ზედ ვინ იპოვოს ერთგულების სიტყვა მართალი?

ქალი, რომელსაც სწამდეს ფიცი და ერთგულება,
ვის ჰყავს ნანახი ან ამ ქვეყნად სად ეგულება?

რომ არ ებუროს ვერაგობის მაცდური ფარდა,
სხვა საფიქრალი ჰქონდეს რამე, ღალატის გარდა.

რომც გაატარო მასთან ერთად მრავალი წელი,
გაკავშირებდეს სიყვარულის ალერსი მწველი,

ერთი წამითაც რომ განშორდე, სიყვარულს, მტკიცეს,
დაივიწყებს და იმავ წამში ნიავ-ქარს მისცემს.

თუკი მოხუცდი და სიბერის ტვირთმა დაგძალა,
ეჰ, იცოდე, რომ ქალმა უკვე სხვაზე გაგცვალა,

ბრგე ჭაბუკს ვინმეს შესთავაზა ადგილი შენი
და მას განუხვნა სანეტარო სიამის ბჭენი.

აქა ბრძენის მიერ მეფისათვის ქალების დაუხმარებლად ვაჟის შეძენა და მის აღსაზრდელად ძიძის აყვანა

ოდეს იმ ბრძენმა ასე დაჰგმო დიაცთა ჯიში
და მეფეს გულში ჩაუსახა მათდამი შიში,

ადგა და თვითონ სასწაული იწყო მისნური,
ვერვინ მიუხვდა, თუ რა ჰქონდა მას გამიზნული.

აღიღო თესლი, მყუდრო ბინა მას განუმზადა
და ცხრა თვის შემდგომ იშვა ვაჟი, მშვენი, უზადო.

არვინ უწყოდა, სასწაული მოხდა როგორი,
მეფის ვარდნარში გაშლილიყო უცებ კოკორი.

მეფის გვირგვინი კიდევ უფრო ბრწყინვალე გახდა,
უფრო ამაღლდა, განდიადდა სამეფო ტახტი.

ბავშვმა თვალები ვარსკვლავებად რომ გაახილა,
პატარას, მყისვე, სალამანი მისცეს სახელად.

რომ არ ჰკლებოდა ყრმას დედის რძე, სითბო, ალერსი,
ძიძად უშოვეს ერთი ქალი ულამაზესი.

არ იქნებოდა ოცი წლისაც, აბსალი ერქვა,
სახე – მთვარე და სხეული კი – სიცოცხლის ფეთქვა.

ყოველი ნაკვთი დახვეწილი, სარო-სხეული,
ნაზი, მსუბუქი, ატყორცნილი და მოქნეული.

თმის განაყოფი თხემს გადასდევს ვერცხლისფერ ზოლად,
მის აქეთ-იქით ფაფუკი თმა მუშკივით ბოლავს.

მაჯების სიმსხო ნაწნავები სცემდა კოჭამდე,
რომელნიც მნახველთ სიყვარულის ხუნდით ბოჭავდნენ.

საროდ აშოლტილს მთვარედ ადგა სახის ნათელი,
მეფეთა ჯიღა მისი ფეხით იყო სათელი.

მას შუბლი ჰქონდა სარკესავით და გაყოლებით
წარბები აჩნდა ისე, როგორც ჟანგის ზოლები.

მიბნედილ თვალებს ერეოდა თითქოსდა ძილი
და ზედ ეფინა მოცახცახე წამწამთა ჩრდილი.

ყურები ჰქონდა, ვით სადაფი, ნიჟარა წყვილი,
რათა ექცია მარგალიტად სიტყვები ტკბილი.

კბილები ჰქონდა – მარგალიტის უზადო რიგი,
ლალის კოლოფში ინახავდა ამ მძივებს იგი.

ბაგე – უტკბესი, ვიდრე თავად ეგვიპტის ყანდი,
მრავალ მნახველს რომ გაუჩინა ჭმუნვა და დარდი.

ყელს შეხედავდი, სურააო, იტყოდი, ვერცხლის,
ქანდაკი იყო, მაგრამ გულში ბუდობდა ცეცხლი.

წყლის ზედაპირი თუ გინახავთ, უძრავად მდგარი,
რომელსაც დაჰბერს უცაბედად ძლიერი ქარი.

და ზედ ბუშტებს რომ აათრთოლებს, სინაზით სავსეთ,
აბსალსაც მკერდზე ძუძუები უთრთოდა ასე.

ქვემოთ მუცელი, მოციმციმე და საამური,
ვით სპილოს ძვალი, ლბილი, როგორც სიასამური.

ნახავ და არრა მოგინდება, ალერსის გარდა,
კოცნის სურვილი იმა ქვეყნად წაგყვება დარდად.

იმ მუცელს ქვემოთ.. მაგრამ სჯობს, რომ შევწყვიტო სიტყვა,
მის მშვენებაზე ის ვიკმარო, რაც უკვე ითქვა.

დე, ამ სხეულის სხვა ნაწილებს ფარდა ფარავდეს
და საიდუმლოდ დარჩეს იგი აწ და მარადის.

აქა სალამანის მშვენიერების სრულქმნა, აბსალისაგან მისდამი სიყვარულის გამომჟღავნება და მაცდურობანი მისნი სალამანის დასატყვევებლად

ოდეს შეიქმნა სალამანი ლაღი და მშვენი,
მისმა სიტურფემ გადალახა სრულყოფის ბჭენი.

ნაზად ნაზარდი აეშოლტა ტანი საროსი
და სახის წალკოტს დაეკვება მზე და ტაროსი.

და თუ აქამდე უმწიფარი იყო ნაყოფი,
დროზე მომწიფდა, სილამაზის მზეში ნამყოფი.

და აბსალს ეგზნო სასურველი ხილის სურნელი,
ვერ დაიურვა მან ურვილი გულის სურვილი.

მაღალ ტოტს ესხა სამწუხაროდ ნაყოფი იგი,
ვერ გააღწევდა ნდომის მოკლე ქამანდი იქით.

მაგრამ აბსალი, კეკლუცობით გულთა ამკლები,
განა მშვენებით სალამანზე იყო ნაკლები.

მაცდუნებელი სილამაზის სავსე ფიალა
მას შეაპარა და საქმენი დაატრიალა...

ხან წამოშლიდა მიმოკლაკნილ დალალებს კეხთან
და სველი მუშკით შავად ნაფერ ბორკილებს გრეხდა,

რომ ამ ბორკილთა ტყვედ ექცია ჭაბუკი ნორჩი,
მერე გახდიდა თავის ნება-სურვილის მორჩილს.

ხან იმის თვალნინ თმას გაშლიდა, გადივარცხნიდა,
ნაწნავს იქნევდა ხან მარჯვნიდან და ხან მარცხნიდან.

თითქოს ჩიოდა: „გული მწველი წადილით სავსე,
როდემდის უნდა იტანჯოს და ეწამოს ასე?“

ხან, თუმც მის სახეს არც უნდოდა რაიმეს წასმა,
მაინც თვალ-წარბზე მატულობდა სურმა და ბასმა.

მონადირება მისი სურდა წარბთა მშვილდებით,
რომ მოელხინა, მოსვენებით და დამშვიდებით.

ირგვლივ გარემოს აბნელებდა ნასურმი თვალით,
რათა მის სატრფოს აბნეოდა გზაცა და კვალიც.

ვარდივით ღაწვზე იმატებდა ვარდისფერ ფენას,
რათა მის სატრფოს წართმეოდა თმობა და თმენა.

და დახატული ჰქონდა ღაწვზე პატარა ხალი,
რომ ამ საკენკით მიეზიდა ის გული მფრთხალი.

ზოგჯერ ღიმილის ყანდს აფრქვევდა იქით და აქეთ,
და მარგალიტის ყუთის მსგავსად გახსნიდა ბაგეთ.

რომ აეკინძა ტკბილ სიტყვათა წკრიალა მძივი
და მოეხიბლა სატრფოს გული, უცხო და ცივი.

ზოგჯერ საკინძეგაღეღილი იდგა მის გვერდით,
და ოქროს ბურთებს მაცდუნებლად აჩენდა მკერდი,

რომ ამ ხრიკებით წაერთმია მისთვის გონება
და შესძლებოდა დატყვევება და დამონება.

ასე სხვადასხვა ოინებით ჭაბუკს იწვევდა,
ხან სახელოებს გამომწვევად იკაპიწებდა,

რათა აღენთო იმის გულში ვნებათა ცეცხლი
შიშველი მკერდის ოქროთი და მკლავების ვერცხლით.

დააქროლებდა ტანს ალვისას ზევით და ქვევით,
ფეხებისა და თეძოების თრთოლვით და რხევით.

რომ დაეთრგუნა სალამანის გვირგვინი, განგებ,
ლამაზ წვივებზე წამოცმული რგოლების ჰანგებს.

ათასნაირი ხრიკებით და მაცდური გზებით
სურდა ჭაბუკი უფლისწული აღენთო გზნებით.

განთიადიდან მიმწუხრამდე, დღისით თუ ღამით,
სალამანს მარტოს არ სტოვებდა არცერთი წამით.

რადგან იცოდა, რომ მშვენებას ვერ უძლებს თვალი
და გულს აჩნდება სიყვარულის დაღი და კვალი.

მიჯნურის გრძნობა სატრფოს ხილვით თუ არ მდიდრდება,
ისე მის გულში სიყვარული ვერ დამკვიდრდება.

აქა აბსალისაგან სალამანთან მისვლა და იმათგან განცხრომის მიგნება ერთმანეთთან შეყრისა გამო

ოდეს სალამან განიმსჭვალა აბსალის ვნებით,
უმალ აღენთო აბსალს ბედის ვარსკვლავი გზნებით.

კვლავ განეახლა სიყვარული, დიდხანს რომ მალა,
და მიმქრალ იმედს მოეჭარბა სიმხნე და ძალა.

იგი შემთხვევას ეძიებდა, რათა დროებით
ეხელთა სადმე თავის მთვარე განმარტოებით.

რომ მის ბაგეზე დაეშრიტა თავის სურვილი
და მირქმეოდა იმა ბაგეთ, სულით ურვილი.

გამოხდა ხანი, სულმა კრძალვის ვანი დატოვა,
აბსალმა ღამით სალამანი განიმარტოვა.

ლანდად განერთხა, იმის ფერხთით ჩრდილივით გაწვა,
და წვივებს მისას სასოებით მიანდო ღაწვი.

აღივსო გზნებით ღირსეული იგი სალამან,
იჩინა თავი სიქველემ და მისმა ძალამან,

დასწვდა, პერანგად გულს აიკრა ჟინით მხურვალი
და ვნების წყაროს დაეწაფა შმაგი მწყურვალი.

ვნებათა ღელვას ცხელმა კოცნამ მისცა სათავე
და ორთა, სწორთა, მას მიანდეს გზნების სადავე.

კოცნიდნენ ერთურთს, მიეწებნენ ბაგეს ბაგენი,
აღევსოთ თასი სიამისა, სულს რომ აგემეს.

თუმც გრძნობა იყო ბაგეებით ნათავთავარი,
მაგრამ წინ ჰქონდათ მიჯნურთ საქმე, უფრო მთავარი.

აღიგზნო ვნება, მოტანილი აქამდე დარდად,
და ჩამოიხა იმათ შორის სირცხვილის ფარდა.

განიხსნა ხლართი მათ შორისი უკანასკნელი
და უფრო მჭიდროდ შეეკვანძნენ ერთურთს განსკვნილნი.

ის შაქარია უტკბესი და ჰა, რძეც აქ არი,
და ამა რძეში უცებ ჩადნა იგი შაქარი.

სასაზე შერჩა სულს შაქრიან რძის გემო ტკბილი
და მოეახლათ განთიადის საამო ძილი.

აქა სალამანისა და აბსალისაგან
ზღვაში გასვლა, აყვავებულ კუნძულამდე მიღწევა
და იქ მათგან ვანისა და სიმშვიდის პოვნა

გზად გაეშურა სალამანი აბსალთან ერთად,
არად ჩააგდო მოსანყენი რჩევანი ბრძენთა.

შეგონებათა განიშორა ბანგი და თანგი,
ზღვას მიეახლა და ნაპირთან ჩამოხსნა ბარგი.

ზღვა იყო დიდი, უნაპირო ზეცათა მსგავსი,
მის მკვიდრთ თვალები უელავდათ, ვით ვარსკვლავთ დასი.

გაჭიმულიყო ამა ქვეყნის კიდით კიდემდე
და წყალნი მისნი განუზომელ სიღრმეთ იტევდნენ.

ჰქონდა ტალღები შფოთიანი, მთებისოდენი,
ელტვოდა ნაპირს ამ ტალღათა მთების მოდენით.

თითქოს ვიდოდა ქარავანი ურიცხვ აქლემთა,
და გაშმაგებით პირქაფიან თავებს აქნევდა.

გაოცდებოდა თვალი ურიცხვ თევზთა მნახველი,
ელავდნენ, როგორც დაფერილი, ბასრი მახვილი.

გამჭრიახთათვის ეს ნათება ზღვას კი არ ჰგავდა,
ჩინურ აბრეშუმს თითქოს ვიღაც სირმით ჰქარგავდა.

ორად აპობდნენ წყლის ზედაპირს, კუდს რომ გაჰკრავდნენ,
თითქოს ჭრიანო ცისფერ დიბას ვერცხლის მაკრატლით.

ოდნავადაც რომ შეძრულიყო ფსკერზე ნიანგი,
დაინთქმებოდა ელდისაგან ცათა ციაგი.

მთლად ზღვას მოეცვა სალამანის თვალსაწიერი,
გზების ძიებამ შეუცვალა ჭაბუკს იერი.

ნაპირთან ნავი შენიშნა და არ ენდო თვალებს,
ზღვის სილურჯეში ჩანდა როგორც ახალი მთვარე.

მშვიდობით ჩასხდნენ ორნივე და სწყალობდათ ზეცა,
ახალ მთვარეში ერთად იყო მთვარეც და მზეცა.

იალქანსავსე შეტოკდა და დაიძრა ნავი,
გედივით გაჭრა ტალღები და ზღვას მისცა თავი.

მკერდით გააპო სიძნელენი შორი გზისანი,
მიაჩქარებდა გამალებით მგზავრთა მიზანი.

თუმც მშვილდსა ჰგავდა გარეგნულად ხომალდი იგი,
ისარზე სწრაფად გაარღვია ტალღათა რიგი.

ერთი თვის შემდგომ, ოდეს ზღვათა გააპეს ჩქერი,
ოდეს ქართაგან შეეცვალათ სახე და ფერი,

წააწყდნენ კუნძულს, დამშვენებულს აყრილი ტევრით,
მის ქებად ბევრი დაშვრებოდა მეხოტბე მჭევრი.

ფრთოსანნი ნაირ-ნაირნი და სხვადასხვა ფერთა
მთელი ქვეყნიდან შეყრილიყვნენ ამ ტევრში ერთად.

აქეთ ლამაზად მოგოგმანე გუნდი ჩიტების,
გვირგვინოსანი ხოხბები და ჭრელი გვრიტები,

იქით კი სხვანი, მგალობელნი, საამურები,
თითქოს ნისკარტში უპყრიათო სალამურები.

ხეთა რტოები ერთმანეთზე გადახლართული,
მათში ჩიტები, პაექრობის ჟინით გართული.

ყოველ ხის ძირას ხილი, უხვად ჩამონაყარი
და აღრეული ზოგი ხმელი, ზოგი ახალი.

ყოველ ხის ძირას წყაროს წყალი, ამო და გრილი
და ნაფლეთ-ნაფლეთ მიმოყრილი მზვარე და ჩრდილი.

რტოთა გაწვდილი ხელნი თრთოდნენ ქართა წინარე,
სავსე პეშვებში ვერ იტევდნენ ოქროს დინარებს.

ველარ შეეკრათ მჭიდროდ მუჭა, სავსე ფულებით
და თითებსშუა ეპნეოდათ განძი ულევი.

სამოთხის ბაღი, არხილული, თანაც როგორი,
თითქოს უეცრად გაშლილიყო როგორც კოკორი.

თითქოსდა ნიღაბჩამოხსნილი, კდემათა მჩენი,
განკითხვის დღემდე გახსნილიყო ედემის ბჭენი.

სალამანმა რომ თვალი მოჰკრა ამა მშვენებას,
მას სავალი გზის გაგრძელება აღარც ენება.

არც იმედი და არცა შიში მის გულსა შინა,
აბსალთან ერთად ჩამოხდა და აქ ჰპოვა ბინა.

სულით, სხეულით შენივთულნი, ლაღნი და ერთნი
ფშვენდნენ, იშვებდნენ, ვით ვარდი და შროშანი თეთრი.

განაოტებნი საუბარს და სხვათა ხმათაგან,
განშორებულნი ზრუნვასა და რჩევას სხვათაგან.

არც საყვედური, არც კიცხვა და არცა პირობა,
არც მაცდურობა, მლიქვნელობა და ორპირობა.

უეკლო ვარდი, ნეტარებით მკერდს მიდებული,
უებრო განძი, უგუშაგოდ მიტოვებული.

წალკოტის ჩრდილი საამური და ტკბილი ძილი,
იქვე ყოველწამს მოჩუხჩუხე ნაკადი გრილი.

ზოგჯერ ბულბულთან მოსაუბრეთ ნახავთ ორთავეს,
ზოგჯერ თუთიყუშს ენვევიან, ბაასს მორთავენ,

ხან ფარშევანგთან სეირნობენ, წყნარად და ნელა,
ხან კი გნოლებთან გოგმანებენ მინდვრად და ველად.

არა აქვთ დარდი და გულსავსეთ შვებით და ლხენით,
ტკბილად და ამოდ უღამდებათ ნეტარნი დღენი.

რა სჯობს, როდესაც სატრფოსაგან არგამიჯნული
იშვებ და მკერდზე გისვენია ლაღი მიჯნური,

როცა იხუტებ შენს ოცნებას, შმაგი და ხელი,
და არვის ძალუძს შეგიშალოს იმჟამად ხელი.

აქა მამის ყვედრებათაგან სალამანის გულის შეჯირვება,
მისგან უდაბნოში წასვლა,
ცეცხლის აგზნება, აბსალთან ერთად ცეცხლში შთანთქმა,
აბსალის დაწვა და სალამანის გადარჩენა

ვინ იტანჯება ამა ქვეყნად მიჯნურთა დარად,
სხვა მძიმე ხვედრი იმის გვერდით არ მოჩანს არად.

მიჯნურთა გულში არ ნელდება სევდა-ნაღველი,
მიზანს ვერ აღწევს საწადელი, გულის მდაღველი.

სასმენლად უმძიმს კიცხვაცა და რჩევაც კეთილი
და იტანჯება ამ კედლებში გამოკეტილი.

ოდეს სალამანს ამ რჩევებმა უმატეს დარდი,
გაგულისდა და განიძარცვა სიმშვიდის კვართი.

მოსძულდა ყოფნა, მისმა გონმა დაჰკარგა ჩინი,
და ხელად ქცეულს მოეახლა არყოფნის ჟინი.

ყოფნას არყოფნის კაეშანი თუ მოესია,
მაშინ სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესია.

და სალამანი თავგანწირვით აბსალთან ერთად
წარხდა უდაბნოდ, სად საუფლო არს ოდენ მტვერთა.

გამალებულმა სალამანმა ფიცხლად, სიჩქარით,
მთად ააჩონჩხა მიმოყრილი ფიჩხი, ჩინჩხვარი,

და ოდეს მორჩა სახმილისა თვისის შენებას,
აღანთო იგი და აქცია ცეცხლის ენებად,

და რა იხილეს, გაიხარეს ცეცხლის ნახვითა,
ხელჩაკიდულნი შიგ შთაინთქნენ მღიმარ სახითა.

გრძნეულმა მეფემ, შვილის დარდი გულზე რომ აწვა,
მყის განიზრახა მარტოოდენ აბსალის დაწვა.

სურვილმან მისმან მისნობანი გამოაჩინა,
აბსალი დაწვა, სალამანი გადაარჩინა.

ერთი – ბაჯაღლო, მეორე კი – ყალბად ნაფერი,
ბაჯაღლო დარჩა, არ დააკლდა მას არაფერი,

ყალბი კი გაჰქრა, ვით წესია ცისა და მიწის,
ცეცხლში ხალასი ოქრო რჩება, ყალბი კი იწვის.

საქმენი კაცთა არის მათი ბედი და ხვედრი
და ვინც ეს იცის, იგი ფუჭად სხვას არვის ჰყვედრის.

ამა სიტყვათა მგმობელი და უარმყოფელი
ის არს, ვინც განვლო უმეცრებით წუთისოფელი.



აჩსცრო-
გერმანული
ომოდცია

რაინერ მარია რილკე
1875-1926

გვრინი კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე

...1663 წლის 24 ნოემბერს, ლინდაში, ოტო ფონ რილკეს ლანგენაუდან (გრენიტცი და ციგრა) ეწყალობა მისი უნგრეთში დაღუპული ძმის, ქრისტოფის, ლინდის მამულის ნაწილი; მაგრამ, ამასთანავე, მას უნდა დაედო ხელწერილი, რომ მამულის წყალობა გაუქმდებოდა, თუკი დაბრუნდებოდა მისი ძმა, ქრისტოფი (რომელიც წარმოდგენილი საბუთის თანახმად, ავსტრიის საიმპერატორო ჰეისტერის პოლკის ბარონ ფონ პიროვანოს როტის კორნეტი იყო და ცხენზე იქნა მოკლული).

ჭენება... ჭენება... ჭენება... დღედაღამ... დღედაღამ...
ჭენება... ჭენება... ჭენება...

მხნეობა მოტყდა, მონატრება უფრო მატულობს. აღარც მთები ჩანს უკვე არსად, ხეც აღარცერთი. აქ ველარაფერს გაუბედავს წელში გამართვა. უცხო ქოხები ჩაცუცქულან მწყურვალებივით ჩაჭაობებულ წყაროებთან. არცერთი კოშკი. და გამუდმებით სულ ერთი და იგივ სურათი. არაფერია სანახავი. მხოლოდ ხანდახან გზა ღამღამობით საიდღანაც გეცნობა თითქოს. იქნებ ჩვენ ღამით კვლავ გავდივართ იმავე მანძილს, უცხო მზის ქვეშ რომ ძლივს გავლიეთ? ეს შესაძლოა. აქ მზე მწველია, როგორც ჩვენთან შუა ზაფხულში. თუმც ზაფხული ხომ მაშინ იყო, როცა მოგვიხდა ჩვენიანებთან უცაბედი დამშვიდობება. და სიმწვანეში ქალბატონთა კაბების შუქი ფოთოლთა შორის კიდევ დიდხანს გამოსჭვიოდა. მას შემდეგ ასე მოვიჩქარით ჭენებ-ჭენებით კარგახანია. იქ კი ალბათ შემოდგომაა, სადაც ჩვენ ასე ვეფიქრებით მწუხარე ქალებს.

ლანგენაუელი უნაგირზე წამოიმართება და იტყვის: „– ბატონო მარკიზო...“ მისი მეზობელი, პაწია, კოპწია ფრანგი თავიდან სამ დღეს გაბმით ტიკტიკებდა და ხითხითებდა. ახლა მას უკვე აღარაფერი გაეგება. იგი მთელემარე ბავშვად იქცა. მის თხელსა და თეთრმაქმანიან საყელოს მტვერი ედება. ის კი ვერც ამჩნევს.

იგი თავის ხავერდოვან უნაგირში თანდათან ჭკნება. მაგრამ ლანგენაუელი მას უღიმის და ეუბნება: „თქვენ საოცარი თვალები გაქვთ, ბატონო მარკიზო, თქვენ ალბათ დედას ჰგავხართ".

აქ პაწია ფრანგი კიდევ ერთხელ იფურჩქნება და საყელოდან მტვერს იბერტყავს. იგი ისევ აკოკრილია.

ვიღაც იხსენებს თავის დედას. ეტყობა, გერმანელია. იგი ხმამაღლა და აუჩქარებლად არჩევს სიტყვებს, როგორც თაიგულის მკონავი გოგონა, დაფიქრებით რომ სინჯავს ყოველ ყვავილს და ჯერ კიდევ არ იცის, ამ ყველაფრისგან რა გამოუვა: იგიც ასე წნავს თავის სიტყვებს. თავშესაქცევად? იქნებ სევდის გასაქარვებლად? მას ყველა უსმენს. ფურთხებასაც კი თავს ანებებენ. ვინაიდან ისინი წმინდაწყლის ბატონები ბრძანდებიან და არ ეშლებათ მოქცევის წესი. და რაზომში გერმანულის არმცოდნენიც კი მას უგებენ, იჭერენ ცალკეულ სიტყვებს: „საღამოობით"..., „ჩემს ბავშვობაში"...

ამგვარად ისინი ყველანი ერთმანეთისთვის ახლობელნი ხდებიან. ის ბატონები, წამოსულნი საფრანგეთიდან და ბურგუნდიიდან, ნიდერლანდებიდან და კერნტენის ველებიდან, ბოჰემიის კოშკებიდან და იმპერატორ ლეოპოლდისაგან წარმოგზავნილნი. ვინაიდან ის, რასაც ერთი მოუთხრობს, მათაც აქვთ განცდილი და ზუსტად ასევე, თითქოს მხოლოდ ერთადერთი დედა არსებულიყოს...

ასე შეაჭენებენ ცხენებს საღამოში, რომელიღაც საღამოში. ყველანი ისევ ჩუმად არიან, მაგრამ მათ თან ახლავთ ნათელი სიტყვები. მარკიზი უცებ მოიხდის მუზარადს. მას აქვს მუქი და ფაფუკი თმა და თავს რომ დახრის, ქალურად ეშლება კეფაზე. ახლა უკვე ლანგენაუელიც შენიშნავს: შორს რაღაც წამოიმართება და მიისწრაფის ნათებისაკენ, რაღაც ბნელი და ტანადი. მარტოდმდგარი სვეტი, ნახევრადჩამოქცეული. შემდეგ, შორ მანძილზე რომ მოიტოვეს, იგი მიხვდა, რომ ეს იყო მადონა.

კოცონი. ირგვლივ უსხედან და ელოდებიან. ელოდებიან, რომ ვინმემ წამოიწყოს სიმღერა. მაგრამ ისეთ მოქანცულობას დაუსადგურებია... მძიმეა წითელი შუქი. იგი დამტვერილ ჩექმებზე გაწოლილა, მოცოცავს მუხლებს ზემოთ და გულზე დაკრეფილ ხელებშიც კი იჭყიტება. მას ფრთები არა აქვს. სახეები ჩაბნელებულია. პაწია ფრანგის თვალები მხოლოდ ერთი წამით უეცრად

ნათდება საკუთარი სინათლით. იგი კოცნის პატარა ვარდს, რომელსაც ახლა ისევ შეუძლია განაგრძოს მის მკერდზე ჭკნობა. ლანგენაუელი ამას ამჩნევს, რადგან არ სძინავს. ის ფიქრობს: მე ვარდი არა მაქვს, არა. შემდეგ ის მღერის. ეს ძველი, ნაღვლიანი სიმღერაა, რომელსაც შინ გოგონები მღერიან ხოლმე, ველებზე, შემოდგომით, მოსავლის აღების მიწურვისას.

პაწია მარკიზი ეკითხება: „თქვენ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით, ბატონო?“ და ლანგენაუელი ნახევრად სევდიანად და ნახევრად ჯიუტად პასუხობს: „თვრამეტის“. შემდეგ სდუმან. ფრანგი ისევ ეკითხება: „გყავთ შინ საცოლე, ბატონო იუნკერო?“ „თქვენ?“ – უბრუნებს კითხვას ლანგენაუელი.

„ის ქერაა, თქვენსავით“.

ისინი ისევ ჩუმდებიან, სანამ გერმანელი წამოიძახებს: „ეშმაკსაც წაულიხართ! მაშინ რატომღა შემომსხდარხართ უნაგირებზე და ამ მოშხამულ ქვეყანაში თურქ ქოფაკებთან შესახვედრად რისთვის მიეჭენებით?“ მარკიზი იღიმება: „დაბრუნებისთვის“. ლანგენაუელი ნაღვლიანდება. ის ფიქრობს რომელიღაც ქერა გოგონაზე, რომელთანაც ის თამაშობდა... ველურ თამაშებს. მას გული შინისკენ მიუწევს. მხოლოდ ერთი წამით, მხოლოდ იმდენი ხნით, რომ მოასწროს თქმა: „მაგდალენა, მაპატიე, ასეთი რომ ვიყავი ყოველთვის“. როგორი ვიყავი? – ფიქრობს ჭაბუკი. და ისინი უკვე შორს არიან.

ერთხელ, დილაადრიან, გაჩნდა მხედარი, შემდეგ მეორე, მეოთხე, მეათე. ყველანი ჯავშანში, უზარმაზარნი. შემდეგ ათასნი მათ უკან. ლაშქარი.

მათი გზები იყრება.

„შინ ბედნიერად დაბრუნება, ბატონო მარკიზო“.

„გფარვიდეთ მარიამი, ბატონო იუნკერო“.

და მათ ერთმანეთი არ ეთმობათ. ისინი მეგობრებად იქცნენ უცებ. ძმებად. მათ ბევრი რამ აქვთ კიდევ გასანდობი, რადგან უკვე ამდენი იციან ერთურთისა. ყოყმანობენ. მათ ირგვლივ ფაციფუცია და ფლოქვების თქარუნი. უცებ მარკიზი წაიძრობს დიდ, მარჯვენა ხელთათმანს, ამოიღებს პატარა ვარდს, მოაცლის ერთ ფურცელს ისე, როგორც იყოფენ სეფისკვერს.

„ეს თქვენ დაგიცავთ, მშვიდობით“.

ლანგენაუელი გაკვირვებულია. იგი დიდხანს უცქერს მიმავალ ფრანგს. შემდეგ საომარ ქურთუკში ინახავს უცხო ვარდის ფურცელს და იგი ნანაობს მისი გულის ტალღებზე. საყვირის ნიშანი. იუნკერი თავისი რაზმისკენ მიემართება. იგი ნაღვლიანად იღიმის. მას იცავს უცნობი ქალი.

ერთი დღე ქარავნად სვლა. ბილწსიტყვაობა. ფერადოვნება. სიცილ-ხარხარი: აქაურობა თვალისმომჭრელია. მორბიან ჭრელა-ჭრელა ბიჭ-ბუჭები. ჩხუბი და ჩხავილი. მოცქრიალებენ გაშლილ თმებზე ალისფერქუდიანი კახპები. ხელების ქნევა, თვალების პაჭუნი. მოდიან საჭურველმტვირთველნი, შავრკინამოსილნი, მოხეტიალე ღამეებივით. შემოენთებიან გოგოებს, აფლეთენ კაბებს, იმწყვდევენ დაფდაფების კუთხეებში და სწრაფი ხელების ველური გაძალიანებისაგან დაფდაფები იღვიძებენ, თითქოს ძილშივე ხმაურობენ, ხმაურობენ. საღამოს კი ისინი მას უწვდიან უცნაურ სანთურებს: ღვინოს, რკინის მუზარადებში მოელვარეს. ღვინოს? თუ სისხლს? ვინ გაარჩევს?

ბოლოს შპორკის წინაშე. თავისი თეთრი ცხენის გვერდით აღმართულა გრაფი. რკინისფრად ბზინავს მისი გრძელი თმა. ლანგენაუელს არავისთვის უკითხავს. ხვდება, რომელიც უნდა იყოს გენერალი. უმალ ჩამოქვეითდება და მტვრის ღრუბელში მდაბლად ესალმება. მას თანა აქვს სარეკომენდაციო წერილი. გრაფი ბრძანებს: „წამიკითხე ეგ ნაჯღაბნი“. მისი ტუჩები არ შერხეულან. ისინი მას ამისთვის არ სჭირდება. მხოლოდ გინებისათვის. დანარჩენს მარჯვენა იტყვის. დაუსვამს წერტილს. ეს მას ეგრევე ეტყობა. ჭაბუკმა დიდი ხანია დაამთავრა კითხვა. მან უკვე აღარც იცის, სად იმყოფება. შპორკი ყველაფერს ფარავს. თავად ცასაც კი. ამ დროს შპორკი, დიდი გენერალი, იტყვის:

„კორნეტი!“

და ეს ბევრს ნიშნავს.

ასეული რააბის გაღმაა დაბანაკებული. ლანგენაუელი ცხენს მარტო მიაჭენებს. ვაკე. საღამო. მტვერში უნაგირის მოვარაყებული ტახტა ბრჭყვიალებს. მერე ამოჩნდება მთვარე. ამას ის თავის ხელებზე ამჩნევს.

მას ეთვლიმება, მაგრამ უეცრად

რაღაცა უხმობს, უხმობს კივილით. და თვლემას უფრთხობს.

მაგრამ ეს განა ჭოტი ხმიანობს.
თანაგრძნობა და გულისტკივილი:
ხე მარტოდ მდგარი ევედრება: ადამიანო!
და ხედავს: რაღაც წამოიმართვის.
ხის გასწვრივ ყალყზე დგება სხეული.
და ახალგაზრდა ქალი შიშველი,
სისხლიანი და ცრემლდანთხეული
მას ევედრება: მოდი, მიშველე!
შავ სიმწვანეში ჩამოხდა უმალ
ნაუცბათევი ცხენდაოკებით,
მიეჭრა ჯიქურ და ნაკუწ-ნაკუწ
მიკაფ-მოკაფა ცხელი თოკები.
ხედავს: თვალებში ქალს გამოკრთის ნათება მკვეთრი
და იკბინება დაკრეჭილი კბილები თეთრი.
ნუთუ იცინის? ელდა ეცა. ტანჯვა-ვაებით
ამხედრდა ისევ და ღამეში შეაგდო ცხენი.
მუჭებში ჰქონდა ჩაბღუჯული სადავეებად
ახლართული და სისხლიანი თოკები ცხელი.

ლანგენაუელი წერს წერილს, ფიქრებში ნასული. გულმოდგინედ გამოჰყავს დიდი, დარბაისლური, სწორი ასოები:

„ჩემო საყვარელო დედა!
იამაყეთ, მე ვარ მედროშე!
ნუ იღელვებთ, მე ვარ მედროშე!
კვლავაც გიყვარდეთ, მე ვარ მედროშე!“

შემდეგ ის წერილს კურტაკში ინახავს. უიდუმალეს ადგილას, ვარდის ფურცელთან. და იგი ფიქრობს: ამასაც მალე გადაეღება კეთილსურნელი. თან ფიქრობს: იქნებ იპოვოს ვინმემ... და ფიქრობს... რადგან მტერი ახლოა.

ისინი გადაუქროლებენ გლეხის გვამს. მას ფართოდ აქვს გახელილი თვალები და მათში რაღაც ირეკლება. არა ცა. შემდეგ ისმის ძაღლების ყმუილი. მაშასადამე, სადღაც აქვე სოფელია ბოლოს და ბოლოს. ქოხმახთა თავზე კლდედ აღმართული ციხე-კოშკი. მათ წინაშე განივრად ეშვება ხიდი. ფართოდ ეღებათ კარიბჭე. ყიჟინით ეგებებათ ბუკი. ყური მიუგდე: ფეხების ბრაგა-ბრუგი, წკარუნი, ძაღლების ყეფა. ეზოში ჭიხვინი. ფლოქვების თქარუნი და ძახილი.

შესვენება და სულის მოთქმა. თუნდ ერთხელ მაინც იყო სტუმარი და ყოველთვის უკმარი კერძით არ უმასპინძლო შენს სურვილებს და ყოველივეს ყოველთვის ძალით არ იხვეჭდე. ბოლოს და ბოლოს დაემორჩილო მას, რაც ხდება და თან იცოდე, რომ ყველაფერი ის, რაც ხდება ახლა, კარგია. და ვაჟკაცური შემართებაც ერთხელ მაინც ხომ უნდა მოდუნდეს, გაწვეს, ფარჩის ფაფუკი საბნის ქობასთან ერთად გაეხვიოს თავის თავშივე. ხომ შეიძლება მეომარი არ იყო მუდამ. თუნდ ერთხელ მაინც გაიშალო ხუჭუჭი თმები, შეიხსნა ღილი, გაიღეღო ფართო საყელო და აბრეშუმის სავარძელში იყო ჩაფლული ამგვარად, თითის ფრჩხილებამდე: ნაბანავები. და კვლავ თავიდან შეისწავლო, რანი არიან ქალები, როგორ იქცევიან მათ შორის თეთრნი, ანდა როგორნი შეიძლება იყვნენ ცისფერნი. ან მათ როგორი ხელები აქვთ, როგორ მღერიან თავიანთ სიცილს, როცა ქერა ბიჭუნებს მათთვის შემოაქვთ ხოლმე მწიფე ხილით სავსე ლანგრები.

დაიწყო ისე, როგორც სერობა და შეუმჩნევლად ზეიმად იქცა. ნაგრძელებული ცეცხლის ენები ცახცახებდნენ და ხმები კრთებოდნენ. ხმაშეუწყობელ სიმღერად ჟღერდა ბროლის და ბზინვის მკვეთრი წკრიალი. და ბოლოს უკვე მომწიფებული ტაქტებისაგან იფეთქა ცეკვამ და ყველა უცებ აიყოლია. ეს იყო ფართო დარბაზებში ტალღების რწევა. მიახლოება ერთმანეთთან და ამორჩევა, გამოთხოვება და შემდეგ კი კვლავ მოპოვება, ბზინვით ტკბობა და ბრწყინვალებით თვალთა მოკვეთა, რხევა ზაფხულის სიოებში, რომლებიც მხოლოდ თბილი ქალების კაბებიდან მონანაობენ.

უამრავ ვარდად და მუქ ღვინოდ მჩქეფარე ჟამი ღამეულ სიზმრად მიედინება.

და დგას ვიღაცა და აოცებს ეს ბრწყინვალება. და ის ისეა განწყობილი, რომ ელოდება, როდის გაკრთება თვალთაგან ძილი. რადგან მარტოდენ სიზმარშია შესაძლებელი უმშვენიერეს ქალბატონთა ასე ნატიფი მოკაზმულობის და ასეთი ზეიმის ხილვა: მათი ოდნავი მოძრაობა არის ნაოჭი, რომელიც ტალღად გასდევს ხოლმე სალუქ აბრეშუმს. ისინი ვერცხლად მოწკრიალე საუბრებისგან აგებენ ხოლმე მწყობრ საათებს და ხელებს ისე ამოძრავებენ, რომ გგონია, თითქოს ისინი იმყოფებიან იქ, სადაც შენ ვერ მიგესვლება, და კრეფენ შენთვის ვერსახილველ უნაზეს ვარდებს. და შენ ოცნებობ: რომ შენც იყო მათით შემკული, გაბედნიერდე სულ სხვაგვარად, დაიმსახურო შენი შიშველი შუბლისათვის მათი გვირგვინი.

და ის ვიღაც, თეთრ აბრეშუმში გამოწყობილი, ხვდება, რომ გამოღვიძება არ შეუძლია, რადგან არ სძინავს და მხოლოდ სინამდვილით არის შემცბარი. და აი, იგი შეშინებული გარბის ოცნებაში და ის ბაღში დგას, მარტოდმარტო შავ ბაღში. ზეიმი კი სადღაც შორს არის. შუქი აცდუნებს. გრილი ღამე უახლოვდება. ის ეკითხება ქალს, უეცრად მისკენ გადმოხრილს:

„შენ ღამე ხარ?“

ქალი უღიმის. მას ერცხვინება საკუთარი თეთრი სამოსი. უნდა, რომ იყოს სადმე, ძლიერ შორს, მარტოდმარტო და იარაღასხმული თავით – ფეხამდე.

„შენ დაგავიწყდა, რომ ამაღამ ჩემი პაჟი ხარ? ო, ნუთუ მტოვებ? სად მიდიხარ? მე ხომ ეგ შენი თეთრი სამოსი ნებას მაძლევს, ჩემად გიგულო“.

.....

„შენ უხეში ტანსაცმელი ხომ არ მოგენატრა?“

.....

„გამცივნებს? – გული შინ მიგიწევს?“ გრაფის მეუღლეს ეღიმება. არა. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სიყრმე მოსწყდა მხრებიდან. ეს ლბილი, მუქი სამოსელი. ვინ ჩამოართვა?

„შენ?“ – ეკითხება იგი იმ ხმით, რომელიც ჯერ არასდროს სმენია. „შენ!“ და აი, მას უკვე აღარაფერი აცვია ტანზე. ის შიშველია, როგორც წმინდანი. სხივოსანი და ასვეტილი.

ციხე-კოშკი თანდათან იძირვის უკუნეთში. ყველა დამძიმდა: დაქანცულობით, სიყვარულით, ანდა სიმთვრალით. ამდენი ცარიელი, უგრძესი, ველადნათევი ღამეების შემდეგ: საწოლები. მუხის განიერი საწოლები. აქ ლოცვაც სხვანაირია, ვიდრე გზისპირა თხრილის წუმპეში, რომელიც ჩათვლემისთანავე სამარედ გექცევა.

„ღმერთო, როგორც გენებოს!“

ლოგინში ლოცვა უმოკლესია. მაგრამ უღრმესი.

კოშკის ოთახში სიბნელეა. მაგრამ ისინი ერთმანეთს ღიმილით უნათებენ სახეებს. ისინი ბრმებივით, ხელის ფათურით იკვლევენ გზას და ერთმანეთს ისე პოულობენ, როგორც კარს. თითქოს სიბნელით შეშინებული ბავშვებივით ეკვრიან ერთურთს. და მაინც არაფერს უფრთხიან. აქ მათი საწინააღმდეგო არაფერია. აღარ არსებობს არც გუშინ, არც დღეის იქით, რადგან დრო-ჟამი ჩამოიქცა, ხოლო ისინი მის ნანგრევებზე ყვავილობას იწყებენ ახლა.

ვაჟი არ ეკითხება: „შენი მეუღლე?“
ქალი არ ეკითხება: „შენი სახელი?"
მათ ხომ ერთმანეთს მიტომ მიაგნეს, რომ ყოფილიყვნენ ურთიერთისთვის ახალი მოდგმა. ამიერიდან ერთიმეორეს ასობით სახელს მისცემენ და ჩამოართმევენ ისევე ფრთხილად, ვით საყურეს იხსნიან ხოლმე.

შემოსასვლელში სავარძელზე ჰკიდია ლანგენაუელის ქურთუკი, საბეჭური და ფარაჯა. მისი ხელთათმანები იატაკზე ყრია. მისი დროშა ფანჯრის გისოსს აჰყუდებია. ის შავია და მაღალი. გარეთ, ცაში გრიგალი მძვინვარებს და ღამეს თეთრ და შავ ნაფლეთებად ხევს. მთვარის შუქი ხანგრძლივ ელვასავით ჩაივლის და უმოძრაო დროშასთან მოუსვენარი ჩრდილები აფათურდებიან. ის სიზმარეულ ხილვებშია.

სარკმელი გაიღო? შინ გრიგალი შემოიჭრა? კარს ვინ ახეთქებს? ვინ დაბორიალობს ოთახებში? – მოეშვი. ვინც უნდა იყოს. ჩვენ ამ კოშკში ვერავინ მოგვაგნებს. თითქოს უამრავ კარს მიღმაა ეს დიდი ძილი, ორ ადამიანს ამგვარად რომ აერთიანებს, ვით ერთი დედა, ანდა როგორც ერთი სიკვდილი.

უკვე გათენდა? ეს რა მზეა ასეთი დიდი?
ნუთუ ჩიტების გნიასია, ყველგან რომ ისმის?!
განათებულა ყველაფერი ამ არადღისგან
და ყველგან ჟივილ-ხივილია არაჩიტების.

ალმოდებული დირეებია, რომ ანათებენ. ეს სარკმლებია, რომ გაჰკივიან.
მტერს უკივიან ავარვარებით, გარეთ ცეცხლოვან შემოგარენზე ჯარად შემომდგარ მტერს უკივიან ზარით, ზანზარით:
ხანძარიაო.
და ყველანი, სახეებზე ძილშემოფლეთილნი, ნახევრად შიშველნი და ნახევრად აბჯარასხმულნი აწყდებიან ოთახიდან ოთახს, დერეფნიდან დერეფანს და ეძებენ კიბეს.
ეზოში საყვირებს სუნთქვა ეკვრებათ
და ძლივს ლულლულებენ: შეკრება! შეკრება!
და ფეთდებიან დაფდაფები ათრთოლებულნი.

მაგრამ სად არის დროშა ფრიალა?
ხმები: კორნეტო!

ცხენთა ფეთება, ლოცვა, ღრიალი,
წყევლა: კორნეტო!
ბრძოლის ნიშანი, რკინის ტრიალი,
მტვრევა: კორნეტო!
უცებ სიჩუმე. და სადღაც ერთხელ
ისევ: კორნეტო!
და მხედრიონმა ბჭე ჭენებით გაიგრიალა.
.....
მაგრამ სად არის დროშა ფრიალა?

იგი გარბის ცეცხლოვან დერეფნებთან გასწრებაზე გაჯიბრებული, კარიდან კარში, რომლებიც გარს ერტყმიან და კიბეებზე, რომლებიც წვავენ და ტრუსავენ. გამოვარდება გაშმაგებულ ციხეკოშკიდან. ატატებული მოაქვს დროშა ვით გულწასული თეთრი ქალი. იპოვის ცხენს და გავარდება როგორც კივილი: წინ, ყველასა და ყველაფრის მიღმა, თავისიანთა მიღმაც და აი, დროშაც გონს ეგება. მას არასოდეს ჰქონია იერი, ასეთი მეფური.

ახლა მას უკვე ყველანი ხედავენ შორს, წინ და ცნობენ ნათელმოსილ უმუზარადო ჭაბუკს და ცნობენ დროშას... რომელიც უცებ წამოენთება, გადიდდება და ალმოდებული აფრიალდება.

მტრის რკალში იწვის მათი დროშა და მეომრები მისკენ ყიჟინით მიისწრაფიან.

ლანგენაუელი მტერს ღრმად შეეჭრა, მაგრამ სრულიად მარტო. ელდამ მის ირგვლივ შექმნა სივრცე შემორკალული და ის შუაში გაშეშდა უცებ ნაღვერდლად ქცეულ თავის დროშის ქვეშ. აუჩქარებლად, თითქოს რაღაც ფიქრში წასული, ის იხედება თავის ირგვლივ და ხედავს უცხო, ჭარბ სიჭრელეს. ჯერ მას ჰგონია: ეს ბაღებია. და ელიმება. მაგრამ უცებ აწყდება თვალებს, მამაკაცებსაც არჩევს უკვე და ხვდება, ირგვლივ რომ ახვევია, ეს ურჯულო ძაღლთა ხროვაა. და აი, უკვე მათზე ჯიქურ მიაგდო ცხენი. მაგრამ როდესაც თავს დაექცა უკნიდან რაღაც, კვლავ მოეჩვენა, რომ ის ისევ აღმოჩნდა ბაღში და თავზე მრუდე თექვსმეტი ხმლის გადმოშხივლება აღიქვა ლამაზ დღესასწაულად და შადრევნის ახარხარებად.

ქურთუკი კოშკში დაიწვა, წერილიც და უცნობი ქალის ვარდის ფურცელიც. შემდგომ გაზაფხულზე (რომელიც იყო ცივი და ნაღვლიანი) ბარონ ფონ პიროვანოს კურიერი მძიმედ შევიდა ლანგენაუში. იქ მან იხილა მოქვითინე ხნიერი ქალი.

რჩეული ლექსები წიგნიდან: ჟამნი

* * *

რას იზამ, ღმერთო, მე როდესაც გარდავიცვლები?
ჭურჭელი შენი (დამსხვრეული მთლად დავიცლები?)
სასმელი შენი (ავშმორდები და დავიშლები?)
ეს მე ვარ შენი სამოსელი, შენი ხელობა,
მე დამკარგავ და აზრს დაკარგავს შენი ქველობა.

მივინავლები მაშინ შენი კერა და კვამლი,
თბილ სიტყვად ველარ დაგიხვდები ზღურბლთან მოხლილი,
და რომ როგორმე დაგიამო ფეხი მოღლილი,
მე გაგეხდები ჩუმად, როგორც ხავერდის ხამლი.

ჩამოგეხსნები, მაგრამ აღარ მოგესვენება,
რადგან შენს მზერას სასთუმალი თუკი ექნება,
ბუმბულად ველარ დაგეგები ლბილად და ამოდ,
მზის დასავალზე არ იქნება ჩემი ხსენება,
დამიწყებს ძებნას შენი მზერა, მაგრამ ამაოდ,
ვერ მიპოვის და უცხო ქვებში ჩაესვენება.

მაშინ კი, ღმერთო, მეშინია, რა გეშველება?!

* * *

უპირველესი სიტყვა შენი: იყავნ ნათელი:
და იშვა ჟამი. დიდხანს დუმდი. მეორედ ითქვა:
ადამიანი. მოჰყვა შიში და ჟრუანტელი
(ახლაც გვაბრუებს მისი ჟღერის კორიანტელი)
და ამის შემდეგ შენი შუბლი კვლავ ფიქრობს დიდხანს.
მე აღარ მინდა უკვე შენი მესამე სიტყვა.

შემოგლაღადებ ღამღამობით: დარჩი მდუმარი,
დაე, ზრდა შენი უხმაუროდ გვეალმაცეროს.
იყავ სულისთვის ღამეული სიზმრის სტუმარი,
რომ ვით შედეგი უმძიმესი და უჩუმარი
მან მდუმარებით შუბლებსა და მთებში ჩაწეროს.

თავშესაფარი რისხვისაგან სადმე თუ არის,
შენ იყავ იგი. გამოუთქმელს უთხარ უარი.
ღამემ მოიცვა სანახები სამოთხისანი:
მწყემსი იყავ და სამწყსოს ბუკით შემოუარე,
რომ ეს თქვან მხოლოდ: ჩაბერაო, მოგვცა ნიშანი.

* * *

მრავალ ღვთისმეტყველს ბედად ერგო შენი სახელის
ხნიერ ღამეში ჩაძირვა და სრული გაქრობა.
თვალებს იფშვნეტდნენ ქალწულები შენში გახელილთ,
ვერცხლში ჩამსხდარი ჭაბუკები, შენი მნახველნი,
შენში ელავდნენ, შენ იყავი მათი ლაშქრობა.

შენს ვრცელ, თაღოვან დერეფნებში სიარულისას
ხვდებოდნენ ერთურთს ის მგოსნები, რომლებიც იხმე
და მიანიჭე მეუფება, ვით ხსნა სულისა,
სიტყვათა ფლობის ოსტატობა, სილბო და სიღრმე.

შენა ხარ დიდი მწუხრის ჟამი, მშვიდი და ნელი,
ქვეყნად არსებულ ყველა პოეტს რომ აქცევს მსგავსად.
პირის ნიაღის წყვდიადი ხარ, ჩუმი და ბნელი,
და რადგან შენი მოპოვება გაუხდათ ძნელი,
ბაგეებს უნდათ შემოგეჭდონ ელვარე გარსად.

ათიათასი ქნარის სიმებს რხევით და რწევით
მდუმარებიდან ამოჰყავხარ თანდათან ზევით.
შენმა მხცოვანმა გრიგალებმა მომართეს ბუკი
და ამა ქვეყნად ყოველ საგანს თუ სურვილს ძლევით
მოჰფინეს შენი აღზევების ნათელი შუქი.

* * *

შენ პოეტებმა მიმოგფანტეს, მიგანამცეცეს,
მათმა ლულლულმა გააბრუა მთელი სამყარო,
მე კი მსურს ისევ მოგიყარო თავი, დაგეძებ,
რომ ერთ ჭურჭელში მოგაგროვო და გაგახარო.

მე შენ ათასჯერ წაგწყდომივარ, როს დაღალული
ვხეტიალობდი გრიგალებში. აი, კრძალული
ხელებით მომაქვს, რაც ვიპოვე ხარბი წადილით:
უსინათლოსთვის შენ იყავი თასად განცდილი,
მოახლეთაგან იყავ სადღაც გადამალული,
ყველა მათხოვარს წინ ეჭირე ხელით გაწვდილი
და ზოგჯერ ბავშვში გამოკრთოდა შენი ფარული
არსის და აზრის დიდი ნაწილი.

ხედავ? დაგეძებ. რაოდენი განვვლე მანძილი.

მე ვარ ის ვიღაც, თავის ხელებს რომ მოუძღოდა,
უჩინარი და მწყემსივით მთმენი.
(ო, ამარიდე გამთვალავი მზერა უცხოთა,
რათა გზა-კვალი არ ამებნეს მე შენს კარამდის).
მე ვარ ის ვიღაც, ვისაც სრულქმნა სწადია შენი,
რომ ამით სრულქმნას საკუთარი თავი მარადის.

* * *

ვით ღამის დარაჯს, ვენახში რომ უდგას უბრალო
ქოხი, რომელშიც ფხიზლობს ღამით წამის-წამისად,
ასე, შენს ხელში, მეც ქოხი ვარ, ჩემო უფალო,
და ღამეც მე ვარ, მეუფეო, შენი ღამისა.

ვენახი, ძველი ვაშლოვანი, ველი თუ ყანა,
ერთ გაზაფხულსაც რომ არ ცდება და მუდამ ლაღობს,
მარმარილოსებრ მკვრივ მიწაზეც ჯიუტად დგანან
ლელვის ხეები და სძალავენ ასობით ნაყოფს.

შენს მრგვალ რტოთაგან მოიფრქვევა სურნელი შენი
და არც კითხულობ, მართლა ვფხიზლობ, თუ ეს ძილია.
შენი სიღრმენი ლღვებიან და ისე ვით წვენი,
მშვიდად, უშიშრად ამოდიან და გვერდს მიელიან.

* * *

და მაინც: ზოგჯერ მეჩვენება, რომ არნახული
ყველა სიმღერა, რომლებითაც ოდესღაც მიხმო,
ღრმადა მაქვს ჩემში ისევ მისთვის გადანახული.

აი, დუმს იგი აზვირთებულ თმა-წვერის მიღმა.
ის, საკუთარი ჰანგებიდან ცდილობს მოღლილი,
კვლავ გაიხსენოს თავი თვისი, და რადგან მიყმო,
ვარ მის წინაშე დაცემული და მუხლმოყრილი.

და აი, მისი სიმღერები უმალ, მაშინვე
ნკრიალ-ნკრიალით იღვრებიან ისევ მასშივე.

* * *

თვალნი დამიშრიტე: მაინც დაგინახავ,
ყურები დამიშხე: მე მაინც მოგისმენ,
ბაგედაგმანულიც გფიცავ: ჩემს შინა ხარ,
ფეხებმოკვეთილიც მოვაღწევ როდისმე.
მომწყვიტე მკლავები, გულით, ვით ცალხელი,
მაინც ამოგწვდები, გულს თუ გამიჩერებ,
ეს ტვინი დაიწყებს ფეთქვას, დამიჯერე.
თუ ტვინსაც დამიწვავ და დამიღადრებ,
მე სისხლით გატარებ.

* * *

და ჩემი სული არის ქალი, შენი მხლებელი,
ისე ვით რუთი, ნოემინის რძალი კრძალული,
როგორც მხევალი, ყოველივეს აღმსრულებელი,
დღისით შენს ძნებში მოფუსფუსე და მიმალული.
მაგრამ საღამოს, როცა უკვე არის მოცლილი,
განიბანება და შენ როცა ხელს არვინ გიშლის,
ის მოდის შენთან ლამაზად და სუფთად მოსილი,
ის მოდის შენთან და შენს ფერხთით სარეცელს იშლის.

თუ შუაღამით შეეკითხე, მალული ფშვენით
მოგიგებს ჩუმად, მე რუთი ვარ, მხევალი შენი,
შენს ძლიერ ფრთებქვეშ შეივრდომე მხევალი შენი,
შენ ხარ მემკვიდრე...
და ჩემს სულს სძინავს, განთიადი ინათებს ვიდრე,
შენს ფერხთით, გამთბარს შენი სისხლის მჩქეფარე რუთი.
და განრთხმულია შენს წინაშე ისე, ვით რუთი.

* * *

ვინც კი შენს ძებნაში თავის თავს გამოსცდა,
მას სურდა გამოცდა შენი,
ვინც კი შენს პოვნას თუ მიგნებას ეცადა,
ტყვეობა ეწადა შენი
ხატად თუ ძრაობად.

მე კი მსურს შევიცნო თვით შენი რაობა,
როგორც დედამიწას ქმნა ძალუძს ამისი;
როცა დგას ჩემი სიმწიფის რთველი,
მაშინ მწიფს მთელი
შენი საბრძანისი
თავს ნუ წარმოიჩენ შენ ყოველ წამს,
მე ისეც ვარ შენი მრწმენი და მსახველი.
ვიცი რომ ჟამს,
შენგან განსხვავებით,
ჰქვია სხვა სახელი.

შენ ჩემთვის სასწაულს ნუ მოიმოქმედებ,
შენი კანონების ქმედებაც კმარა,
რომლებიც სულ უფრო, მოდგმიდან მოდგმამდე
ხილულნი ხდებიან მარად.

* * *

როცა სარკმლიდან მივარდება რამე საგანი
თუნდაც ისეთი მცირე, კარგად რომ არ ჩანს თვალით,
როგორ აწვება მას სიმძიმის კანონი მალი,
რათა ზღვათაგან მოვარდნილი ქარიშხლის ძალით
დაუშვას ქვემოთ, ბურთია თუ კენკრათაგანი,
და იქ, სამყაროს შუაგულში მისცეს საკანი.

მაგრამ ყველაფერს უთვალთვალებს ფრენის სიკეთე,
მუდამ მზადმყოფი, აიმედებს ყველაფერს ამით,
ყოველ ქვასა თუ რტოს, რომელიც ყვავილს იკეთებს,
თუ ბავშვს, სიზმართა საუფლოში გადასულს ღამით.
მხოლოდ ჩვენ გვბოჭავს სიამაყე დაუძლეველი,
და ლაღ სივრცეში გადაგვყრიან ხეთქებ-ხეთქებით
რაღაც ურთიერთკავშირები გაურკვეველი,
ნაცვლად იმისა, რომ მივენდოთ გონიერ ძალებს
და ხედ მოვიდეთ უნებლიეთ და აფეთქებით.
იმის ნაცვლად, რომ სიმჭიდროვეს ბოლო მოეღოს
და ნებიერად მიგვდენიდეს მდინარე ფართო,
ერთმანეთს ვბოჭავთ და გვგონია, რომ ერთად ვართო,
და ვიღაც ერთი წრეს უეცრად თუ გამოეყო,
იგი დარჩება უსახელო, სრულიად მარტო.
უნდა დაიწყოს მან საგნების შესწავლა მძიმედ,
ზუსტად ისევე, ვით ბავშვები ანბანს სწავლობენ,
რადგან საგნები, ღმერთს რომ გულზე ეკიდა მძივად,
ჯერ არ მომწყდარან და ისევე კონწიალობენ.
ერთი რამ მაინც უნდა შესძლოს ისევ და ისევ:
ვარდნა, და იყოს გარინდული უზომო თმენით
იმ სიმძიმეში, რომელიც გრძნობს თავს ლაღად ისე,
რომ სურს აჯობოს ყველა ფრინველს თავისი ფრენით.

(რადგანაც უკვე ანგელოსნიც აღარ ფრინავენ.
მძიმე ფრინველებს დაემსგავსნენ სერაფიმები,
მის გარშემო რომ ჩამომსხდარან ფიქრში წასულნი;
ისინი ჰგვანან პინგვინის მსგავს ფრინველთ ნაფლეთებს,
რომელთაც უკვე დაუწყიათ გადაშენება...).

* * *

სოფლის ბოლოში მარტოდმარტო სახლის დგას ერთი,
თითქოს სამყარო თავდებოდეს სწორედ აქავე,

ქუჩა, რომელსაც ეს სოფელი ველარ აკავებს,
ნელა განაგრძობს თავის სავალს და ღამეს ერთვის.

ორ სივრცეს შორის გახიდულა ციცქნა სოფელი,
შეშინებული და რაღაცის წინათმგრძნობელი.
ბილიკის ნაცვლად გზა ევლება ვრცელი და გრძელი...

სოფლიდან აყრილთ მიიდენის წუთისოფელი
და ბევრს იმათგან ალბათ გზაში სიკვდილი ელის.

* * *

ზოგჯერ ვიღაცა ვახშმობისას სასმისს არ დაცლის,
გადის გარეთ და მიდის, მიდის, არ უხვევს გზიდან,
აღმოსავლეთით, სადაც ელის საყდარი წმიდა.
და მას შვილები იხსენებენ, როგორც გარდაცვლილს.

სხვა შინ კვდება და მაინც თითქოს ნაშიმშილევი
კვლავ ისე უზის თავის სუფრას, როგორც დაიწყო.
მაგრამ გამოვლენ სამყაროში მისი შვილები
იმ საყდრისაკენ, რომელიც მან იგულმავიწყა.

* * *

შენ ხარ მერმისი, ცისკარი და დიდი აისი
მარადისობის; და შენ მამლის ხმობად გაისმი
დროის ღამეში და მქრქალდება ის ფერმიხდილი.
შენ ხარ ქალწული, ცვარი, ლოცვა უზენაესი,
უცხო ვიღაც ხარ. დედა ხარ და შენ ხარ სიკვდილი.

სახე ხარ, მარად შენივ სახის გარდამსახველი
და მარტოდმარტოს არად გიჩანს ბედის ცვალება.
ველური ტყე ხარ, არვინ იცის შენი სახელი,
არც ზარ-ზეიმი გლირსებია, არც შებრალება.
ყველა საგანთა ღრმა აზრი ხარ, შენსას კი მალავ,
არავის ანდობ ბოლო სიტყვას, არვის მომართავ.
ყველას სხვაგვარად ეჩვენები, სხვადასხვა ძალად,
ხომალდს ნაპირად ეგულვი და ხმელეთს ხომალდად.

* * *

ღმერთო, მე მინდა ვიყო ერთად მრავალი მწირი,
შენს სამლოცველოდ გრძელ ქარავნად გეახლო ბევრი,
დიდი ნაწილი ვიყო შენი და არა მცირე:
ბაღო, ხეივნად დაბურულო ცოცხალი ტევრით.
ასე რომ დავალ განდეგილი, მარტო, ეული,
ვერავინ მხედავს, ვრჩები მუდამ ვერშემჩნეული,
ეს ვის აღაგზნებს? ვინ გავხადო შენი წვეული?
ვინ მოგიქციო? აქ არაფერს არა აქვს ფასი.
კვლავ იცინიან. და მეც ვხარობ: გაიხარენით!
ისე დავდივარ, როგორიც ვარ, რადგანაც ასე
ვეღარ მხედავენ მხიარულად მოხარხარენი.

* * *

დღისით შენ ოდნავ ისმინები, თუმც შენი ლტოლვა
მაინც იგრძნობა, ყველას ირგვლივ ჩუმად საუბრობ;
შენ ხარ საათის რეკვის შემდეგ დუმილის თრთოლვა,
თანდათანობით რომ იხშობა უფრო და უფრო.

და რამდენადაც უფრო მეტად დაეუფლება
დღეს დაღლილობა და ღამეში მიწვება რწევით,
ღმერთო, მით უფრო გაიზრდება შენი სუფევა
და სახლებიდან, როგორც კვამლი, ამოვა ზევით.

* * *

ან უკვე მწიფან მეწამული კოწახურები,
კვლებში ხანდაზმულ ასტრებს სუნთქვა თითქმის ელევათ,
ვინც ნაზაფხულევს ვერ მოიმკო საზრდო ულევი,
ან იმას უკვე არაფერი არ ეშველება.

ან ვისაც უკვე აღარ ძალუძს მოხუჭვა თვალის,
არადა მასში არსებული ლანდები მფრთხალი
ღამის დადგომას მოელიან, რომ მთელი ძალით
მისი არსების უკუნეთში წამოდგნენ დასად,
განწირულია სასიკვდილოდ, მოხუცის მსგავსად.
მას არაფერი ეშველება და დღე ყოველი
ცილისწამებად გადექცევა, დაკარგავს იმედს,
შენც, ღმერთო ჩემო, ემსგავსები იმ ლოდს, რომელიც
მას დღენიადაგ სიღრმისაკენ ეწევა მძიმედ.


* * *

ეგებ უმძიმეს მთების გულში მკვრივძარღვეულად
მივედინები, ვით მადანი, ღრმად და ეულად.
ჩემთვის შორეთი დანთქმული და დაქცეულია,
ირგვლივ ყოველი სიახლოვედ გადაქცეულა
და ეს ყოველი სიახლოვე ქვადქცეულია.

მე ჯერ არ ვიცი მწუხარების არსება ბნელი,
მიტომ მაკნინებს ესეოდენ დიდი უკუნი;
თუ ეს შენა ხარ: ჩამოზვავდი, დამემხე, გელი:
ჩამომაწვდინო ეგებ შენი მთლიანი ხელი
და მეც ამოგწვდე მთელი ჩემი გრგვინვა-გუგუნით.

* * *

და სიღატაკე არის დიდი შუქი სულისა.



* * *

შენ ხარ ღატაკი, უპოვარი, უბრალო ქვა ხარ,
რომელსაც არსად გაგაჩნია ადგილი შენი,
ეუვანშებმული კეთროვანის ჟღარუნით დახვალ,
ვისთვისაც მარად დახშულია ქალაქის ბჭენი.

შენ ხარ ქარივით შიშველი და არაფრისმქონე,
და თვით სახელსაც ვეღარ ირგებ შენუნებურად, –
საყოველდღეო ციცქნა კაბა ობოლ გოგონებს
უფრო საკუთრად აცვიათ და უფრო მეფურად.

ხარ ღატაკი და უქონელი ისე, ვით ძალა
ჩანასახისა, ქალიშვილის შიგანს რომ თუთქავს,
რომელსაც იგი წელშეკრული კუმშავს და მალავს,
რათა მოგუდოს ორსულობის პირველი სუნთქვა.

შენ გაზაფხულის წვიმასავით ხარ უპოვარი,
სახურავებზე რომ ეშვება ლაღი წკარუნით,
საკანში მყოფთა სურვილი ხარ მსასოვარი,
რასაც მარადის განიცდიან უსამყარონი.
შენ ხარ სნეულის გვერდის შეცვლა, შვება ოდნავი,
ვით ყვავილები ნაურმალში, ნავალ-ნადაგი,
ქვითინი ხელებსჩატირული, გულდამკოდავი,
იმ ხელებივით არასქმონე, ღარიბ-ღატაკი.

შენს უმწეობას არაფერი უკვე აღარ ჰგავს,
რა არის ჩიტი გაყინული, მშიერი ძაღლი,
ან დამწყვდეული ცხოველები, მზირალნი ნაღვლით,
აღარავინ რომ არ იხსენებს ტყვეობით დაღლილთ.
ანდა რა არის საკუთარი თავის დაკარგვა?
ვერ შეედრება შენს სისაპყრეს, დილაადრიან
მათხოვრები რომ აითრევენ ცარიელ აბგას,
წისქვილნი არა, სულ პატარა ქვები არიან,
მაგრამ ისინი მაინც ფქვავენ ერთ მუჭა საფქვავს.

შენ კი უღრმესად უსახსრო ხარ და უპოვარი,
სახეფარულად მოგლახავე, მარად მთხოვარი;
ვარდად გაშლილი სიღატაკე,
მარად მლმობელი
და ოქროების მზის სხივებად გადამდნობელი.

ხარ უსამშობლოდ დარჩენილი ისე, ვით ქარი.
გახველ გარეთ და გაიხურე სამყაროს კარი:
ესოდენ მძიმე ყველასათვის, დამქცევ-დამნგრევი.
გრიგალში გრგვინავ. შენ ხარ თითქოს გრძნეული ქნარი.
რომლის სიმებსაც შემოემსხვრა ყველა დამკვრელი.

ორფევსი. ევრიდიკე. ჰერმესი.

ეს იყო სულთა საოცარი მაღაროები
ვერცხლის საბადოს ძარღვებივით გასდევდნენ წყვდიადს.
ფესვებს შორის ჟონავდა სისხლი
აქეთ, ხალხისკენ მომდინარე და იმ წყვდიადში
ის პორფირივით მძიმე ჩანდა.
სხვა არრა იყო იქ წითელი.

იყო კლდეები.
იყო ტევრები უსიერი. იყო ხიდები
სიცარიელეს გადებულნი და ერთი დიდი
მღვრიედნაბინდი რუხი ტბორი, გადმომხობილი
თავის შორეულ ფსკერს, ვით მიწას ზეცა საავდრო.
მდელოებს შორის ჩანდა მშვიდი, თმენით აღსავსე
გზის მკრთალი ზოლი, გაწოლილი უფერულ სხივად.

და ამ ერთადერთ გზას დაადგნენ ისინი უხმოდ.

წინ ბრგე ვაჟკაცი მოდიოდა ლურჯი მანტიით,
მდუმარე, მაგრამ მოუთმენლად წინ მოთვალთვალე.
დაუღეჭავად ნთქავდა მისი ხარბი ნაბიჯი
გზის დიდ-დიდ ნაჭრებს; მოსასხამის ნაოჭებიდან
მძიმედ და მკვრივად ეშვებოდა მისი მკლავები,
რომელთაც უკვე დაეივნყათ მსუბუქი ქნარი,
მარცხენა მკლავთან თანშეზრდილი ისევე მჭიდროდ,
ვით ზეთისხილის რტოს შეზრდილი პწკალი ვარდისა.
მას შეგრძნებები ჰქონდა თითქმის გაორებული:
იმისი მზერა მწევარივით წინ ისწრაფოდა,
მაგრამ უკანვე ბრუნდებოდა, რათა ხელახლა
გავარდნილიყო ისევ შორს და კვლავ მოეცადა
იქ, უახლოეს მოსახვევში ლოდინად ქცეულს, —
მისი სმენა კი, როგორც სუნი, უკან რჩებოდა.

ზოგჯერ ეგონა, რომ საცააა მისწვდება კიდეც
თავისი სმენით დანარჩენი ორის სიარულს,
რომელნიც უნდა მოჰყოლოდნენ მთელ ამ აღმასვლას.
ისევ მისივე ნაბიჯების გამოძახილი
და კვლავ მისივე მოსასხამის ქარის ფრიალი.
ზოგჯერ თავის თავს არწმუნებდა: „ისევ მოდიან!"
და ინახავდა ხმამაღლა თქმულს მიყუჩებამდე.

ისინი კვლავაც მოდიოდნენ, ისევ ის ორნი,
თუმც შემზარავად უხმაუროდ. რომ შეძლებოდა
მას თუნდაც ერთხელ მიბრუნება (თუკი თავისი
უკუმიხედვით მთელ ამ საქმეს არ დაანგრევდა,
თითქმისდა უკვე აღსრულებულს) დაინახავდა
ორივეს, მდუმართ, ფეხაკრეფით უკან მომავალთ:

ღმერთს ხეტიალთა და შორეულ ამბავთ გამგებელს,
სამგზავრო ჩაფხუტჩამოფხატულს ნათელ თვალებზე,
წინმოქნეული წვრილი კვერთხით რომ მოდის ლაღად
კოჭისთავებზე ფრთებისცემით და მოჰყავს: *ი გ ი.*

იგი, ისეთი საყვარელი, რომ ქნარმა მოთქმით
გადააჭარბა მოტირალ ქალთ, ქვეყნად არსებულთ,
შექმნა სამყარო გოდებისა, რომელშიც იყო
კვლავ ერთხელ კიდევ ტყე და ხევი, გზა და სადგომი,
მდინარეები, ცხოველები და მინდორ-ველი;
და ამ გოდების სამყაროში, რომელიც ჰგავდა
სულ სხვა ქვეყანას, იყო მზე და ვარსკვლავნაყარი
მდუმარე ზეცა, გოდების ცა, მოალმაცეროდ
გამრუდებული ვარსკვლავებით –:
იგი, ისეთი საყვარელი.

ის მოდიოდა ღმერთის მხარდამხარ.
გრძელი სუდარა უბორკავდა ოდნავ ნაბიჯებს,
ვიდოდა მშვიდად, უხალისოდ, გაუბედავად.

ის, ვით ფეხმძიმე, თავის არსში იყო ჩაფლული
და არ ფიქრობდა არც იმაზე, ვინც წინ უძღოდა
და არც ამ ზემოთ, სიცოცხლისკენ მიმავალ გზაზე.

ის თავისსავე არსში იყო. თავის სიკვდილით
დასრულებული და აღსავსე.
როგორც ნაყოფი, სიტკბოთი და სიბნელით მწიფე,
იგი აღივსო თავისივე დიდი სიკვდილით,
რომელიც იყო ახალი და შეუცნობელი.

იგი აღმოჩნდა რაღაც ახალ სიქალწულეში
ხელშეუხები; მისი სქესი ისე შეიკრა,
როგორც კოკორი საღამოჟამს. მისი ხელები
სხვის სიახლოვეს იმ ზომამდე გადაეჩვია,
რომ თვითონ ღმერთის უაღრესად ნაზი შეხებაც
მას უხეშად და მტკივნეულად ეჩვენებოდა.

ის აღარ იყო უწინდელი ქერა ასული,
ადრე პოეტის სიმღერებში ხშირად ნაქები,
აღარც კუნძული სურნელისა ფართო საწოლში
და აღარც იმ კაცს ეკუთვნოდა ამიერიდან.

ის იყო უკვე ჩამოშლილი გრძელი ნაწნავი,
და შეწოვილი ისე, როგორც წვიმის სინესტე,
და დაყოფილი, ვით მარაგი, ათას ნაწილად.

ის ახლა უკვე ფესვი იყო.

და როცა ღმერთმა
იგი უეცრად შეაჩერა და გულნატკენმა
მას ესღა უთხრა: შემობრუნდაო -,
ის ვერც მიუხვდა და ჩუმი ხმით იკითხა: ვინა?

-

შორს, სადაც ჩანდა წყვდიადიდან გამოსასვლელის
ნათელი ზოლი, ვიღაც იდგა და უცქეროდა,
თუ რარიგ სახედაღვრემილი დაადგა ბილიკს
ღმერთი-მეგზური, რათა იგი უკანა გზაზეც
ისევ მდუმარედ გაჰყოლოდა იმავ არსებას,
რომელიც უკან ბრუნდებოდა იმავ ბილიკით,
გრძელი სუდარა უბორკავდა ოდნავ ნაბიჯებს,
ვიდოდა მშვიდად, უხალისოდ, გაუბედავად.

ანტი-სტროფები

ო, აქ, ჩვენს შორის ნაღვლიანად რომ იარებით,
ქალებო, მუდამ,
ბედი რომ ჩვენზე ნაკლებ გინდობთ და მაინც ძალგიძთ
ხსნა სულისა, როგორც წმინდანებს.

როგორ ახერხებთ,
შეყვარებულს თვალს რომ შეავლებთ,
უცებ აღვსებას ბევრად უფრო მეტი მყოფადით,
ვიდრე იქნება შესაძლებელი?
და ვინც კი იცნობს
თვით უკიდურეს ვარსკვლავთა შორეთს,
გაოგნებული რჩება მაინც,
როცა აწყდება თქვენს დიდებულ გულთა სივრცეებს.
მათ როგორ ავრცობთ ამ საოცარ სივიწროვეში?
წყაროებით და ღამეებით აღვსილნო მარად.

ნუთუ თქვენა ხართ
ისინი, ვისაც ბავშვობისას უფროსი ძმები
ხელს გკრავდნენ სკოლის დერეფნებში?
ჰოი, ნეტარნო.
ჩვენ ბავშვობაში სამუდამოდ დავისახიჩრეთ
ჩვენი სულები,
თქვენ კი იყავით პურის ყანა, ჯერ მოუსვლელი.

არ დაგაშავათ თქვენ
ბავშვობის ჩამოშვავებამ.
და აქ იდექით
ღმერთში სრულყოფის უეცარი სასწაულები.
ჩვენ კი,
ისე, ვით კლდის ნაშალი, ბიჭობის ხორკლით,
გაუთლელნი თუ ოდნავ თლილნი.

ჩვენ — კლდის ღორღივით
ჩამოცვენილნი ყვავილებზე.

თქვენ კი ქვესკნელის ყვავილებო,
ფესვებს უყვარხართ,
თქვენ, ევრიდიკეს დობილებო,
ზეაღმავალი კაცების წმინდა მობრუნებით
მარად სავსენო.
ჩვენ ვართ თვითგვემა,
სხვათა მგვემნი სიამოვნებით
და სიამისგან თვით გვემილნი კვლავაც, ყოველთვის.
იარაღი ვართ
მძვინვარების სასთუმალქვეშ ამოდებულნი.

თითქმის შველა ხართ.
როცა დგება უსაშველობა.
თქვენ საჩრდილობელ, მოსასვენებ ხეებად გსახავთ
მარტოსული კაცის ოცნება.

* * *

ო, ეს სიცოცხლე, საოცარი სიცოცხლის ჟამი,
შეუსაბამო დასაბამთა დასალიერი,
მდორედ მდინარი, შემპარავი, ცრუ და ცბიერი
და უცებ, როცა დაუდგება სილაღის წამი —
ანგელოსივით ფრთაგაშლილი და ნებიერი.
ო, აუხსნელზე აუხსნელი სიცოცხლის ჟამი.

ბევრი სიცოცხლე დაბრკოლებებს არარად იჩნევს,
მათ შორის მეტად აღენთება ნეტავ რომელი?
ვდგავართ ჯიუტად, ვებჯინებით საკუთარ მიჯნებს
და გვინდა, ჩვენსკენ მოვიზიდოთ შეუცნობელი.

* * *

ავგუსტ და პედდა ზაუერებს წრფელი
მადლობის გრძნობით.

(საშობაო მოკითხვებით)

როდესაც ვხვდებით ბავშვობის საგნებს,
ჩვენს თავს თითქოსდა ხელახლად ვაგნებთ.
აქამდე წლები ვიდოდნენ ვითომ,
ახლა კი ვგრძნობთ, რომ მივდივართ თვითონ.

სიყვარულის სიმღერა

ვით დავიოკო სული ისე, რომ იგი შენსას
აღარ შეეხოს არასოდეს? ვით აგარიდო?
სხვა საგნებისკენ ვით წარვმართო იმისი ჟრუოლა?
ო, როგორ მინდა გადავმალო და სადმე შევსვა,
ქვეშ ამოვუდო რამე საგანს და გავარინდო,
რომ არ შეეხოს მას შენეულ სიღრმეთა თრთოლვა.
მაგრამ ვაი, რომ არ არსებობს შენი და ჩემი
და რაც ორივეს შეგვეხება, ისე ვით ხემი,
რომელსაც ე რ თ ი ხმა ამოჰყავს, ორ სიმს რომ გაკრავს,
მე და შენც ასე შეგვაერთებს სიმღერის გეში
და ვიქნებით მისგან ძლეული,
გადაჭიმულნი ასე ერთად რანაირ საკრავს?
ანდა რომელი მესაკრავის საოცარ ხელში?
ჰანგი გრძნეული.

მჭვრეტელი

ხეებში ხშირად ქარიშხლების ვხედავ ხარებას,
რომელთაც ცივად მონაბერი დღეები სველი
ჩემს დამფრთხალ სარკმლებს ახეთქებენ და მესმის ძველი
ნაშორეთალი საგნების ხმა, თუმც აღარ ველი,
მათი გაძლება უმეგობროდ იქნება ძნელი
და მე ისინი, დის გარეშე, ვერ მეყვარება.

მოქრის გრიგალი, გარდამქმნელი, არა ძაბუნი,
წიაღგამჭოლი, მან არ უწყის გზები წრიული,
უასაკოა ყოველივე, არ სურს სალბუნი,
ბუნება არის განწმენდილი, როგორც ფსალმუნი,
დინჯი და მშვიდი, ძლიერი და მარადიული.

რასაც ჩვენ ვიბრძვით, რა მცირეა, და რარიგ დიდი
ის, რაც ჩვენ გვებრძვის უნებლიეთ, სახელდახელოდ.
საგანთა მსგავსად რომ გვქონოდა ბუნება მშვიდი,
დავნებებოდით გრიგალს ასე და თუკი ვცდიდით,
ჩვენც გავხდებოდით უფრო ვრცელი და უსახელო.

რასაც ვამარცხებთ, პატარაა, მცირეოდენი,
თვით გამარჯვებაც ჩვენ გვაკნინებს ყოველთვის, ყველგან,
მარადიულს და უჩვეულოს, ჩვენთან მოდენილს,
არა და არ სურს დათრგუნული რომ იყოს ჩვენგან.
ეს არის იგივ ანგელოსი, აელვარებით
რომ მოევლინა ძველი აღთქმის მებრძოლთ ანაზდად:
მის მეტოქეთა დაძაგრული მშვილდის ლარები,
რომელთაც ბრძოლამ თვით ლითონის სიმტკიცე მისცა,
იმ ანგელოსის თითებს შორის ისე განაზდა,
რომ უღრმეს ჰანგთა გამომცემელ სიმებად იქცა.

ეს ანგელოსი ვისაც დასძლევს ძალისძალობით,
თუმც მას არ უყვარს შებრძოლება და ერიდება,
ი გ ი აღდგება, ვით უბიწო, და მას დიდება
მიენიჭება იმ მძლეთამძლე ხელის წყალობით,
რომელიც ჰქონდა ყალიბივით შემოჭდეული.
გამარჯვებები იმას უკვე არ ენატრება.
და მას ეს გაზრდის: შინაგანად იყო ძლეული
იმ ძალის მიერ, მას რომ მარად აღემატება.

შადრევანთა გამო

მე გამიცხადდა შადრევნების არსი ფარული,
ბროლის ხეების საოცრება უცებ მიცვნია,
ეს ხომ თვით ჩემი ცრემლებია ჩამოღვარული,
დიდ ოცნებებში როცა დავრჩი ხელმოცარული,
ოდესღაც მაშინ დამბნევია და დამვიწყნია.

ნუთუ მე მართლა დამავიწყდა, რომ ზეცის ხელი
ეხება საგნებს მიმობნეულთ თუ შეყრილთ გუნდად?
ნუთუ არ ვგრძნობდი სიდიადის ზეობას, ძველი
ბაღების თაღებს რომ შევცქერდი, როდესაც ნელი
საღამოების ლბილი შუქი იდგა ბინდ-ბუნდად, —
და როცა უცხო გოგონების თითქოსდა უნდოდ
წამოწყებული სიმღერები ჰანგს აგრძნეულებს
და ამ სიმღერებს, სინამდვილედ გადაქცეულებს,
თითქოს გახელილ გუბეებში არეკვლა უნდათ?

მე მხოლოდ უნდა მოვიგონო, რაც მახსოვს მკრთალად,
მე და შადრევნებს რაც დაგვმართა დინებამ წელთა,
რომ უცებ ვიგრძნო ქვედაშვების სიმძიმის ძალა
და წყლის ჭავლებთან ხელახალი შეხვედრის ელდა:
და უკვე ვიცი ამ ტოტების ქვემოთკენ წვდომა,
ხმების ციმციმი სულ ოდნავი და მათი კრთომა,
გაუბედავი გუბეების უაზრო ნდომა,
რომ იმეორონ ნაპირების არშიის რკალი,
მიმწუხრის ცათა უცხო მზერა, ქუფრი და მქრქალი,
დანაკვერჩხლებულ ნადაისალ ტყეების ზევით,
მოღუშულნი რომ კრავენ თაღებს უცნაურ ქცევით,
თითქოს აქ მოსვლა არ ჰქონიათ აზრადაც იმათ...

რამ დამავიწყა, რომ ვარსკვლავი ვარსკვლავის მიმართ
დახშულია და გამიჯნული? და რომ ეულნი
ეს სამყარონი, სივრცეებით ცრემლმორეულნი,

ძლივს ცნობენ ერთურთს? ანდა ზ ე მ ო თ ჩვენა ვართ იქნებ
სხვათა ზეცაზე და ისინი თავიანთ ფიქრებს
ჩვენსკენ გზავნიან ღამღამობით ჩუმი ოცნებით?
იქნება ქებას ჩვენ გვიძღვნიან მათი მგოსნები?
ჩვენა ვართ მათი სალოცავი ან საწყევარი,
თუმც შორზე შორი და მარადის მოულწევარი?
იქნებ იმათთვის ჩვენ იქა ვართ, სად მიღმიერი
ეგულვით იმათ თავიანთი ღმერთი ძლიერი,
რომელიც სადღაც აქ დაკარგეს და ვერ მიაგნეს,
და რომლის ხატი, სასწაულად იელვებს თუკი,
ისე, ვით მათი მაძებარი სანთლების შუქი,
ჩვენს გაოგნებულ სახეებზე გაიციაგებს.

ოქრომჭედელი

მადროვეთ! ნელა! — ვემუქრები ბეჭდების გროვას,
ძენკვის ყოველ რგოლს ვაიმედებ, რამეს ვპირდები:
მოგვიანებით გახვალთ გარეთ, ყველას დრო მოვა.
ვჭედავ და ვამბობ: ნივთი, ნივთი, ნივთი, ნივთები!

ჩემამდე არ სურთ, რომ იტვირთონ რაიმე ხვედრი,
რამედ რომ იქცნენ, ამ აზრისგან ყველა შორს არის.
აქ, ღვთის წყალობით, ტოლები ვართ, ყველა ვართ ერთი:
მეც, ოქროც, ცეცხლიც და თვით თვალი-პატიოსანი.

იყუჩეთ-მეთქი, დაშოშმინდით! აქ კივის ლალი,
იქ მარგალიტი იტანჯება, ცრემლი ეღვრება,
აკვამარინში ბობოქრობს და ბორგავს ღრმა წყალი,
რარიგ ძნელია, შემზარავი, თქვენთან შეხება.
ერთად იღვიძეთ. ვის რა გინდათ, აღარც კი მესმის:
ალაჟვარდება ზეცისა თუ წითლად შეღებვა?
და მთელი გროვა უსაშველო ნაპერწკლებს მესვრის.

ოქრო, ეტყობა, დამყაბულდა, მორჩილად დამყვა,
ჯერ ცეცხლის ალში გამოვაწრთე, დარბილდა, გალღვა,
მაგრამ მე მისი შეწუხება მაინც მომიხდა
ქვის გულისათვის, და რომ უნდა ჩამესვა თვალი,
ლითონისებრი გაშმაგებით უცებ მომიხტა
და თვლის სანაცვლოდ მე ჩამასო თავისი ბრჭყალი.

მუსიკას

მუსიკავ: სუნთქვავ ქანდაკებათა, ან იქნებ:
ხატთა მდუმარებავ. შენ იქ მეტყველებ, სადაც სიტყვები
უკვე თავდება. დრო ხარ, რომელიც
ზეაღიმართვის დამწუხრებულ გულთა სავალზე.

გრძნობავ, ვისადმი? ო, გარდასახვავ
გრძნობისა, რად-ღა? — ხმოვან ლანდშაფტად.
შენა ხარ უცხო: მუსიკავ, ჩვენი
გულის სივრცე ხარ ამოზრდილი და განფენილი
ჩვენზე უსაზღვროდ.
ჩვენი უიდუმალესობა მაღლდება ჩვენზე
და იგი უკვე გარეისწრაფვის, —
ეს არის წმინდა განშორება:
როდესაც ირგვლივ გვიდგას უღრმესი,
როგორც შორეთი გამოცდილი, როგორც ჰაერის
იქითა მხარე,
წმინდა,
დიდი,
უკაცრიელი.

ესპანური ტრილოგია

I

ამ ღრუბლისაგან, ვარსკვლავი რომ შთანთქა ველურად,
რომელიც ენთო ამ მთიანეთს მიღმა — (და ჩემგან),
სადაც ამჟამად ღამე სუფევს, სადაც ამჟამად
გვიანობამდე ქარნი ქრიან ძლიერ — (და ჩემგან),
იმ მდინარისგან, გარღვეული ზეცის ნათელი
გამოკრთომა რომ აირეკლა უცებ — (და ჩემგან),
ამ ყველაფრისგან, ყველაფრისგან და ჩემგან, ღმერთო,
შეიქმნას ერთი, ერთადერთი საგანი მხოლოდ
ჩემგან და მისგან, რასაც ფარა გრძნობს დამწყვდეული,
როგორც ის იღებს ამოფშვენით ბნელ, უზარმაზარ
აწ უკვე აღარარსებობას მთელი ქვეყნისა —,
ჩემგან და კუშტად ჩამუქებულ უამრავ სახლის
ყოველ მბჟუტავი სანთლისაგან, ღმერთო, შეიქმნას
რამე საგანი; უცხოთაგან, რომელთაც სულაც
არ ვიცნობ, ღმერთო, იმათგან და ჩემგან, და ჩემგან
იქმნეს საგანი ე რ თ ა დ ე რ თ ი; უცხო, მძინარე
მოხუცებისგან, თავშესაფრის საწოლებზე რომ
დარბაისლურად ახველებენ, უცხო ძუძუზე
ჩაძინებული ბავშვებისგან, მრავალზე მრავალ
გაურკვევლისგან და ყოველთვის, ყოველთვის ჩემგან,
მხოლოდ ჩემგან და იმისაგან, რაც მე არ ვიცი,
იქმნეს საგანი, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, ისეთი
ზესამყაროულ-მიწიერი, ვით მეტეორი —
თავის სიმძიმით — შენივთული ფრენათა ჯამი;
არავითარი წონა, გარდა მოვლინებისა.

II

ერთს რატომ უნდა დაეკისროს თავისთვის უცხო
საგანთა ზიდვა, როგორც მუშას, ერთი დახლიდან
მეორე დახლთან რომ გადადის და უცნობები
კალათას უფრო რომ უვსებენ და იგი უკვე
ძლივს ეზიდება ამ მძიმე ტვირთს და არცკი ძალუძს
იკითხოს: ღმერთო, ვისთვის არის ეს წვეულება?!
და რატომ უნდა იდგეს იგი ისე, ვით მწყემსი
და განიცდიდეს გავლენათა ასეთ სიჭარბეს
ამ მოვლენებით სავსე სივრცის თანაზიარი;
მას ხომ შეეძლო, ხეს მიყრდნობილს, არ ემოქმედა
და სხვათა მსგავსად ბედ-იღბალი ჰქონოდა თვისი?!
მაგრამ ფართოა მისი მზერა. იგი ცხვრის ფარის
მშვიდი იერით არ ლბილდება, სამყაროს გარდა,
არრა არსებობს იმისათვის. ზემოთ თუ ქვემოთ
სამყარო უდგას მუდამ თვალწინ. რაც სხვებს ნებით და
სიამოვნებით ეკუთვნება, მას ბრმად, პირქუშად,
ჯიქურ ეჭრება ხოლმე სისხლში, როგორც მუსიკა
და იქით, მიღმა მიედინება.
ის ასე დგება ღამ-ღამობით და ფრინველის ხმა
გარედან უკვე საკუთარი ყოფიერების
წიაღ ჩაესმის. თამამდება, რადგან მას ყველა
ვარსკვლავი თავის არსებაში შეამოაქვს მძიმედ —,
ო, ისე არა, ვით ვილაცას, ვინც თავის სატრფოს
უმზადებს ხოლმე ამავ ღამეს და ანებივრებს
მას განცდილ ცათა კაბადონებით.

III

ნეტავ მე, ისევ დაბრუნებულს ქალაქთა მჭიდრო
მიხლა-მოხლაში, გარსშემორტყმულს ხმათა ნახლართით
ბორბლების ბრბოში, მარტოდმარტოს ამ შედედებულ
აურზაურში, ნეტავ კვლავაც გამხსენებოდა
ცა და თიხნარი ფერდობები, რომლებზეც გაღმით
ჩამოდის ფარა, უბრუნდება სადგომს თავისას.
გავკაჟდებოდი მხნედქცეული და შესაძლებლად
მეჩვენებოდა მწყემსის საქმე ყოველდღიური,
როგორ მუქდება მისი კანი, დაუყოვნებლივ
ზუსტად ნასროლი კენჭით როგორ შემოუკეცავს
ფარას კიდეებს, უეცრად რომ მოეძენძება.
ნაბიჯი მძიმე და სხეული ფიქრს მინდობილი;
და მისი დგომაც მეფურია. კვლავაც შეეძლო
ღვთაებას ვინმეს იდუმალი განსხეულება
მის არსებაში, თავის თავის დაუმცირებლად.
იგი დღესავით იცვლის ადგილს ხანდაყოვნებით.
ღრუბელთა ჩრდილი მასში გადის და სივრცე თითქოს
ფიქრობდეს თავად მის მაგიერ აუჩქარებლად.
ვინც უნდა იყოს იგი თქვენთვის. მე კი მის წიაღ
შევაღწევ ჩუმად, როგორც ჭრაქის წამოსასხამში
ღამის სინათლე მონანავე. ჩაცხრება შუქი.
და მოვიდოდა თვით სიკვდილი, როგორც ეგების.

„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი“

(პაპირუსი პრისსე, პტაჰ-ჰოტეპის გამონათქვამიდან.
ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლის ხელნაწერი)

„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი". მოკვდება
იმათი ღიმილის ენითგამოუთქმელ ყვავილობისაგან. მოკვდება
იმათი ნაზი ხელებისგან. მოკვდება
ქალთაგან.
უმღეროს ჭაბუკმა მათ, მომაკვდინებელთ,
როდესაც ისინი
ამაყად შეუვლენ გულის სივრცეებში. თავის აყვავებულ
მკერდიდან უმღეროს:
იმათ, მიუწვდომელთ!
ო, რარიგ უცხონი არიან ისინი!
ჭაბუკის გრძნობათა ქედზე გადმომდგარნი
სიამედ გარდაქმნილ ღამეს გადმოღვრიან
მის გაშლილ მკლავების უდაბურ ხევებში.
და ვაჟის სხეულში
მათი მოვლინების ნიავი შრიალებს.
მთლად გაბრწყინებულნი
მიედინებიან მისი ნაკადები.

მაგრამ მამაკაცი,
დაე, მდუმარებდეს თავზარდაცემული.
ის, ვისაც ღამენი თავისი გრძნობების მაღალ მთიანეთში
უგზოდ და უკვალოდ აქვს მიმოფანტული,
დაე, მდუმარებდეს.
ვით დუმს ხანდაზმული, ძველი მეზღვაური,
რომელშიც ძლეული შიშები აქამდე
თრთოლვით თამაშობენ, როგორც მოცახცახე გალიის კედლებში.

* * *

სატრფოვ,
წინასწარ დაკარგულო და ვერასოდეს
ვერმოღწეულო, მე არ ვიცი, რა ჰანგი მოგწონს.
არ შევეცდები შენს შეცნობას მაშინ, როდესაც
ასე ბობოქრობს მომავალი. ყოველი დიდი
სურათი ჩემში არსებული, ნაშორეთალი
ბუნების განცდა, ქალაქები, ციხე-კოშკები,
ხიდები და მო —
ულოდნელი მოსახვევი უცხო გზებისა,
და ღმერთთაგან ოდესღაც ქმნილი
ქვეყნების ძალა:
შენს მნიშვნელობას იძენს ჩემში,
უხელთებელო.

შენ ხარ ბაღები,
მე ასეთი სასოებით რომ
შემოვცქეროდი, აგარაკის
ღია სარკმელი —, და შენ ლამის
მომიახლოვდი ჩაფიქრებული.
მე ვპოულობდი იმ ქუჩებსაც, სულ ცოტა ხნის წინ
შენ რომ ჩაგევლო. სავაჭროთა სარკეებს შენგან
თავბრუ ესხმოდათ და მე მგავდნენ ელდანაცემნი.
ვინ იცის,
იქნებ ერთმა ჩიტმა გაიფრთხიალა
ჩვენ ორთავ წიაღ
გუშინ, ცალ-ცალკე, საღამოჟამს?

* * *

ისევ და ისევ, სიყვარულის სანახებს თუმცა
ჩვენ კარგად ვიცნობთ, მის პატარა სასაფლაოსაც
თავის მომჩივან სახელებით, საზარლად მდუმარ
უფსკრულს, რომელშიც ჩაცვენილან სხვანი და სხვანი,
ისევ და ისევ გავალთ მაინც შინიდან ორნი
და ხნიერ ხეთა ქვეშ დავწვებით, ისევ და ისევ
ყვავილებს შორის, ზეცის პირისპირ.



* * *

მთელი სამყარო განსხეულდა სატრფოს სახეში,
მაგრამ უეცრად აღივსო და გადმოიღვარა
გარე სამყაროდ, ვერსაცნობად და მიუწვდომლად.

რატომ არ შევსვი მაშინათვე სამყარო მთელი,
რომლითაც იყო სატრფოს სახე ასე აღსავსე,
რომლის სურნელსაც თითქმის ვიყავ დაწაფებული?

ო, მე კი შევსვი, თანაც რარიგ დაუოკებლად.
მაგრამ აღვივსე ამ სამყაროს დიდი სიუხვით
და როცა ვსვამდი, ვიღვრებოდი მე თვითონ სმისას.

* * *

გულის მწვერვალზე გარიყულო, შეხედე, რარიგ
მცირედ მოჩანან, ხედავ, ქვემოთ სიტყვების ბოლო
დასახლებანი და მის ზემოთ რაღაცა გრძნობის
პაწაწკინტელა კარ-მიდამო უკანასკნელი.
განა ვერა სცნობ, გარიყულო გულის მწვერვალზე?
მხოლოდ კლდეღაა ხელებს ქვემოთ. თუმც ალბათ აქაც
ხარობს ზოგი რამ; დადუმებულ კლდოვან ნაპირზე
აღმოცენდება უმეცარი ბალახ-ბულახი
ღიღინ-ღიღინით. მაგრამ მცოდნე? ვინც შემეცნებამ
დაამდუმარა, შერჩენილი გულის მთიანეთს.
ალბათ დადიან იქ ჯანსაღი ცნობიერების
მქონე ნადირნი, დაზღვეულნი, ადგილს იცვლიან,
ხან ყოვნდებიან და უსაფრთხო დიდი ფრინველი
ირაოთი რომ დარიალებს მწვერვალთა უარს.
ის კი ხიფათში, განწირული გულის მწვერვალზე.

შემოდგომა

ფოთლები ცვივა, თითქოს შორით მომწყდარან იმედს.
თითქოს ჭკნებიან შორეული ზეცის ბაღები.
ცვივიან ცივად, უგუნებოდ და ხელაღებით.

და ვარსკვლავთაგან ღამეული ზეცის თაღებით
სიმარტოვეში დედამიწაც ეშვება მძიმედ.

ყველანი ვცვივით. ხელიც, როგორც ფოთოლი ხმელი
ვარდება. ხედავ? — საერთოა ცვენა და ბარდნა.

მაგრამ არსებობს ერთადერთი, ვინც ყოველ ვარდნას
უკიდურესად ნაზად იჭერს თავისი ხელით.



შემოდგომის დღე

უფალო: კმარა. ეყო ზაფხულს ხანი ამდენი.
ან შენი ჩრდილი დააფინე საათებს მზისას
და ქართა ჯოგი ველ-მინდვრებზე ისევ გადევნე.

ბრძანე, აივსოს ნაბოლარა ხილი ნადაგი,
მიეც ორი დღით სამხრეთული ჰავის ალერსი,
სრულქმენ ყოველი, მძიმე ღვინო უმხურვალესი
უკანასკნელი სიტკბოებით დააბადაგე.

უბინაოს კი კვლავაც ელის ბედი ტიალი
და მარტოდ შთენილს — მარტოობა კვლავ წინანდელი,
უგრძეს წერილთა წერა, შფოთვა ფიქრთგამფანტველი,
სიფხიზლე ღამით ხეივნებში და ხეტიალი,
სადაც ბობოქრობს ფოთოლცვენის კორიანტელი.

* * *

... როდემდე, როდემდე, როდემდე ვითმინოთ,
თქმანი და მოთქმანი? ხომ იყვნენ ისინი,
სიტყვის დიდოსტატნი, რომელთაც უბადლოდ
იცოდნენ ხელობა?
რაღა საჭიროა ახალი მცდელობა?

ამდენი წიგნებით, წიგნებით, წიგნებით
თავზარდაცემულნი
ადამიანები განა კვლავ ვიქნებით?

თუკი ორ წიგნს შორის იხილო მდუმარე ზეცა:
გიხაროდეს...
ან კიდევ მიმწუხრის მიწის თუნდ მტკაველი
გინახავს? — აროდეს.

მუდამ აყრუებდა სამყაროს უმეტეს გრიგალთა, ზღვათა,
ადამიანების ყვირილი, გნიასი სხვათა და სხვათა...
რაოდენ აღსავსე უნდა ყოფილიყო ჭარბი მდუმარებით
სამყარო ესოდენ,
რომ ჩვენ, გამუდმებით მომკივან არსებებს,
ჭრიჭინობელების ჭრიჭინი გვესმოდა.

და თუმცა ჰაერი მთლიანად შედედდა
ყვირილთა სიმძიმით,
ჩვენამდე ხანდახან აღწევდა
მდუმარე ვარსკვლავთა ციმციმი.

ნეტავი ოდესმე ჩვენც შეგვსიტყვებოდნენ,
მამანი, რომელნიც წარსულს მივანებეთ!
და გავმხდარიყავით: ბოლოს ჩვენც მსმენელნი!
პირველი მსმენელი ადამიანები.

სული სივრცეში

მე აქ ვარ, აქ ვარ, თავდაღწეული
და მოფარფატე.
გავბედავ კი? გადავეშვები?

ამის შემძლენი აქ მრავლად იყვნენ,
სადაც ვილტვოდი. მაგრამ ამჟამად,
როდესაც მათგან უმცირესნიც მძლეთამძლეობენ,
თუმცა კი სდუმან ოსტატობის წინაშე მაინც —:
მე გავბედავ? გადავეშვები?

თუმც უმძიმესი ღამეები მიტარებია
ძალზე შებოჭილ ჩემს სხეულში, მაგრამ მე იგი
უსასრულობას შევადუღე. ის მიწიერი
სხეული ჩემი.
იგი ქვითინად იღვრებოდა, როდესაც მე მას,
მის უბრალო გულს ავამაღლებდი.

მაგრამ ახლა კი, ვის ვაჩვენო,
რომ მე სული ვარ.
ვის გააკვირვებ?
უეცრად უნდა გადავიქცე მარადიულად,
საპირისპიროს აღარ უნდა ვეჭიდებოდე,
უკვე ნუგეში აღარ ვიყო, არაფერს ვგრძნობდე,
ზეცათა გარდა.

არავითარი საიდუმლო აღარ არსებობს,
უკვე ამოხსნილ
საიდუმლოთა შორის მხოლოდ ერთიღა დარჩა,
ერთი შემკრთალი საიდუმლო.

ო, ასე ერთი-მეორეში ვით გადადიან
უფართოესი მოხვევნანი.
მათგან რომელი ჩამიხუტებს, გადამცემს იქით,
მე, გამოუცდელ ჩამხუტებელს?

ანდა მე იქნებ დამავიწყდა და შემწევს ძალა?
გადამავიწყდა მომქანცველი აღგზნებულობა
იმ უმძიმესად შეყვარებულთა?
გამიკვირდება, აღვისწრაფვი მაღლა და შევძლებ?

შემობრუნება

„გზა სიწრფელიდან სიდიადემდე
მსხვერპლზე გავლით მიედინება“.
კასნერი

ის ჭვრეტით ამის მოპოვებას დიდხანს მოუნდა.
ვარსკვლავნი, მისი მზერის ძალით მონუსხულები,
მუხლმოყრით იდგნენ მის წინაშე.
ანდა ჭვრეტისას
დაჩოქილი იდგა თვითონვე
და გულმხურვალე ვედრებებით ღლიდა ღვთაებას,
რომელიც ზოგჯერ უღიმოდა ხოლმე მთვლემარი.

შიშის ზარს სცემდა ციხე-კოშკებს
თავისი მზერით:
იგი აგებდა ერთში მრავალს უცებ, ხელახლა.
მაგრამ ხშირად კი არემარე,
დღის სინათლით გადატვირთული,
საღამოობით ისვენებდა მის ჩუმ მზერაში.

და მობალახე ცხოველებიც ასევე მშვიდად
შეუდიოდნენ ღია მზერაში.
აშტერდებოდნენ მას ლომები, დატყვევებულნი,
ვით მათთვის უკვე გაუგებარ თავისუფლებას.
და უშუალოდ თვით მასშივე, გულისხმიერში
ფრენდნენ ფრინველნი, ყვავილებიც ისე, ვით ბავშვებს,
მასაც უმზერდნენ გახელილი ფართო თვალებით.

და ხმა დაირხა: არსებობსო ვილაც მჭვრეტელი.
ეს ხმა შეეხო
უფრო ნაკლებ, სათუოდ ხილულთ,
შეეხო ქალებს.

როდემდე უნდა ჭვრიტოს ასე?
იგი ხომ დიდხანს
იყო ყველაფერს მოკლებული და მისი მზერის
სიღრმეებიდან გამოკრთოდა ხვეწნა-მუდარა?!

და როცა კაცი მომლოდინე, უცხო მხარეში,
უჟმურ სასტუმროს გულგრილსა და საპირენაცვალ
ოთახში იჯდა პირქუშად და თვალანარიდებ
სარკეში მაინც ირეკლებოდა
იგივ ოთახი, და მტანჯველი საწოლიდანაც
ისევ იგივე:
თვ'ით ჰაერში ხდებოდა რაღაც
გაუგებარი. თითქოს იმის გულს მგრძნობიარეს,
ამდენ სატანჯველგამოვლილსა და მაინც ისევ
ასე მგრძნობიარს,
ასამართლებდნენ: სიყვარულის უქონლობისთვის.
(რის შემდეგ უკვე მას განწმენდაც ეკრძალებოდა).

ხედავ? ასეა შენი ჭვრეტა ზღვარდადებული.
და ამ სამყაროს, შენგან ნაჭვრეტს უკიდურესად,
სურს სიყვარულში ალმოცენდეს და გაიშალოს.

მზერის საქმენი მოილია,
აწ გულის საქმეს უნდა შეუდგე;
სამყაროს ხატებს, შენში მომწყვდეულთ,
რომელთა მიმართ ძალადობდი და ამიტომაც
ახლა შენ მათი არა იცი-რა.

სულო კაცისა, აი, შენი გონების სული,
რომელიც ახლა დაიპყარი ბუნების მრავალ
ქმნილებათაგან, ეს-ეს არის ახლა დაიპყარ,
არსება, ჯერაც არასდროს რომ არ გყვარებია.

სამი ლექსი ციკლიდან: სარკის ანარეკლები

ო, სარკეების ანარეკლთა ელდა და ელვა!
თვალისმომჭრელი, რადგან აღარ გრძელდება არსად.
მის წიაღ იკლავს წყურვილს ქალთა ვნებათაღელვა,
მათ ხომ სარკენი ესახებათ სამყაროს გარსად.

ჩვენ, მამაკაცებს, სარკეებში ჩაცვენა გველის,
ვით ჩვენი არსის საიდუმლო სადინარს შიგნით;
ქალი კი თავის თავს კითხულობს: სარკეა წიგნი,
ის მასში უნდა გაორმაგდეს, რომ იყოს მთელი.

ო, წარუდექი, საყვარელო, ციალს მაგ მინის,
რომ შეძლო ყოფნა და შენსა და შენს შორის მაშინ
აღდგება ძაბვა და საზომი ყველაფერ იმის,
რაც კი რამ არის აღუწერელ-უთქმელი მასში.

შენმა ხატებამ აგამაღლა: რა განძს ატარებ!
შენივ „ჰო“ შენსკენ გიდასტურებს მაგ თმას და ღაწვებს;
თვითშეგებებით მთლად აღსავსე მზერას რომ ასწევ,
იგი გითრთის და გებინდება, როცა ადარებ.

II

სარკის მინიდან ყოველ ჯერზე სულ უფრო ქორფა
ამოეწვდები საკუთარ თავს და შენში, იქვე,
როგორც ლარნაკში, აწესრიგებ, ალაგებ ორფად
საკუთარ ხატებს ნაირ-ნაირს და შ ე ნ ა დ ირქმევ

ამ ანარეკლთა ყვავილობას, ფურჩქვნას, სისრულეს;
ოდნავ ფიქრდები, ირგვლივ მსუბუქ ოცნებებს ისევ,
ვიდრე იმათი ნეტარება არ გაიძულებს,
რომ ეს ხატები შენსავ სხეულს აჩუქო ისევ.



III

ქალთან, თავისში რომ უწყვია ხატთა კრებული,
ვით სამკაული ზარდახშაში ნაზად და ლბილად,
გაყუჩებულა მამაკაცი შეყვარებული,
მონაცვლეობით, თანდათან რომ შეიგრძნობს ფრთხილად

ქალს და მის შინა სამშვენისებს... კაცი, რომელიც
თავის ხატს სულის ცხრაკლიტულის წიაღ არ ტოვებს;
შიდა სიღრმიდან მას გადმოღვრის დაუცხრომელი
სამყაროული შემეცნება და სიმარტოვე.

მფარველი ანგელოსი

შენ ფრინველი ხარ, რომ მოქროდი ღამით ფრთამალი,
მე ვიღვიძებდი და ვყვიროდი შენი მნახველი.
მხოლოდ მკლავებით მოგძახოდი, რადგან მრავალი
უღრმესი ღამის უფსკრულია შენი სახელი.
ეფინებოდი ჩემს ძილს ჩრდილად. ჩემს წიაღ ჩარჩა
შენი თესლი და მექცა სიზმრად თანამზრახველი, —
შენ უნათლესი სურათი ხარ, მე კი ვარ ჩარჩო,
შენი ბრწყინვალე გარემოცვის შემომსაზღვრელი.

მე რა დაგარქვა? ბაგეები ერთმანეთს ჭამენ.
შენ ხარ საწყისთა ამოფრქვევა შეუპოვარი.
მე ვარ სულ ოდნავ გასაგონი, შემკრთალი: ამენ,
შენი მშვენების შემოვლების მსასოვარი.

შენ მე მრავალჯერ გამიტაცე ფართხალ-ფართხალით,
როდესაც ძილი შავ სამარედ ამომიღამდა
და გულზე მაწვა უმძიმეს და დამლუპველ დაღად,
შენ ჩემი გულის წყვდიადიდან ამომიყვანდი
ზემოთ, მეწამულ დროშასავით რომ მეფრიალა
კოშკების თავზე, ლაჟვარდებში უნაღვლოდ, ლაღად.

შენ, ვინც ყოველგვარ საოცრებას აღიქვამ ისე,
როგორც საცნაურს, რაც მრავლგზის გაგიგონია,
ადამიანთა არსებობა ჰანგი გგონია
და ვარდშლილობა შენს მზერაში სრულდება ისევ,
უნეტარესო, ჩვენ ოდესმე გავხდებით ღირსი,
რომ თუნდაც ერთხელ გაგვაგონო სახელი მისი,
რომლის მეშვიდე და ბოლო დღის ნათება თითქოს
მაგ შენი ფრთების მოქნევისგან მოფრქვევას ითხოვს...

მიბრძანებ. გკითხო?

ეროსი

ნიღბები ჩქარა! დავაბნელოთ ეროსი ცხადი.
მის ელვარებას ვინ გაუძლებს? სახეს უმალვენ,
როდესაც იგი, ვით ზაფხულის მზედგომის ხვატი,
საგაზაფხულო შემზადებას შეწყვეტს უმალვე.

როცა ბაასში რაღაც ჩნდება უცხოსახოვნად,
თითქოს დინჯდება... უცებ კივის და ხმას უმატებს...
და მოსაუბრეთ უცნობ თრთოლვას ტაძრის თაღოვან
შიდასივრცისებრ დაამხობს და ააგუმბათებს.

ო დაკარგულნი, დაკარგულნი უცებ, უმეცრად!
ო ღვთაებათა ჩახუტებავ ფიცხო და ცხარო!
სიცოცხლე შედგა, ბედისწერა იშვა უეცრად.
და სიღრმისეულ წიაღებში ატირდა წყარო.

* * *

სიცოცხლის გზები. უცებ ფრენით გასცდები კიდეს,
ზეამაღლდები და ქვეყანა ქვემოთ იელვებს,
როცა დამსხვრეულ სურებს ჩვენსას მივტირით კიდევ,
წყარო აგვივსებს პეშვებს, ადრე უცარიელესს.

უსადავესი სმა ყველაზე ახლო თასიდან,
სადაც განგების ხაზები ჩანს წარუმართველი.
თავს ეტყვი: მე ვარ, უცოდველი ბედმა ამზიდა
და რომ ჩავცქერი, მიტომ არის ასე ნათელი.

ჩემს მორჩილ პეშვებს ვაცისკროვნებ ჩემივ ციალით,
ხოლო საკუთარ ჩრდილს უღრმესად დავაფენ გვერდით,
განა მიტომ, რომ მოვიცილო ასე იოლად,
მხოლოდ იმიტომ, რომ მიწასთან გავხადო ერთი.

დუინური ელეგიები

თავადის ქალის მარია ფონ თურნ უნდ თაქსის-ჰოენლოეს სამფლობელოდან

პირველი ელეგია

თუნდაც მეყვირა, ვინ მისმენდა ანგელოსთ შორის?
ან მათგან ერთ-ერთს კიდევაც რომ ჩავეკარ გულში,
მისი ძლიერი არსებობა სულს ამომხდიდა.
რადგანაც არის მშვენიერი მხოლოდ საწყისი
შემზარავისა, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ მაინც
როგორღაც ვუძლებთ და შევხარით, რადგანაც იგი
უგულებელგვყოფს გულგრილად და არ გვანადგურებს.
თითოეული ანგელოსი შემზარავია.

თავს ვიოკებ და ყრუ ქვითინის ხმას მაცდუნებელს
ჩემშივე ვახშობ. ო, ჩვენ მაინც ვინ შეიძლება
გამოგვდგომოდა? არც კაცი და არც ანგელოსი.
და გონიერი ცხოველებიც ხვდებიან უკვე,
რომ ჩვენ ამ ახსნილ სამყაროში თავს შინ ვერა ვგრძნობთ.
ჩვენ გვრჩება, ალბათ, ფერდობზე მდგარ ხესთან შეხვედრა
ყოველდღიური; გუშინდელი ქუჩაღა გვრჩება
და ნებიერი ერთგულება ჩვეულებისა,
რომელსაც ჩვენთან ემყუდროვა და არ გაგვშორდა.

ო, ღამეც,.ღამეც, როცა ქარი, სამყაროული
სივრცით აღსავსე, ჩვენ გვიფიტავს სახეს თანდათან,
ვისაც არ უნდა დარჩეს იგი, მაინც ასეთი
სასურველია, ასე ნაზად სასოწარმკვეთი

და მარტოდშთენილ გულისათვის მძიმედ საძლისი.
შეყვარებულებს განა უფრო ეიოლებათ?
ო, ისინი ხომ თავიანთ ხვედრს ერთიმეორით
იფარვენ მხოლოდ.
შენ ეს ჯერაც არ იცი განა?
მაგ მკლავებიდან კვლავ გადუგდე სიცარიელე
იმავ სივრცეებს, ჩვენ რომ ვსუნთქავთ. ფრინველნი, ალბათ,
განვრცობილ ჰაერს შიდა ფრენის წყალობით გრძნობენ.

დიახ, შენ სურდი გაზაფხულებს, ბევრი ვარსკვლავი
იმედოვნებდა, რომ მათ გრძნობდი, აზვირთდებოდა
ნარსულში ტალღა, ანდა ღია სარკმელთან ჩავლილს
შენ გულს გიხსნიდა ვიოლინო. ეს ყოველივე
გეკისრებოდა დავალებად, მაგრამ ოდესმე
დაძლიე იგი? დაბნეული არ მდგარხარ ჯერაც
ლოდინით, თითქოს შენთვის სატრფო ეუწყებინოს
ამ ყოველივეს? (სად დამალავ მას, როცა სხვათა
დიდი აზრები მიდიან და გიბრუნდებიან
და ხშირად ღამის გასათევად რჩებიან შენთან).
როდესაც სევდა მოგეძალვის, მაშინ უმღერე
შეყვარებულებს, სახელგანთქმულ გრძნობას იმათსას
ჯერ ხომ საკმაო უკვდავება არ ღირსებია.
მიტოვებულებს თითქოს შურით უმზერ, რადგანაც
მათ მეტი ჰქონდათ სიყვარული, ვიდრე ჟინმოკლულთ.
მუდამ თავიდან წამოიწყე მიუწვდომელი
ქება; იცოდე, თავს ინახავს ყოველთვის გმირი,
სიკვდილიც მისთვის იყო მხოლოდ საბაბი მისი
არსებობისა; დაბადება უკანასკნელი.
შეყვარებულთ კი ქანცმიხდილი ბუნება ისევ
უკან იბრუნებს, თითქოს ძალი აღარ შესწევდეს
მათი კვლავ ქმნისა. საკმარისად თუ დაგაფიქრა
გასპარა სტამპამ,[1] მიტოვებულ ქალიშვილს ვინმეს
ამ მიჯნურების ამაღლებულ მაგალითზე რომ
გულში გაევლო: იქნებ გავხდე მეც მათი მსგავსი?
ნუთუ ეს ძველი ვაებანი, ბოლოს და ბოლოს,
არ უნდა იქცნენ ჩვენთვის უფრო ნაყოფიერად?

[1] გასპარა სტამპა (1523-1554) – ვენეციელი პოეტი ქალი, რომელიც მიატოვა შეყვარებულმა. უილბლო, გაუზიარებელი სიყვარულის სიმბოლო.
მისი სასიყვარულო ლექსები გამოქვეყნდა სიკვდილის შემდეგ, 1554 წ.

არ დადგა ჟამი, რომ გვიყვარდეს და ამავე დროს,
გავთავისუფლდეთ მიჯნურისგან, თრთოლვით გავუძლოთ
ამ განშორებას, ვით მშვილდის ლარს უძლებს ისარი,
რათა ნახტომად მოძაგრული თავს **აღემატოს**.
რადგან დარჩენა არსად არის შესაძლებელი.

ო, ხმები, ხმები, გულო ჩემო, ისმინე ისე,
როგოროც ისმენდნენ წმინდანები. მათ ხმა ძლიერი
ყოველთვის აღმა ეწეოდა, მაგრამ ისინი,
უსაშველონი, მაინც ისევ მუხლმოყრით იდგნენ
და ირგვლივ უკვე ვეღარაფერს ამჩნევდნენ. **ასე**
შეეძლოთ სმენა. არა, **ღვთის** ხმას შენ ვერ გაუძლებ.
მაგრამ უსმინე ამ მონაბერ ამბავს, რომელიც
მომდინარეობს განუწყვეტლივ მდუმარებიდან.
ან ნორჩ მკვდართაგან მოშრიალებს იგი შენამდე.
სადაც არ უნდა შესულიყავ, ნეაპოლის თუ
რომის ტაძრებში, განა შენთან მათ ბედისწერას
გულდამშვიდებით არასოდეს უსაუბრია?
ან შენს წინაშე დიდებულად წამომართულა
წარწერა ისე, როგორც დაფა ცოტა ხნის წინათ
სანტა მარია ფორმოზაში[1] ამოზიდული.
რა უნდათ ჩემგან? ჩუმად უნდა ჩამოვაცილო
უსამართლობა გარეგანი, რაიც დროდადრო
მათ სულთა წმინდა მოძრაობას ოდნავ აბრკოლებს.

უცნაურია, მართლაც, უკვე აღარ მკვიდრობდე
დედამიწაზე. ძლივძლივობით შეთვისებული
ჩვეულებები არ ასრულო აღარასოდეს,
ვარდებს და საგნებს, უცნაურად მაიმედებელთ,
აწ აღარ მისცე მნიშვნელობა კაცთა მომავლის;
ის აღარ იყო, რაც იყავი უკიდურესად
მფრთხალ ხელთა შორის, აღარ იყო ამიერიდან
აღარასოდეს, და მიაგდო სახელი შენი,
ვით სათამაშო გატეხილი. საოცარია,
აღარ ისურვო სურვილები, საოცარია,
რომ ყველაფერი, რაც ურთიერთკავშირში იყო,
უცებ იხილო მოლიელიევედ ლაღად სივრცეში.

[1] სანტა მარია ფორმოზა – ტაძარი ვენეციაში.

სიკვდილში ყოფნა სამძიმოა და ამოგებით
არის აღსავსე იმდენად, რომ თანდათანობით
მარადისობას იგრძნობ მცირედს. მაგრამ ცოცხალნი
ცდებიან, როცა ასხვავებენ ესოდენ ძლიერ.
ანგელოსთ ხშირად (ამბობენ, რომ) არც კი სცოდნიათ,
მიცვალებულთა შორის იყვნენ თუ ცოცხალთ შორის.
მარადიული მდინარება ორსავ სფეროში
თან მიიდენის და ყრუდ ახშობს ყოველგვარ ასაკს.

დაბოლოს, უკვე არც ვჭირდებით ადრე გარდაცვლილთ.
მინიერებამ გადაჩვევა იცის ნაზადვე,
ვით დედის ძუძუმ. მაგრამ ჩვენ კი, რომლებსაც ასე
გვჭირდება სწორედ დიდებული საიდუმლონი,
რომლებისთვისაც ძალზე ხშირად მწუხარებიდან
წარმოიშვება ნეტარი წინსვლა;
ჩვენ განა **ძალგვიძს** უიმათოდ გაძლება ქვეყნად?
განა ფუჭია ის თქმულება, რომელიც გვამცნობს,
ლინოსზე[1] მოთქმამ ვით განმსჭვალა უპირველესად
გაბედულ ჰანგით გაოგნება, და რომ მარტოდენ
შემკრთალ სივრცეში, საიდანაც სამარადისოდ
გავიდა თითქმის ღვთაებრივი ჭაბუკი უცებ,
სიცარიელე იმ რხევაში გადაიზარდა,
რომელიც ახლაც გვანუგეშებს, გვიტაცებს, გვშველის.

[1] ლინოსი – ყმანვილი, აპოლონის და მუზა ურანიას ძე, ბერძნულ მითებში განასახიერებს გაფურჩქვნის ასაკში უდროო სიკვდილს. ორფეუსის მსგავსად, ლინოსი მუსიკის პირველშემქმნელად ითვლება.

მეორე ელეგია

თითოეული ანგელოსი შემზარავია,
და ვაი ჩემს თავს, თქვენი მცოდნე მაინც გიგალობთ,
თქვენ – თითქმის მომაკვდინებელო სულის ფრინველნო.
საით წავიდნენ ტობიას დღენი,
უგაცისკროვნებულესთაგან ოდეს ერთ-ერთი
იდგა უბრალო სახლის კართან, ოდნავ სამგზავროდ
გადაცმული და უკვე აღარც შემაზარები.
(ჭაბუკი ჭაბუკს რანაირი ცნობისწადილით
გამოჰყურებდა), ამჟამად კი ვარსკვლავთ ჩამოღმა
მთავარანგელოსს, საზარს, თუნდაც ერთი ნაბიჯიც
რომ ჩამოედგა ქვემოთ, აქეთ: ჩვენივ გულების
მზარავი ფეთქვა გვიმსხვერპლებდა, მაინც ვინა ხართ?

დასაბამითვე იღბლიანნო, შემოქმედების
ნებიერებო, მთათა მწკრივნო, ყოვლისქმნადობის
რიჟრაჟით ოდნავ შეფერილო ქედთა ზოლებო, –
აყვავებული ღმერთის მტვერნო, სხივთა სახსრებო,
სინათლის ძარღვნო, კიბეებო, სამეფო ტახტნო,
არსის სივრცენო, ნეტარების საფარველებო,
გრძნობათ ღელვანო, და უეცრად, პირისპირ მდგარო
სარკენო: თქვენსავ გამონაშუქ მშვენიერებას
კვლავ რომ საკუთარ სახეებში იბრუნებთ ხოლმე.

ჩვენ კი, როდესაც გვეუფლება განცდა, ექროლდებით.
ოჰ, ჩვენ სუნთქვისას სული გვხდება, აალებისას
ნაღვერდალივით ინავლება ჩვენი სურნელი.
აქ, შეიძლება ვინმემ გვითხრას: ო, შენ ჩემს სისხლში
შემოდიხარ და ეს ოთახი, ეს გაზაფხული
მარტოდენ შენით ივსებაო... მაგრამ ჩვენ იგი
ვერას გვიშველის, ვერ შეგვაყოვნებს.
ჩვენ თვით მასშივე და მის ირგვლივ ვქრებით თანდათან.

ან მშვენიერთა შეყოვნებას რომელი შესძლებს?
მათ სახეებზე განუწყვეტლივ ჩნდება იერი
და ისევ ქრება. ვით ცვარ-ნამი ნორჩ ბალახთაგან
ისე ორთქლდება ჩვენგან **ჩვენი**, ისე გვცილდება,
ვით ოხშივარი ცხელი კერძით გავსებულ ლანგარს.
ღიმილო, საით? ჰოი, მზერავ ზეაპყრობილო:
ახალო, თბილო, მიმსხლტომელო ტალღავ გულისა;
და ვაი ჩემს თავს, მაინც **ესა ვართ**.
სამყაროს სივრცეს, რომელშიაც ჩვენ განვზავდებით,
ნუთუ არ დაჰკრავს ჩვენი გემო სულ ოდნავ მაინც?
ანგელოსები, მართლაც, მხოლოდ იმას იჭერენ,
რაც იმათგანვე მოიფრქვევა, თუ იქ ხანდახან
თითქოს შემთხვევით გაერევა ჩვენი არსების
რაღაც ნასახიც? იმათ ნაკვთებს ჩვენ თუ ვაჩნდებით
იმდენად მაინც, ვით ფეხმძიმე ქალების იერს
ბუნდოვანება? მაგრამ ამას ისინი მაინც
ვეღარ ამჩნევენ თავის წიაღ უკუმიქცევის
ორომტრიალში (ამას როგორ მოახერხებენ).

შეყვარებულნი, რომ შეძლებოდათ,
საოცრად ამეტყველდებოდნენ ღამის ჰაერში.
ჩვენ თითქოს გვჩქმალავს ყველაფერი. აი, შეხედე,
დგანან ხეები, ის სახლებიც, რომლებშიც ვცხოვრობთ,
კვლავ არსებობენ, მარტოოდენ ჩვენ მივისწრაფვით,
როგორც ჰაერის მიმოქცევა, ყველაფრის მიღმა.
და ყოველივე ერთსულოვნად მდუმარებს ჩვენზე.
ნახევრად, ალბათ, მორიდების და ნახევრად კი
გამოუთქმელი იმედის გამო.

მიჯნურნო, ერთურთკმარებულნო, ჩვენზე მსურს გკითხოთ.
ერთმანეთს ასე რომ ეხებით, რა გაქვთ საბუთად?
ჩემი ხელები, ხედავთ, ზოგჯერ ერთი მეორეს
უახლოვდება, მათში ვმალავ გაცრეცილ სახეს
და ეს მანიჭებს მცირეოდენ რაღაც შეგრძნებას.
მაგრამ, მითხარით მარტოოდენ ამისთვის **ყოფნა**
ვის გაუბედავს? თქვენ კი სხვისი აღფრთოვანებით
იზრდებით მანამ, ვიდრე იგი, უკვე ძლეული,
არ შემოგვედრებთ: კმარა, **მეტი** აღარ ძალმიძსო.
თქვენ, ერთმანეთის ხელების ქვეშ უხვმოსავლიან

წლებად ქცეულნო, თქვენ თუ ჰქრებით ზოგჯერ, ეს ხდება
მხოლოდ მეორის აღმატებით. თქვენ მინდა გკითხოთ
მე ჩვენს შესახებ. ვიცი, ხელებს ერთი მეორეს
ასეთი დიდი ნეტარებით მიტომ აკარებთ,
რადგანაც, ალერსს შესწევს ძალი შეყოვნებისა,
რადგან ადგილი, ასე ნაზად რომელსაც ფარავთ,
თითქოს არ ჰქრება, რადგან იმის ქვეშ
გრძნობთ ხოლმე წმინდა სიხანგრძლივეს, ერთ მოხვევნაში
ასე ჰპირდებით თქვენს თავს თითქმის მარადისობას.
და მაინც, როცა გადალახავთ პირველთვალთმოკვრის
ურთიერთელდას და სარკმელთან ნაღვლიანობას
და ბაღში ერთად პირველ ერთხელ გასეირნებას,
შეყვარებულნო, იგინივე იქნებით განა?
როცა ერთმანეთს თავს გაუწვდით და პირს მიედგმით:
სასმელი სასმელს: ო, მაშინ კი მსმელი უეცრად
რა უცნაურად აარიდებს თავს მოქმედებას.

არ გაოცებდათ თქვენ ატიკურ სტელებზე ნაკვეთ
ადამიანთა მოძრაობის დიდი სიფრთხილე?
სიყვარული და დამშვიდობება
განა მათ მხრებზე არ ესვენათ ისე მსუბუქად,
თითქოს ჰქონოდეთ სულ სხვაგვარი მასალისანი,
ვიდრე ჩვენა გვაქვს? გაიხსენეთ თუნდაც ხელები,
ვით ასვენია, რარიგ ძალადაუტანებლად,
თუმცა ტორსებში ძლიერება არის ჩამდგარი.
იმ თავდაჭერილთ ეს იცოდნენ: ჩვენ ვართ აქამდე,
და ეს ჩვენია, ეს ამგვარი შეხება ჩვენი;
უფრო მეტად კი ჩვენ ღმერთები აღგვამაღლებენ.
ეს კი საქმეა თავად ღმერთების.

ჩვენც რომ გვეპოვნა იდუმალი, წმიდა, ნათელი
და ვიწროადამიანური, ჩვენი კუთვნილი
პატარა ზოლი ნოყიერი ნიადაგისა
მდინარესა და ლოდებს შორის. რამეთუ ჯერაც
აღგვემატება ხოლმე გული ისე, ვით იმათ.
და აღარ ძალგვიძს უკვე მისთვის თვალგადევნება
არც სურათებში, რომლებიც მას ჰმატებენ სილბოს,
და არც ღვთაებრივ სხეულებში, სადაც ის უფრო
ახერხებს ხოლმე თავდაკებას.

მესამე ელეგია

ერთია, სატრფოს უმღეროდე, ვაი რომ სხვაა,
სისხლის მდინარის ღმერთს უმღერო, მალულ ბრალეულს.
თვითონ იმ ვაჟმა, რომელსაც სცნობს სატრფო შორითვე,
რა იცის ვნების მბრძანებელზე, რომელსაც ხშირად
მარტოდმყოფისგან, სანამ ქალი დაარწყულებდა,
უმეტესად კი თითქოს ქალი არც ყოფილიყოს,
ჰოი, როგორი შეუცნობი სისველით მჟონავს
ზეაღუმართავს ღვთაებრივი თავი და ღამე
მარადიული ამბოხისთვის გამოუხმია.
სისხლის ნეპტუნი, შემაზრზენი თავის სამკაპით,
ო, დახვეული ნიჟარიდან ამონახეთქი
იმისი მკერდის ბნელი ქარი. ყური მიუგდე,
როგორ ივრცობა ღამე, როგორ ღრმავდება იგი.
ო, ვარსკვლავებო, თქვენგან ხომ არ იღებს დასაბამს
მიჯნურის ჟინი თავის სატრფოს იერისადმი?
მას შინაგანი ალღოთი ხომ არ შეუცვნია
ეს წმიდა სახე წმიდა თანავარსკვლავედისგან?

ვაი, რომ არც შენ, არც დედამისს არ დაგიჭიმავთ
ამგვარად მისი მომლოდინე წარბების მშვილდი.
ო, შენგან არა, შენგან არა, იმის მგრძნობელო
ნაზო გოგონავ, იმას შენგან არ მოგრეხია
ნაყოფიერად მეტყველი ტუჩი.
ნუთუ გგონია, რომ ეგ შენი უმსუბუქესი
გამოცხადება მას ამგვარად ააღელვებდა? –
ო, შენ ხომ დილის სიოსავით ნაზად აბიჯებ.
შენ თუმც შეუკრთე გული, მაგრამ მიკარებისას
მასში შეცვივდნენ უფრო ძველი შიშის განცდანი.
მოიხმე... მაგრამ ვერასოდეს ვერ გამოიხმობ
იმ სიბნელიდან. მართალია, მას **უნდა** ხოლმე,
თავისუფლდება კიდეც ზოგჯერ, შვებით ეჩვევა
შენს ფარულ გულს და თითქოს იღებს თავის სათავეს.
მაგრამ სათავე აუღია თვითონ ოდესმე?

დედავ, პატარად **შენ** აქციე, შენ იყავ იგი,
ვინც მას მიეცი დასაბამი, შენთვის ის იყო
სიახლე რაღაც უჩვეულო, მის ნორჩ თვალებთან
ხრიდი სამყაროს ალერსიანს, სხვას არიდებდი.
ჰოი, ის წლები სად წავიდნენ, გადაფოფრილი
მას ბობოქარი ქაოსისგან რომ იფარავდი?
შენ ასე მისგან ბევრი რამის დაფარვა შესძელ.
საეჭვოდ ბნელი ღამეული ოთახი მისთვის
უვნებელჰყავი და მთლიანად საფრადქცეული
შენი გულიდან მის ვრცელ ღამეს ჰმატებდი სივრცეს
ადამიანურს. უკუნეთში კი არ უდგამდი
ღამეულ სანთელს, ო, არამედ შენს უახლოეს
არსებობაში, და ის ენთო თითქოს კეთილად.
არა ყოფილა სულ პატარა რაღაც ფაჩუნიც,
შენ რომ ღიმილით არ აგეხსნა, თითქოსდა მართლაც
დიდი ხნით ადრეც გცოდნოდა, **როდის**
მიყუჩდებოდა იატაკის ფიცრის ჭრიალი...
ის გისმენდა და წყნარდებოდა. ასე ბევრი რამ
შეეძლო შენს ნაზ წამოდგომას; იმისი ბედი
წამოსასხამში გახვეული, კარადის უკან
იმალებოდა, ოდნავ შემკრთალ ფარდის ნაოჭებს
ეფარებოდა შფოთიანი მისი მერმისი.

და ის კი თვითონ იწვა მშვიდად, რულმოკიდებულ
ქუთუთოებქვეშ შენი სათნო იერის სიტკბოს
საამოდ გრძნობდა უკვე ნაგემ თვლემაში ჩამდნარს –
დაცული **ჩანდა**... მაგრამ შიგნით: წინ ვინ აღუდგა
თვით მის წიაღში მოზღვავებულ წარმომავლობას?
აქ კი მძინარი დაუცველი **იყო** სრულიად.
მძინარი, მაგრამ სიზმრიანი, მაგრამ მთლიანად
ციებ-ცხელებით შეპყრობილი: ის მასში რარიგ
იძირებოდა. ნორჩსა და მფრთხალს რარიგ ეხვია
შიდაქმედების მხვიარები შორსწანაზარდი,
ქცეული თარგად, მახრჩობელა აღმოცენებად
და ცხოველურად მდევარ ფორმებად.
ო, იგი როგორ ეძლეოდა – როგორ უყვარდა.
უყვარდა თავის სიწიაღე, თავის უღრმესი
უღრანი ტევრი, შინაგანი უსიერობა,
რომლის მდუმარე ნამუსრევზე მისი მომწვანო

გული ზეობდა. მას უყვარდა, უღრმავდებოდა
საკუთარ ფესვებს უძლიერეს პირველსაწყისში,
სადაც თვით მისი დაბადებაც მოჩანდა მცირედ
და დაძლეულად. სიყვარულით იძირებოდა
უფრო ძველ სისხლში, ხეობებში, სადაც ელოდა
საშინელება მამათაგან ჭარბად ნაჯერი.
და მას ყოველი შემზარავი იცნობდა, თვალსაც
უკრავდა ისე, როგორც შეთქმულს. დიახ, მას თვითონ
მაძრწუნებელი უღიმოდა... შენ იშვიათად
გაგიღიმია მისთვის ასე ნაზად, დედაო.
როგორ არ უნდა ჰყვარებოდა, როდესაც იგი
მას ამნაირად უღიმოდა, შენს **უწინარეს**
უყვარდა იგი, ვინაიდან მაშინვე, ვიდრე
მას ატარებდი, უკვე იყო გაზავებული
იმ სისველეში, რაც ჩანასახს ატივტივებდა.

ხედავ, არ ძალგვიძს სიყვარული მხოლოდ ერთწლიან
ყვავილთა მსგავსად; ჩვენს მკლავებში სიყვარულისას
აღმოისწრაფვის ხოლმე წვენი პირველყოფილი.
ჰოი, გოგონავ, ეს, რაც გვიყვარს ჩვენში არ არის
აწმოსახდენი, რაღაც ერთი, არამედ რაიც
დუღს უამრავად; ერთადერთი ბავშვი კი არა,
მამები, როგორც კლდის ნაშალი ჩვენს უფსკრულებში,
ყოფილ დედათა კალაპოტი ამოშაშრული;
მთელი მდუმარე არემარე მოღრუბლულსა თუ
მოწმენდილ ბედქვეშ. **ეს**, გოგონავ, შენამდე იყო.

და, შენ, ისე, რომ არც იცოდი, შეყვარებულში
ის ღრმა წარსული ამოიხმე. ეს რა გრძნობები
ამოზეზევდნენ აწგარდაცვლილ არსებათაგან.
აქ შენ რომელმა დიაცებმა აგითვალწუნეს.
ეს რომელიღა ამღვრეული მამაკაცები
აამღელვარე ამ ჭაბუკის მფეთქავ ძარღვებში.
მკვდარი ბავშვები მოგელტვოდნენ... ო, ნაზად, ნაზად,
მიუალერსე, საიმედოდ უქციე საქმე
ყოველდღიური, – მიიყვანე ბაღთან ახლოს და
მიეც ღამეთა სისავსენი...
დააშოშმინე...

მეოთხე ელეგია

ჰოი, ხეებო სიცოცხლისა, როდის იზამთრებთ?
ჩვენ არ ვართ ერთნი, გადამფრენი ფრინველებივით
შეთანხმებულნი, ვაგვიანებთ, უცებ ავყეებით
ქარებს და ვცვივით რომელიღაც გულგრილ გუბეში.
ჩვენ ყვავილობას და ჭკნობასაც ვგრძნობთ ერთდროულად.
სადღაც ლომები კვლავ დადიან და ვიდრე შესწევთ
ძალმოსილება, სიძაბუნის არრა იციან.

ჩვენ კი, როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთლიანად, უკვე
ვგრძნობთ, რომ სხვა რაღაც იხარჯება. მტრობაა ჩვენთვის
უახლოესი. განა თვითონ შეყვარებულნიც
არ აწყდებიან ერთმანეთში საზღვრებს, თუმცაღა
თავს ჰპირდებოდნენ სივრცეს, დევნას და სათვისტომოს.
და აქ მზადდება წამიერი წარმოსახვისთვის
საპირისპირო რაღაც ფონი, ძალისძალობით,
რომ ჩვენთვის გახდეს აშკარა და შევძლოთ დანახვა.
ჩვენთვის სრულიად უცნობია გრძნობის კონტური:
მხოლოდ ის ვიცით, რაც გარედან აძლევს მას ფორმას.

შეძრწუნებული ვინ არ მჯდარა თავისი გულის
ფარდის წინაშე? იხსნებოდა იგი თანდათან.
დეკორაციად იყო მხოლოდ დამშვიდობება.
ამის გაგება იოლია. ნაცნობი ბაღი
და მისი ნელი მიმორხევა! მხოლოდ შემდეგღა
გამოჩნდებოდა მოცეკვავე, ოღონდ ის არა.
საკმარისია! ვინაიდან მან თუნდ ლაღადაც
რომ მოგვაჩვენოს თავი, ის ხომ გადაცმულია,
გადაიქცევა კვლავ ბჟურგერად და ჩვეულებრივ,
სამზარეულოს გავლით შევა თავის ბინაში.

მე ამ ნახევრად სავსე ნიღბებს თოჯინა მიჯობს.
იგი სავსეა. მე ამ ფიტულს მინდა გავუძლო,
თვით ძაფებს მისას და მის სახეს, ქმნილს მარტოოდენ
გარეგნობისგან. მე აქა ვარ, ამის წინაშე.
თუნდ ყველა ჭაღი ჩააქრონ და მითხრან, რომ უკვე
აღარ იქნება არაფერი, თუნდაც სცენიდან
რუხ გამჭოლ ქარად დამიბეროს სიცარიელემ,
არავინ მეჯდეს გვერდით მდუმარ წინაპართაგან,
არც ერთი ქალი, თვით ელამი წაბლისფერთვალა
ბიჭიც კი არა: მაინც აქვე დავრჩები, რადგან
ყოველთვის არის სანახაობა.

არ ვარ მართალი? შენ, რომელსაც ჩემს გარეშემო
ასეთი სიმწრით გიგემნია შენი ცხოვრება
და იქვე ჩემიც გაგისინჯავს, მამავ, ჩემივე
ვალდებულების სულ პირველი მღვრიე ნაყენი,
და მე როდესაც ვიზრდებოდი, შენ გამუდმებით
იღებდი ჭაშნიკს და სრულიად უცხო მომავლის
გემოს სინჯვაში გართული სცდიდი
შენ ჩემს საზრიან ზეამოხედვას, –
შენ – მამავ ჩემო, შენ, რომელიც სიკვდილის დღიდან
შიშით ძრწი ჩემში, ჩემს იმედში და გულგრილობას,
მიცვალებულთა გულგრილობის მთელ სამეფოებს
თმობ ჩემი ბედის ნამცეცისათვის,
არ ვარ მართალი? თქვენ მოგმართავთ, არ ვარ მართალი?
ო, თქვენ, რომელთაც ასე გიყვარდით
ჩემი თქვენდამი სიყვარულის რაღაც ოდნავი
საწყისისათვის, რასაც მუდამ თავს ვარიდებდი,
რადგანაც სივრცე თქვენს სახეში, მე რომ მიყვარდა,
გადადიოდა სამყაროულ სივრცეში, სადაც
თქვენ უკვე აღარ არსებობდით... როდესაც ასე
ვარ განწყობილი, თოჯინების სცენის წინაშე
ვიცადო, არა, ჭვრეტად ვიქცე მთელი არსებით,
ვიდრე ამ ჩემი ჭვრეტის გამაწონასწორებლად
იქ მსახიობად ანგელოსი გამოჩნდებოდეს
ამ ფიტულების ამომწევი. ანგელოსი და
თოჯინა, – აი, საბოლოო სანახაობა.
მხოლოდ მაშინღა მოხერხდება იმისი შერწყმა,

რასაც ჩვენ მუდამ ვაცალკევებთ არსებობისას,
და მხოლოდ მაშინ დასრულდება ჩვენს წლის დროთაგან
წრებრუნვა მთელი ფერისცვალების.
მაშინ ჩვენს ზემოთ ანგელოსი ათამაშდება.
აბა, მომაკვდავთ დააკვირდი, ხომ არ მიმხვდარან
უკვე, რამდენი საბაბია ამ ყველაფერში,
რასაც ჩვენ აქ ვქმნით, თვითმყოფადი არაფერია.
ო, საათებო ბავშვობისა, ფიგურებს უკან
როცა მეტი რამ იყო, ვიდრე მხოლოდ წარსული
და წინ არ გვედგა მომავალი, ჩვენ ვიზრდებოდით
და, მართალია, ზოგჯერ გაზრდას ვჩქარობდით კიდეც
მის საამებლად, ნაწილობრივ, ვისაც ამქვეყნად
სიმწიფის გარდა არრა გააჩნდა.
და მარტოობის სიხანგრძლივით კმაყოფილები
ვიყავით მაინც და ვიდექით ასე სამყაროს
და სათამაშოს შუალედში, იმავ ადგილას,
რომელიც იყო თავიდანვე დაფუძნებული
წმიდა წინსვლისთვის.

ვის შეუძლია დამანახვოს, როგორ დგას ბავშვი?
ვინ შეძლებს თანავარსკვლავედში მის ჩაყენებას,
ვინ მისცემს ხელში მანძილის საზომს?
ვინ გამოძერწავს ბავშვის სიკვდილს უკვე გამხმარი
შავი პურისგან და მრგვალ პირში ვინ ჩაუტოვებს
ვაშლის გულივით? არცთუ ისე ძნელი რამ არის
მკვლელთა გაგება. მაგრამ ეს კი: სიკვდილს, მთელ სიკვდილს
თვით სიცოცხლემდე ბევრად **ადრე** ასე სათუთად
რომ შეიცავდე და არ იყო მაინც ბოროტი,
ეს არის, მართლაც, აღუწერელი.

მეხუთე ელეგია

ეძღვნება ქ-ნ ჰერტა ქჲოინიგს (შალტიმბანქუეს)[1]

მითხარ, ისინი **ვინ არიან**, მომთაბარენი,
თვით ჩვენზე ოდნავ წარმავალნი, რომელთაც **ვისთვის**,
ვის საამებლად წურავს ასე თავგამეტებით
ჟინდაუმცხრალი ნებისყოფა დასაბამითვე?
წურავს, გრეხს, იქნევს აქეთ-იქით, აგდებს და იჭერს;
თითქოს ისინი დაზეთილი, გლუვი სივრციდან
ცვივიან უცებ ამ გაცვეთილ, მათი ამდენი
ხტომებისაგან მთლად გაცრეცილ, თხელ ხალიჩაზე,
ქვეყნად მიგდებულ ხალიჩაზე, რომელიც ისე
ფრთხილად აგია, ვით სალბუნი, თითქოს მიწისთვის
გარეუბნის ცას ამ ადგილას ეტკინოს რამე.
აქ წამიერი წელში გაშლა და დგომის დიდი
ასომთავრულის გამოსახვა და კვლავ თავიდან
მარადის განმეორებადი იგივ ილეთი
თვით უძლიერეს კაცებსაც კი კეცავს ხელახლა,
თითქოს ხუმრობით, ისე, როგორც ავგუსტ ძლიერი[2]
მიმოჭმუჭნიდა კალის თეფშებს სუფრასთან მჯდარი.

და ამ შუაგულს გარეშემო
ვარდი მზერისა:
იფურჩქნება და იფურცლება, ამ ბეჭდის, ბუტკოს
ირგვლივ, რომელიც იპეპლება თვისივე მტვერით.
და უკმარობის მოჩვენებით, ფუყე ნაყოფად
იქცევა ხოლმე, ვერასოდეს თავის ვერშემცნობ
უკმარობისა, რაც მსუბუქად და ნაყალბევად
იღიმის თხელი ზედაპირის ნაზი ბრჭყვიალით.

---

[1] ელეგია დანერილია ქალბატონ ჰერტა ქიოინიგის ბინაში, მიუნხენში, სადაც ეკიდა პიკასოს სურათი „მოხეტიალე აკრობატები".

[2] ავგუსტ II ძლიერი (1670-1733) – პოლონეთის მეფე, გამორჩეული ფიზიკური სიძლიერით.

აი: დამჭკნარი, ძალოსანი, მთლად დაღარული,
მოხუცი, მხოლოდ მედოლედღა შემორჩენილი,
რომელიც თავის უზარმაზარ ტყავქვეშ როგორღაც
ისე საოცრად მოკუნტულა, თითქოს ეს ტყავი
ადრე იტევდა თავისუფლად ორ ადამიანს,
რომელთა შორის ერთი უკვე წევს სამარეში
და ეს კი დარჩა დაქვრივებულ ტყავში მარტოკა,
ყრუ და ხანდახან თითქოს ოდნავ დაბნეულიც კი.

ხოლო ის კაცი, ახალგაზრდა, თითქოს ვაჟია
მძლავრი კისრის და მონაზვნისა: მტკიცედ და მჭიდროდ
ამოტენილი კუნთებით და გულუბრყვილობით.

ო, თქვენ,
ვინც ტანჯვამ, როცა იგი პატარა იყო,
ერთხელ მიგიღოთ სათამაშოდ, თავის ერთ-ერთი
ყველაზე უფრო ნელი გამოჯანსაღებისას...

შენ, ვინც ხისაგან ჩამოცვენილ ნაყოფთა მსგავსად,
ჯერ უმწიფარი, დღეში თითქმის ასჯერ ეცემი
მიჯრით ნაგები მოძრაობის ხის კენწეროდან
(რომელიც წყალზე უსწრაფესად ორიოდ წუთში
გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას განიცდის ხოლმე –
შენ ეცემი და ენარცხები უცებ სამარეს:
ზოგჯერ, ნახევარ პაუზისას, ნაზი იერი
შენგან გაკრთომას დააპირებს შენს იშვიათად
ალერსიანი დედისაკენ, მაგრამ ინთქმება
შენსავ სხეულში, რომელიც მას სიბრტყობრივ ფლანგავს,
სახეს მოსინჯულს ფრთხალად, ოდნავ... და მამაკაცის
ტაში კვლავ გიხმობს ნახტომისკენ და უფრო ადრე,
ვიდრე ოდესმე, განცხადდება შენთვის ტკივილი
მარადმრბოლელი გულის ახლოს, ისევ ტერფების
წვა უსწრებს იმას, თავის საწყისს, და თვალებს შენსას
სხეულებრივი ცრემლით ავსებს უცებ.
და მაინც, ბრმად,
ღიმილი...
მოდი, დაკრიფე, ანგელოსო, ეს სამკურნალო
წვრილ-წვრილ ყვავილა ბალახები, ჩადე ლარნაკში

და ჩადგი ჩვენთვის ჯერ გაუშლელ ლხენათა შორის,
ლამაზ ურანში უკვდავჰყავი დიდი წარწერით: "Subrisio Saltat".[1]

შენ კი, ძვირფასო,
შენ, მომხიბვლელ სიამეთაგან
მივიწყებულო, იქნებ შენი კაბის ფოჩები
თვით შენს მაგივრად განიცდიან ბედნიერებას,
ან მკვრივ, აფეთქილ ძუძუებზე მწვანე ლითონად
ელვარე ფარჩა თავს გრძნობს
უკვე უკიდურესად
ნებიერად და აღარ უნდა აღარაფერი.
შენ,
გულგრილობის ბაზრის ნაყოფო,
წონასწორობის ათრთოლებულ სასწორებზე რომ
გდებენ ყოველთვის ახლებურად,
საჯაროდ, წელზე.

სად, ო, სად არის ის ადგილი – ის ჩემს გულშია,
სადაც მათ დიდხანს არ შეეძლოთ, სადაც ისინი
ისევ ცვიოდნენ ერთურთისგან, ვით დანერბვისას
არასაწყვილო ცხოველები; სადაც ჯერ კიდევ
თავის სიმძიმე აქვთ საწონებს; და სადაც მათი
ფუჭად მბრუნავი ჯოხებიდან თეფშები
ცვივა...

და უცებ, უცებ ამ მომქანცველ არსადობაში
გამოუთქმელი ადგილი, სადაც
წმიდა სიმცირე შეუცნობლად გარდაიქმნება,
გადასკუპდება იმ ცარიელ ზესიჭარბეში;
სადაც იხსნება მრავალნიშნა ამოცანები
რიცხვთა გარეშე.
ო, მოედნები, მოედანი პარიზის გულში,
ეს უსასრულო არენა, სადაც
მოდისტი ქალი, Madam Lamort*, გრეხს, წნავს, და არჩევს
ამაქვეყნიურ შფოთიან გზებს, გაუთავებელ
ჭრელ-ჭრელ ზონარებს, და იგონებს მათგან სულ ახალ

[1] „აკრობატის ღიმილი" (ლათ.).
* ქალბატონი სიკვდილი (ფრანგ.).

ფოჩებს, ყვავილებს, კოკარდებს და ხელოვნურ ნაყოფთ,
ყველაფერს ყალბი ფერით ნაფერს, გამიზნულთ ბედის
საზამთრო იაფფასიანი ქუდებისათვის.

რომ ყოფილიყო, ანგელოსო, სადმე ადგილი,
ისეთი, ჩვენ რომ ჯერ არ ვიცით, სადაც საოცარ
და აუწერელ ხალიჩაზე შეყვარებულებს,
აქ რომ ვერასდროს ახერხებენ დაოსტატებას,
ეჩვენებინათ გულისთროლვით თავგანწირული,
ამაღლებული ფიგურები, ვნებათაღელვის
ციხე-კოშკები, თავიანთი ერთურთს მიდგმული
და მოცახცახე კიბეები უნიადაგო
და შეძლებოდათ, გარსშემორტყმულთ მაყურებლებით –
აღურიცხველი მდუმარე მკვდრებით:

ისინი ხომ არ გადმოყრიდნენ მაშინ თავიანთ
სულ უკანასკნელ, საიდუმლო, ჩვენთვის ჯერ უცნობ,
სამარადისოდ შემონახულ და მარად მოქმედ
მონეტებს ბედნიერებისა ბოლოს და ბოლოს
უკვე ნამდვილად მომღიმარე წყვილის წინაშე
დაშოშმინებულ ხალიჩაზე?

შეექვსე ელეგია

ხეო ლელვისა, მე ჯერ კიდევ როდის შევნიშნე,
თუ ყვავილობის თითქმის სრული უგულველყოფით
და უტრაბახოდ რარიგ ჩუმად მიდენი შენსავ
წმიდათაწმიდა საიდუმლოს ადრე მოწეულ
ნაყოფის წიაღ. ვით მილები შადრევნებისა,
შენი ტოტები წვენს აღმა და დაღმა დენიან:
და იგი, თითქმის გაუღვიძრად, მძინარებიდან
ჩქეფს თავის სრულქმნის უნეტარეს სიტკობებაში.
შეხედე: როგორც ღმერთი – გედში.
...ჩვენ კი ვყოვნდებით,
გვეამაყება ყვავილობა და ამიტომაც
ჩვენი სიმწიფის ნაგვიანევ და საბოლოო
ნაყოფის წიაღს ვაღწევთ უკვე ნაღალატევნი.
ბევრმა ქმედებამ მოზღვავება არ იცის ხოლმე
ისე ძლიერ, რომ საწყისშივე ენთოს გულსავსედ,
როცა მის სიყრმის პირისახეს, ვით ღამის სიო,
ელამუნება ყვავილობის ცდუნების ხიბლი.
ეს, ალბათ, გმირებს მოსდით ხოლმე და ნაადრევად
იქ განწესებულთ, ვისაც მებაღე –
სიკვდილი ძარღვებს სხვანაირად აუჭიგოებს.
ჩაიქროლებენ: წინ უსწრებენ საკუთარ ღიმილს,
როგორც კარნაკის ამოღარულ, ლბილ სურათებზე
გამარჯვებული ხელმწიფის ეტლს ბედაურები.

მაინც მკვდარ ყრმებთან გასაოცრად ახლოა გმირი.
დრო მას არ ერჩის. მისი ყოფნა არის ზეაღსვლა.
ის საკუთარ თავს შეაგელვებს თავის მუდმივი
ფათერაკების სახეშეცვლილ ზოდიაქოში.
იქ მას ცოტანი მიაგნებდნენ, მაგრამ ჩვენს მიმართ
მრუმედ მდუმარი ბედისწერა თავის მშფოთვარე
საგრიგალეთში მას უმღერის აღფრთოვანებით.

როგორც მას, ისე ვერვის ვუსმენ. უცებ ჰაერის
დინებასავით მსჭვალავს მისი ხმა მიბინდული.
შემდეგ, როგორი სიხალისით ავირიდებდი
ჟინიან სურვილს, – ვყოფილიყავ, ო, ვყოფილიყავ
კვლავაც ყმაწვილი, შემძლებოდა ისევ ყრმად ქცევა,
მომავალ იდაყვთ დაყრდნობილი ვიჯდებოდი და
წავიკითხავდი ისევ სამსონზე,
თუ როგორ მოხდა, რომ დედამ მისმა
ჯერ არაფერი, ხოლო შემდგომ შვა ყოველივე.

ო, დედავ, განა ის შენშივე არ იყო გმირი?
განა მან მანდვე, შენს საშოში არ წამოიწყო
თავის მეფური არჩევანი? მანდ შენს საშოში
მირიადები ირეოდნენ და მათგან ყოველს
სურდა, რომ თვითონ გამხდარიყო ის: მაგრამ ნახე:
ის თვითონ სწვდა და განირიდა – ჰქმნა არჩევანი
და შეძლო კიდეც, და როდესაც სვეტებს არყევდა,
ამის მიზეზი ის იყო, რომ დასაბამითვე
შენი სხეულის სამყაროდან მოვიდა იგი
ამ უფრო ვიწრო სამყაროში, სადაც ის შემდეგ
კვლავაც არჩევნის შემძლე იყო. გმირთა დედანო,
აბობოქრებულ ნიაღვართა სათავეებო,
თქვენ ხართ უფსკრულნი, რომელშიაც გულის კიდიდან
მოთქმით ჩაცვივდნენ ქალწულები, ძის სამსხვერპლონი.

რადგან გმირს, მქროლავს სიყვარულის სადგომთა გავლით,
გულის ყოველი ფეთქვა მისი გულისმხმებელი,
აღიტაცებდა უფრო ზემოთ და ზურგნაქცევი
ღიმილთა ბოლოს იგი უკვე იდგა, – სხვაგვარად.

მეშვიდე ელეგია

მოხმობა უკვე აღარ არის საჭირო, არა,
დე, ზეჭარბი ხმა იყოს შენი ყვირილის არსი.
შენ თუმცა ხმობდი ისე წმიდად, როგორც ფრინველი,
როდესაც იმას წელიწადის დრო აღმამფრენი
აღიტაცებს და თითქმის სულმთლად გადაავიწყებს,
რომ უსუსური არსებაა და არა მხოლოდ
ეული გული, გატყორცნილი შინაგან ცათა
ლაღ სივრცეებში.
შენც მასავით და არანაკლებ
შეეცდებოდი, რომ მიგეხმო, რათა ჯერ კიდევ
უხილავს უკვე მიგეწვდინა ხმა გაყუჩებულ
სატრფოს სმენამდე, რომელშიაც პასუხი გვიან
იღვიძებს ხოლმე და სმენისგან თანდათან თბება,
შენი თამამი გრძნობისათვის გაღვივებული
შენი მდედრი თანამგრძნობელი.
ო, გაზაფხულიც გაიგებდა, აქ არსად არის
მახარობელი ხმის გარეშე ერთი კუნჭულიც.
ჯერ სულ ოდნავი შეკითხვის ხმა, რომელსაც ირგლივ
წმიდა დღე მზარდი მდუმარებით შემოევლება
თანხმობის ნიშნად. ამის შემდეგ საფეხურებით
ზემოთ, მომავლის ზმანებული ტაძრის ბჭისაკენ,
შემდეგ გალობა, შადრევანი, რომელიც მრავლის
არმთქმელ თამაშში ატყორცნილ სხივს უკვე წინასწარ
ქვედაცემასაც მიანიშნებს.. წინ ზაფხულია.

და არა მხოლოდ, მართლაც, ყველა ზაფხულის დილა,
და არა მხოლოდ დღედქცევის წინ მათი ნათება.
და არა მხოლოდ ის დღეები, ქვემოთ ყვავილებს
ასე ნაზად რომ ეპყრობიან, ხოლო ზემოთ კი
ზრდადასრულებულ ხეებთან რომ მძლეთამძლეობენ.
და არა მხოლოდ ამ გაშლილი ძალების დაცვა,
და არა მხოლოდ ეს გზები და მწუხრის ველები,

და არა მხოლოდ ნაგვიანევ ელჭექის შემდეგ
სინათლის სუნთქვა, არა მხოლოდ შემოღამების
წინათგრძნობა და ძილის ფრთხილი მოახლოება...
თვით ღამეებიც? თვით ზაფხულის ამაღლებული
ღამეები და ვარსკვლავები – ამ მიწისანი.
ო, ერთხელ მაინც, თუნდაც ერთხელ, სიკვდილის შემდეგ
შეგაცნობინა უსასრულოდ მათგან ყოველი.
რადგანაც როგორ, როგორ შეძლებ მათ დავიწყებას!

აი, შეხედე, მე ჩემს სატრფოს მოვუხმე, მაგრამ
განა მარტო ის მოვიდოდა? იმასთან ერთად
წამოვიდოდნენ სიფრიფანა საფლავებიდან
სხვა გოგონებიც და მას ირგვლივ შემოერტყმოდნენ.
რადგან არ ვიცი, როგორ შეეძლო, ხმა მოხმობისას
როგორ მოვფარგლო? დამხრჩვალნი ხომ კვლავ დედამიწას
ეძებენ მაინც. – და ბავშვებო, თქვენს მიერ ერთხელ
ხელნატაცები აქაური რაღაც საგანი
ბევრი რამისთვის იქნებოდა გამოსადეგი.
არ დაიჯეროთ, რომ ბავშვობის შენივთულობას
რითმე სჭარბობდეს ბედისწერა, რამდენჯერ სუნთქვა-
აჩქროლებულნი
თქვენ თქვენს სატრფოს უსწრებდით ხოლმე
ნეტარ სრბოლაში არაფრისკენ, მხოლოდ სივრცეში.

აქ ყოფნა არის დიდებული. თქვენ ეს იცოდით,
თქვენც, გოგონებო, გარეგნულად ვითომ რომ ძლებდით
უამისოდაც, ჩაძირულნო, ქალაქის გარყვნილ
ქუჩაბანდებში, წყულოვანნო, სიმღერისათვის
მარად ღიანო, მაგრამ მაინც ხომ იყო ხოლმე
ერთი საათი, ან, თუ გნებავთ, უფრო ნაკლებიც,
დროის საზომით, შესაძლოა, განუზომელი
რაღაცა ხანი ორ წამს შუა, როდესაც გედგათ
ჟამი ყოფნისა. ყველაფერი. ძარღვები გქონდათ
ყოფნით აღსავსე. მაგრამ ჩვენ ხომ ძალზე იოლად
ვივიწყებთ იმას, რაც მომღიმარ მეზობელს ჩვენსას
არ აღუნიშნავს არც დასტურით, არც თუნდაც შურით.
ჩვენ თვალსაჩინოდ წარმოდგენა გვსურს ხოლმე მისი.
მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოდ ბედნიერება
შეიმეცნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი
გვაქვს შინაგანად გარდასახული.

არსად, ძვირფასო, არსად არის სხვაგან სამყარო,
შინაგანს გარდა. ჩვენი ყოფნა მიედინება
გარდასახვის გზით. გარეგანი სულ უფრო ქრება.
სადაც ხანგამძლე სახლი იდგა ოდესღაც, ახლა
იქ აღიმართვის გადამკვეთი რაღაც სახება
გამოგონილი ერთიანად – თითქოსდა იგი
ჯერ კიდევ ტვინში იდგეს მთლიანად.
სული დროისა იქმნის ძალთა ფართო საცავებს
ძაბვის ბიძგივით უსახელოდ, რომელსაც იძენს
ყველაფრისაგან. აღარ იცის იმან ტაძარი.
გულს უკვე ისე აღარ ვფლანგავთ, ვზოგავთ მალულად.
თუ მოახერხებს გადარჩენას რამე საგანი,
ჩვენგან ნალოცვარ-ნამსახური, თაყვანცემული,
იგი ასეთად უხილავში გადაინაცვლებს.
ბევრი ვერც ამჩნევს და არც ესმის უმჯობესობა,
რომ **შინაგანად** აგებული რამდენად უფრო
დიდებულია სვეტებით და ქანდაკებებით.

სამყაროს ყოველ ყრუ მოქცევას ჰყავს ამისთანა
მემკვიდრეობადაკარგულნი, რომლებისთვისაც
აღარ არსებობს ადრინდელი, უახლოესი
მომავალი კი ჯერ არ უდგათ, რადგანაც ქვეყნად
უახლოესი ჯერ შორს არის კაცთა მოდგმისთვის.
არ შეგვაშფოთოს, დაე, ამან და უფრო მეტად
შეგვანახვინოს შეცნობილი ხატის სიცხადე:
აი, ეს **იდგა** ადამიანთ გარემოცვაში,
მსახვრალი ბედის შუაგულში, ამ გაოგნებულ
საითკენ წასვლის არცოდნაში, ვით ყოფიერი,
და იზიდავდა საიმედოდ დაცულ ცათაგან
უამრავ ვარსკვლავს თავისაკენ. **შენ**, ანგელოსო,
გაჩვენებ ამას. **აი**, ნახე! დე, შენს მზერაში
გადარჩეს იგი საბოლოოდ ზეაღმართულად.
სფინქსი. სვეტები. პილონები ზემიბჯენილნი,
უცხო ტაძართა და ქალაქთა უცხო ნაშთები.

ეს ყოველივე სასწაული არ არის განა?
ო, გაიოცე, ანგელოსო, ეს ხომ **ჩვენა** ვართ,
ჩვენ, დიდებულო, და თქვი, სადმე რა შეგვძლებია,
მე ამ ყველაფრის სადიდებლად სუნთქვა არ მყოფნის.
ეს სივრცეები ჩვენ ხომ მაინც არ გაგვიშვია

ხელიდან, ჩვენი სივრცეები, ასე გულუხვნი,
(რა ვრცელნი უნდა ყოფილიყვნენ, საზარლად ვრცელნი,
რომ ვერ აღევსოთ ჩვენს განცდათა ათასწლეულებს).
კოშკი კი იყო დიდებული, ხომ იყო მართლაც?
ო, ანგელოსო, დიდი იყო შენს გვერდითაც კი.
შარტრის ტაძარიც დიდი იყო, და თვით მუსიკაც
ამაღლებული ჩვენს უმაღლეს. და მაინც ერთი
შეყვარებული, მარტომდგარი ღამის სარკმელთან...
ნუთუ შენ იგი არ გწვდებოდა თუნდაც მუხლამდე?
შენ არ გეგონოს, ანგელოსო, თითქოს გიხმობდე.
მე რომ მოგიხმო, შენ არ მოხვალ მაინც, რადგანაც
ჩემი ძახილი წარმავლობით არის აღსავსე,
შენ ვერ წამოხვალ ამნაირი დინების აღმა.
შენსკენ ძახილი მე ხელივით მაქვს ამოწვდილი
და ხელისგული სატაცებლად გაშლილი ფართოდ
ღიადვე რჩება შენს წინაშე, თითქოს გაფრთხილებს
და გიგერიებს,
მიუწვდომელო.

მერვე ელეგია

ეძღვნება რუდოლფ კასნერს[1]

ყველა არსება განხმულისკენ ქცეულა მზერად.
მხოლოდ ჩვენა გვაქვს შექცეული ჩვენი თვალები
თითქოს პირუკუ და მათ ირგვლივ ისე გვიგია,
ვით ხაფანგები თავისუფალ გამოსასვლელთან.
რაც გარეთ **არის**, ჩვენ ის ვიცით მხოლოდ ცხოველის
იერისაგან; ვინაიდან ჯერ კიდევ ჩვილ ბავშვს
უკვე პირუკუ ვატრიალებთ და ვაიძულებთ,
რომ შებრუნებით დაინახოს სამყაროს ხატი,
არა განხმული, რაც ცხოველის იერს ესოდენ
ღრმად აღბეჭდვია, სიკვდილისგან თავისუფალი.
ჩვენ კი მხოლოდ **მას**, სიკვდილს ვხედავთ.
ლაღ ცხოველისთვის
სიკვდილი მუდამ უკან არის, წინ კი ღმერთია,
და როცა მიდის, ის შეერთვის მარადისობას
ისევე, როგორც წყაროები ედინებიან.

ჩვენ კი არასდროს, ერთი დღითაც არა გვქონია
ის წმიდა სივრცე, ყვავილნი რომ დაუსრულებლად
იფურჩქნებიან. სამყაროა ყველგან, ყოველთვის
და არასოდეს არსადობა არას გარეშე:
წმიდათაწმიდა, არანაჩხრეკ-ნათვალთვალები,
რომელსაც ვსუნთქავთ, უსასრულოდ **ვიცით** და არ გვსურს.
ბავშვობის ხანად ზოგი მასში გარინდებული
თავდავიწყებას მიეცემა, მაგრამ ანჯღრევენ
და აფხიზლებენ. სხვა კვდება და იქცევა **ამად**.
რადგან სიკვდილთან ახლოს მდგომი სიკვდილს ვერ ხედავ
და იმის **მილმა** იყურები, ალბათ ცხოველის
ვეება მზერით. შეყვარებულნი,
ერთიმეორეს ხილვადობას რომ არ უშლიდნენ,

[1] რუდოლფ კასნერი (1873-1959) – ფილოსოფოსი, რილკეს მეგობარი.

ახლოს არიან განხმულთან და თვითონვე უკვირთ,
თითქოს შემთხვევით გადაშლია ეს იმათ მზერას
მეორის მილმა... მაგრამ ამის გადამლახველი
ვერვინ იქნება, წინ დახვდება ისევ სამყარო.
პირველქმნილისკენ გამუდმებით შებრუნებულნი,
ჩვენ მხოლოდ მასზე ვხედავთ ხოლმე თავისუფლების
რაღაც ანარეკლს, ჩვენს მიერვე გაბუნდოვნებულს.
ანდა პირუტყვი თავის მშვიდი მზერით გაგვსმჭვალავს,
და ამას ჰქვია ბედისწერა: პირისპირ ყოფნას
და სხვას არაფერს, ამის გარდა, მუდამ პირისპირ.

ჩვენი შეგნება რომ ჰქონოდა უშფოთველ ცხოველს,
ჩვენსკენ მომავალს სულ სხვა მხრიდან, იგი მაშინვე
შეგვაბრუნებდა თავისივე ცხოვრების წესით.
მაგრამ იმისთვის თავისივე ყოფიერება
უსასრულოა, უჩარჩოო და საკუთარი
მდგომარეობის ვერმხედველი, წმიდა, ვით მზერა
განხმულისაკენ, და იქ, სადაც ჩვენ ვჭვრეტთ მომავალს,
იგი თვალნათლივ ხედავს ყოველს და ამ ყოველში
თვით თავის თავსაც განკურნებულს სამარადისოდ.

და მაინც ფხიზლად თბილ ცხოველში არის სიმძიმე
და ფორიაქი რაღაც დიდი მწუხარებისა.
რადგან იმასაც მუდამ ეკვრის ის, რაც ჩვენ ხშირად
გადაგვძლევს ხოლმე – მოგონება, თითქოსდა იგი,
რასაც ვესწრაფვით, უფრო ახლო იყო ოდესღაც,
უფრო ერთგული, მას ვერწყმოდით უფრო სათუთად.
აქ ყველაფერი მანძილია. იქ იყო სუნთქვა.
პირველსამშობლოს შემდეგ მისთვის მეორე უკვე
ქარიანია და მდედრ-მამრული.

ო, ნეტარება სულდგმულისა, **პანწინასი**,
მუდამ იმავე საშოში რომ **რჩება**, რომელმაც
იგი ატარა; ჰოი, კოლოს ბედნიერება,
რომელიც ჯერაც **შიგნით** დახტის, თვით მაშინაც,
როცა ქორწინობს: რადგან საშო ყველაფერია.
და ნახე, ჩიტის ეს ნახევარგულდაჯერება,
თითქმის ორივე საიდუმლო რომ იცის თავის

ნარმოშობისა, თითქოს იყოს განსვენებული
ეტრუსკის სული, უკვე სივრცემ რომ მიიბარა.
თუმც ასვენია ზედ სხეული, როგორც სარქველი.
და ზოგიერთი როგორ არის გაოგნებული,
ფრენა რომ მართებს, თუმც საშოდან არის შობილი.
იგი, თითქოსდა საკუთარი თავით დამფრთხალი,
ურუანტლით აპობს ჰაერს ისე, ვით ბზარი ფინჯანს.
ღამურის კვალი ასე კაწრავს მწუხრის ფაიფურს.

ჩვენ კი: მზირალნი, გამუდმებით, ყველგან ყველაფერს
მიქცეულნი და გარეთ მაინც ვერგაღწეულნი
ზეალვივსებით, ვაწესრიგებთ. გადმოიშლება.
კვლავ ვაწესრიგებთ და თვითონვე ვიშლებით შემდეგ.

ვინ შეგვაბრუნა იმგვარად, რომ რაც უნდ ვაკეთოთ,
ისე გვიჭირავს თავი, როგორც გზაზე მიმავალს?
ვით ის, შემდგარი ბოლო ბორცვზე, რომელსაც თვალწინ
გადაეშლება ერთხელ კიდევ თავისი ველი.
შემობრუნდება, შედგება და ოდნავ ყოვნდება.
ჩვენ ასე ვცხოვრობთ და ყოველთვის ვემშვიდობებით.

მეცხრე ელეგია

რატომ, თუ ასეც შეიძლება, რომ ყოფნის ჟამი
გავლიოთ ისე, როგორც დაფნამ, ყველა დანარჩენ
მცენარეულზე ოდნავ მუქმა, ყოველი ფოთლის
კიდეზე წვრილი ტალღები რომ ავლია ქობად
(როგორც ნიავის გაღიმება) – მაშ რატომღა ვართ
ადამიანურ ყოფნისათვის ვალდებულები, –
ბედს რომ ვირიდებთ, ბედისაკენ რაღად ვისწრაფვით?..

ო, განა მიტომ, რომ **არსებობს** ბედნიერება,
ეს ნაადრევი
და მცირე უპირატესობა დაკარგვისწინა.
ცნობისწადილის გამოც არა, და არც გულის
მცდელობისათვის: **ყოფილიყო** იგიც დაფნაში...

არამედ მიტომ, რომ აქ ყოფნა უკვე ბევრია,
და იმიტომ, რომ ყოველივეს ქვეყნად არსებულს
თითქოს ვჭირდებით, ამ წარმავალთ, ჩვენთან საოცრად
დაკავშირებულთ, ჩვენ – ყველაზე სწრაფწარმავალნი.
ერთხელ ყოველი, მხოლოდ **ერთხელ**, **ერთხელ** და უკვე
აღარასოდეს. და ჩვენც **ერთხელ** და აღარ, მაგრამ
ეს **ერთხელ** ყოფნა, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ **ერთხელ**
მიწიერყოფნა თითქოს არის უცილობელი.

და აი, ასე მივიბრძვით და მის აღსრულებას
მიველტვით, გვინდა ჩვენ ამისი შენარჩუნება
სადა ხელებში, უტყვ გულსა და სავსე მზერაში.
გვსურს **ამად** ვიქცეთ, – სხვას ვის გადავცემთ?
უმჯობესია, ყოველივე შევინარჩუნოთ
სამარადისოდ... ო, სულ სხვაგვარ მიმართებებში,
იმ ქვეყანაში რას წაიღებ? ვერც ჭვრეტის უნარს
აქ ძლივს შესწავლილს, ვერც ვერაფერს, რაც აქ მომხდარა.
მაშასადამე, მხოლოდ ტკივილებს.

მაშასადამე, ღრმა სიმძიმილს, უპირატესად.
მაშასადამე, სიყვარულის ძალზე ხანიერ
გამოცდილებას. – ესე იგი, ყველაფერს უთქმელს.
მაგრამ შემდეგ კი, ვარსკვლავთ შორის, რაღა იქნება:
იქ მათი გამოუთქმელობა **უკეთესია**.
მოგზაურს მთიდან ხომ არასდროს ჩამოაქვს ბარად
მიწის თუნდ პეშვი, ყველასათვის გამოუთქმელი,
არამედ მხოლოდ ბოძებული სიტყვა, უზადო,
როგორც ყვავილი ლურჯ-ყვითელი მთის ნაღველასი.
ეგებ აქ მისთვის ვიმყოფებით, რომ გვეთქვა: სახლი,
ხიდი, ჭიშკარი, წყარო, დოქი, ხე მსხმოიარე,
სარკმელი, – ანდა უმეტესი: სვეტი ან კოშკი...
მაგრამ **თქმა** შესძელ, **ისე**, როგორც თვითონ ამ საგნებს
ამგვარი ყოფნა არასოდეს უგულისხმიათ.
ეს შეფარული ცბიერება არ არის განა
მდუმარ მიწისა, შეყვარებულთ რომ აიძულებს,
აღაფრთოვანონ თავიანთი განცდა ყოველი?
ზღურბლი: რას ნიშნავს განა ორი მიჯნურისათვის
ის, რომ ისინი ცოტათი ცვეთენ
თავიანთ კარის უძველეს ზღურბლს, ისინიც მრავალ
წინამავალთა კვალობაზე და მომავალთა
მოსვლამდე... ოდნავ.

გამოსათქმელის დრო აქ არის, აქ არის მხოლოდ
მისი სამშობლო, შენც გამოთქვი და აღიარე.
საგნებს განცდისას უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე
უწევთ დაქცევა, რადგან იმათ რაც გამოდევნის
და ენაცვლება, ქმედებაა უსურათ-ხატო.
ეს ქმედებაა თვინიერად მხლეჩვარე ქერქთქვეშ,
როცა ის მათი წიაღიდან ამოიზრდება
და უკვე სხვამხრივ ისაზღვრება. უროებს შორის
საძლისობს ყოფნას ჩვენი გული ისე, ვით ენა,
კბილებს შუა რომ მაინც ისევ რჩება მეხოტბედ.

შენც აღავლინე ანგელოსის წინაშე ხოტბა
ამა ქვეყნისა, ოღონდ არა გამოუთქმელის.
შენ **მის** წინაშე ვერსაოდეს დაიტრაბახებ
დიადად განცდილს; სამყაროში, სადაც ის შენზე

გრძნობიერად გრძნობს ყოველივეს, ხარ ახალბედა.
ამიტომ სჯობს რომ მას აჩვენო რაიმე სადა:
რაც თაობიდან თაობამდე ყალიბდებოდა,
ის რაც ჩვენს შორის ცოცხლობს ახლა, ვით ჩვენეული,
აქვე, ჩვენს ხელქვეშ, ჩვენს მზერაში. საგნები უთხარ.
იგი იდგება უფრო მეტად გაოგნებული,
ვიდრე შენ იდექ რომაელი თოკისმგრეხავის
თუ ნილოსელი მექოთნის წინ მზერად ქცეული.
უჩვენე, როგორ შეუძლია საგანს, რომ იყოს
ასე უმანკო, ბედნიერი, და ასე ჩვენი.
თვით მომჩივანი მწუხარებაც რარიგ თვალნათლივ
სახიერდება, საგანივით გვემსახურება,
ანდა საგანში კვდება და მიღმა
ვიოლინოდან ნეტარებით მიედინება.
აი, ამ საგნებს, თავიანთი კვდომითვე მცხოვრებთ,
კარგად ესმით, რომ შენ მათ აქებ; და გადასარჩენს,
თვით წარმავალნი, ჩვენ გვანდობენ, უწარმავალესთ.
სურთ, რომ ისინი ჩვენს უხილავ გულში გარდავქმნათ.
შიგ – უსასრულოდ – ჩვენად! ბოლოს ვინც უნდა ვიყოთ.

მიწაო, განა ეს არ გინდა, რომ **უხილავი**
აღდგე ჩვენს გულში? ეს არა გაქვს განა ოცნებად,
ოდესმე იქცე უხილავად? მიწავ! უჩინრად!
სხვას რას გვავალებ დაჟინებით თუ არ სახეცვლას?
ო, დედამიწავ, საყვარელო, მე შენ მინდიხარ.
ო, მენდე, შენ ჩემს მოსახიბლად აღარ გჭირდება
გაზაფხულები, რადგან **ერთი**, ო, ერთადერთი
გაზაფხულიც კი სისხლისათვის უკვე ბევრია.
მე უსახელოდ იმთავითვე ღია ვარ შენთვის.
მართალი იყავ შენ ყოველთვის და ღვთაებრივი
მიგნება შენი – სიკვდილია შინაურული.

მიყურე, ვცოცხლობ, მაგრამ რისგან? არა მცირდება
არც ბავშვობა და არც მერმისი... რაღაც ზეჭარბი
ყოფიერება ამოხეთქავს ჩემი გულიდან.

მეათე ელეგია

მე რომ ოდესმე, უმკაცრესი წვდომის მიწურულს,
ხოტბა შემესხა ყურადმღებელ ანგელოსთათვის,
ამ გულის მკვეთრად მოკაკუნე ჩაქუჩებისგან
ჩემთვის არც ერთს რომ არ ემტყუნა ლბილ, დაეჭვებულ,
მწყდომარ სიმებთან შეხებისას. ჩემს მდინარ იერს
უფრო მეტად რომ გავებრწყინე; ამყვავებოდა
ნამდვილი ცრემლი. ო, მაშინ კი რა ახლობელნი
გამიხდებოდით, ღამეებო, დამწუხრებულნო,
რატომ არ ვმდგარვარ თქვენს წინაშე მე მუხლმოყრილი,
მორჩილი, ჩემო უნუგეშო დებო, და რატომ
უფრო მეტად არ გავიშალე თქვენს გაშლილ თმაში.
ჩვენ ვართ მფლანგველნი სატკივართა. როგორ გვსურს ხოლმე,
წინ გავიჭვრიტოთ, მათ სევდიან ხანგრძლივობაში:
იქნებ დასრულდნენ? ისინი კი არიან ჩვენი
ზამთრის ფოთლები, მუქი სურო, იდუმალი წლის
ჟამი **ერთ-ერთი**, არა მხოლოდ ჟამი, არამედ
თვით ნიადაგი, სამყოფელი და საცხოვრისი.

მართლაც და, ვაგლახ, რა უცხოა ქუჩაბანდები
მწუხარებათა ქალაქისა, სადაც ერთურთის
ჩამხშობ ხმათაგან შედედებულ ყალბ სიჩუმეში
თავმომწონეობს ღრიანცელი – სიცარიელის
ფუყე ყალიბში ჩამოსხმული – მსკდომარე ძეგლი.
რარიგ უკვალოდ აღუგვიდა მათ ანგელოსი
ნუგეშის ბაზარს, ეკლესია რომ ესაზღვრება
მზად შეძენილი: მოქათქათე, უქმი, იმედის
გამცრუებელი ისე, როგორც ფოსტა კვირა დღეს.
გარეთ კი მაინც ლივლივებენ ბაზრის კიდენი.
თავისუფლების საქანელა! მუყაითობის
მყვინთავ-ჯამბაზნი! მოკაზმული ბედ-იღბლის ტირი,
სადაც თუნუქის მოყანყალე სამიზნეები
ულრიალს იწყებენ, უცებ ვინმე ბედის ნებიერს

თუ გაუმართლებს და განაგრძობს ის სვლას ბარბაცით
ტაშისცემიდან შემთხვევისკენ, რადგან უხმობენ
ცნობისწადილის ბალაგნები, ყოველნაირნი,
ღრიანცელით და დაფდაფების აურზაურით.
იქვეა ერთი საგანგებო სანახაობა
მოზრდილებისთვის: უცებ როგორ მრავლდება ფული.
არა მარტოდენ გასართობად, ანატომიურ
სიაშკარავით, ცხადად: ფულის სასქესო ასო,
მთლიანად, შემდეგ ყველაფერი, მთელი პროცესი.
ეს ჭკუისთვისაც სარგოა და ნაყოფიერიც...

...ო, მის იქით კი, იქვე, ბოლო ღობის გადაღმა,
რომელსაც აკრავს ზედ პლაკატი „უკვდავი“, რაიც
იმ მწლაკე ლუდის რეკლამაა, მსმელთ რომ უტკბებათ,
თუ ახალ-ახალ გასართობებს მიაღეჭავენ...
იქვე, იმ ბოლო ღობის იქით, ხდება **ნამდვილი**.
იქ თამაშობენ პატარები და მწირ ბალახზე
შეყვარებულებს შეუპყრიათ ერთიმეორე,
სერიოზულებს და ძაღლებიც ბუნებრივობენ.
ჭაბუკს მიუწევს გული იქით: იქნებ მას უყვარს
ნორჩი ჩივილი... იმიტომაც მიჰყვება ველზე.
ჩივილი ეტყვის: ჩვენ იქ ვცხოვრობთ, შორს, იმას იქით...
სად? და ჭაბუკი მისდევს ისევ. მას მოსწონს კიდეც
ნორჩი ჩივილის აღნაგობა, მხრები, ყელ-ყური,
ვინ იცის იქნებ მემკვიდრეა დიდგვაროვანთა.
მაგრამ ჭაბუკი ჩამორჩება, შემობრუნდება
და ხელს დაუქნევს... რაღად უნდა? ის ჩივილია.

მას სიყვარულით მიჰყებიან ყმაწვილი მკვდრები,
გაოგნებულნი ამ უდროო უწადილობის
და გადაჩვევის პირველყოფილ ვითარებაში.
ის ელოდება გოგონებს და უმეგობრდება.
ჩუმად აჩვენებს, რაც ზედა აქვს: მარგალიტები
მწუხარებისა, მოთმინების თხელი მანდილი.
ყრმა ვაჟებთან კი მდუმარედ მიდის.

მაგრამ იქ, სადაც ბინადრობენ ისინი, ველად,
ერთ-ერთი უფროს ჩივილთაგან ჭაბუკს მზრუნველად
მიუგებს პასუხს: ჩვენ, ჩივილნი, დიადი მოდგმა
ვიყავით ერთ დროს. მაშინ ჩვენი მამა-პაპანი
იმ მაღალ მთებში ეწეოდნენ მემადნეობას.

ხალხში ახლაც კი შეიძლება წააწყდე ზოგჯერ
ნატეხს დახვეწილ პირველყოფილ მწუხარებისა,
ან კიდევ ძველი ვულკანური წარმომავლობის
ქვად ქცეულ რისხვას. ეს ყოველი იქიდან მოდის.
ჩვენ შეძლებულნი ვიყავით ერთ დროს.

და ის მსუბუქად მოატარებს ჭაბუკს ჩივილთა
თვალუწვდენ მხარეს და უჩვენებს ტაძართა სვეტებს,
ციხეთა ნაშთებს, საიდანაც ჩივილთ თავადნი
ბრძნულად მართავდნენ სახელმწიფოს. უჩვენებს მაღალ
ცრემლის ხეებს და აყვავებულ სევდის ველ-მინდვრებს.
(ცოცხლებმა სევდა მარტოოდენ ნაზი ფოთლების
სახით იციან); მას უჩვენებს დარდის ცხოველებს,
რომლებიც იქვე ბალახობენ, – და ზოგჯერ უცებ
აფრთხება ჩიტი, გადასერავს მათ მზერას გასწვრივ,
მარტოყივილის შორი ხატი წერილობითი. –
საღამოობით ჭაბუკი მიჰყავს
ჩივილთა ტომის უხუცესთა, სიბილებისა
და მოციქულთა სამარხებთან, ხოლო როდესაც
შემოღამდება, უფრო ჩუმად დააბიჯებენ,
და ცოტა ხანში აღზევდება ამ ყველაფერზე
ისე, ვით მთვარე, ფხიზლადმყოფი სამარის ძეგლი,
იმისი მოძმე, რომელიც დგას ნილოსის პირას,
დიადი სფინქსი: – იერ-სახე
მდუმარ პალატთა.
და გაოცებით შესცქერიან იმ თავს, გვირგვინით
მოსილს, რომელმაც ვარსკვლავების სასწორზე დადო
ადამიანის სახე უხმოდ, სამარადისოდ.

მას ვერ მოიცავს ჭაბუკის მზერა,
ადრესიკვდილში გაბრუებული.
მაგრამ იმისი შეხედვისგან დაფრთხება ჭოტი,
მოსწყდება კიდეს, ნება-ნება წამოვა ქვემოთ,
ფრთით შეეხება უმწიფესი სიმრგვალის ლოყას
და რბილად ხატავს გარდაცვლილის ახალ სმენაში
გადაშლილ ორკეც თხელ ფურცელზე მოხაზულობას
აღუწერელს.

და უფრო ზემოთ ვარსკვლავები ტანჯვის ქვეყნისა.
ახალ-ახალი ვარსკვლავები. იმათ სახელებს
ჩივილი დინჯად ჩამოუთვლის: აი, შეხედე:
მხედარი, კვერთხი და უფრო დიდ თანავარსკვლავედთ
აქ ეძახიან **ხილის გვირგვინს**. შემდეგ იქით კი
ჩრდილოეთისკენ: **აკვანია, გზა, ცეცხლოვანი**
წიგნი, თოჯინა და სარკმელი.
ხოლო სამხრეთის ზეცის ტახტზე ჩანს უწმიდესი,
როგორც კურთხეულ ხელისგულზე, გაბრწყინებული
„დ“, რაც **დედათა** აღმნიშვნელია.

მაგრამ მაინც ხომ წამსვლელია მიცვალებული.
და უფროს ჩივილს უხმაუროდ ჩამოჰყავს იგი
ხევამდე, სადაც მთავრიანში ციმციმებს წყარო
სიხარულისა. მოწიწებით დაუსახელებს,
თან ეტყვის: – ადამიანებთან ეს წამლეკავი
დინებააო.

ისინი დგანან ქედის ძირში.
აქ მას ჩივილი გულში ჩაიკრავს, ატირებული.
ის მარტოდმარტო შეუყვება პირველყოფილი
ტანჯვის მთიანეთს. და ერთხელაც არ გაჩქამდება
მისი ფეხის ხმა უხმაურო ბედისწერიდან.

მაგრამ მათ, უკვე უსასრულოდ მიცვალებულებს,
ჩვენში რაიმე შედარების გამოღვიძება
რომ მოენდომათ, მაშინ იქნებ ეჩვენებინათ
მოკონწიალე ფუყე თხილის საყურეები,
ან ეგულისხმათ ნვიმა, რომელიც
გაზაფხულობით ბნელ მიწაზე ეშვება ხოლმე. –
და ჩვენ, რომელნიც **ზეაღმაფალ** ბედნიერებას
შევანტრით ფიქრით, განვიცდიდით გულაჩუყებას,
რაც ჩვენვე თითქმის გაგვაოგნებდა,
უცებ რომ რამე ბედნიერი **დაშვებულიყო**.

სონეტები ორფევსისადმი

ვერა ოუკამა-კნოოპის სამარის ძეგლად

პირველი ნაწილი

I

ხემ გაიხარა! ო, სიწმიდე ამაღლებისა!
ორფევსი მღერის! ხე მაღალი ყურში იშლება!
და დუმს ყოველი. მაგრამ სიო განახლებისა
მდუმარებაშიც იშვის ისე, ვით მინიშნება.

დადუმებული ცხოველები წამოდგნენ ზეზე,
ბუნაგებიდან ნათელ ტყეში დაიწყეს დენა,
და იყო მათი მდუმარების მიზეზთ-მიზეზი
არა ელდა თუ ცბიერება, არამედ სმენა.

შეწყდა ღმუილი, ღრიალი და აურ-ზაური,
უცებ დაკნინდა მათ გულებში ყველა ხმაური...
და სადაც მათი ბნელ ვნებათა თავშესაფარი

არასდროს მდგარა, თუნდ რაიმე ქოხი ეული,
ამის გამგონე, მთრთოლვარე და ბჭემორყეული, –
შენ იქ აღმართე, მათ სმენაში, შენი ტაძარი!

II

თითქმის გოგონა იყო იგი – ჰანგის და ქნარის
შერწყმით შობილი, –რომლის ხილვაც ოდნავ შევძელი,
გამოკრთა თავის გაზაფხულის პირბადის არეს
და ჩემს სმენაში გაიშალა მან სარეცელი.

ჩათვლიმა ჩემში. მისმა ძილმა მოიცვა მთელი
ხეები, მე რომ შევხაროდი, ტოტებაწვდილი,
ოდნავ საგრძნობი შორეთი თუ ნაგრძნობი ველი,
ნებისმიერი გაოცება ჩემად განცდილი.

სამყარო იყო მისი ძილი, ის მღერის, ღმერთო,
შენ სრულჰყავ იგი და სისრულით ისე გაერთო,
რომ არც იღვიძებს. სიკვდილი კი სად არის, ითქმის?

განა ამ მოტივს კვლავაც შექმნი სასწაულთმჩენი,
სანამ ბოლომდე მინელდება სიმღერა შენი?
და სად დაეცა იგი ჩემგან?.. გოგონა თითქმის...

III

ღმერთს შეუძლია ამღერება. კაცი კი ასე
მას როგორ მიჰყვეს ვიწრო ქნარზე? მასში არც არის,
გაპობილია. გულის გზათა გადაკვეთაზე
არ აიგება აპოლონის წმინდა ტაძარი.

შენ რომ გვასწავლი, ის სიმღერა განა წადილი
ანდა წვდომაა მისი, რაც ამ ხმობაზე მოდის.
სიმღერა არის არსებობა. ღვთისთვის ადვილი.
მაგრამ ჩვენ როსღა ვიარსებებთ? ანდა ის როდის

მომართავს ჩვენი ყოფნისაკენ ვარსკვლავებს, მიწას?
აღარც ის არის, რაც შენ გიყვარს, ჭაბუკო, იმ წამს,
როცა გაგიხსნის ხმა ბაგეებს, მომართე ქნარი, –

და დაივიწყე, არც გახსოვდეს, რაიმე თუ თქვა,
რადგან სიმღერა ჭეშმარიტი არის სხვა სუნთქვა.
არაფრის გამო. მხოლოდ ღმერთში ქროლვაა. ქარი.

IV

ო, უნაზესნო, რომ ახერხებთ შესვლას ხანდახან
იმ სუნთქვის წიაღ, სადაც არ ხართ ნაგულისხმევი,
რომელიც უცებ თქვენს ღაწვებზე გადმოისხმევა,
თქვენს მიღმა თრთის და მთლიანდება ისევ თანდათან.

ნეტარნო, წმინდად განკურნილნო, მკრთალი ნალევი
ჩვენეულ გულთა თქვენს საწყისზე ფშვენდა, იზარდა,
თქვენა ხართ ლარიც და სამიზნეც ჩვენთა ისართა,
იმარადისებს თქვენი ღიმი ნამტირალევი.

ნუ შეგაშინებთ განსაცდელი, ცრემლის ციმციმი,
კვლავ დაუბრუნეთ დედამიწას ყველა სიმძიმე,
მძიმეა მთები, ზღვაც მძიმეა, ნახეთ, იგრძენით...

ნერგები თქვენი ბავშვობისა იქცნენ მორებად,
ისე დამძიმდნენ, აღარ ძალგიძთ მათი მორევა,
მაგრამ ჰაერთა მიმორხევა... მაგრამ სივრცენი...

V

ძეგლს ნუ ავუგებთ. დაე, იქცეს იმის დიდებად
ყოველწლიური ვარდფურცლობა. გვმართებს მონება,
რადგანაც იგი ორფევსია. ყველგან ვლინდება.
და აღარ გვინდა სხვა სახელთა გამოგონება.

ეს ყველაფერი ორფევსია, რაც უმღერიათ,
რაც ყურთასმენას საოცარი ჰანგებით ავსებს.
მოდის და მიდის. მაგრამ ესეც უკვე ბევრია,
რამდენიმე დღით რომ აჭარბებს ვარდების თასებს.

რათა თქვენ ჩაწვდეთ მის სიმღერას, მას ძალა ჰყოფნის,
რომ გაირინდოს, თუნდ უფრთხოდეს დუმილს ძალიან.
რომ გადალახავს თავის სიტყვით მიწიერ ყოფნას –

ის იქ შეაღწევს, სადაც უკვე ვერ სწვდება სმენა,
ვერ შეუბორკავს ხელებს უკვე ქნარის გალია
და ზღურბლგადავლილს ეუფლება თმობა და თმენა.

VI

ამქვეყნიური ეთქმის იმას? ო, არა, ორმხრივ,
ორივე ქვეყნიდან ამოზრდილა მისი ბუნება
უფართოესი. ტირიფის ტოტს ის უკეთ მოხრის,
ვინც ფესვებს ჩაწვდა. მან არ იცის დაძაბუნება.

ძილის წინ სუფრა აალაგეთ, არ დაგრჩეთ გარეთ
ან რძე, – ან პური – ეს საცთური გარდასულ სულთა, –
მაგრამ ის არის გრძნეული და აზავებს, გარევს
ქუთუთოებქვეშ მკვდართა მოსვლას მასთან, რაც სურდა,

ან რაც ოდესმე დაუნახავს. მისთვის მისნობა
ბალახთან მიწის ოხშივრისა ისე იცნობა,
როგორც კაშირი ცხადზე ცხადი. და იგი აგებს

იმ ხატს ჭეშმარიტს, რაიც მარად წმიდა რამ არის,
გინდ ოთახისა იყოს იგი და გინდ სამარის,
როდესაც სურას, ბეჭედსა თუ სამაჯურს აქებს.

VII

ეს არის ქება ჭეშმარიტი! ის, ვით საბადო
ქვის დუმილიდან, ქვეყნად იშვა ქების წყურვილით,
გულის წარმავალ საწნახლიდან უნდა დაბადოს
ღვინო ულევი, ხალხისათვის გამოწურვილი.

ხმა არ უმტყუნებს მტვერთანაც კი, როცა ევნება
მას ღვთაებრივი მაგალითის გზნება და გეში,
ევენახება ყოველივე და ემტევნება,
და უმწიფს თავის მგრძნობიარე სამხრეთის მზეში.

იქაც, სამეფო აკლდამებს რომ ედებათ ობი,
იმისი ქება არ იქნება სიყალბით მხმობი,
და ღმერთთა ჩრდილით არასოდეს მიინამქრება.

ის მარადიულ მახარობლად არის შობილი,
რომელიც შორით, მკვდართა ბჭესთან ხელაპყრობილი
დგას ჭეშმარიტად სადიდებელ ხილის ლანგრებით.

VIII

ქების სივრცეში შევიყვანოთ ჩუმი ჩივილი,
ნამტირალევი წყაროს ნიმფა, რომელიც მარად
დარაჯობს ცრემლთა სიანკარეს, რათა ტკივილი
მათ არ ამღვრევდეს იმ კლდეებთან, აღსავლის კარად.

აი, შეხედე, წარმოიშვის გრძნობის სიფითრე
ჩივილის ბავშვურ და მდუმარე მხრებს მინდობილი,
რის გამოც იგი ბევრად უფრო ნორჩია, ვიდრე
სულის ნიაღში მყოფი ყველა მისი დობილი.

სიამემ იცის, სევდას უდგას განდობის ჟამი,
მხოლოდ ჩივილი ჯერაც სწავლობს. ძველ ტანჯვებს ღამით
ბავშვურ თითებზე ჩამოთვლის და გაირინდება.

იგი უეცრად ცერად, მაგრამ ახერხებს ამდენს,
რომ ზოდიაქო ჩვენი ხმისა აზიდოს ცამდე,
რომელიც მისი სუნთქვის ორთქლით არ იბინდება.

IX

მარტოდენ იმას, თავისი ჩანგით
აჩრდილთა კარად
ვინც მდგარა, ძალუძს, რომ ქების ჰანგი
აჟღეროს მარად.

ვინც მკვდრებთან ერთად იგემა მათი
ყაყაჩოს ბანგი,
არ დაელევა იდუმალ ხმათა
გრძნეული ჰანგი.

დე, ჩვენთვის ხშირად გადეკრას ტბორის
ანარეკლს ბინდი:
შეიცან ხატი!

მხოლოდ ამ და იმ სამყაროთ შორის
ხმა ხდება მშვიდი,
მარადი, ცხადი!

X

თქვენ, ანტიკურო სამარხებო, კვლავ ნათლად გხედავთ,
მოგესალმებით, გზა თქვენს იქით არ მაქვს არსაით,
გაუჟღენთიხართ მხიარულ წყლებს რომაულ დღეთა
მოლივლივე და მონანავე სიმღერასავით.

ან კიდევ ფართოდ გახელილნო, თითქოსდა უცებ
გამოფხიზლებულ, ხალისიან მწყემსის თვალებით,
– თქვენს მდუმარებას გული ფუტკრის ბზუილით უცემს –
და ფარავნების გუნდი ფრთხება აფართხალებით.

ო, თქვენ, ეჭვების აშორებით რომ მოგაგენით,
მოგესალმებით, კვლავ განხმულნი თქვენ ხართ ბაგენი,
რომელთაც უკვე შეცნობილი გაქვთ მდუმარება.

განა არ ვიცით, მეგობრებო? ორივეს მიერ
შექმნილი ჟამი ყოყმანისა ვით უცვლის იერს
ადამიანებს, სახეზე რომ აეფარება.

XI

ახედე ზეცას. ნუთუ არ აქვს სახელი „მხედრის"
არცერთ ვარსკვლავედს? რად ვიმსჭვალვით გამალებულნი
მიწისგან სწრაფვით. და მეორეც: ასეთი ხვედრი –
ვიყოთ მყოვნებელ-მტარებელნი და ტარებულნი.

ყოფიერება არ ამჟღავნებს იმავ ბუნებას?
მასშიც დევნა და დაურვება ერთურთს შერთვია.
გზა, მოსახვევი, მცირე ბიძგი, შემობრუნება.
ახალი სივრცე, და ორივე უკვე ერთია.

მაგრამ ასეა განა მართლაც? თუმც კი მიქრიან,
იქნება ამ გზის ერთად გავლა არც უფიქრიათ?
აშორიშორებს მათ სუფრა და მინდორი ფართო.

ვარსკვლავთ კავშირიც მაცთურია უკვე ამიერ.
ჩვენ გვიწერია, გავიხაროთ, თუნდაც წამიერ,
ფიგურისადმი ჩვენი რწმენით. ეს კმარა მარტო.

XII

დიდება იმ სულს, რასაც ძალუძს გაგვხადოს ერთი:
რადგან ნამდვილად ფიგურებში ვცხოვრობთ ჩვენ ყველა.
და საათები მოკლე-მოკლე ნაბიჯით ძნელად
მოდიან ჩვენი ჭეშმარიტი დღეების გვერდით.

ჩვენივ ადგილის არმცოდნენი ვაღამ-ვათენებთ,
მაგრამ ჩვენ მაინც ჭეშმარიტი ძალები გვმართავს
და გვაკავშირებს. ანტენები გრძნობენ ანტენებს,
ხოლო სივრცე კი, ცარიელი, გადასცემს მარტო...

ო., წმინდა ძაბვავ. ო, მუსიკავ უხილავ ძალთა!
ჩვენს ფუჭ საქმეებს არ უპყრიათ ეგ შენი კალთა?
თუმცა ყოველი დაბრკოლება შენით იძლევა.

მაშინაც, გლეხი როცა შრომობს ქედწამახული,
როცა თესლიდან ამოფეთქავს უცებ ზაფხული,
ეს არა კმარა. ამ წყალობას მიწა იძლევა.

XIII

ვაშლები, მსხლები, კენკროვანნი და ბანანები...
ეს ჩვენს ბაგეზე სიცოცხლეს და სიკვდილს აქეზებს...
მე ამას ვხვდები წინასწარვე და დანანებით,
თქვენც შეგიძლიათ წაიკითხოთ ბავშვის სახეზე,

როცა მათ ჩაკბეჩს. შორიდანვე დაიწყებს დაცლას
და პირს აგივსებთ უსახელო რაღაც დინება,
სადაც სიტყვები მდინარებდნენ ადრე, მათ ნაცვლად
ხილის წიაღით გამოღწევა რამაც ინება.

აბა განმარტეთ, რას დაარქვით სახელი ვაშლის?
ის თავის სიტკბოს ჯერ ამკვრივებს, შემდეგ კი გაშლის,
რომ აღავლინოს და მოაგოს ბაგეთა შენთა

მაცოცხლებელი სიმჭვირვალე, სინათლედ იქცეს
მზიურ-მიწიერ-აქაურად, თავისკენ გიქცევს:
ო, ცდავ, შეგრძნებავ, სიხარულო, – დიდება შენდა!

XIV

აი, ყვავილებს, მტევანს, ნაყოფს შევახეთ ხელი.
ჩვენ მათგან მხოლოდ წლის ენაზე ბაასს ვეჩვევით?
უკუნეთიდან წარმოიშვის სიცხადე ჭრელი,
რომელსაც, იქნებ, ალაპლაპებს მწველი ეჭვები

მიცვალებულთა, ვინც ჰმატებენ მიწას მძლეობას.
შენ ხომ იმათი ბედ-იღბლისა არა იცი-რა?
დიდი ხანია მათ აქვთ ერთი მოვალეობა –
ძვლის ტვინით გააპოხიერონ მიწის სიმწირე.

საკითხავია: განა იმათ ეს მართლა უნდათ?
იქნებ მონები, ამ მიწის ქვეშ შეყრილნი გუნდად,
ჩვენ, მათ ბატონებს, გვიღერებენ ნაყოფს მუშტებად?

ანდა ბატონნი თვით არიან ფესვქვეშ მძინარნი
და ჩვენ გვწყალობენ მდიდარნი და გაუცინარნი
მას, რაც უტყვ ძალას და ტკბილ ამბორს შორის უჩნდებათ?

XV

მოიცათ... რარიგ საამოა... უკვე იშლება...
როკვა და ჰანგი სულ ოდნავი... ო, ღმერთო ჩემო!
მოდით, მცხუნვარე და მდუმარე ქალიშვილებო,
მოდით, იცეკვეთ შეცნობილი ნაყოფის გემო.

მოდით, იცეკვეთ ფორთოხალი! ვინ დაივიწყებს,
ის თავის თავში სიტკბოებას ვით სპობს და ურჩობს.
თქვენ ხომ მას ფლობდით. ის მწიფობას ხელახლად იწყებს,
თავის გემოთი მას თქვენს რწმენად დარჩენა უჯობს.

მოდით, იცეკვეთ ფორთოხალი! თქვენი წიაღით
მას ცხელ ქვეყნების სიმხურვალე ისევ მიაგეთ,
სამშობლოს ზეცა აგრძნობინეთ. წყალობა ქმენით.

გაავარვარეთ, ამოსძალეთ სურნელ-სურნელი,
გამოიხსენით ქერქებს შორის დაუურველი
წმინდათაწმინდა ნეტარებით აღმვსები წვენი.

XVI

შენ, მეგობარო, მარტო ხარ, რადგან...
ჩვენ სიტყვებით თუ მიმნიშნებელ ხელებით ზუსტით
ქვეყნად ბევრი რამ მივითვისეთ, ან კიდევ მათგან
ეგებ ყველაზე სახიფათო ნაწილი, სუსტი.

მაგრამ ვინ შეძლოს მითითება რაიმე სუნის?
რაც გვემუქრება ამქვეყნად და არ არის სანდო,
ბევრს გრძნობ ალღოთი... შენ გიცვნია გარდაცვლილთ სული
და შიშის ზარს გცემს თილისმა და სიტყვები – ჯადო.



ჩვენ ერთად უნდა ავიტანოთ ნაწილი ყველა
ისე, ვით მთელი. როგორ შევძლო მე შენი შველა.
ოღონდაც გულში ნუ გადამრგავ, ვით ნათესავი,

თორემ უეცრად გავიზრდები. მაგრამ მე მინდა,
რომ მოემართოს შენსკენ ჩემი ღვთის ხელი წმინდა,
ვუთხრა: აი, აქ ბეწვქვეშ არის თავად ესავი.

XVII

ყველაზე ქვემოთ უხუცესი, მთლად დაღარული,
შთამომავალთა ფესვი პირველი,
წყარო, ყველასთვის იდუმალი და დაფარული,
ვერსახილველი.

სამონადირო ბუკ-ნაღარა, ფოლადის ზუჩი,
ამბები ძველთა ძველნაქნარები,
კაცების ძმური მძვინვარება, ჯიუტი, ურჩი,
ქალნი – ქნარები...

ტოტები ტოტებს მიჭდობილი, გადახლართული
და მხოლოდ ერთი! აზიდული და აღმართული...
ო, სიმაღლეებს ესწრაფე მარად!..

მაგრამ ტყდება და ისხიპება, ხარობდა რაიც,
მხოლოდ ეს ერთი იქ, ზემოთ მაინც
იხრება ქნარად.

XVIII

გესმის, უფალო, რაღაც ახლის გრგვინვა, ხმაური,
რომ გააყრუა ირგვლივ მთა-ველი.
მოდიან მისი მაცნეები ვერსაცნაურნი
და მოთავენი.

თუმც ვერ გადურჩა ამ რახარუხს ვერავის სმენა,
არც არვის გული აროდეს მოთბა.
მაგრამ ჩვენ მაინც მის საქებრად მოვმართოთ ენა,
მის ყოველ ნაწილს შევასხათ ხოტბა.

მანქანის ცქერა ნუ გგონია ეგრე ადვილი,
ის იკლაკნება შურისგების ავი წადილით
და გვაძაბუნებს მისი ყურება.

ჩვენ გვაცლის ძალას, მიტომ არის ასე ძლიერი,
ბრუნავს გულგრილი, მშვიდი იერით,
ბრუნავს და ვითომ გვემსახურება.

XIX

რა სწრაფიც უნდა იყოს ქვეყნის სახეცვლილება
ღრუბელთა დარად,
კვლავ პირველსაწყისს ელტვის ყველა სრულყოფილება
ყოველთვის, მარად.

ამ სახეცვლათა მსვლელობაში ქართ-უქარესი
და მარად მქნარი
ლაღობს მაგ შენი ამღერების უწინარესი
ღვთაება ქნარით.

მწუხარებანი გაგებას და ახსნას ელიან
და სიყვარულიც ჩვენი რჩება მარტოდენ კვეხნად,
არაფრის ცოდნა არ გვაქვს ურყევი,

და რა გვაშორებს ჩვენ სიკვდილში, აუხსნელია,
მხოლოდ სიმღერა დანავარდობს ლაღად ამქვეყნად
ლოცვა-კურთხევით.

XX

სმენის ეს ნიჭი შენგანა გვაქვს, უფალო ღმერთო,
ჩვენ რა მოგიძღვნათ? გვითხარ მაინც, დუმილი გვრცხვენის.
აი, ეს ჩემი მოგონება: საღამო ერთი
გაზაფხულისა, შორს, რუსეთში, და ერთი ცხენი...

მოგელაობდა ის სოფლიდან თავისთვის, მარტო,
თან მოთხრილ პალოს მოიქნევდა მიუსაფარი.
უხმობდა ღამის იალაღი ვრცელი და ფართო,
აღელვებული გადაჰქუხდა თავზე ფაფარი.

და ევლებოდა მაღალ კისერს ელვარე ალად,
ოდნავშებორკილ დაოთხილი ჭენების კვალად –
უდუღდა სისხლი და სხეულში მცხუნვარე ხვატი...

მღერდა, ისმენდა, გრძნობდა სივრცეს! არ მეგულება
მე სხვა რამ, რაშიც ასე ყველა შენი თქმულება
შენივთულიყოს. მომიძღვნია მე მისი ხატი.

XXI

ისევ მოვიდა გაზაფხული. ეს მიწა თითქოს
ბავშვია, ბევრზე ბევრი ლექსის მცოდნე ზეპირად.
მათი ბეჯითად დასწავლისთვის საჩუქარს ითხოვს,
ვერც წაართმევდნენ მას ამ ჯილდოს, რომც დაეპირათ.

მოძღვარი ჰყავდა უმკაცრესი. ჩვენ კი გვიყვარდა
მოხუცი კაცის თეთრი წვერი, მფარველი მიწის.
მაგრამ რა ჰქვია ამ სიმწვანეს, ამ ცისფერ ფარდას,
ეს უკვე თვითონ ამას ვკითხოთ: მან იცის, იცის!

იარდადეგე, დედამიწავ, ჩვენ, ვით ბავშვები
დაჭერობანას გამალებით გეთამაშებით
და ვისაც მეტად უხარიხარ, მისია ჯერი.

ისიც გარბის და მღერის თავის სასიმღეროებს,
რაც ისწავლა და აღებეჭდა ფესვებს, ღეროებს,
ამ ყოველივეს თავისუფლად მღერის და მღერის!

XXII
ჩვენ ვართ მხოლოდ მარეკები.
მაგრამ დროის ნაბიჯები
ნატამალად არ ეგების
საგნებს დამრჩენთ დადინჯებით.

აჩქარებას ძალუძს დახსნა?
ან რაიმე შეუცვლია?
ჩვენთვის იდუმალის ახსნა
მხოლოდ დამრჩენს შეუძლია.

ჭაბუკებო, ფრენის განცდას
ნუ გადუგდეთ გული მთელი,
მოჩქარენი ნუ იქნებით.

ყველაფერი უკვე დაწდა:
ეს ნათელი და ეს ბნელი,
ყვავილები და წიგნები.

XXIII

ო, მხოლოდ მაშინ, გაფრენას ოდეს
არ ესურვება, რომ აჩქარებით
ცის სიჩუმეში თავისთვის ქროდეს –
კმაყოფილი და თვითნაკმარები,

რათა შუქების პროფილში მქროლი
მარჯვე ხელსაწყოდ იყოს ქცეული
და ითამაშოს მოხდენით როლი
თავდავჯერებულ ქართა რჩეულის, –

როს წმინდა „საით“ ბიჭურ, თავნება
აპარატების ამპარტავნებას
დააცხრობს სივრცის სიფართოვეში,

მას, მონაგებით გზნებამორეულს,
ელირსება, რომ მისწვდეს შორეულთ
თავისი ფრენის სიმარტოვეში.

XXIV

ღმერთების ჩვენთან მეგობრობას, უძალველს ყოვლად,
ნუთუ გვმართებს, რომ ავარიდოთ უეცრად თვალი,
რადგან ისინი არ იცნობენ ჩვენს მტკიცე ფოლადს,
ანდა რუკაზე უნდა ვძებნოთ იმათი კვალი?

მათ მხოლოდ მკვდრები მივაბარეთ და მივატოვეთ.
არ ესაქმებათ ჩვენს ჩარხებთან მათ არაფერი.
ჩვენ საკრებულო ადგილები გავიფართოვეთ
და ღვთის მაცნეთა გადასწრებას ვცდილობთ გაფრენით.

მაგრამ მარტონი ერთმანეთსღა შევრჩით უბირად.
ჩუქურთმულ ბილიკს ვამჯობინეთ სწორი გზა, ფართო.
ძველ ცეცხლს, ადრინდელს და ჭეშმარიტს, იმას ვუპირებთ,

რომ ორთქლის ქვაბებს ვამსახუროთ დღეიდან მარტო
და ძრავდეს უფრო დიდ უროებს იმისი ალი.
ჩვენ კი ისე, ვით მოცურავეთ, გვერთმევა ძალი.

XXV

შენ, ვინც ყვავილად შეგიცანი ნაზი ასული,
რომლის სახელიც არ ყოფილა ჩემთვის ცნობილი,
მსურს ერთხელ კიდევ გაგიხსენო, აწგარდასული,
გადულახველი შეკივლების ნაზი დობილი.

უპირველესად მოცეკვავე. უცებ შეჩერდა,
მისი სინორჩე თითქოს გახდა ბრინჯაოდ სხმული,
და სევდიანი სმენად იქცა. ყოვლისშემძლეთა
მუსიკამ უცებ მთლად აღუვსო შეცველილი გული.

სენი. ლანდები. ვერ გაუძლო ამდენ ზიანთა.
შებინდდა სისხლი. მაგრამ მაინც გადამზიანდა
თავის ბუნებრივ გაზაფხულში სათნო და მთმენი.

ისევ და ისევ აფერხებდა ვარდნა, უკუნი,
მაგრამ კვლავ ენთო მიწიერად, სანამ გუგუნით
არ მოიტოვა უნუგეშოდ განხმული ბჭენი.

XXVI

ო, ღვთაებრივო მომღერალო, როდესაც გუნდი
მენადებისა თავს დაგესხა მძლევი, მჩაგრავი,
ნგრევის ყიჟინას შენ ახშობდი, რადგან არ დუმდი,
აღმაშენებლად აღეკლინა შენი საკრავი.

ამაო იყო მათი ბრძოლა, არ ჰქონდა აზრი,
თუმც მათ სიცხარეს და სიშმაგეს ვერ იტყვის ენა,
შენ გულს ნატყორცნი წვეტიანი ლოდები ბასრი
გეხებოდნენ და ლბილდებოდნენ, იძენდნენ სმენას.

გაგგლიჯეს, მაგრამ მაინც ფუჭი აღმოჩნდა გარჯა,
რადგან შენი ხმა საამქვეყნოს წიაღში დარჩა:
ლომში, ფრინველში, ხეში, კლდეში გალობ და სტირი.

ო, ჩვენო ღმერთო, დაკარგულო! კვალწარუშლელო!
მხოლოდ იმიტომ, რომ აგქნეს და დავრჩით უშენოდ,
გავხდით მსმენელნი და ბუნების მეტყველი პირი.

მეორე ნაწილი

I

სუნთქავ, ლექსი ხარ შენ უჩინარი,
სამყაროს სივრცის წმინდად ცვალება
საკუთარ ყოფნად, ჩემში მდინარი
რიტმული ცვლა და გარდაცვალება.

ის მოდის ტალღად, მე ზღვა ვარ შორი,
თანდათანობით მისი მკრებელი,
უმომჭირნესი ყველა ზღვებს შორის,
სივრცეთა უკუამომგებელი.

რამდენო სივრცევ, ნაირ-ნაირო,
ჩემში ყოფილხარ. ქარები შენი
მე საკუთარი მგონია ძენი.

ვერ მცნობ, აღსავსევ ჩემით, ჰაერო?
შენ – ჩემს სიტყვათა, – როგორ მოვთვალო, –
ფაქიზო ქერქო, გარსო, ფოთოლო.

II

როგორც ქაღალდი, მონახაზის ჭეშმარიტ შტრიხებს
ზოგჯერ ოსტატს რომ მოსტაცებს და უმალ უმართლებს,
ხშირად ასევე სარკეც თავის წიაღში იღებს
ქალიშვილების წმინდა ღიმილს, ერთს და უნათლესს,

როდესაც მარტოდ დარჩენილნი სინჯავენ დილას,
ანდა მწუხრისას მომსახურე ჩირაღდნებს შორის.
და შემდეგ იმათ ნამდვილ სახეს ეხება ფრთხილად
მარტოდენ მისი ანარეკლი მკრთალი და შორი.

ბუხარში ნეტავ რას ისროდნენ ძველად თვალები,
როდესაც ცეცხლი ჩაქრებოდა ნაფერმკრთალევი?
სიცოცხლის მზერას, რაც თითქოსდა არც კი ყოფილა.

ნეტავ ვინ უწყის, რა დაკარგა მიწამ უკვალოდ?
მარტოდენ იმან, ვინც ჯერ კიდევ მაინც უგალობს
იმ გულს, რომელიც მთლიანობის წიაღ შობილა.

III

ო, სარკეებო: ქვეყნად დღემდე არ არსებულა
ის, ვინც აგხსნიდათ, თუ რანი ხართ, ან რას ედრებით?
თქვენა ხართ საცრის ნასვრეტებით ამოვსებული
მარადი დროის სივრცობრივი შუალედები.

თქვენში იფლანგვის ცარიელი დარბაზი ლაღი,
როცა საღამო, ვით ტყეებში, იშლება ბინდად
და ირემივით რქანაყარი ბრწყინვალე ჭაღი
თქვენს შემოუღწევ სიღრმეებში შემოდის მშვიდად.

ზოგჯერ აღგავსებთ სურათები ფერად-ფერადი,
ხან თითქოს აღწევს თქვენში ვიღაც ამიერადი –
სხვებს კი შემკრთალნი რად ირიდებთ, თავად არც იცით.

მაგრამ ყველაზე მშვენიერი ვინც არის, იგი
დარჩება თქვენში, სანამ იმის ღაწვთაგან, იქით,
არ ამოაღწევს ნათელი და მტკნარი ნარცისი.

IV

ო, ეს ცხოველი, – არნახული და არყოფილი.
არვინ იცნობდა, მაგრამ მაინც იწვევდა ღელვას,
უყვარდათ მისი თავდაჭერა, ქედი, პროფილი
და მისი ჩუმი გამოხედვის მალული ელვა.

თუმც ის არ იყო, მაგრამ რადგან უყვარდათ იგი,
წმინდა ცხოველად შერაცხეს და სილაღე მისცეს.
თავაღერილი დადიოდა აქეთ თუ იქით
და თან დაჰქონდა გაშლილი და ნათელი სივრცე.

არც სჭირდებოდა არსებობა. მისი მკვებელი
იყო მარტოდენ არსებობა შესაძლებელი,
რომელიც ცხოველს ისეთ ძალას აძლევდა მაშინ,

რომ შუბლზე უცებ რქა გაუჩნდა აზრდილი მაღლა
და ქალწულს თეთრად მოქათქათე რომ მიეხალა,
ვერცხლის სარკეშიც შეაღწია და თავად მასში.

V

ყვავილის კუნთო, ფურისულას შენით ეღება
თანდათანობით მდელოების დილა მზიანი
მანამდე, სანამ მას წიაღში არ ჩაეღვრება
აღაღადებულ ცათა შუქი, მრავალხმიანი.

შენ უსასრულო მიღებისთვის ხარ დაძაბული
ყვავილად გაშლილ ჩუმ ვარსკვლავში, რომელიც უხვი
სისავსისაგან ხდება ისე სუსტი, ძაბუნი,
რომ თვით სიკვდილის ჩუმ ნიშანსაც არ ძალუძს უკვე,

კვლავ მოუყაროს თავი შენსავ გაძარცულ ფურცლებს
და დაგიბრუნოს გაფანტული, მჭკნარი და შორი;
რამდენი ქვეყნის ძალა გაქვს და რაოდენს უძლებ?

ჩვენ, ძალმომრევნი, ვძლებთ ამქვეყნად ყვავილზე დიდხანს.
მაგრამ როდისღა, ანდა ამდენ სიცოცხლეს შორის
ნეტავ რომელში განვიხვნებით ყოფნისთვის? – მითხარ.

VI

ვარდო, მეუფევ, შენ ძველთათვის იყავი მარტო
სადა არშიამოვლებული ფინჯანთაგანი,
ჩვენთვის კი სრული ყვავილი ხარ, გაშლილი ფართოდ,
ამოუწვერავ-აღუწერი უცხო საგანი.

მბრწყინავ სხეულზე უთვალავი კაბები გშვენის,
ახალ-ახალი მუდამ სჭარბობს უკვე გამოცვლილს,
და მაგრამ მაინც თვითეული ფურცელი შენი
უარყოფაა ყოველგვარი კაბა-სამოსლის.

შენი სურნელი ოდითგანვე ყველას გვახელებს
და ჩვენში ირჩევს უამეს და უტკბეს სახელებს;
იგი ჰაერში განივრცობა, როგორც დიდება.

ვერაფერს ვარქმევთ, ამაოა გარჯა ყოველი...
მასზე მარტოდენ მოგონება გადავლინდება,
რომელიც ხმობილ დროისგან გვაქვს გამოთხოვილი.

VII

ყვავილნო, ბოლოს მაინც მზრუნველ ხელთა დობილნო
(ხელთა ყოფილ თუ ან არსებულ ასულებისა),
ბაღის მაგიდას დაქანცულად შემოწყობილნო,
ლბილად ნაკაფნო, წყალს რომ ელით აღსრულებისას,

რათა ერთხელაც გამოგიხსნათ უკვე დაწყებულ
სიკვდილისაგან ან მჭკნობარი, – და იწევთ მაღლა
იმავ ასულთა მგრძნობიარე და აღტაცებულ
თითებში მდინარ ჭავლებს შორის, რომელთაც ახლა

ძალუძთ, რომ მეტი სიამე და სითბო გაჩუქონ,
ვიდრე გეგონათ. და ლანგარის ყელი მაღალი
გაგრილებთ, რათა გოგონათა სითბო აშუქოთ,

ვით აღსარება, ანდა ცოდვა ბნელი და მღლელი,
მოწყვეტის გამო, მიმართება რაღაც ახალი,
ვისთან ერთადაც კიდევ ერთხელ გაფურჩქვნა გელით.

VIII

წარსულ ბავშვობის მეგობრებო, რარიგ ცოტანი
შემორჩით სადღაც მიმოფანტულ ბაღებს, ქალაქებს:
ერთმანეთს როგორ ვპოულობდით მორცხვად, ყოყმანით,
თავს ვაწონებდით ერთურთს, როგორც მოლაპარაკე

ფოთოლს ბატკანი. საუბარი გვქონდა მდუმარე.
ვის ეკუთვნოდა ის დღეები, ლხენით ნაფერი?
თითქოს გამვლელებს გაჰყვა უკან, როგორც სტუმარი,
ან უგრძეს წელთა სევდამ შთანთქა ეს ყველაფერი.

ეტლები – მიღმა. და სახლებიც – უცხონი, რადგან
ყალბად გვეხვივნენ. არ გვიცნობდა არც ერთი მათგან.
მთელ ქვეყანაზე რაღა იყო ნამდვილი მაშინ?

მხოლოდ ბურთები. მათი ფრენა გვაძლევდა ნუგეშს.
ბავშვებიც არა... მხოლოდ ზოგჯერ დაშვებულ ბურთქვეშ
დგებოდა ხოლმე ვიღაც, თურმე დღემოკლე ბავშვი.

(ეგონ ფონ რილკეს ხსოვნას)

IX

ნუ იამაყებთ თქვენ, მსაჯულნო, არაფრის მაქნის
იარაღით და ქედზე რკინის არშეფერხებით.
ვერ აღამაღლებს გულს ის გრძნობა, რომ ლბილად აქნეს,
რომ სასიკვდილოდ თითქოს უფრო ნაზად ეხებით.

რაც კი ეშაფოტს მიულია, უკანვე ისვრის
ისე, ვით ბავშვი სათამაშოს, მას რომ აჩუქეს
შარშან გადახდილ დღეობაზე. მაღლიდან იძვრის –
ბჭეგანხმულ გულში სხვანაირად შემოაშუქებს

ღმერთი ნამდვილად ლმობიერი. და ის იქნება
მძლე და ნათელი, ვით ღმერთთ მოსდგამთ. და მეტი, ვიდრე
ქარი, ხომალდთა აფრებისთვის ამომართული,

არანაკლები, ვიდრე ჩემი ფრთხილი მიგნება,
სულსმწვდომი, როგორც უსასრულო წყვილთა მემკვიდრე
ბავშვი, თამაშში მშვიდად გართული.

X

მანქანა ყველა მონაპოვარს ეცემა ელდად,
სანამ სულს ებრძვის, არ ნებდება ტლანქად და უბრად.
ნელი მშვენება რომ დათრგუნოს დიდებულ ხელთა,
იგი თამამი შენობისთვის დიდ ქვებს თლის უფრო.

ეს არ მოხდება: ჩვენ ვქმნიდეთ და იმას კი სადმე
დაზეთილს, მდუმარ ფაბრიკაში დგომა ენება.
ის ცხოვრებაა, თვლის, რომ იცის ყოველი საქმე
და ეხერხება ჩვენზე უკეთ ნგრევაც, შენებაც.

მაგრამ ჩვენს ყოფნას ჯერაც შესწევს ხიბლვის უნარი,
პირველსაწყისი ბევრგან რჩება გაუხუნარი,
და წმინდა ძალებს უპატივოდ ხელს ვერვინ ახლებს.

გამოუთქმელში იძირება სიტყვები ქების.
მარად ახალი მუსიკა კი – მთრთოლვარე ქვებით
უხმარ სივრცეში აგებს თავის ღვთაებრივ სახლებს.

XI

ადამიანო, დამთრგუნველო, სიკვდილის ბევრი
ხერხი შექმენი, ნადირობის ჟინით ნაჯერი;
გიცნობ, ვინცა ხარ – ხაფანგთა და მახეთა ტევრი,
კარსტულ მღვიმეში ჩაშვებული ტილოს ნაჭერი.

შეჰქონდით დინჯად, ვით მშვიდობის დროშა დიადი,
მაგრამ ვილაცა გიბიძგებდა გააფთრებული,
გამოაფრთხობდა მთრთოლვარ მტრედებს ღამის
წყვდიადი...
ეს ყოველივე არის მაინც გამართლებული.

ნუ აღმოხდება მნახველს კვნესა სულის წიაღით,
და არა მხოლოდ მონადირეს, ვინაც, ცხადია,
მარჯვედ, დროულად მოქმედებს და აროდეს ცდება.

მკვლელობა ჩვენი მოარული გლოვის ხატია.
წმიდაა იგი, სულის სილაღით
რაც ჩვენში ხდება.

XII

გსურდეს გარდაქმნა, შენც მოგედოს იმ ცეცხლის ალი,
რაშიც საგანი გისხლტება და ფერს იცვლის უხვად;
არსთაგამრიგეს, საგნებზე რომ უჭირავს თვალი,
მათში მარტოდენ გარდატეხის წერტილი უყვარს.

რაც თავს დარჩენას შეაფარებს – ქვადქცეულია;
განა დაიცავს უჩინარი რუხი საფარი?
ყოველი მყარი უფრო მყარის დაქცეულია,
ვაგლახ, რომ სადღაც შემართული ურო მზად არის.

ცნობა შეიცნობს, რაც დის წყაროს წესით და რიგით,
და ლხენით შეჰყავს ლაღად ქმნილში, რომელსაც იგი
ბოლოდან წყებს ან დაწყებით ამთავრებს მარად.

განშორება შობს ქვეყნად ყოველ ბედნიერ სივრცეს,
რომელთაც თავი გაოგნების სიამეს მისცეს.
და ბუჩქად ქცეულ დაფნას სურს, რომ შენ იქცე ქარად.

XIII

გაუსწარ ყველა განშორებას ისე, ვით ზამთარს
უკვე გალეულს, რადგან ამდენ პირქუშ ზამთარში
ერთია ისე უზამთრესი, რომ, თუ გადარჩი,
ეგ შენი გული დაძლევს შემდეგ ყოველგვარ ავდარს.

ევრიდიკეში სამუდამოდ მოკვდი და ისევ
უღრმეს სიმღერით განადიდე ყოფნა მთლიანი.
აქ, წარმავალთა შორის იყავ და იდაისე,
იყავ წკრიალში დამსხვრეული ჭიქის წკრიალი.

იყავ-და თანაც გახსოვდეს, რომ არყოფნა გელის,
რაც არის შენი სულის რხევის მიზეზი ძველი,
რომ თუნდაც ერთხელ აღასრულო ეს, მართლაც, სრულად.

სავსე ბუნების დახარჯულ თუ დაზოგილ ძალებს
შენ შენივ თავიც მიაკუთვნე და მიათვალე
აღფრთოვანებით, და უარჰყავ რიცხვები სულაც.

XIV

ყველა ყვავილი, ნახე, მიწას როგორ ენდობა,
ჩვენ ბედის ნამცეცს ვუციცქნით და თავს ამით ვიქცევთ, –
თუმცა ვინ იცის! ჭკნობისას რომ გვთხოვენ შენდობას,
იქნებ გვმართებს, რომ მათ შენდობად ჩვენ თვითონ ვიქცეთ.

ყველაფერს უნდა ქროლვა. ჩვენ კი ყველაფერს განგებ
ვაწვებით ტვირთად, სიამეს გვგვრის მათი დახშობა;
მომაბეზრებელ აღმზრდელებად ვუდგებით საგნებს,
რადგანაც იმათ მარადისი ერგოთ ბავშვობა.



ვინმეს ისინი თავის ძილში რომ ჩაეწვინა
და იმ საერთო სიღრმეებში გამოეძინა,
გაითენებდა სულ სხვაგვარად დილას და მაშინ

ყვავილნი უხვად გადუშლიდნენ ფერთა ძოწეულს,
როგორც თანასწორს და ჭეშმარიტ გზაზე მოქცეულს,
და უმღერებდნენ, ვით და-ძმანი, მდელოთა ქარში.

XV

მუდამ მეტყველო წყაროს პირო, იღვრები ღვარად,
ღაღადებ მხოლოდ ერთ სიწმიდეს და არ იცლები.
შენ მარმარილოს ნიღაბი ხარ, რომელსაც მარად
ლაღად მდინარი წყლის იერი ელიცლიცება.

აკვედუკებმა გიანდერძეს თქმულება შორი,
აპინინების ფერდობთაგან, საფლავთა გავლით,
ჩამოჟონილი, აწ რომელიც ბაგეთა შორის
გადმოგელვრება და იმისი ულევი ჭავლი

ჟანგმოკიდებულ ნიკაპს მიღმა გადმოდენილი
ესხმის ნიჟარას, ეს ყურია, ქვეგანფენილი
მარმარილოსი, მიწის ყური, მიდი, ედინე.

მიწა საუბრობს თავის თავთან. რაც თვითონ უთქვამს,
მხოლოდ მას ისმენს. და შენ წყაროს სურას რომ უდგამ,
მიწას ჰგონია, საუბარი შეაწყვეტინე.

XVI

მარად ნაჩიჩქნი, ნაწვალები ჩვენი აზრებით
ღმერთია თვითონ ის ადგილი, რაც კურნავს სნებას.
ჩვენ ცოდნა გვინდა და მიტომ ვართ ასე ბასრები,
ის ნათელია და წყალობის გაცემა ნებავს.

თვით უწმინდესი მსხვერპლშეწირვაც თითქმის არა სურს,
რადგან ეს იმის მშვიდ სამყაროს არ ეთავსება
და იღებს მხოლოდ იმისათვის, რომ ლაღ აღსასრულს
უძრავად შეუპირისპიროს თვის არსება.



იმ წყაროს, რომლის ჩვენ მარტოდენ ხმაური გვესმის,
სვამს მხოლოდ მკვდარი, ისიც მაშინ, როდესაც შესმის
უფლებას თვითონ მიანიშნებს ღმერთი, მდუმარი.

ჩვენ კი გვერგუნა მარტოოდენ ხმაური დიდი.
და კრავი უფრო იდუმალი და უფრო მშვიდი
ალღოს წყალობით ეჟვანს ითხოვს ხვეწნა-მუდარით.

XVII

სად, რომელ ბაღში, ნეტარებით რომ ირწყვის მარად,
რომელ ხეებზე, რომელ ყვავილთ გაშლილ თასიდან
მწიფობს ნაყოფი ნუგეშისა მტევნების დარად?
ეს უცხო ხილი, რომელთ შორის შენ ათასიდან

ერთს თუ იპოვი იმ მწირ ველზე, გული რომ იტევს.
მუდამ გაოცებს ამ ნაყოფის სიდიდე, მადლი
და სილბო, თანაც რომ დაასწარ ფუქსავატ ჩიტებს
და რომ მანამდე არ გაუჩნდა ეჭვების მატლი.

არსებობს სადმე, ანგელოსთ რომ უყვართ, ხეები,
ნელა რომ ზრდიან იდუმალი მებაღეები,
რომელთა რტონი აგვეკრძალა, რომ დაგვერხია?

შევძელით განა, სქემებად რომ გვაქცია ცოდნამ,
ჩვენ ნაადრევ და იქვე ჭკნობად ქცევებით ოდნავ
იმ მშვიდ ზაფხულთა გულგრილობა რომ დაგვერღვია?

XVIII

ცეკვის ასულო: წარმავლობის, არარაობის
მოძრაობებად გარდამქმნელო, წამერთვა გონი.
ეგ ბოლო ბრუნვა თვით არ იყო ხე მოძრაობის,
რომელმაც უცებ შეითავსა წლის ყველა დრონი?

განა დუმილი კენწეროზე არ აიყვავა,
როგორც ყვავილი უცნაური და არნახული?
ტრიალ-ტრიალით რომ დაჰფრენდი, შენ არ იყავი
თავად ის მზე და მცხუნვარება, თავად ზაფხული?

ამ აღტაცების ხეს ნაყოფიც უმწიფდა ზოგი,
განა არ ესხა მშვიდი ხილი: აი, თუნდ დოქი
ზოლებად მწიფე, ან ლარნაკი უფრო მწიფარი.

სურათებზე კი მონახაზი არ დარჩა ვითომ,
მუქი წარბებით უმალვე რომ შეამკე თვითონ –
ტეხილი ხაზით საკუთარი ბრუნვის ტიხარი?

XIX

სადღაც ნებივრობს ბანკში – ოქრო, სადაც ფულია,
იქ ლაზღანდარობს. მაგრამ აგერ ბრმა მათხოვარი
სპილენძის ხურდა ფულისთვისაც დაკარგულია,
როგორც კუნჭული კარადის ქვეშ, მტვერში რომ არის.

სავაჭრო დახლთან თავს შინა გრძნობს ყოველთვის ფული,
იცვლის ბეწვეულს თუ აბრეშუმს ფრიალ-ფრიალით.
ის კი დგას იმათ სუნთქვას შორის, რომელთაც სული
ვეღარ მოუთქვამთ დღე და ღამე ფულის შრიალით.

როგორ ნატრულობს ღამით მოხრას, მარად გაწვდილი
ხელი, დილით რომ ისევ გაშლის ბედი, განცდილი,
და ნათელი და საცოდავი კვლავაც გაეწვდის.

ნეტავ შეეცნო იგი ვინმეს და ეთქვა ქება –
საგალობელი. რის გამოთქმაც ხელეწიფება
მხოლოდ მგალობელს, შესმენა კი – მხოლოდ ღვთაებრივს.

XX

რა შორეთია ვარსკვლავთ შორის, და მაინც უფრო
შორია, რასაც ამა ქვეყნად ვსწავლობთ, მიველტვით.
აი, თუნდ ბავშვი... ან მოყვასი, თანამესუფრე –
რა მიუწვდომლად შორდებიან ერთურთს ყოველთვის.

ბედი ჩვენ გვზომავს ყოფიერის ადლით თუ მტკავლით
და ალბათ მიტომ აგრერიგად გვეუცხოვება;
კაცს, დაუკვირდი, რა მანძილზე შორდება ქალი,
რომ გაურბის და თან გულისხმობს მთელი ცხოვრება.

შორია ყველა, არსად იკვრის წრე მიღმიერი.
შეხედე სუფრას – თეფშზე თევზის უცხო იერი.
თევზები უტყვნი არიანო, დავეენდოთ წიგნებს?

ვინ იცის, იქნებ რომელსამე უცხო მხარეში
თევზთა ენაზე მეტყველებენ, იმათ გარეშე?
ვინ იცის, იქნებ...

XXI

ბაღებს უმღერე, გულო ჩემო, უცნობებს შენთვის,
თითქოს მინისგან ჩამოსხმულებს და მიუწვდომელთ,
შირაზისა და ისპაჰანის ვარდნარებს, რომელთ
წყაროთა წკრიალს შენი ქება-დიდებაც ერთვის.

თქვი, გულო, თითქოს სულ თან გახლდნენ ყმაწვილობისას,
თითქოს შენთვისაც მწვიფდნენ მუდამ მათი ლეღვები;
და ისე იცნობ მათ ნიავებს ყვავილობისას,
რომ ტოტებს შორის თითქოს ნაცნობ სახეს ეხები.

არ შეცდე, თითქოს შეგიძლია, რომ ამასოფლად
არ აღასრულო ეს განზრახვა, სახელდობრ: ყოფნა!
შენა ხარ ძაფი და ქსოვილის წიაღ ისხმევი.

რა გრძნობაც უნდა დაგეუფლოს, რა მძიმე ჟამიც
(თუნდაც ეს იყო თვით უმძიმეს წამების წამიც),
იგრძენ, დიადი ხალიჩაა ნაგულისხმევი.

XXII

ბედის პირუკუ: ქვეყნად ჩვენი ყოფიერების
ზესიუხვენი დიდებულად ბაღში მჩქეფარნი,
ან ქვის კაცებად აღმართულნი, ღონიერები,
პორტალთა გვერდით, აივნებქვეშ მწკრივად შემდგარნი.

ბრინჯაოს ზარი, ჟამით-ჟამად რომელიც ბედავს
უბლაგვეს ყოველდღიურობას უტევდეს კეტით!
ანდა ის ერთი, თითქმის უკვდავ ტაძრებზე მეტად
გადარჩენილი დიდი სვეტი, კარნაკის სვეტი.

ახლა იგივე სიუხვენი ქრიან გუგუნით,
ბრტყელ-ყვითელ დღიდან აწყდებიან ღამის უკუნეთს
და თვალისმომჭრელ შუქს ესვრიან ტლანქად და მქისედ.

მაგრამ კვალსაც კი არსად ტოვებს სიშმაგე ურჩი,
ფრენის რკალი თუ სხვა რამ იქნებ არც იყო ფუჭი,
მაგრამ, ვით იყო ჩანაფიქრი, მარტოდენ ისე.

XXIII

როცა ის წუთი მოვა შენთან, მე დამიძახე,
შენს წინ ჯიუტად წარმომდგარი წუთი, რომელიც
მოგეახლება მახვეწარი, ვით ძაღლის სახე,
მაგრამ (შენად რომ დაიგულებ) უმალ მსხლტომელი.

ასეა, შენგან წართმეული შენია უფრო.
თავისუფლება მოგვენიჭა უეცრად სრული.
მაგრამ ჩვენ იქვე დაგვეთხოვნენ უცებ და უბრად,
სადაც, თითქოსდა, ჯერ სალამიც არ იყო თქმული.

საყრდენის ფრთხილი ძებნა არის ჩვენი საგონი.
ყოფილის მიმართ ჩვენ ვართ ხშირად უასაკონი,
არყოფილისთვის კი – მოხუცნი, ვიქცევით უკეთ,

ვით ჯერ არს, როცა მაინც ქებით გვევსება სული,
რადგან, ვაი, რომ ჩვენ ვართ ტოტი, ჩვენვე ვართ ცული
და სიტკბოებაც იმ საფრთხისა, რომ გვიმწიფს უკვე.

XXIV

ო, ეს სურვილი – თიხისაგან ახალი მარად!
შემწედ არავინ არ ჰყოლიათ, თვით იყოჩაღეს.
ზღვისპირას მაინც შენდებოდნენ ქალაქნი მყარად,
დოქები წყლით და ზეთით სავსე ედგათ ოჯახებს.

ჩვენ გვსურს, ღმერთები ჩვენს გაბედულ ზრახვებში ჩავრთოთ,
თუმცა მათ გვისპობს ბედისწერა არაფრის მსმენი.
ჰგიან უკვდავნი. ჩვენ კი ნება გვეძლევა მარტო,
ვუსმინოთ, ვინაც ბოლოს უნდა ისმინოს ჩვენი.

ჩვენ, ათასწლოვან მშობლებს გვინდა, უზარმაზარი
მყოფადი მივცეთ შვილებს, რათა დაგვცენ თავზარი
ზეაღმატებით, რაც არ გვსხმია, გვინდა, მათ ესხათ.

ჩვენ, უსასრულოდ გამბედავებს, გვეყოფა ხანი?!
უტყვმა სიკვდილმა იცის მხოლოდ ვინა ვართ, რანი,
და რას მოიგებს მის სანაცვლოდ, რაც მოგვცა სესხად.

XXV

ჩუ, უკვე გესმის პირველ ფოცხთა ხელში აღება
და გაზაფხულის სიჩუმეში კვლავ მოწმე გახდი,
როგორ აღვიძებს მიწას კაცთა ქმედების ტაქტი
და მომავალი უაზრობად არ გესახება.

რაც მოდიოდა შენთან ადრე წესით და რიგით,
კვლავ გიბრუნდება ვით ახალი, თითქოს უღირხარ.
თუმცა ელოდი განუწყვეტლივ, მაგრამ შენ იგი
არ მიგიღია არასოდეს; მას მიუღიხარ.

გამოზამთრებულ მუხის ნეშოს მომავლის მუქი
ფერი ეძლევა, როცა დგება მიმწუხრის შუქი.
ზოგჯერ რაღაცა ენიშნებათ ნიავებს ამით.

შავია ბუჩქი. მაგრამ მინდვრად რომ ახვავია
ნაკელის გროვა, ის ყველაზე მეტად შავია.
და ჭაბუკდება მიმავალი ყოველი წამი.

XXVI

როგორ გვაღელვებს ჩვენ ფრინველთა ყივილი ლაღი...
შექმნილი სადღაც და ოდესღაც. გასაკვირია,
თვით ბავშვების ხმაც, თამაშისას რომ გაჰყვირიან,
უკვე არ არის ჭეშმარიტი ყვირილი, საღი.

მხოლოდ შემთხვევებს გაჰყვირიან: სამყაროს სივრცის
შუალედებში (სად ფრინველის ყივილს უსნებოდ
ძალუძს შეღწევა, როგორც კაცმა სიზმარში იცის)
არჭობენ ხოლმე თავ-თავიანთ ყვირილს ლურსმნებად.

სად ვართ? ქაღალდის ფრანებივით დაბლა ეტრიალებთ,
მიეფარფატებთ და ნაფლეთ-ნაფლეთ მივაფრიალებთ
სიცილს, რომელიც დაგვეძენძა ისე, ვით ქარი.

ააწყე, ღმერთო მომღერალო, ყვირილი ყველა!
რათა ჩუხჩუხით გაიღვიძონ და შემდეგ ნელა
გაიყოლიონ დინებისას თავი და ქნარი.

XXVII

მართლა არსებობს განა ჟამი, ყოვლის დამქცევი?
როდის შეიძლებს, მთაზე ციხე გახადოს ურგი?
აი, ეს გული უსასრულოდ და აღტაცებით
ეკუთვნის ღმერთებს. როდის დაშლის მას დემიურგი?

ჩვენ განა იოლმსხვრევადნი ვართ, მართლაცდა, ასე,
როგორც ბედს უნდა გვაიძულოს? ან ჩვენს ბავშვობას,
ღრმას და მრავალი დაპირებით პირამდე სავსეს,
ნუთუ ფესვებში უწერია შემდეგ ჩახშობა?

ო, წარმავლობის მოჩვენება მსგავსია ლანდის,
ნდობით მიმღების წიაღ იგი კვამლივით გადის
და სადღაც იქით უჭირავს გეზი.

ჩვენ კი, რანიც ვართ, წარმავალნი ადრე და მალე,
მაინც ვჭირდებით მარადიულ იდუმალ ძალებს –
ვით საღვთო წესი.

XXVIII

მოდი და წადი. შენ, ვინც თითქმის ბავშვი ხარ ჩვენთვის,
ცეკვის ნაკვეთი დაასრულე ყმაწვილქალობით
და მოკაშკაშე ზოდიაქოდ აქციე ერთი
ცეკვათაგანი, რომელშიაც ჩვენ წარმავლობით

ვჯაბნით ბუნების ყრუ ქმედებას. სმენის უნარი
მას ხომ ორფევსმა შესძინა და იწყო გოგმანი.
შენ აგიჩუყდა გული, ხემ რომ არ იუარა,
სმენადქცეულმა და ნელ-ნელა, ოდნავ ყოყმანით

მაინც გამოგყვა საცეკვაოდ. და ტანკენარი
გრძნობდი, სად იყო შუალედი მოუსმენარი,
როდესაც ქნარი ამაღლებას იწყებდა ძლიერს.

ეგ სვლა, ნარნარი, შენ ხომ იმის იმედით შესძელ,
რომ ამ ნეტარი ზეიმისკენ თუნდ მხოლოდ ერთხელ
მოაბრუნებდი შენ მეგობრის სვლასა და იერს.


XXIX

შორეთთა ჩუმო მეგობარო, იგრძენი, სივრცეს
როგორ ეღება შენი სუნთქვით ახალი ბჭენი.
ბნელი სამრეკლოს ძელთა გუგუნს, დე, ბანი მისცეს
შენმა რეკვამაც. და რაც არის შთანმთქმელი შენი,


გახდება მაშინ ამ საზრდოზე უფრო ძლიერი.
გარდიქმენ მარად, ნუ გექნება ჟამი სასვენი.
რა განსაცდელი უფრო გტანჯავს, ბედისმიერი?
სმა გემწარება? თავად გახდი მაშინ სასმელი.

ამ ჭარბ ღამეში შენს გრძნობებს კი ნუ გაეყრები,
თვით იყავ მათი ჯადოსნური ძალით შემკრები
და აზრად ექმენ მათ საოცარ შერწყმას, ავსებას.

მიწიერება თუ გივიწყებს, მიდი, მინებდი.
მშვიდ დედამიწას ჩასჩურჩულე: მივედინები.
მარად მიმდინარ წყლის ნაკადს კი უთხარ: ვარსებობ.



XX საუკუნის რუსული პროზა



ინოკენტი ანენსკი
1856-1909

სამყაროთ შორის

სამყაროთ შორის, მნათობებში ერთ ვარსკვლავს ვხედავ,
მხოლოდ მას ვუხმობ დაჟინებით, ველტვი მის ციმციმს.
არა მიტომ, რომ მყვარებოდეს ის სხვებზე მეტად,
არამედ მიტომ, რომ მე სხვებთან გაძლება მიმძიმს.

და თუკი გულზე შემომაწვა ეჭვები მწველი,
მე მარტოოდენ მისგან ხსნა და შვება ვიმადლე.
არა მიტომ, რომ მე იმისგან სინათლეს ველი,
არამედ, რადგან არ მჭირდება მასთან სინათლე.

მაქსიმილიან ვოლოშინი
1877-1932

ჯოჯოხეთის ფსკერზე

ა. ბლოკის და ნ. გუმილიოვის ხსოვნას

დღითიდღე უფრო ყრუდ ნებდება ღამე უკუნეთს
და უშეშდება ზამთრის სუსხში გვამი შიშველი.
სიცოცხლის სანთლებს მყრალი ქარი აქრობს გუგუნით.
ვის გააგონებ, ვის მოუხმობ, ან ვინ გიშველის?!

რუს პოეტს მუდამ უმოწყალო ბედი უკივის:
ბნელი განგება არად აგდებს სახელს, დიდებას,
შავი დამბაჩის სამიზნემდე მიჰყავს პუშკინი
და დოსტოევსკის ეშაფოტზე მიეზიდება.

ვინ იცის, იქნებ მეც სულ მალე ეს ბედი მელის,
ჩემო რუსეთო, შვილთა მკვლელო, მეც დამცე მეხი?!
სამარედ მექცეს ერთი შენი სარდაფი ბნელი,
ანდა შენს სისხლის გუბეებში დამისხლტეს ფეხი,
შენს გოლგოთაზე მიჯობს მაინც, რომ მომწყდეს წელი,
არ ვიუარო, მედგას შენთა საფლავთა კეხი.

ბოლოს მომიღებს შიმშილი თუ ჯავრი საზარი.
მე მაინც სხვა ბედს არ ვისურვებ, ეს უწყის ღმერთმა:
თუ სიკვდილია, დაე, მოვკვდე მეც შენთან ერთად,
ან შენთან ერთად აღვსდგე მკვდრეთით, როგორც ლაზარე!

კოკტებელი,
12 იანვარი, 1922 წ.

ნიკოლაი გუმილიოვი
1886-1921

მე და თქვენ

ვიცი, არა ვარ მე თქვენი თარგის,
ვარ სულ სხვა ქვეყნის ჯიში და მოდგმა.
და მომწონს არა გიტარის ჰანგი,
არამედ ზურნის ველური მოთქმა.

სალონებში კი არა ვჩურჩულებ
მუქ კაბებსა და პიჯაკებს შორის,
ლექსებს ვუკითხავ ჩანჩქერს, ურჩხულებს
და მე მისმენენ ღრუბლები შორი.

მე მიყვარს, როცა არაბი მწირი
წყალს დაემხობა მძიმე ლოდივით,
არა ნაყალბევ სურათთა გმირი,
ცას რომ გაჰყურებს მშვიდი ლოდინით.

და მე ლოგინში კი არ მოვკვდები
ნოტარიუსის და მკურნალთ ხელში,
გამოქვაბულში დავეცლოდები
და იქ მომაგნებს სიკვდილის გეში.

არა მიტომ, რომ ავიდე აღმა
პროტესტანტული სამოთხის კარად,
არამედ, სადაც ქურდი და კახპა
თავს დამკივლებენ: „წამოდექ, ჩქარა!"

ბუნება

აჰა, ესერა, ბუნება მთელი,
რომელსაც სული არ აღიარებს:
მდელოზე თაფლის სურნელი ნელი
ერთვის ჭაობის შმორის მხვიარებს.

ქარს აიძულებს ველური გლოვა,
მგლის ყმუილივით ზარი გამართოს.
ფიჭვების თავზე ღრუბელთა გროვა
მართავს მარულას უმისამართოს.

ვხედავ: ლანდები ერთურთს ერევა,
ვხედავ და მახრჩობს ბოლმა და გესლი:
რა ღარიბ მრავალსახიერებად
მწიფს შემოქმედის ნაბნევი თესლი.

ო, დედამიწავ, ნუ ხუმრობ, მოდი,
შემოიძარცვე ეგ კაბა ძველი.
და იყავ, რაიც იყავი ოდით:
ცეცხლად ნაგზნები ვარსკვლავი მწველი!

მეექვსე გრძნობა

კარგია ღვინო, ჩვენ რომ ასე შემოგვციცინებს,
კარგია პურიც, ცხელ თონეში ჩვენთვის რომ ცხვება,
ქალიც, რომელიც ჯერ გვაწამებს მაცდურ სიცილით,
შემდეგ კი ძალუძს, რომ მოგვაგოს სიტკბო და შვება.



მაგრამ რა ვუყოთ განთიადებს, ნაირ ფერებად
იმ შემცივნებულ კამარებში რომ კრთიან უხმოდ,
სადაც სიმშვიდეს ვერ დაარღვევს მიწიერება.
ანდა ამ მართლაც უკვდავ ლექსებს რა უნდა ვუყოთ?

არც იკოცნება, არც იჭმევა და არც ისმევა.
დრო კი თავისთვის მიდის მაინც, არვის მორჩილი.
ჩვენ ხელებს ვიმტვრევთ, ვფორიაქობთ, მაგრამ ისევე
ყველაფრის მიღმა, მხოლოდ მიღმა სვლა გვაქვს მოსჯილი.

როგორც ბიჭუნა, თავის თამაშს რომ შეწყვეტს უცებ
და უთვალთვალებს მობანავე გოგონას სხეულს.
თუმც სიყვარული ჯერ არ იცის, გული კი უცემს
და გრძნობს იდუმალ რაღაც სურვილს, მტანჯველს და წყეულს.

როგორც ოდესღაც ზეაღმოხდა წივილის ტალღა
უსუსურსა და ლიპ ქმნილებას, როს მომნუსხველი
რაღაც ქავილი აგრძნობინა უეცრად ალღომ
ზურგსუკან, მხრებზე — ფრთები ჯერაც გამოუსხმელი.

ასე გრძელდება, ღმერთო, მაგრამ როდემდე განა? —
სხეული კივის, იტანჯება სული ბოგანო,
ბუნებისა და ხელოვნების დანის ქვეშ სანამ
მეექვსე გრძნობას გაუჩნდება რაღაც ორგანო.

ოცნებები

ბინადართაგან მიტოვებულ ქოხმახთა მიღმა,
იქ, სადაც შავად მეჩხერობდა მესერი ძველი,
ბერმა ყორანმა დაძონძილი გლახაკი იხმო,
რათა გაენდო წეღანდელი ხილვები მწველი.

ყორანს თრგუნავდა შინაგანი მარადი შიში,
მაგრამ უნდოდა გლახაკისთვის ეამბნა მაინც
აუხდენელი ოცნებები, ნანახი ძილში,
ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე ეზმანა რაიც.

რარიგ ეახლა მათ ორთავეს ნანატრი ბედი,
აღარც ახსოვდათ თავიანთი ყოფნა წყეული.
ის ვითომ ტალღებს მიაპობდა, ვით თეთრი გედი,
ხოლო გლახაკი უფლისწულად იყო ქცეული.

გლახაკი ჩუმად ქვითინებდა. ზეცა მაღალი
თანდათან ქუფრად მძიმდებოდა, დაბლა იწევდა.
და გზად ჩავლილი დედაბერი, ოდნავ დამფრთხალი,
გამალებით და მორიდებით პირჯვარს იწერდა.

* * *

არ ედგომებათ ჩემთან ყვავილებს,
ძლივს ვასწრებ მათი მშვენებით ტკბობას,
ორიოდ დღეში იწყებენ ჭკნობას,
არ ედგომებათ ჩემთან ყვავილებს.

არ ედგომებათ ჩემთან ჩიტებსაც.
იბუზებიან უხმოდ და უნდოდ.
დილით — ბუმბულის უსულო გუნდა...
არ ედგომებათ ჩემთან ჩიტებსაც.

მხოლოდ წიგნების მწკრივი რვა რიგად,
საუკუნეთა მოთენთვას მარადს
იცავენ მდუმარ გუშაგთა დარად,
როგორც კბილების მწკრივი რვა რიგად.

წიგნებს რომ ყიდდა, ის ბუკინისტი
ცხოვრებისაგან მოტყდა, დაოსდა.
...ვაჭრობდა წყეულ სასაფლაოსთან,
წიგნებს რომ ყიდდა, ის ბუკინისტი.

* * *

შავი ხავერდი, რომელზეც თითქოს
დარჩათ ალმასი მბზინავი ცერად.
ამ შედარებას თავისით ითხოვს
მგალობელ თვალთა ნატიფი მზერა.

ვით ფაიფურის უცხო საგანი,
მისი სხეულის ნატიფი კრთომა
არის, ვით თეთრი იასამანი
და მასზე მთვარის სხივების კვდომა.

ხელები, როგორც ცვილი ნათელი,
რომლებშიც სისხლი ჩქეფს ცეცხლის დარად,
როგორც ღვთისმშობლის ხატთან სანთელი,
ჩაუმქრალი და მთრთოლვარე მარად.

მსუბუქია და დაუდგრომელი,
როგორც სარკიდან ნასხლეტი სხივი,
ვით შემოდგომის ჩიტი, რომელიც
მზად არის, დათმოს ქვეყანა ცივი.

ჰოკუ

აი, ლამაზი ქალიშვილი, ნუკრისთვალება,
ცოლად მიჰყვება ამერიკელს. ნეტავ კოლუმბმა
ეს ამერიკა რა ჯანდაბად აღმოაჩინა?!

პატარა სპილო

აი, შეხედე, საყვარელო, — პატარა სპილო,
დაბადებული ან ბერლინში, ანდა პარიზში,
რომელიც რბილად დააბიჯებს ბამბის თათებით
და უხმოდ უვლის ზოოპარკის პატრონის სადგომს.

ნუ შესთავაზებ ჯერ-ჯერობით ფრანგულ ფუნთუშას,
ნუ შესთავაზებ ჯერ-ჯერობით კომბოსტოს თავებს —
მას შეუძლია მანდარინი მოწუწნოს მხოლოდ,
შაქრის ნატეხი ან კამფეტი სულ ერთი ციცქნა.

ნუ ატირდები, საყვარელო, შენ იმის გამო,
რომ ბრბო დასცინებს გამომწყვდეულს ამ გალიაში,
რომ მყრალ სიგარას შიგ ხორთუმში შეაბოლებენ
ვილაც ნოქრები, გოგონების სიცილ-ხარხარით.

და არ იფიქრო, საყვარელო, რომ მოვა ის დღე,
როცა აიწყვეტს მძიმე ჯაჭვებს გაგიჟებული,
გამოვარდება ქუჩაში და ავტობუსივით
ზედ გადაუვლის აკივლებულ ადამიანებს.

არა, შენ, დაე, დაგესიზმროს: ის სისხამ დილით
ფარჩით, სპილენძით, ბუმბულებით მთლად აღკაზმული,
როგორც ის, მართლაც დიდებული, ოდესღაც, ძველად
რომ მიარწევდა ათრთოლებულ რომში ჰანიბალს.

იოსიპ მანდელშტამი
1891-1938

* * *

მოცემული მაქვს მე სხეული, რა ვქნა, რა ვუყო?
ასე მთლიანი, ასე ჩემი, ვის რა გავუყო?

მისთვის რომ ვსუნთქავ და ცოცხალი კაცი მქვია მე,
მითხარით მაინც, ვის ვუმადლო მე ეს სიამე?

მე ვარ მებაღეც და ყვავილიც გაშლილი ფართოდ,
ამ სამყაროულ ბნელ დილეგში მე არ ვარ მარტო.

მარადისობის სინებს ორთქლად დაეფინება
ეს ჩემი სითბო, ჩემი სუნთქვის ჩუმი დინება.

გამოისახვის მასზე რაღაც ნაზი ხატება,
რომლის შეცნობა შესაძლებელს აღემატება.

დაე, ედინოს მას დრო-ჟამი, ნალექის მსგავსი,
მაინც ვერასდროს ჩამორეცხოს ეს ნაზი ხაზი.

ლენინგრადი

მე დავუბრუნდი ქალაქს ჩემსას და კვლავაც ვიკვლევ
ნაცნობს, ვით ცრემლებს, ვით ბავშვობის შეშუპულ ჯირკვლებს.

ისევ აქა ხარ, ლენინგრადში, მოკრიფე გონი,
ყლაპე ფარნების ბლანტი შუქი, ვით თევზის ქონი.

ისევ იცანი დეკემბრის დღე, ცივი და ქუფრი —
გაზავებული კვერცხის გულთან აებედი კუპრი.

ო, პეტერბურგო, მე არ მინდა სიკვდილი ჯერაც,
ჩემს ტელეფონის ნომრებს ისევ ინახავ, მჯერა.

ო, პეტერბურგო, მე ყოველგვარ ღონეს ვიღონებ
და ამ ნომრებზე გარდაცვლილთა ხმებს გავიგონებ.

შავი კიბის მკვიდრს საფეთქელში მიჩნდება ბზარი.
როდესაც მირტყამს ხორციანად ნაგლეჯი ზარი.

და მთელი ღამე მე სტუმართა ლოდინს ვუნდები
ყრუდ მოჟღარუნე კარის ჯაჭვის ცივი ხუნდებით.

* * *

გაიხსნენ დიდი თვალები ტოლი,
რომლებშიც სევდა იყო ჩამდგარი,
ძილს გამოერკვა ნაზი ლანგარი
და გადმოღვარა თავისი ბროლი.

მოთენთილობა — წამალი ტკბილი,
ოთახი ჩუმი და უსაუბრო.
საოცარია, ციცქნა საუფლომ
როგორ მოიცვა ამდენი ძილი?!

სასიამოვნო ზმანებებს აწეწს
ცოტა ღვინო და მაისი მკვეთრი —
და უნაზესი თითები თეთრი
მოციცქნის ნამცხვრის პანანა ნამცეცს.

მარინა ცვეტაევა
1892-1941

* * *

შენი კალმისთვის მე ვარ ფურცელი,
ვიღებ ყველაფერს — ფურცელი თეთრი.
შენს მადლს ვინახავ, თუ გაუძელი,
ასმაგად გიზღავ და არას გყვედრი.

მე ვარ სოფელი, მიწა უბრალო,
ვით სხივს და წვიმას გელი ღაღადით,
შენა ხარ ჩემი ღმერთი, უფალი,
მე კი — მიწა და თეთრი ქაღალდი.

გაპარვა

იქნება სჯობდეს, დროს და სწრაფვას არიდო თვალი
და ეს ნაბიჯი გამარჯვება იყოს ნამდვილი —
წახვიდე ისე, არ დატოვო აქ შენი კვალი,
წახვიდე ისე, არ დატოვო შენი აჩრდილი

კედლებზე...
ანდა იქნებ სჯობდეს, რომ თქვა უარი?
სარკეებიდან ამოშალო ხატება შენი?
ლერმონტოვივით კავკასიის მთებს ჩაუარო
ისე, რომ სულ არ შეაშფოთო მდუმარე კლდენი.

ან გასართობად, იქნებ სჯობდეს, მოთმენა გეყოს
და თუნდაც თავად სებასტიან ბახის თითებით
არ შეარხიო არასოდეს ორღანის ექო?
და გაქრე ისე, ურნაშიაც თუ არ იქნები

ფერფლად შთენილი...
ანდა სჯობდეს მზაკვრობას უხმო?
ამოეწერო სამყაროდან ვით არაფერი?
ამგვარად: როგორც ოკეანე, დროსავით უხმოდ
გაიპარო და არ შეაკრთო წყლის ზედაპირი.



* * *

არც სიყვარულით და არც პატივით
ტკბობა არ მინდა. მორჩით!
ვაშლიც არ მინდა, ანდამატივით
მაცთუნებელი — ხონჩით...

ჯაჭვივით რაღაც მომყვება ბინდად,
ზარით, გრიალით მომდევს.
ო, როგორ მინდა,
ო, როგორ მინდა —
ჩემთვის უჩუმრად მოვკვდე!

იოსიფ ბროდსკი
1940-1996

ორი საათი რეზერვუარში

მე ვჭმუნავ, ვშმავ...
ა. ს. პუშკინი

I

ვარ ანტიფაშისტი და ანტიფაუსტი.
იჰ ლიბე ცხოვრება უნდ აინ ქაოსი.
დას ისტ სასურველი, მაინ ოფიცირენ,
დემ ცაჲტ ცუმ ფაუსტ ცოტა შპაცირენ.

II

არ დანებდა პოლონელთა ფანდებს,
მოენატრა თავის ფატერლანდი,
იზიდავდა სიბრძნის დიამანტი.
აეჭვებდა საკუთარი ანდე.
არ უფრთხოდა ქალებს როგორც ღოლოს.
სექსზე ცხარედ მოკამათე, ბოლოს
ფაკულტეტზე თამაშობდა პოლოს.

შეისწავლა ბანქოს კატეხიზმო.
შემდეგ კარტეზიანიზმი იძმო.
ეგო არტეზიანიზმიც იზმო
ღრმად და აღარ სურდა კვლავაც ზევით.
სულ არ ჰგავდა იგი კლაუზევიცს,
ვერა ფლობდა ხრიკებს ბრძოლა-ზავთა,
რადგან ფატერ მას დურგალი ჰყავდა.

ცუმბაიშპილ თარეშობდა ჭირი
უნდ ქოლერა უნდ ტუბერკულჲოზენ.
გაიჩხირა შვარცე პაპიროსენ,
რომ დაეცვა საკუთარი პირი.
იზიდავდა მას ბოშა თუ მავრი,
შემდეგ იგი გახდა ბაკალავრი.
მას დიდება არ ახვევდა თავბრუს
და მღეროდა: „კემბრი... დინოზავრუს...“

გერმანელ კაცს ჭკუა ერგო სულ.
თუ „კოგიტო“, მაშინ „ერგო სუმ“.
გერმანია, მართლაც, ჲუბერ ალეს!
(ვენის ვალსი ატკბობს ყურს და თვალებს.)
კრაკოვიდან ჰერი! გზები მრუდი.
მაგრამ მაინც სულ არ არის ცუდი,
როცა გელის კათედრა და ლუდი.

III

მრუმე ღრუბლებზე გადმომდგარა მთვარე, ვით ვაცი.
უზარმაზარი ფოლიანტი. დაჰყურებს კაცი.
შუბლზე ნაოჭი და თვალები ბეცი თუ ბაცი.
მათში ირევა არაბული ხლართების ქაცვი.
ხელებში უთრთის კორდოვული შავი გრიფელი.
შორი კუთხიდან უთვალთვალებს ბნელი პროფილი –
ვინმე არაბად წოდებული მეფ-იბნ-სტოფელი.

თაგვი ხრავს თახჩას და სანთელი მკრთალ ნათელს აფენს,
„ჰერ დოქტორ, კმარა, ძილის დროა". – „ო, ჲავოლ, შლაფენ..."
შავი ხახები ერთდროულად ღნავიან: „მჲაუ..."
უცებ შემოდის უხმაუროდ იდიშე ფრაუ.
მოაქვს შიშხინა ერბოკვერცხი, შესარგოდ ეგოს.
ჰერ დოქტორი კი უკირკიტებს კონვერტს და დინჯად
აწერს: „გოტ შტრაფე ინგლანდ, ლონდონ, სერ ფრენსის ბეკონს".

მოვლენ, მიდიან, სტუმრეულნი, ფიქრნი, ეშმანი...
მოვლენ, მიდიან, მიდუმდიან წელთა ეჟვანნი...
სიტყვები, დარი, სამოსელი თუ კაეშანი
მიდის ყოველი, რადგან დროა გარდანქეშანი.

მან არაბულს გაუსინჯა დვრიტა.
სანსკრიტი კი სულ ამაოდ ჭვრიტა.
ძალზე გვიან, მაგრამ მაინც: ჭიტა!
ვუნდერბარულ უცებ გაიჩითა
აჲნე ქლაჲნე ფროჲლაჲნ მარგარიტა.

უცებ აფრინა კაიროში დეპეშა მტკიცე
და ეშმას სულის დათმობაზე თანხმობა მისცა.
მაშინ თვით მეფი ჩამობრძანდა, მან გადაიცვა
სამოსელი და არ უნდოდა ფიცი და მტკიცი,
ის უკვე იყო გარდაქმნილი. ბოლოს გარისკა
და თაიგულით ქალიშვილის ბუდუარისკენ
გასწია ჯიქურ და ქმნა: „ვენი, ვიდი (უნდ) ვიცი!"

IV

იჰ ლიბე სინათლე, იჰ ლიბე სიზუსტე.
აბერ არ გეგონოთ ეს რაღაც სისუსტე.
თქვენ შპრეხენ, გულგრილად ვერ მზერდა ქალებს?
დას ისტ ნიჰტ მარტალი კველა, დას ალლეს.
ეს შეთანხმება მახტ დერ გროსსე მინუს.
ნამდვილად შპრახე, მახტ დერ გროსსე სინუს:
ნაინ გეჰაპტ გრდზნობები აჩვენო ვინმეს.

კაცს ალლეს ვერ მოსთხოვ, არ არის ძლიერი:
„შეჩერდი წამოო, შენ ხარ მშვენიერი!“
ჩვენს შორის ეშმაკი ციბრუტობს ცბიერი
და ჩვენგან ყოველ წამს ამ ფრაზას ელის.
ადამიანი კი, მაინ ლიბე ჰერრენ,
მერყევი ვინმეა, ამას სწორს ნერენ,
თუმც ზოგჯერ გმირული ელფერით ჰფერენ,
მაგრამ, ვით გოეთეს, იღბალი შველის.

უნდ გროსსე დიხტერმა შეცდომით მოცერა,
ლამის სიუჟეტი ა განცე მოცელა.
თომას მანს ცაუხდა თავის ხელმოცერა.
შერ გუნომ აცბუნა არტისტი ქალობა.
მაინც ხელოვნება ეს არის სინათლე.
კონცერტში ტკუილს სდჟობს სამოთხის გალობა,
დი კუნსტ, მთავარია გრდზნობების სიმართლე.

რა მოხდა, მას ჰქონდა სიკვდილის შიში.
მან კარგად იცოდა ეშმათა ჯიში.
ჩასწვდა იბნ სინას თუ ჰალენის ნაწერს,
სახსრებში იოლად აშრობდა ვასსერს.
შეეძლო გაეგო ასაკი ხეთა და
ვარსკვლავთა სავალ გზებს წინასწარ ხედავდა.
მაგრამ ღმერთისა კი აჲნ ვენიგ, სულ ცოტა რამ
ნიხტ, დოქტორ ფაუსტმა არა იცოდა-რა.

V

არის მისტიკა, არის რწმენა. და არის ღმერთი.
ეს ყველაფერი სხვადასხვაა და მაინც ერთი.
ზოგიერთებს სწყენს სულისა და ხორცის ორობა.
ურწმუნოება სიბრმავეა. უფრო – ღორობა.

ღმერთი დაგვყურებს. ჩვენ ავცქერით. მაგრამ გვიანნი
ჩვენნი სწრაფვანი უმწყობრო და უწყებრივია.
უფალი არის ბუნებრივი. ადამიანი?
ადამიანი ალბათ უფრო უნებრივია.

ამქვეყნად ყოველ ადამიანს აქვს თავის ჭერი
არცთუ იმდენად საიმედო. ამიტომ იგი,
როდესაც გულში შეუძვრება მზაკვარი მტერი,
ცხოვრებას უკვე ეელარ ხედავს ეშმაკის იქით.

ასეთი იყო თვით დოქტორი ფაუსტი. თავად
მარლოც, გოეთეც, ასეთივე თვით თომას მანი...
ინტელიგენტნი, მომღერლები და არც თუ ავად
სახსენებელი მკითხველები სხვანი თუ სხვანი...

დროის დინება მიიდენის მათ ყველას ერთობ
და სპობს მათ გზა-კვალს, დონნერვეტერ, ტალღა უცები.
იქნებ მოასწრონ და იკითხონ: ო, საით, ღმერთო?
და გაარჩიონ, რას ეტყვიან შორით მუზები.

პატიოსანი გერმანელი ცურიუკ, ო, ფატერ!
არ უცდის, როდის მიიყვანენ ბოლო კარამდის.
თბილი შარვლიდან ამოიღებს შემართულ ვალტერს
და ვალტერ-კლოზეტს მიაშურებს აწ და მარადის.

VI

ფროჲლაჲნ, ბრძანეთ, ვას ისტ დას „ინკუბუს“?
ინკუბუს დას ისტ აინე ქლაინე გლობუს.
ნოხ გროსსერ დიხტერ გჲოტე გვაძლევს რებუსს.
ვაიმარში ნისლი იდგა მქისე
და ყანჩებმა გასაღები ისე
აგვაცალეს, ვერც გავიგეთ, მგონი.
არაფერი აღარ შეგვრჩა ხელზე.
ამაოა ეკერმანის გონი.
ვართ მატროზენ დარჩენილნი ხმელზე.

სული არის ამოცანა რთული.
მისტიკა კი ნიშანია სრული
დამარცხების, წაწყმედილი, კრული.
იჰ ბინ, არ ღირს საკამათოდ უკვე.
ცუმბაჲშპილ, ჭერი – სახურავის თავხე.
ლექსით მეტი, კაცით ნიცშე გავხე.
მახსოვს ნიშში ღვთისმშობელის სახე
და ლოგინში ფრჲუშტუკობა უხვი.

ზეპტემბერი. ზმორი. მთვარე სრული.
კუდიანის კრუტუნს მიაქვს სული.
ბალიშის ქვეშ ამოვიდე ცული...
წამეშნაპსა ნეტავ... აპგემახტ!
ჲავოლ, ზეპტემბერ. უჟმურობის ფაქტორს
ერთვის ის, რომ სადღაც უჭირს ტრაქტორს.
მსურს სიცოცხლე. „ფელკიშ ბეობახტერ“.
გუტ ნახტ, მაინ ლიბე ჰერრენ, ჲა, გუტ ნახტ.

1965.

საშობაო ვარსკვლავი

საგრძნობლად ციოდა. ის მხარე
სიცხეს უფრო იყო ჩვეული,
ვიდრე სუსხს, და ვაკე ადგილებს,
ვიდრე მთას, და ზამთრით ძლეული
უდაბნო გრიგალებს მიჰქონდა, ქარმა არე-მარე შეყარა,
ყრმა იშვა იქ, გამოქვაბულში, რომ ეხსნა ცოდვილი ქვეყანა.

მას დიდად ეჩვენა ყოველი: ხარის ნესტოები საზარი,
თვით ძუძუ დედისა, მოგვები: მელქიორ, ბალთაზარ, გასპარი...
და ძღვენი, რომელიც ყოველმა მათგანმა გულუხვად იღო.
თვით იყო წერტილისოდენი. ვარსკვლავიც წერტილი იყო.

გულდასმით, ციმციმის გარეშე, დაფლეთილ ღრუბელთა შორის
ამობრწყინებულმა ვარსკვლავმა ბაგაში მწოლარეს შორით,
სამყაროს უძირო სიღრმიდან, დასალიერიდან ლამის
შიგ გამოქვაბულში შესჭვრიტა. ეს იყო თვალთვალი მამის.

ოდისევსი ტელემაქეს

ჩემო ტელემაქ, ტროას ომი უკვე დასრულდა.
ვინ გაიმარჯვა, აღარ მახსოვს, ალბათ ბერძნებმა:
ამდენი გვამის მიმოფანტვა უცხო მიწაზე,
ბერძნების გარდა, არვის ძალუძს. გზა შინისაკენ
გრძელი გამოდგა, თითქოს, სანამ იქ დროს ვფლანგავდით,
პოსეიდონმა საგანგებოდ გაჭიმა სივრცე.
მე აღარ ვიცი, სადა ვარ და ჩემს წინ რა არის:
რაღაც კუნძული ჭუჭყიანი, ეკალ-ბარდები,
ღორღი, ღრუტუნი ღორებისა, მთლად დაბურული
ბაღი და ვიღაც დედოფალი, ქვები, ლოდები...
ჩემო ტელემაქ, ერთმანეთს ჰგავს ყველა კუნძული,
როდესაც ამდენს მოგზაურობ, უკვე გერევა
ტვინში ტალღების სათვალავი, და ჰორიზონტი
მტვრად დალექილი თვალებს გიწვავს, გიცრემლიანებს
და ყურთასმენას მთლად გიხშობენ წყლის არსებანი.

ჩემო ტელემაქ, გაიზარდე და დავაჟკაცდი,
მხოლოდ ღმერთებმა თუ უწყიან, შევხვდებით კვლავაც?
უკვე ის ბავშვი აღარა ხარ, რომლის წინაშეც
შმაგი ხარების დაოკება მომიხდა ერთხელ.
და პალამედე მიზეზად რომ არ გაგეხვდომოდა,
ჩვენ ალბათ ერთად ვიცხოვრებდით. თუმცა ვინ იცის,
იქნებ ასე სჯობს, შენ უჩემოდ დაზღვეული ხარ
ოიდიპოსის ვნებათაგან, ჩემო ტელემაქ,
შენი სიზმრები უმანკო და უცოდველია.

პოლარული მკვლევარი

შემოეჭამა ყველა ძაღლი. დღიურში უკვე
სუფთა ფურცელიც აღარ დარჩა. სიტყვების მძიმემ
დაფარა ფოტო მეუღლისა, რომლის ლოყაზეც
რაღაც საეჭვო თარიღია ხალად დასმული.
დის ფოტო დარჩა. ისიც რაღა დასანდობია,
როდესაც საქმე ძლივსმიღწეულ განედს ეხება.
ჩაშავებული განგრენა კი მოცოცავს ზემოთ,
ვით ვარიეტეს ლამაზმანის ბარძაყზე წინდა.

* * *

ვინც არა კვდება, აღწევს სამოცს,
სამოცდაათსაც.
პედობენ, თხზავენ მემუარებს,
ებლანდებიან ფეხებში ყველას,
მათ სახის ნაკვთებს
ვაკვირდები მე დაჟინებით,
როგორც მიკლუხო
მაკლაი მასთან მიახლებულ
ველურთა სვირინგს.

„ბარბიზონ ტერრასი“

მომცრო სასტუმრო ვაშინგტონში. უიაფესი.
მდგმურების ხვრინვა, შავ სათვალეს რომ არ იხსნიან
ძილისწინ, რათა არ იხილონ სიზმრად რაიმე.
და კარისკაცი, ძალოსანის მხარ-ბეჭის მქონე,
ფურცლავს სასტუმროს მდგმურთა დავთარს და იტკბარუნებს
პირს დაფეხვილი ტროას ცხენის შიგნეულობით.

შვინდის ბუჩქების შარიშური აივანზე მჯდომ
ყავისფრად მოსილ კაცს აყრუებს. მის საფეთქლებში
კაკუნობს სისხლი ისე, როგორც მორზეს ანბანი,
არავის მიერ მიღებული და თავისთავად
დაბრუნებული. გენერლების ბრძოლას ჰგავს ზეცა.

თუკი ოდესმე დაგავიწყდეს შენ სამკუთხედის
კუთხეთა ჯამი ან ფართობი ჯადოსნურ წრისა,
დაბრუნდი: სარკის ამალგამა აბაზანაში
მალავს ლამაზი კირილიცით ძალუმად ნაზავ
უაზრო ბოდვას და იდუმალ ფიქრებს სიკვდილზე.

ციკლიდან „ოცი სონეტი მარია სტიუარტს“

5.

შენს საყვარელთა სათვალავი, ჩემო მარია,
თუ არა ვცდები, ოცდახუთსაც გადამცდარია.
გვირგვინისათვის არ არსებობს ზიანი მეტი,
ვიდრე ლოგინში ჩაიგორო ვიღაც ახვარი.
(ეს იმას ნიშნავს, სამეფო ტახტს ჩასცე ლახვარი
და სახელმწიფო შეარყიო, დაასხა რეტი.
რესპუბლიკა კი, როგორც ძველი ბერძნული სვეტი,
ბევრ ამისთანას გაუძლებს და იდგება მყარად).
შოტლანდიელი ბარონი კი არ არის ცეტი,
აზრს არ შეიცვლის, რაც უნდ მოხდეს, არა და არა!
შენს შოტლანდიელთ ჩაუვარდათ ნაცარში კოვზი,
ვერ განასხვავეს საწოლისგან სამეფო ტახტი.
თანამედროვეთ თვალში თეთრი ყორანი გახდი
და მათთვის იყავ საუკუნის კახპა და ბოზი!

გაჩერება უდაბნოში

ახლა ბერძნებმა ლენინგრადში იმდენად იკლეს,
რომ ჩვენ ბერძნების ეკლესია სულ დავანგრიეთ,
რათა აგვეგო საკონცერტო დიდი დარბაზი
იმის ადგილას. არის ასეთ ნაგებობებში
რაღაცა, მართლაც უიმედო, თუმც საკონცერტო
დარბაზი, ათას ადგილზე მეტს რომელიც იტევს,
თითქოსდა უკვე არც იმდენად უიმედოა.
ეს ტაძარია, თან ტაძარი ხელოვნებისა.
ვისი ბრალია, რომ ვოკალურ ხელობას ბევრად
მეტი შემოაქვს, ვიდრე რწმენის მაღალ სადროშოს?!
სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამიერიდან
უნდა ვუმზიროთ შორით არა ნორმალურ გუმბათს,
არამედ რაღაც უსახურ და ბრტყელ სიმახინჯეს.
მაგრამ უგვანო პროპორციებს რაც შეეხება,
ადამიანებს ისინი კი არა ბოჭავენ,
არამედ უფრო – პროპორცია უგვანობისა.

როგორ ანგრევდნენ, კარგად მახსოვს, იმ გაზაფხულზე
ხშირად მინევდა ყოფნა ერთ-ერთ თათრულ ოჯახში,
რომელიც იქვე ბინადრობდა. მათი სარკმლიდან
კარგად მოჩანდა ეკლესია. ეს ყველაფერი
ასე დაიწყო: საუბრობდნენ თათრულ ენაზე,
რომელსაც შემდეგ შეერია რაღაც ხმაური
და ცოტა ხანში შთანთქა კიდეც. ტაძრის ეზოში
გრუხუნ-გრუხუნით შეჯლიგინდა ექსკავატორი,
წვერზე მიბმული უმძიმესი თუჯის საკიდრით.
უხმოდ დანებდნენ მას კედლები, სასაცილოა,
რომ არ დანებდე, როდესაც ხარ მხოლოდ კედელი,
ხოლო პირისპირ ულმობელი მნგრეველი გიდგას.

ამასთანავე, ექსკავატორს შეეძლო იგი
უსულო საგნად მიეჩნია, ან კიდევ სულაც
თავისმაგვარად. უსულოთა სამყაროში კი
არ მოდის ხურდის დაბრუნება ერთმანეთს შორის.
შემდეგ მოყარეს თვითმცლელები, ბულდოზერები...
ერთხელ, როგორღაც შუაღამით იქ მოხვედრილი
ვიჯექ აფსიდის ნანგრევებზე, ჩამოქცეული
საკურთხევლიდან ღამის უკუნს დაეღო ხახა,
და საკურთხევლის ამ უცნაურ ნახვრეტებიდან
გავცქერდი ბოლო ტრამვაის და მიბინდულ ფარნებს.
რასაც საერთოდ ვერ იხილავ ეკლესიაში
ამ ყოველივეს ეკლესიის პრიზმიდან ვჭვრეტდი.

ოდესმე, როცა ამა ქვეყნად აღარ ვიქნებით,
უფრო ზუსტად კი – თვით ჩვენს შემდგომ, ჩვენსავ ადგილას
აღიმართება ამგვარივე რაღაც ისეთი,
რაც შეაძრწუნებს ყველას, ვინც კი ოდნავ გვიცნობდა,
თუმც ბევრი იმ ჩვენს ნაცნობთაგან აღარც იქნება.
ასეა, ძაღლებს არ ღალატობთ მეხსიერება
და ფეხს ისევე ძველ ადგილას აპრეხენ ხოლმე.
ღობე კარგახნის მოშლილია, მაგრამ მათ მაინც
ალბათ კვლავ ღობე ეჩვენებათ. მათი ზმანება
შლის სინამდვილეს. იქნებ მიწა ინახავს იმ სუნს:
ასფალტს კი ფსუტის სუნის ძლევა არ შეუძლია.
ეს უსახური ნაგებობა რა არის მათთვის?!
აქ იმათ ბაღი ეგულებათ, ხომ გესმის – ბაღი.
ის ყოველივე, რაც კაცთათვის თვალნათლივია,
არის სრულიად უმნიშვნელო ძაღლებისათვის.
აი „ძაღლური ერთგულება“ ამაზე ითქმის.
და თუ მომიხდა თაობათა ესტაფეტაზე
სერიოზული საუბარი, უნდა გამოვტყდე,
რომ მწამს მხოლოდ ეს ესტაფეტა, უფრო ზუსტად კი
მათ შორის, ვისაც გააჩნია ყნოსვის უნარი.

აწ ლენინგრადში ცოტანიღა დარჩნენ ბერძნები,
და, საერთოდაც, ყველგან იკლეს, საბერძნეთს გარეთ.
შემცირდნენ, ყოველ შემთხვევაში, იმისთვის მაინც,
რომ შეძლებოდათ თავიანთი რწმენის ტაძართა

შენარჩუნება, ხოლო რასაც ჩვენ ვაგებთ ხოლმე,
იმის რწმენას კი არვინ ითხოვს იმათგან. ალბათ
ერთია – ერი მონათლო და სახო პირჯვარი,
ხოლო ჯვრის ზიდვას რაც ეხება – ეს სულ სხვა არის.
მათ ჰქონდათ მხოლოდ ერთადერთი ვალდებულება,
რომლის ბოლომდე აღსრულება ვერ მოახერხეს.
შამბმა დაფარა მოუხნავი, მომცდარი ყანა.
„შენ, მხვნელ-მთესველო, შეინახე შენი სახნისი,
ჩვენ თვით გადავწყვეტთ, მწიფობაში როდის შევიდეთ“.
მათ თავიანთი კავ-სახნისი არ შეუნახავთ.

ამაღამ ვდგავარ ფანჯარასთან, გავყურებ სივრცეს
და ვფიქრობ ჩემთვის: სად შევტოპეთ? და რას დავშორდით
ჩვენ უფრო მეტად: ელინიზმს თუ ქრისტიანობას?
რასთან ვართ ახლო? წინ, მერმისში რა გველოდება?
იქნებ ახალი წელთაღრიცხვის დაწყება გველის?
თუ ეს ასეა, რაა ჩვენი საერთო ვალი?
და იმისათვის რაღა უნდა გავიღოთ მსხვერპლად?